გ. მაქაცარია

პიროვნების აღზრდის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი პრობლემები

სტუდენტი, მორალი, კულტურა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1987

74. 58
ბ 395

ნაშრომში სკკპ XXVII და საქართველოს კპ XXVII ყრილობების, სკკპ ცკ-ის იანვრის (1987 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე განხილულია კომუნისტური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი პრობლემები — სტუდენტი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობრივი აღზრდა, მათში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება, ზნეობრივი აღზრდა. ავტორი გვაძლევს თანამედროვე სტუდენტი ახალგაზრდობის მეცნიერულ კლასიფიკაციას, განიხილავს თანამედროვე ახალგაზრდობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. წიგნში თეორიული დებულებანი დაფუძნებულია სპეციალურ სოციოლოგიურ გამოკვლევებზე.

ნაშრომი წარმოადგენს მეორე შევსებულ და გადამუშავებულ გამოცემას. განკუთვნილია უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პედაგოგების, პროპაგანდისტების, აგრეთვე კომუნისტური აღზრდის თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი პროფ. ჯ. კ ო რ ძ ა ი ა
რეცენზენტები: პროფ. ი. ქ ო ბ ა ლ ი ა
პროფ. ვ. ჭ ა ნ უ ყ ვ ა ძ ი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

11020500 10
М ———————
М 608 (06) 87

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სკკპ XXVII ყრილობამ აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია კარგად გააზრებული ეკონომიკური სტრატეგიის, მყარი სოციალური პოლიტიკის, მტკიცე იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გზით გავააქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, რათა დაჩქარდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა და მიღწეულ იქნეს საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობა.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე, „დაჩქარების, გარდაქმნის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის კურსის რეალიზაცია წარმოუდგენელია იდეურ-თეორიული საქმიანობის გააქტიურების გარეშე“[1].

დაჩქარების კურსის რეალიზაცია, მთავარი ფაქტორის, ადამიანის ფაქტორის „ამოქმედება“ მოითხოვს „აღზრდისა და განათლების პროცესის ახლებურად წარმართვას“ იმ აზრით, რომ მან ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას. მათში ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონის გრძნობის აღზრდას.

ეს დებულება საფუძვლიანად ემყარება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ადამიანის როლისა და ადგილის შესახებ საზოგადოებაში. მარქსის თქმით, როგორც თვით საზოგადოება ქმნის ადამიანს როგორც ადამიანს, ასევე თვით ადამიანი ქმნის საზოგადოებას[2].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1986 წ. 2 ოქტომბერი.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზულებები, ტ. 1, გვ. 118 (რუს).

სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით ნათლად მეღავნდება დიალექტიკური ურთიერთკავშირი, ჩვენი საზოგადოების სიმწიფის დამოკიდებულება თითოეული მისი წევრის პოლიტიკური, მოქალაქეობრივი, ზნეობრივი, პროფესიული, მსოფლმხედველობრივი თვისებების განვითარებასთან.

სკკპ XXVII ყრილობაზე პოლიტიკურ მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „დღეს განსაკუთრებით საჭიროა ვაყალიბებდეთ თანამედროვე ამოცანების ხასიათის ღრმა გაგებას, მტკიცე მეცნიერულ მსოფლმხედველობას, პრინციპულობას, დიდ კულტურას, პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას საქმისადმი ყოველ უბანზე. ვამაღლებდეთ საზოგადოების მოწიფულობის დონეს, ვაშენებდეთ კომუნიზმს — ეს ნიშნავს განუხრელად ვზრდიდეთ შეგნების მოწიფულობას, ვამდიდრებდეთ ადამიანის სულიერ სამყაროს“[1].

ეს უმთავრესი მეთოდოლოგიური დებულება, რომელიც განპირობებულია სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა აგების შემეცნებითი ხასიათით, უნდა გახდეს უმაღლესი სკოლების საქმიანობის საფუძველი. მისი უპირველესი დანიშნულებაა ჩამოაყალიბოს მომავალი სპეციალისტი, როგორც პიროვნება უმაღლესი განათლებით. აღზრდის პროცესის საფუძვლად კვლავ რჩება აღზრდის პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა.

სწორედ ამის გამო, სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, რომელიც მიღებულ იქნა სკკპ XXVII ყრილობაზე, პარტიის კურსი გამოცხადებულია მშრომელთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის თანმიმდევრულ კურსად.

კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის იდეა მარქსიზმის ფორმირებისთანავე გამოიკვეთა. კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ აღზრდის პროცესში ღონისძიებანი თანაბრად იქნეს კონცენტრირებული მის ყველა ასპექტზე. არამედ იმასაც, რომ აღზრდის პროცესში მონაწილეობდეს იდეოლოგიური ზედნაშენები და მისი შესაბამისი დაწესებულებანი, ასევე მთლიანად სოციალური პრაქტიკა. მისი

---

[1] გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი მ. ს., სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 155.

ყველა ელემენტი, ერთი შეხედვით, აღზრდის პროცესისაგან ისე დაშორებული მოვლენაც კი, როგორიცაა ეკონომიკა. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა ის, რომ კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა მთელი თავისი შინაარსით შესაძლებელია მხოლოდ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დროს.

„პარტია ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ... აწარმოოს მიზანმიმართული მუშაობა საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელშიც შეხამებული იქნება სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულქმნილება“, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში[1].

კომუნისტური აღზრდის თეორია, რომელიც იკვლევს კომუნისტური აღზრდის არსს, მის სტრუქტურას, ფორმებსა და მეთოდებს, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაწილია.

ამ გარემოებას სავსებით ნათელყოფს ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგი“, მარქსიზმის ისტორიაში პირველი სისტემატური ნაშრომი, რომელშიც თანმიმდევრულადაა გადმოცემული მარქსიზმის, როგორც სისტემის, სამივე შემადგენელი ნაწილი: ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული სოციალიზმის თეორია. „ანტი-დიურინგის“ მეორე ნაწილში, სადაც დიურინგისეული სოციალიზმის თეორიის ძირითად დებულებათა კრიტიკის კვალდაკვალ, როგორც ფ. ენგელსი შენიშნავს, „პოზიტიურადაა განვითარებული“ მეცნიერული სოციალიზმის შინაარსი, გადმოცემულია კომუნისტური აღზრდის მარქსისტული კონცეფციის სახელმძღვანელო დებულებებიც, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, როგორც მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების ჩასახვის, ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. იგი ორგანულ ნაწილად შეიცავს კომუნისტური აღზრდის თეორიას.

მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარება თვითონ წარ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბ., 1986, გვ. 77.

მოადგენს გარკვეული კანონზომიერების მქონე მოვლენას. მეცნიერული კომუნიზმის თეორია ჩასახვისთანავე (მე-19 ს. 40-იანი წლები) ვითარდებოდა და კონკრეტდებოდა სოციალისტური და კომუნისტური მოძრაობის ცოცხალ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. სოციალისტური და კომუნისტური მოძრაობის ყოველი ახალი საფეხური, საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალდაკვალ და ამ განვითარების შესაბამისად, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის წინაშე აყენებს ახალ. კონკრეტულ პრობლემებს. რომელთა ანალიზი და განზოგადება, ერთი მხრივ, მოასწავებს მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარებასა და დაკონკრეტებას. ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს კომუნისტური მოძრაობის ცოცხალი პრაქტიკის წინსვლას. მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარება დღეს ნიშნავს განვითარებული სოციალიზმის სტრუქტურის კვლევას, მისი პერსპექტივების დადგენას, წინსვლის ოპტიმალური გზების დასახვას. ამის შესახებ ნათლად და ამომწურავად ითქვა სკკპ XXVII ყრილობაზე. მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარება დაკავშირებულია კომუნისტური მოძრაობის გზაზე განხორციელებულ ისტორიულ გარდაქმნებთან. ეს ეხება მეცნიერული კომუნიზმის ყველა შემადგენელ ელემენტს, მათ შორის კომუნისტური აღზრდის თეორიასაც.

კომუნისტური აღზრდის თეორიის პრობლემები სოციალისტური და კომუნისტური მოძრაობის ყოველ ახალ, კარდინალურ ეტაპზე ახლებური სახით დგება. ახლებურად გაიაზრება, ახლებურად წყდება. შინაარსობრივად სწორედ ამგვარად ვითარდება კომუნისტური აღზრდის თეორია. კომუნისტური აღზრდის თეორიის წინაშე სრულიად განსხვავებული საკითხები იდგა მარქსიზმის განვითარების I ეტაპზე, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში. ამ პერიოდში მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში წარმოდგენილი იყო კომუნისტური აღზრდის ძირეული პრობლემები, გააზრებული კომუნისტური აღზრდის მიზანი. ამ აღზრდის ადგილი და მნიშვნელობა კომუნისტურ მოძრაობაში. შემოხაზულ იქნა პრაქტიკული მუშაობის ძირითადი კონტურები კომუნისტური აღზრდის მიმართულებით. ვ. ი. ლენინმა ახალ ისტორიულ ეპოქაში, იმპერიალიზმისა და სოციალური რევოლუციის განხორციელების ეპოქაში. შე-

მდგომ განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი. ეს დებულება ერცელდება კომუნისტური აღზრდის თეორიაზეც. ვ. ი. ლენინის ნაშრომებში გააზრებულ იქნა ყველა ის პრობლემა, რომელიც ცხოვრებამ დააყენა კომუნისტური აღზრდის თეორიის წინაშე. კომუნისტური აღზრდის თეორიამ შემდგომი დაკონკრეტება პოვა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაბამისად. თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური აღზრდის თეორიის შემდგომი განვითარება და გაღრმავება დაკავშირებულია იმ პრობლემების მეცნიერულ შესწავლასა და გადაწყვეტასთან, რომლებიც დააყენა განვითარებულმა სოციალიზმმა.

საბჭოთა კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრება უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯია კაცობრიობის პროგრესის გზაზე. მისი ისტორიული მნიშვნელობა გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება მოასწავებს საკუთარ ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველზე განმტკიცებული სოციალიზმისა და მისი შესაბამისი, ისტორიაში სრულიად ახლებური ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წყობის დამკვიდრებას, არა მხოლოდ იმით, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრება გულისხმობს ცხოვრების სოციალისტური წესისა და ამ წესის ყველა ელემენტის, ყველა მხარის, ყველა კომპონენტის საბოლოო ფორმირებას, არამედ იმითაც, რომ განვითარებული სოციალიზმი ახალ ჰორიზონტებს სახავს, ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს, ახალ რეზერვებს გვაწვდის კომუნისტური აღზრდისათვის, ახალ პრობლემებს აყენებს კომუნისტური აღზრდის თეორიის წინაშე. განვითარებული სოციალისტური საზოგადოებიდან, ცხოვრების სოციალისტური წესიდან კომუნისტურზე გადასვლა გულისხმობს არა მხოლოდ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და სოციალისტური საზოგადოების ურთიერთობის გარდაქმნის კომუნისტური წარმოების ურთიერთობებად, არამედ ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, კომუნისტური წყობის შესატყვის პიროვნებად მის ფორმირებას. თანამედროვე პირობებში კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემა მიმართულია სწორედ ასეთი ახალი ადამიანის ფორმირებისაკენ.

კომუნისტური აღზრდა, რომლის ძირითადი მიზანია მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობით შეიარაღებული, კომუნისტური იდეალებით აღსავსე, მოქალაქეობრივად აქტიური, მოქმედი, მებრძოლი, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება, რთული სტრუქტურის მქონე მოვლენაა. იგი თავის თავში აერთიანებს ადამიანის მსოფლმხედველობრივ-შრომით, იდეურ-პოლიტიკურ, პარტიულ, ინტერნაციონალურ, ეთიკურ, სამართლებრივ, ესთეტიკურ და ათეისტურ აღზრდას. ეს კომპონენტები აღზრდის, როგორც გარკვეული სოციალური მოვლენის, საყოველთაო კომპონენტებია. კლასობრივი საზოგადოების ყველა საფეხურზე მათ კლასობრივი სტატუსი აქვთ. კომუნისტური აღზრდა აღზრდის კონკრეტულ-ისტორიული ფორმაა, რომელიც აღზრდის ტრადიციულ კომპონენტებში კომუნისტურ შინაარსს დებს. კომუნისტური აღზრდის თეორიამ, ისევე როგორც მარქსიზმის ყველა სხვა თეორიულმა ნაწილმა, ბევრი რამ რაციონალური აიღო წარსულის მემკვიდრეობიდან, კერძოდ, აღზრდის პროგრესული თეორიებიდან. კომუნისტური აღზრდის თეორია, ერთი მხრივ, იქმნება როგორც ობიექტური რეალობის ანალიზის განზოგადების, გააზრების შედეგი, მეორე მხრივ, იგი დიალექტიკური უარყოფის, ანუ მოხსნა-შენახვის მიმართებაშია აღზრდის წინანდელ თეორიებთან, კერძოდ, უტოპიური სოციალიზმის კონცეფციასთან. აქ შეიძლება გავიმეოროთ ენგელსის შენიშვნა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის ობიექტურ-ეკონომიკური საფუძვლებისა და თეორიული წყაროების შესახებ. ფ. ენგელსი თავისი შესანიშნავი ნაშრომის „ანტი-დიურინგის“ შესავლის ზოგად შენიშვნებში წერდა: „თანამედროვე სოციალიზმი თავისი შინაარსით, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს შედეგს დაკვირვებისა, ერთი მხრივ, თანამედროვე საზოგადოების მქონეელთა და არმქონეელთა, დაქირავებულ მუშებსა და ბურჟუებს შორის გაბატონებულ კლასობრივ დაპირისპირებებზე, ხოლო მეორე მხრივ, წარმოებაში გაბატონებულ ანარქიაზე, მაგრამ თავისი თეორიული ფორმის მიხედვით იგი თავდაპირველად გვევლინება, როგორც XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებლების მიერ წამოყენებული პრინციპების თითქოს უფრო თანმიმდევრული განვითარება, როგორც

ყოველი ახალი თეორია, სოციალიზმიც, უწინარეს ყოვლისა, მანამდე დაგროვილ თეორიულ მასალას უნდა დაყრდნობოდა, თუმცა, მისი ფესვები (მატერიალურ) ეკონომიურ ფაქტებში იყო გადგმული"[1]. ფ. ენგელსის ამ მეტად მნიშვნელოვან შენიშვნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნისტური აღზრდის მარქსისტული თეორია ამ დარგში მანამდე დაგროვილ იდეურ მასალას, ე. ი. უტოპისტების მიერ შემუშავებულ კომუნისტური აღზრდის თეორიას უნდა დამყარებოდა. კომუნისტური აღზრდის მარქსისტულმა თეორიამ, ისევე, როგორც მეცნიერული კომუნიზმის მარქსისტულმა თეორიამ, გადალახა უტოპიური სოციალიზმის ისტორიული, გარდუვალი, ეპოქის დონით განპირობებული და განსაზღვრული ნაკლოვანებანი, მაგრამ ამავე დროს აითვისა ყოველივე დადებითი, რაც ამ თეორიის ისტორიული დამსახურებაა, რაც ახალ ისტორიულ პირობებშიც ინარჩუნებს თავის ღირსებას. უტოპიური სოციალისტების მიერ კომუნისტური აღზრდის თეორიაში წამოყენებულ და განვითარებულ იდეათა რიცხვს განეკუთვნება აღზრდისადმი კომპლექსური, მათი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, კომბინირებული მიდგომის იდეა, შრომითი აღზრდის პროცესში პიროვნების მრავალმხრივი აღზრდის საფუძველზე მისი, როგორც მთლიანის, აღზრდის, პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა. მათ შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის იდეა, რომელიც მოიცავს ღრმა აზრს აღზრდის პროცესში ყველა საზოგადოებრივი მოვლენის, დაწესებულების აქტიური მონაწილეობის შესახებ. ეს მეტად მნიშვნელოვანი იდეაა, რომელიც ხორცშესხმას პოულობს მხოლოდ განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

კომუნისტური აღზრდის მარქსისტული თეორიის შემუშავება დაიწყო სწორედ ამ იდეის გაშლით, მისი გააზრებით სრულიად ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საფუძველზე. კ. მარქსის თეზისებში ფოიერბახის შესახებ მოცემულია კომუნისტური აღზრდის ზოგიერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპის კონკრეტული დამუშავება. ნაშრომის „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული" წინასიტყვაობაში, რო-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 20.

მელიც 1888 წელს დაიწერა, ფ. ენგელსი შენიშნავდა, რომ კ. მარქსის „თეზისებში ფოიერბახის შესახებ“ მოცემულია ახალი, მარქსისტული მსოფლმხედველობის გენიალური ჩანასახი[1]. მარქსის თეზისების ეს ენგელსისეული შეფასება ზუსტად გამოხატავს საქმის არსს. ფოიერბახის ფილოსოფიის შესახებ მარქსის თეზისებში მოცემულია ისტორიის მატერიალისტური გაგების არსებითი მომენტები. გაანალიზებულია მარქსისტული მატერიალიზმისა და მარქსამდელი გნოსეოლოგიის ძირითადი ნაკლოვანებანი, მოცემულია მჭვრეტელობითი მატერიალიზმისა და მის საფუძველზე აგებული შემეცნების თეორიის კრიტიკა, დადგენილია ადამიანის არსი, გარკვეულია კრიტიკულ-რევოლუციური პრაქტიკის არსი, მისი სოციალური და გნოსეოლოგიური ღირებულება: დასასრულ მოცემულია კომუნისტური აღზრდის თეორიის ძირეული პრინციპები. მარქსის მე-3 თეზისში წარმოდგენილია აღზრდის წინანდელი თეორიის, კერძოდ, რობერტ ოუენის უტოპიური მოძღვრების ძირითად დებულებათა კრიტიკა, ამასთანავე, განვითარებულია გენიალური აზრი სოციალური პრაქტიკის, როგორც კომუნისტური აღზრდის კომპლექსური განხორციელების, ძირითადი საშუალების შესახებ. კ. მარქსის მე-3 თეზისი შემდეგია: „მატერიალისტური მოძღვრება, რომ ადამიანები გარემო-პირობებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი გარემო-პირობებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან, ივიწყებს, რომ გარემო-პირობებს სწორედ ადამიანები ცვლიან და რომ აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს. ამიტომ ამ მოძღვრებას აუცილებლად საზოგადოების ორ ნაწილად გათიშვისაკენ მივყავართ, რომელთაგან ერთ-ერთი საზოგადოებაზე მაღლა დგას (მაგ. რობერტ ოუენთან). გარემო პირობებისა და ადამიანთა მოქმედების ცვლილებების თანმთხვევა შეიძლება წარმოვადგინოთ და რაციონალურად გავიცნოთ როგორც რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ რ ა ქ ტ ი კ ა“[2]. ფოიერბახის შესახებ თავის მე-6 თეზისში მარქსმა კიდევ

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970, გვ. 5.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, თეზისები ფოიერბახის შესახებ, იხ. ფ. ენგელსის ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 65.

უფრო ღრმად განავითარა მე-3 თეზისში წარმოდგენილი დებულებები. მე-6 თეზისში წინააღმდეგ ფოიერბახისა, მარქსმა პირდაპირ მიუთითა, რომ „ადამიანური არსება როდია აბსტრაქტული, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“[1].

მარქსის მე-3 და მე-6 თეზისს ერთმანეთთან უშუალო კავშირი აქვს. კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის იდეა თავდაპირველ თეორიულ გამოხატულებას კ. მარქსის თეზისებში პოვებს. კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა ნიშნავს, ერთი მხრივ, კომუნისტური შინაარსი მივცეთ კომუნისტური აღზრდის მიმართულებით წარმართულ ყველა იდეოლოგიურ ინსტრუმენტს, ისეთებს, როგორიცაა ადამიანთა მსოფლმხედველობრივი, ზნეობრივი, სამართლებრივი, იდეურ-პოლიტიკური, ესთეტიკური, ათეისტური აღზრდა, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფერო, ყველა სოციალური მოვლენა, ე. ი. მთლიანად მთელი საზოგადოებრივი პრაქტიკა, მისი ყველა ელემენტი ავიყვანოთ იმ კონდიციამდე, რომ ისინი მთავარ როლს ასრულებდნენ კომუნისტურ აღზრდაში. კომუნისტური აღზრდისაკენ უნდა იყოს მიმართული არა მხოლოდ უშუალოდ აღზრდის ფუნქციის მქონე დაწესებულებანი, არამედ ისინიც, რომელთაც ეს ფუნქცია უშუალოდ არა აქვთ. აღზრდის პროცესი ისე უნდა განხორციელდეს, როგორც მთელი საზოგადოების გლობალური პრაქტიკა. ადამიანის კომუნისტური აღზრდა ყველაზე უკეთ ძალუძს არა თეორიას, არამედ უშუალოდ საქმეს, პრაქტიკას, საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ეს იყო რევოლუციური გადატრიალება აღზრდის თეორიაში.

კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის იდეის განხორციელებისათვის საკმარისი არაა მხოლოდ კომუნისტური მსოფლმხედველობის, კომუნისტური თეორიის არსებობა და დანერგვა, მხოლოდ იმ მეთოდებისა და ფორმების სრულყოფილი დამუშავება, რომლებიც ემსახურება კომუნისტური თეორიის დანერგვას. კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომისათვის აუცილებელია ეკონომიკა, ყოფა-ცხოვრების წესი. ზედნაშენის მატერია-

[1] კ. მარქსი, თეზისები ფოიერბახის შესახებ. იხ. ფ. ენგელსის ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 66.

ლურ-საგნობრივი ელემენტები, სახელმწიფოსა და სამართლის ორ-
განები. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ის
ელემენტი, რომლებიც სოციალური პრაქტიკის განხორციელების
ფორმებს წარმოადგენენ და რომლებიც თავისი შინაარსით, ფუნ-
ქციონირებითა და საშუალებებით კომუნისტურ აღზრდას უნდა
ახორციელებდნენ. საზოგადოება, როგორც ურთიერთობათა ერ-
თობლიობა, სწორედ ადამიანთა ურთიერთობების ფორმით, წესით,
შინაარსით უნდა წარმოადგენდეს ადამიანის კომუნისტურად ჩამო-
ყალიბების საშუალებას. ასეთ სიმწიფეს ეს მოვლენები აღწევს
მხოლოდ განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

კლასობრივ წინააღმდეგობათა ლიკვიდაციამ, წარმოების საშუ-
ალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების მტკიცედ დამკვიდრებამ,
სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ფორმირებამ, რაც გა-
ნვითარებულ სოციალიზმსა და ცხოვრების სოციალისტურ წესს
მოჰყვა, რეალობად აქცია კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექ-
სური მიდგომის იდეა. დღეს, ჩვენს თვალწინ, ადამიანს კომუნის-
ტურად ზრდის არა მხოლოდ პრესა, წიგნი, კინო, თეატრი, სამხატ-
ვრო გამოფენა, კონცერტი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური
სასწავლებლების ქსელი, არამედ, თვითონ შრომის პროცესი. სა-
ზოგადოებრივი საკუთრების ფორმა, ადგილი საზოგადოებრივ ურ-
თიერთობათა სისტემაში, ხალხების ინტერნაციონალური ძმობა,
რეალური მხარდაჭერა და ურთიერთდახმარება, სამშობლოსათვის
თავდადების მაგალითები, შრომითი გმირობის მასობრივობა, სა-
ხელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქციები, უფასო
სწავლა და სამედიცინო მომსახურება, შრომის, სწავლის, მუშაო-
ბის, დასვენების უფლება და მათი გარანტიები, ყველა ეს სოცია-
ლური მოვლენა, რომლებსაც, ერთი შეხედვით, პირდაპირი კავშირი
არა აქვს კომუნისტურ აღზრდასთან, ზუსტი ანალიზის შემდეგ
გაიზრდება, როგორც კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი
კომპონენტი. განვითარებული სოციალიზმის დროს კომუნისტურ
აღზრდას აწარმოებს მთელი ჩვენი სოციალური პრაქტიკა, მთელი
ჩვენი რევოლუციურ-კრიტიკული, გარდამქმნელი საქმიანობა. სწო-
რედ ამიტომ წარმოადგენს განვითარებული სოციალიზმის პერიოდი
ახალ საფეხურს კომუნისტურ აღზრდაშიც. ამ ახალ საფეხურზე

იხვეწება კომუნისტური აღზრდის ფორმები და მეთოდები. ისინი ახალ შინაარს იძენენ და მდიდრდებიან.

კომუნისტური აღზრდის თანამედროვე პრობლემათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, რომელზეც ერთობლივად მუშაობენ ფილოსოფოსები და სოციოლოგები, ისტორიკოსები და იუნოლოგები, პოლიტოლოგები და ფსიქოლოგები, პედაგოგები და პოლიტიკური მოღვაწეები. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკას.

შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალურ-ზნეობრივ აღზრდაში თავს იყრის და ერთმანეთს ეჯაჭვება კომუნისტური აღზრდის მიმართულებით წარმოებული მუშაობის მრავალი მხარე და ასპექტი.

ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს ჩვენში მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია პროფ. გ. ს. ბანძელაძის ნაშრომები, კერძოდ კი მისი უკანასკნელი მონოგრაფია „ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა"[1]. ამ წიგნში 70-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების ანალიზის შუქზე წამოყენებული და გარჩეულია ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვანი პრობლემები.

* * *

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემები სრულიად ახლებურად დაისვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში, ყრილობის მასალებში დაყენებული და გადაჭრილია თანამედროვე ეტაპზე პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი პრობლემები. ყრილობის რეზოლუციაში პირდაპირ აღინიშნა: „უნდა სრულვყოთ იდეოლოგიური ორგანიზაცია. უზრუნველყოთ მასში მთელი ხელმძღვანელი კადრის მონაწილეობა, კომპლექსური მიდგომა აღ-

[1] გ. ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე. ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1982.

ზრდის საქმისადმი, მთელი მუშაობის ცენტრში დავაყენოთ კონკრეტული ადამიანი"[1].

თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ადამიანური ფაქტორის ყოველმხრივი აქტივიზაციით, საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა:

„ადამიანის ფაქტორის გააქტიურება ყველაზე უშუალოდ არის დაკავშირებული თვით ადამიანის სრულყოფასთან, მისი თვალსაწიერის გაფართოებასთან, ზნეობრივ ჩამოყალიბებასთან, სწორი მსოფლმხედველობრივი საფუძვლების დამკვიდრებასთან"[2].

უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტის სოციალურ სახეში ზემოთ მითითებულ ნიშანთა ერთობლიობა წარმოგვიდგება როგორც პოლიტიკური და პროფესიულ-ზნეობრივი კულტურა, რაც პიროვნების ეფექტური მოღვაწეობის (საქმიანობის) აუცილებელი პირობაა, თანამედროვე ეპოქაში საზოგადოებრივი პროგრესის დამაჩქარებელი ფაქტორია. ამიტომაც დღეს სულ უფრო და უფრო აქტუალურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს მომავალ სპეციალისტთა პოლიტიკური და პროფესიულ-ზნეობრივი კულტურის ფორმირების საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი" ნათქვამია: „უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლა მოწოდებულია მოამზადოს კადრები, რომლებშიც შეხამებული იქნება ღრმა პროფესიული მომზადება და იდეურ-პოლიტიკური სიმწიფე, აღზარდოს ისინი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით"[3].

სოციალისტური კულტურა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმაში ქმნის ადამიანის საქმიანობის ეტალონებს შრომასა და

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 119.

[2] ჯ. პ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას. „საქართველოს კომუნისტი", 1986, № 2, გვ. 37.

[3] გაზ. „იზვესტია", 1987 წ. 21 მარტი.

ცხოვრებაში, პოლიტიკასა და მეცნიერებაში, მხატვრულ შემოქმედებაში, ზნეობრივ მიმართებაში, მაღალი აზრით ავსებს მიმდინარე პროგრესულ ცვლილებებს. ეს მრავალწახნაგოვანი პროცესი თავის გამოხატულებას პოულობს სულიერ, მატერიალურ, ესთეტიკურ, ზნეობრივ, შრომისა და ყოფის კულტურის ცნებებში. გამაერთიანებელ საწყისად გვევლინება პოლიტიკური კულტურა, რომელიც განსაზღვრავს სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ ორიენტაციასა და სოციალური და კულტურული პროგრესის მთლიანობას. პრაქტიკისა და საზოგადოების მეცნიერული მართვის მოთხოვნები იწვევენ იმ მოვლენათა შესწავლის აუცილებლობას, რომლებიც აღმოცენდებიან სოციალისტური შრომისა და ზნეობრივი ურთიერთქმედების სფეროში. ამ მხრივ ყურადსაღებ მნიშვნელობას იძენს ცნება „პროფესიულ-ზნეობრივი კულტურა".

სკკპ ცკ-ის იანვრის (1987 წ.) პლენუმზე ითქვა, რომ საკადრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი რეზერვია ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემა. „სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სულიერი პროგრესის პერსპექტივები ბევრადაა დამოკიდებული განათლების სისტემასა და ხარისხზე", — აღნიშნა პლენუმზე ამხ. ს. გორბაჩოვმა[1].

ასეთ პირობებში ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და მორალური აღზრდის კრიტერიუმის თეორიული დამუშავება, მორალური აღზრდის პრაქტიკის განზოგადება, სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომიც.

---

[1] სკკპ ცკ-ის პლენუმის მასალები (1987 წლის იანვარი). თბ., 1987, გვ. 50.

თანამედროვე ახალგაზრდობის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი

სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა: „მომავალს დიდად განსაზღვრავს ის, თუ როგორ ახალგაზრდობას ვზრდ.ით დღეს. ეს მთელი პარტიის, მთელი ხალხის ამოცანაა“[1].

თანამედროვე ახალგაზრდობა საყოველთაო ინტერესს იწვევს, თუმცა ხშირად მის შესახებ სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ „ვინ“ ან „რა“ მოხვდა განმსჯელის მხედველობის არეში. იშვიათად შეხვდებით ახალგაზრდა თაობისადმი გულგრილად განწყობილ ადამიანებს. მაგრამ საზოგადოებას არა იმდენად „პირადი შთაბეჭდილებები“ ესაჭიროება, რამდენადაც საიმედო ცნობები ახალგაზრდობის, მისი ინტერესების, მოთხოვნილებების, შრომითი საქმიანობისა და საზოგადოებრივი აქტიურობის, ღირებულებითი ორიენტაციებისა და პოლიტიკური პოზიციების, განათლებისა და კულტურის დონის შესახებ.

არანაკლებად არსებითია ახალგაზრდობის განვითარების პერსპექტივისა და ტენდენციების წარმოდგენა, იმის უნარი, რომ გავაანალიზოთ იმ ახალი სოციალური პირობების როლი და გავლენა, რომლებიც განსაზღვრავენ მათი შეგნების, ცხოვრებისა და საქმიანობით თავისებურებებს. ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ ყოველი ახალი თაობა იძულებულია სოციალიზმს „ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ მიუახლოვდეს, ა რ ა ი მ გ ზ ი თ, ა რ ა ი მ ფ ო რ მ ი თ, ა რ ა

---

[1] მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 98.

ი მ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი როგორც მისი ძმები"[1], გვავალებს კორექტივები შევიტანოთ აღზრდის ამოცანებში.

ახალგაზრდობის აღზრდა რომ მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს, ეს ჭეშმარიტებაა. რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნამდვილი მეცნიერული ცოდნით. აღზრდის პროცესის ეფექტურობა დიდად დამოკიდებულია მეცნიერებისა და პრაქტიკული მუშაკების, ოჯახის, სამეცნიერო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კულტურის დაწესებულებების წარმატებულ ურთიერთქმედებაზე. ახალგაზრდობის აღზრდა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო საქმეა, რადგან თანამედროვე ახალგაზრდობაზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორი იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში.

მნიშვნელოვანია ყველა სოციალური მოვლენის გაანალიზება ახალგაზრდობის აზრებზე, გრძნობებზე, განწყობაზე, რწმენასა და რეალურ ქცევაზე მათი გავლენის პრიზმაში. აღზრდის საქმეს უთუოდ დააზარალებს ახალგაზრდების ცხოვრებაში ახალ ვითარებათა მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება, ამ სპეციფიკის იგნორირება, ასევე სიახლის მეტისმეტად გაზვიადება, ახალგაზრდობის გადაჭარბებული ქება, კრიტიკული ანალიზის თავიდან აცილების მისწრაფება. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მიმდინარე ცვლილებათა მიზეზების გამოვლენას, არამედ აგრეთვე მათ შეფასებას პრაქტიკულ-კლასობრივი პოზიციებიდან, ახალგაზრდების კომუნისტური აღზრდის პროცესისათვის მიზანდასახულად ხელმძღვანელობას. საჭიროა გაანალიზება იმ ობიექტური და სუბიექტური პირობების მთელი ერთობლიობისა, რომლებიც ახდენენ ახალგაზრდა თაობის სოციალური ევოლუციის პროცესის დეტერმინირებას და განსაზღვრავენ ახალგაზრდობის სოციალისტური ტიპის ფორმირებას.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ახალგაზრდობის განვითარებაში თანამედროვე ტენდენციების კვლევა გამოწვეული არ არის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 210.

რაღაც საგანგებო ან „კრიზისული" ვითარებით, რის დამტკიცებასაც ცდილობს ბურჟუაზია, არამედ იგი ასახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დიალექტიკურ ცვლილებათა შინაგან მოთხოვნილებას.

ხშირად მოზარდ თაობას საზოგადოების აქტიურ და მოწინავე ნაწილს უწოდებენ, მაგრამ ჰაბუკებისა და ქალიშვილების სახე, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმ კონკრეტულ სოციალურ პირობებზე, რომლებშიც ისინი აღიზრდებიან.

ახლა ახალგაზრდული პრობლემების გაანალიზების შედეგად, ჩვენი აზრით, შეინიშნება 3 მიდგომა:

1. მეცნიერული, მარქსისტული მიდგომა. იგი მარქსისტი სოციოლოგებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც ახალგაზრდებს შეისწავლიან იმ კონკრეტულ-ისტორიული და სოციალური პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც მათი აღზრდა ხორციელდება.

2. აღფრთოვანებულ-ოპტიმისტური მიდგომა. იგი ვლინდება ახალგაზრდობის იდეალიზაციასა და გადაჭარბებულ ქებაში. დიდი ხანი არ არის, რაც დასავლეთში ფართოდ იყო გავრცელებული მთელი ახალგაზრდობის ეგრეთწოდებული „რევოლუციური გამონაკლისობის", „აბსოლუტური პროგრესულობის" თეორიები, სტუდენტობის, როგორც ახალი საზოგადოებრივი კლასის შესახებ და ა. შ. წარმოდგენები.

3. კრიტიკულ-გამკიცხველი მიდგომა ყველაზე უფრო გავრცელებულია ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებს შორის, რომლებიც ახალგაზრდებს უწოდებენ „დაკარგულ", „სკეპტიკურ", „გულგრილ", „დაგვიანებულ", „დამანგრეველ", „ამფეთქებელ" თაობას.

უეჭველია, რომ მეორე და მესამე მიდგომა ახალგაზრდობის პრობლემის ანალიზისადმი მცდარია, რადგან არ არსებობს ეგრეთწოდებული აბსტრაქტული ახალგაზრდობა.

შეეახსენებთ, ჯერ კიდევ ვარაონ ამენოფე III-ის აკლდამაზე დაახლოებით 3-ნახევარი ათასი წლის წინ გაკეთდა წარწერა: „ახალგაზრდა ჭირვეულები არ ემორჩილებიან და პატივს არ სცემენ უფროსებს. ჰეშმარიტება უარყვეს, წესჩვეულებებს არ ცნობენ. მათ ვერავინ ვერ უგებს და მათ არ უნდათ, რომ ვინმე უგე-

ბდეს: სამყაროსათვის დაღუპვა მოაქვთ და მათ უკანასკნელ მიჯნად იქცევიან"[1].

ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნეში სოკრატე ლაპარაკობდა: „ახლანდელი ახალგაზრდობა ფუფუნებას შეეჩვია. იგი გამოირჩევა ცუდი მანერებით, უგულებელყოფს ავტორიტეტებს, პატივს არ სცემს უფროსებს. შვილები ეკამათებიან მშობლებს, ხარბად ეტანებიან საჭმელს და აწვალებენ მასწავლებლებს".

ფრანგი მორალისტ-ფილოსოფოსი მიშელ დე მონტანი (1533-1592) „ცდებში" წერდა, რომ ზოგიერთი ადამიანისათვის დამახასიათებელია თავისი სიჭაბუკის იდეალიზება: „უამრავჯერ მომისმენია მამაჩემისაგან თავისი დროის ადამიანების სათნოებაზე".

მ. ი. ლერმონტოვის პოემაში „ბოროდინო" ვკითხულობთ:

„Да, были люди в наше время. Богатыри— не вы".

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიმდინარეობდა დისკუსიები თემაზე: „ისეთივე თუ სხვანაირია ახალგაზრდობა?", „კომკავშირელმა უნდა ატაროს თუ არა ჰალსტუხი?!".

ახლა ასეთ კამათზე კითხვისას გვეღიმება. მაგრამ ხშირად დღესაც კამათობენ ტანსაცმლისა და ვარცხნილობის თაობაზე. სამწუხაროდ, მოკამათეები ივიწყებენ, რომ „მინი"-„მაქსიზე" და ვარცხნილობაზე უფრო საშიშია გულგრილობა საზოგადოებრივი პრობლემებისადმი, მომხმარებლური ფსიქოლოგია. მთავარი ხომ აზროვნებისა და ქცევის მაღალი მოქალაქეობრიობა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციაა. მაგრამ ისედაც ხდება, რომ გარეგნულ თავდაჯერებულობაში იმალება შიში, თავის დაზარალების გრძნობა. მისწრაფება, რომ თუნდაც გარეგნობით მიიქციოს ყურადღება. ცნობილი საბჭოთა მსახიობი და კინორეჟისორი როლან ბიკოვი სვამს საკითხს: „მაინც რას წარმოადგენენ დღევანდელი ჯინსიანი „გრძელთმიანები?" იქნებ ჩვენი ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილს, ან იქნებ გრძელი თმები გარეწრის სამყაროს ფარავს?"[2].

უეჭველია, რომ ახალგაზრდების ნაწილის საქციელი ხანდახან სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მაგრამ საბჭოების ქვეყნის ახალ-

---

[1] იხ. ახალგაზრდობას კომუნისტური მორალის შესახებ. ლ. 1974, გვ. 35 (რუს.).

[2] „სოვეტსკი ეკრან", 1975, გვ. 16.

გაბრდა თაობის სახეს დოყლაპიები არ განსაზღვრავენ. ამ მხრივ საგულისხმოა 80-იანი წლების ერთ-ერთი კომკავშირელის წერილი: „ამას წინათ გავიგონე ორი ხანშიშესული ადამიანის საუბარი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ სამშობლოს დაცვას. შიშმა შემიპყრო არა ჩემი ტოლების, არამედ ამ ადამიანების გამო: მათ თავიანთი მომავლის რწმენა დაკარგეს. დიახ, არ გვინახავს ომი, მაგრამ ვიცით ვოლგოგრადში დამწვარი სახლის შესახებ, რომელიც დღესაც დგას. ჩვენთვის ძვირფასია ის, რაც ძვირფასია მამებისა და დედებისათვის"[1].

უაღრესად დიდი შეცდომა იქნება აღზრდის საკითხებში ამოსავლად მივიჩნიოთ წარმოდგენები იმის შესახებ, რომ სოციალიზმის ღროს პიროვნების განვითარება მოკლებულია წინააღმდეგობებს, რომ ადამიანებისათვის, რომლებიც ცხოვრებას იწყებენ, წინასწარ ცხადია, არ არსებობს პრაქტიკულად გადაუწყვეტი პრობლემები და საკითხები. წინააღმდეგობები, რა თქმა უნდა, არის, რადგან მათ გარეშე არ შეიძლება წინსვლა, მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში, კაპიტალისტური საზოგადოებისაგან განსხვავებით, ადამიანის წინაშე სრულიად სხვა სახის პრობლემები დგება. ისინი არ არიან დაკავშირებული გამოუვალ მდგომარეობასთან, მომავლის რწმენის დაკარგვასთან, ელემენტარული ადამიანური უფლების განხორციელების შეუძლებლობასთან. სოციალისტურ საზოგადოებაში ახალგაზრდების წინაშე აღმოცენებული პრობლემები დაკავშირებულია თავიანთი ფიზიკური და სულიერი ძალების საზოგადოებრივად მიზანშეწონილად გამოყენების ყველაზე უფრო ოპტიმალური გზების განსაზღვრასთან. აქედან მომდინარეობს სოციალისტური პიროვნების ზნეობრივი ძიების სხვაგვარი ხასიათი.

ახალგაზრდობის აღზრდა, მისი კომუნისტური შეგნების, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ჩვენი პარტიის გენერალური ხაზია. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ ზრუნვა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა გვიანდერძა, ყველას კარგად ახსოვს ჩვენი პარტიის დამაარსებლის, მისი პელადის შესანიშნავი სიტყვები ახალგაზრდობის შესახებ. იმოწმებდა რა ფ.

---

[1] „იზვესტია", 1970, 28. VI.

ენგელსს, იგი წერდა, რომ ჩვენ მომავლის პარტია ვართ, ხოლო მომავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ დამყაყებულ სიძველეს-თან თავგანწირული ბრძოლის პარტია ვართ, ხოლო ამ ბრძოლაში, პირველი ყოველთვის ახალგაზრდობა წავა.

ახალგაზრდობის შესახებ ლენინური მოძღვრება ჩვენი პარტიის კრედოა. ამ სფეროში თითოეული კომუნისტის მუშაობას საფუძ-ვლად უდევს პარტიისა და ახალგაზრდობის ინტერესთა მუდმივი კავშირი. ეს იდეა ყველაზე კარგად აისახა ლენინურ მოძღვრებაში და შემდგომ განხორციელდა ჩვენი პარტიის თეორიულ და პრაქ-ტიკულ საქმიანობაში, მთელ გმირულ ისტორიაში, მათ შორის — უახლეს ისტორიაშიც — ჩვენი განვითარების ახლანდელ ეტაპზე. არ არსებობს ძალა, რომელსაც ძალუძს ამ ინტერესების გათიშვა, რადგანაც საკითხისადმი ასეთი მიდგომა ჩვენი პარტიის თვით ში-ნაგანი ბუნებისაგან, მისი ცხოვრების ძირითადი მიზნებისაგან, მი-სი არსებობისაგან გამომდინარეობს.

ვ. ი. ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა წვრილი ბურჟუას „რევო-ლუციურობას", რაც ჩვეულებრივ არქრევოლუციურობის სახით გვევლინება, მაგრამ უნარი არ აქვს გამოიჩინოს კლასობრივი ბრძოლისათვის ესოდენ საჭირო ორგანიზებულობა, თავშეკავება და დისციპლინა. შემთხვევით არ იყო, რომ ვ. ი. ლენინი პარტიასა და მუშათა კლასს იცავდა წვრილბურჟუაზიული რევოლუციონიზ-მის გავლენისაგან, ამხელდა „რევოლუციურ" ავანტიურიზმს ადა-მიანებისა, რომლებიც გატაცებული იყვნენ მოზღვავებული მოვ-ლენებით.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მარქსისტებს არ შეუძლიათ და-შვება და არც უნდა დაუშვან, რომ ახალგაზრდობა აღმოჩნდეს იდეურ ვაკუუმში, რომელიც მაშინვე შეივსება რევოლუციის, დე-მოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის უცხო კონცეფციებით. რსდმპ II ყრილობის რეზოლუციის პროექტში „მოსწავლე ახალ-გაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ" ვ. ი. ლენინმა მის წინაშე დააყენა საპასუხისმგებლო იდეოლოგიური ამოცანები. პირველ რიგში, ეს იყო მთლიანი თანამიმდევრული რევოლუციუ-რი მსოფლმხედველობის გამომუშავება თავის საქმიანობაში, მარქ-სიზმის სერიოზულად გაცნობა...; მეორე რიგში კი — ახალგაზრ-დობის იმ ცრუ მეგობრების მორიდება, რომლებიც ცარიელი

ფრაზეოლოგიით ხელს უშლიან სერიოზულ რევოლუციურ აღზრდას... რადგან ეს ცრუ მეგობრები საქმით მხოლოდ უპრინციპობასა და რევოლუციური ბრძოლისადმი ქარაფშუტულ დამოკიდებულებას ავრცელებენ.

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ახალგაზრდულ მოძრაობაში კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი პრინციპები. ესაა ახალგაზრდობის კომუნისტური შეგნების აღზრდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების პარტიული ხელმძღვანელობა მათი ორგანიზაციული დამოკიდებულების შენარჩუნებით, უფროსი თაობებისაგან განსხვავებული ახალგაზრდობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინება, მასობრივ დემოკრატიულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ახალგაზრდა კომუნისტების მუშაობის აუცილებლობა.

ახალგაზრდული პრობლემებისადმი მიდგომის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები შეიცავს:

— ახალგაზრდობის გაგებას სპეციფიკურ სოციალურ-დემოკრატიულ ჯგუფად. რომლისთვისაც დამახასიათებელია თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები და, მათ შორის, ისეთები, როგორიცაა უანგარობა, სიწმინდე, იდეურობა, თანაგრძნობა, განსაკუთრებული ათვისების უნარი, იდეალისადმი გულწრფელი სწრაფვა, რომანტიკა, სიმართლე, გარკვეული ბუნებრივი დისჰარმონია, ხანდახან სკეპტიციზმი, რომელიც ზოგჯერ პესიმიზმს იწვევს, და მისწრაფება თავისი თავის მაქსიმალურად გამოვლენისაკენ;

— ახალგაზრდობის სოციალურ-პოლიტიკური არაერთგვაროვნებისათვის ხაზგასმას, კლასობრივ-ანტაგონისტური საზოგადოების პირობებში მის ფენაში არსებობას ძირეული კლასობრივი განსხვავებებისა, რომლებიც ხშირად გადამწყვეტი აღმოჩნდება ხოლმე მოძრაობის განვითარების ამა თუ იმ მომენტში. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სტუდენტობა მოწყვეტილი არ არის დანარჩენი საზოგადოებისაგან; ამიტომ იგი გარდუვალად ასახავს საზოგადოების მთელ პოლიტიკურ დაჯგუფებას, ახალგაზრდობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა განისაზღვრება და დაპროგრამდება

იმ კლასების ინტერესებითა და მოქმედებით, რომლებსაც ეკუთვნის;

— ახალგაზრდული პრობლემების განპირობებულობის ხაზგასმას საზოგადოებაში გაბატონებული სოციალური ურთიერთობებით, მათი გადაწყვეტის შესაძლებლობას მხოლოდ საზოგადოებაში განხორციელებულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნათა ბაზაზე;

— იმის რწმენას, რომ ბრძოლის ბედს გადაწყვეტს ახალგაზრდობა — სტუდენტი და, უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობა — წერდა ვ. ი. ლენინი.

—კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას ახალგაზრდული მოძრაობისადმი, იმის გათვალისწინებას, რომ ახალგაზრდობა აუცილებლობის გამო იძულებულია სოციალიზმს სხვაგვარად, სხვა გზით მიუდგეს, არა იმ ფორმითა და იმ ვითარებაში, როგორც მათი მამები. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ამიტომ არის საჭირო საქმის ცოდნით მიდგომა ახალგაზრდებისადმი.

საზოგადოებრივ საქმეებში ამა თუ იმ ეტაპზე ახალგაზრდობის როლი და ადგილი იმით განისაზღვრება, თუ რა შესაძლებლობებს გვთავაზობს საზოგადოება მისი განვითარებისათვის, მის უნართა და ენერგიის რეალიზაციისათვის; თუ როგორ ახორციელებს იგი ამავე დროს თავის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.

როგორც აღინიშნა, უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ გაიზარდა ახალგაზრდობის პრობლემებით დაინტერესება. ეს ინტერესი საყოველთაოა და სრულიადაც არ არის ფუჭი. იგი პრაქტიკულად მოიცავს ჩვენი პლანეტის ყველა ასაკის, ყველა სოციალური და პროფესიული ჯგუფის მოსახლეობას, უფროსი თაობის წარმომადგენელთა ინტერესს ახალგაზრდობისადმი ამოძრავებს მისწრაფება საიმედო ხელში გადასცეს ყოველივე, რაც დაჟინებული შრომით შექმნილა წლების მანძილზე, და ხშირად კი — დიდი მსხვერპლის ფასად. ეს თემა აინტერესებს ყველაზე უფრო ახალგაზრდებსაც, რომლებიც ელოდებიან პასუხებს კითხვებზე: „ვინა ვარ?“, „როგორი უნდა ვიყო?“, „ვინ გავხდე?“.

ახალგაზრდობის აქტიური პრობლემები არ შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ახალგაზრდების საკუთარი თავით დაინტერესებით, რადგან ეს პრობლემები გამომდინარეობენ თვით ადამიანთა საზოგა-

დოების ცხოვრებიდან. მათ ღრმა ობიექტური საფუძვლები აქვთ, რომლებიც, თავიანთი მხრივ, განსაზღვრებიან საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განვითარების დონითა და სპეციფიკით, აქ გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით. ისინი განსაზღვრავენ აგრეთვე საზოგადოებაში ახალგაზრდობის მდგომარეობას.

კ. მარქსმა მეცნიერულ სიტყვათხმარებაში შემოიღო ტერმინი „პროლეტარიატის მოზარდი თაობა".

კომუნისტებისათვის მუდამ დამახასიათებელი იყო ახალგაზრდობისადმი კლასობრივი მიდგომა. თანამედროვეობის ძირითადი ურთიერთმებრძოლი ძალები, ხელმძღვანელობენ რა თავიანთი კლასობრივი ინტერესებით, ახალგაზრდობისადმი სულ უფრო მეტ ყურადღებას ავლენენ. ამის მიზეზია ახალგაზრდობის როლისა და მნიშვნელობის ზრდა საზოგადოების ცხოვრების სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტურულ და სხვ. დარგებში. ეს პროცესი აისახება მთელ რიგ რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებზე, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და უშუალოდ არიან დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზმის ფუნქციონირების სიღრმისეულ პროცესებთან. გაერო-ს სხვადასხვა ორგანიზაციის: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის და სხვ. სტატისტიკური მონაცემები საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ ახალგაზრდობის მდგომარეობა საერთოდ და ცალკეულ ქვეყნებში, უკეთ გავიგოთ ახალგაზრდულ პრობლემათა სპეციფიკა.

ახალგაზრდობა ცხოვრებას იწყებს დიდი მისწრაფებით, გააუმჯობესოს ივი, სწრაფად გამოასწოროს ნაკლოვანებები, ყველაფერი, რაც უშლის ხელს საზოგადოებრივ პროგრესს. ახალგაზრდობა პიროვნების ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, რომელიც არსებით ზემოქმედებას ახდენს მთელი შემდგომი ცხოვრების გზაზე. ჭაბუკობის წლები ხასიათდება ინფორმაციის უდიდესი ნაკადის ათვისებით, საკუთარ უნართა აქტიურად გამოვლენისაკენ მისწრაფებით. ფიზიკური ძალღონით სავსე ჭაბუკები და ქალიშვილები ცდილობენ მეტი ცოდნის შეძენას, საინტერესო პრო-

ფესიის დაუფლებას, საზოგადოების სასარგებლოდ ცხოვრებას, თავიანთი მისწრაფებების განხორციელებას.

სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით ითქვა, რომ „80-იანი წლების ახალგაზრდები გამოირჩევიან ფართო თვალსაწიერით, განათლებით, ენერგიით. ისინი... დამუხტულნი არიან სამოქმედოდ, ეძებენ შესაძლებლობებს გამოავლინონ თავი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში“ [1].

მ. ი. კალინინი აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობა შესანიშნავი, ყველაზე მოძრავი რაზმია კაცობრიობისა... იგი მამაცია, სიკვდილის არ ეშინია... ახალგაზრდობა კაცობრიობის საუკეთესო ნაწილია და ამ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს უნდა მოვეფრთხილდეთ, განვავითაროთ.

მსოფლიოს მომავლისათვის ბრძოლა არის ბრძოლა ახალგაზრდა თაობის გონებისა და სულისათვის. დღეს ყოველმა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულად აღიქვამს ახალგაზრდობა საზოგადოების მთავარ ფასეულობებს, დიდად არის დამოკიდებული მისი ცხოვრება და განმრთელობა მრავალი წლის მანძილზე. ამასთანავე, მასების სწორად აღზრდა არასდროს არ არის დაშორებული მისი დამოუკიდებელი პოლიტიკური და განსაკუთრებით რევოლუციური ბრძოლისაგან. თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ყოველი სფეროს როლისა და მნიშვნელობის ამაღლება არის იდეოლოგიური ბრძოლის სფეროში მისი მნიშვნელობის ამაღლებაც, რადგან პლანეტის ახალგაზრდობა ამ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრია.

სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება კომუნიზმის სწავლა მარტო წიგნებით, არ შეიძლება პასუხისმგებლობის ჩანერგვა პასუხსაგები საქმეების დაუვალებლად“[2].

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 99.

[2] იქვე.

აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ უნართა ვამომუშავებას ურთიერთობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ საქმიანობაში; თვითგანათლებისა და თვითაღზრდის ჩვევების, იმ უნართა გამომუშავებას, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს უარყოფითს ზემოქმედებას, ებრძოლოს მას.

ამავე დროს, ახალგაზრდობა უნდა აღვზარდოთ არა მარტო დადებით, არამედ უარყოფით მაგალითებზედაც, დაბეჯითებით ვაჩვენოთ ამა თუ იმ უარყოფითი მოვლენის აღმოცენების ძირები და მიზეზები.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მიმდინარეობს თავისი მასშტაბითა და განსწავლულობით უპრეცენდენტო „ფსიქოლოგიური ომი", რომლის შემადგენელი ნაწილია იდეოლოგიური დივერსიები საბჭოთა ახალგაზრდობის წინააღმდეგ. სკკპ XXVII ყრილობაზე პოლიტიკურ მოხსენებაში ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „ჩვენ საქმე გვაქვს გაწაფულ კლასობრივ მოწინააღმდეგესთან, რომლის პოლიტიკური გამოცდილება მრავალფეროვანია და საუკუნეებს ითვლის. მან შექმნა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მასირებული პროპაგანდის გიგანტური მანქანა, რომელსაც სოციალიზმის გამოწვრთნილ მოძულეთა უზარმაზარი აპარატი ემსახურება" [1].

თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდისა და იმპერიალიზმის სპეცსამსახურების მეთოდებსა და ხერხებში მოხდა არსებითი ცვლილებები. კლასობრივი ბრძოლის მთელმა სიმძიმემ გადაინაცვლა საზოგადოებრივი ცნობიერების იდეოლოგიის სფეროდან საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის სფეროში, ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს „რადაც უნდა დაუჯდეს შეალამაზოს კაპიტალიზმი, მიჩქმალოს მისი ბუნებრივი ანტიადამიანურობა და უსამართლობა, თავს მოახვიოს ცხოვრებისა და კულტურის თავისი სტანდარტები; ყოველნაირად გათათხოს სოციალიზმი, გაუკეთოს ისეთ ღირებულებათა აზრი, როგორიც არის დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორობა, სოციალური პროგრესი" [2].

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, გვ. 150.

[2] იქვე, გვ. 149—150.

პელენისა და რუსოს წიგნში „დასავლეთის ილუზიები“ ლაპარაკია იმაზე, რომ აუცილებელია დასავლეთმა ისწავლოს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის დროსაც გამოიყენებს მორალურ, ინტელექტუალურ, მეტაფიზიკურ, ეკონომიკურ მეთოდებს, ერთი სიტყვით ყველა საშუალებას სოციალიზმის ღირებულებათა და უპირატესობათა წინააღმდეგ [1].

თანამედროვე ანტიკომუნისტები თავიანთ ფსევდო-მეცნიერულ გამოკვლევებში, რომლებიც ახალგაზრდულ პრობლემატიკას ეხება, ორი ძირითადი ამოცანის განხორციელებას ცდილობენ: ჯერ ერთი, ყოველმხრივ ამახინჯებენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ გამომუშავებულ კომუნისტურ პოლიტიკას ახალგაზრდობის საკითხში, ლენინურ მოძღვრებას ახალგაზრდა თაობის როლისა და ადგილის შესახებ საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნაში; გამორიცხავენ სკკპ და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური კომპარტიების უმდიდრეს გამოცდილებას; მეორე, ახალგაზრდობის შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძრაობას უპირისპირებენ თავიანთ თეორიებსა და კონცეფციებს, რომელთა მიზანია კაპიტალისტური ქვეყნების მზარდი ახალგაზრდული მოძრაობის უვნებელყოფა, ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლებისათვის მისი პოლიტიკურად გაუსაფრთხოება, იმ კალაპოტში ჩაყენება, რომელიც „მეცნიერულად“ ჩამოაშორებს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას.

რ. ფიშერი, ხ. სეტონ-ვატსონი, რ. კორნელი, ა. კასოფი, კ. მენერტი და სხვ. ანტიკომუნისტები ყოველმხრივ ცდილობენ „მეცნიერულად“ დაამტკიცონ თავიანთი ნააზრევი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პერიოდში რუსეთში ახალგაზრდული მოძრაობის სტიქიურობისა და დამოუკიდებლობის შესახებ. ისინი ყოველ ღონეს მიმართავენ, თავს ესხმიან ჩვენი პარტიის პოლიტიკას და მის ტაქტიკას მასების, მათ შორის ახალგაზრდობის მომხრობის საკითხში, სკკპ მიერ კომკავშირის ხელმძღვანელობის საკითხში. ისინი ყო-

---

[1] Polin C., Roussau C., Des illusions de L' Occident. Paris. 1981. p. 23, 98, 222.

ველმხრივ ამახინჯებენ ალკკ-ს ისტორიას, მის როლს სოციალისტურ საზოგადოებაში, ცდილობენ პარტია დაუპირისპირონ კომკავშირს და ა. შ.

მაგალითად, ამერიკელი ისტორიკოსი რალფ ფიშერი თავის წიგნში „საბჭოთა ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათი“ [1] აღნიშნავს, რომ კომკავშირის შექმნა საბჭოთა ახალგაზრდობას თავს მოახვიეს „ზემოდან“, „პარტიის დიქტატით“ და რომ ეს ორგანიზაცია მოკლებულია თვითმოქმედებასა და შემოქმედებით განვითარებას. იგი უარყოფს ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის მემკვიდრეობითობას.

ცნობილი დასავლეთგერმანელი „სოვეტოლოგი“, კ. მენერტი თავის შრომაში „მოსკოვი და ახალი მემარცხენე“[2] იმასაც კი ამბობს, რომ თითქოს ვ. ი. ლენინი სრულიად არ იყო დაინტერესებული რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის, პროლეტარული ფენების წარმომადგენელთა მიზიდვით.

დასახელებული ავტორებით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება იმ პირთა სია, რომლებიც აყალბებენ კომკავშირის ისტორიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კომკავშირს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა საკითხებს, იმ პრინციპებს, რომლებსაც ემყარება საერთოდ ახალგაზრდობასთან დაკავშირებით სკკპ პოლიტიკა. სია გაცილებით გრძელია, მაგრამ ჩამოთვლილი „შრომების“ მიხედვითაც შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა ბურჟუაზიული ლიტერატურის ნიმუშებზე ახალგაზრდობის, კერძოდ კი საბჭოთა ახალგაზრდობის, კომკავშირის და ა. შ. ირგვლივ.

ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ცდილობენ ისტორიის დამახინჯებას; ისევე როგორც ხ. სეტონ-ვატსონი ან რ. ფიშერი, ისინი უარყოფენ კავშირის არსებობას ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და მუშათა კლასის პარტიას შორის, უარყოფენ პროფესიონალი რევოლუციონერი-ბოლშევიკების მხრივ ახალგაზრდული მოძრაობის ცოცხალი და გააზრებული ხელმძღვანელობის ისტორიულ

---

[1] Fisher R. Pattern for Soviet Youth. New York. Columbia University Press, 1979.

[2] Menert K. Moskau und „Neue Linke“. Spezielle Herausgebe „Osteuropa“, 1973, № 9.

ფაქტებს. სხვა შემთხვევებში ისინი, ისევე როგორც კ. მენერტი ან ა. კასოფი, ამ დამოკიდებულებებს წარმოგვიდგენენ როგორც ძალმომრეობას, ახალგაზრდობის სამხედრო დაქვემდებარებას პარტიის დიქტატისათვის და ა. შ.

რაში ხედავენ ამ „დიქტატს?“.

ა. კასოფის თანახმად, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა თურმე ხელს არ უწყობს ახალგაზრდების განვითარებას, აფერხებს ამ პროცესს, ართმევს ახალგაზრდობას სპეციფიკური თვისებების ჩამოყალიბების შესაძლებლობას, ხელს უშლის თვითგამოხატვის პროცესს. უფრო მეტიც, ავტორის თვალსაზრისით, საზოგადოებრივ საქმეებში ახალგაზრდების ჩაბმა, მათი შრომითი აღზრდა იმისათვის გამოიყენება, რომ მათ ინიციატივა, ნოვატორული სული წაართვან და შეარიგონ ისინი არსებულ საზოგადოებრივ წესებს [1].

მთელი კაპიტალისტური სისტემის მწვავე კრიზისის პირობებში, პროგრესისა და რეაქციის — სოციალიზმის და კაპიტალიზმის — ისტორიული ურთიერთბრძოლის პირობებში ბურჟუაზიული იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი ქვეყნის ახალგაზრდობის აღზრდა წარმართონ ანტიკომუნისტურობის, კონფორმიზმის. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თანამედროვე ეპოქის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი ბურჟუაზიული ობივატელური გულგრილობის გზით. მათი ძალისხმევა მიმართულია, რათა კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდებში აღზარდონ მოგების წყურვილი, მომხმარებლური ინდივიდუალიზმის კერძომესაკუთრული ინსტინქტები, ე. ი. ყოველივე ის, რაც ახალგაზრდებს მორალურად ამზადებს ბურჟუაზიული სინამდვილის მისაღებად, მასთან შესაგუებლად.

როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „...ბურჟუაზიული პროპაგანდა მთელ მსოფლიოში ხალხს თავს ატეხს ხელოვნურად დამახინჯებულ ინფორმაციას, თავს ახვევს აზრებსა და გრძნობებს, პროგრამებს მმართველი ძალებისათვის ხელსაყრელ მოქალაქეობრივ და სოციალურ პოზიციას“ [2].

---

[1] Kassof A. The Soviet Youth Program. Regimentation and Rebellion. Cambridge. Massachusets, 1965. p. 164.

[2] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თბ., 1986, გვ. 31.

ანტიკომუნისტების ყველა თეორია და კონცეფცია ახალგაზრდობის შესახებ პირობით შეიძლება დავყოთ 3 ძირითად ჯგუფად: ბურჟუაზიული იდეოლოგიის თეორიები და კონცეფციები, უკიდურესად რეაქციული, ნეონაცისტურის ჩათვლით; სოციალურ-დემოკრატიული ან რეფორმისტული, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „დემოკრატიულ სოციალიზმს“ იცავენ; შედარებით მრავალრიცხოვანი მემარცხენე, ნეოკომუნისტური (რევიზიონისტული), რომლებშიც შედიან სხვადასხვა ანარქოსინდიკალისტური, ნეოტროცკისტული, მაოისტური და სხვ. ტენდენციები ბურჟუაზიული სოციოლოგების კონცეფციებთან შენაცვლებით.

სანამ გადავიდოდეთ ახალგაზრდული პრობლემატიკის ცალკეული ინტერპრეტაციების განხილვაზე, რომლებსაც დასავლეთში გვთავაზობენ, განვიხილავთ მათი ბურჟუაზიული არსების დამახასიათებელ ზოგიერთ საერთო ნიშანს.

აღსანიშნავია, რომ ინტერპრეტაციებს შორის არსებულ განსხვავებასთან ერთად, თითოეულ მათგანში გარკვევით იგრძნობა მისწრაფება, მიჩქმალულ იქნეს კაპიტალისტური წყობილებით ახალგაზრდების უკმაყოფილების ჭეშმარიტი მიზეზები.

ყველაზე უფრო ხშირად ეს ხდება ახალგაზრდების პროტესტის გლობალიზაციის მეშვეობით, სოციალისტური ბანაკის იმ ქვეყნებზე მისი გავრცელების მეშვეობით, რომლებშიც, „სოვეტოლოგების“ მტკიცებით, შეინიშნება აგრეთვე ახალგაზრდების კონფრონტაცია ფასეულობათა და ყოველგვარი „ინსტიტუციონალობის“ შექმნილი და ოფიციალურად მიღებული სისტემის მიმართ. მსგავსი მაგალითი ნიღბავს და შეუმჩნეველს ხდის ახალგაზრდების მიერ კაპიტალისტური ცივილიზაციის დაგმობის კონკრეტულ სოციალურ ძიებას და საქმეს ისე წარმოგვიდგენს თითქოს ახალგაზრდები გამოდიან მთელი თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ და უარყოფენ არა მხოლოდ კაპიტალიზმს, არამედ სოციალიზმსაც. აზრთა ასეთი მიმდინარეობა გზას უხსნის „კონვერგენციის“ თეორიის დამკვიდრებას, რომელიც წარმოადგენს მსჯელობათა ნაკრებს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის „ტრანსფორმაციისა“ და მათი „დაახლოების“ პერსპექტივების შესახებ. მისი კონკრეტული ვარიანტებია „ინდუსტრიული საზოგადოების“, „პოსტკაპიტალიზ-

მისა“ და „ტექნოტრონული ცივილიზაციის“ და ა. შ. კონცეფციები. ამ კონცეფციების თანახმად, კლასობრივი რევოლუციური ბრძოლა თითქოს საერთოდ ყოველგვარ აზრს კარგავს, კერძოდ, რაც შეეხება ახალგაზრდობას, ხდება რა კაპიტალისტური სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, იგი კარგავს თავის მეამბოხურ სულს. ამრიგად, ამ თეორიებში საგანგებოდ დაფარულია წინააღმდეგობათა ნამდვილი მიზეზი, ასე რომ ისინი, უკეთეს შემთხვევაში „თაობათა კონფლიქტად“ ისახებიან.

ძყვირალა ფრაზებისა და მოჩვენებითი მომაკვდინებელი ნიჰილიზმის მიუხედავად, თავსმოხვეული აზრები ჩვეული ბურჟუაზიული ფორმულების ფარგლებშია და თავისებურად ასრულებს აპოლოგეტიკურ, დაცვით ფუნქციებს. სწორედ ეს არის ბურჟუაზიული ცნობიერების განმასხვავებელი ნიშანი, იგი ახდენს საქმეთა ჭეშმარიტი ვითარების მისტიფიცირებას.

გარდა ამისა, ამ კონცეფციების საერთო ნიშანი, რომელშიც მათი ბურჟუაზიული არსია ასახული, არის მუშათა კლასისადმი ქედმაღლური, უგულებელმყოფელი დამოკიდებულება. ეს ყველაზე ნათლად ვლინდება მისი მსოფლიო-ისტორიული როლის სრულ უარყოფაში და მისთვის ახალგაზრდობის, სტუდენტობის, ინტელიგენციის დაპირისპირებაში.

ბევრი ბურჟუაზიული ავტორი დიდად აფასებს ახალგაზრდულ გამოსვლებს. ერთ-ერთი მათგანი, რ. ფლეკსი — ამერიკელი სოციოლოგი — აღიარებს, რომ ახალგაზრდები დარწმუნებული არიან ძირფესვიანი სოციალური ცვლილებებისა და კულტურული გარდაქმნების აუცილებლობაში, მათ ეზიზღებათ ტრადიციული პოლიტიკური მანიპულაციები და გაუბედავი რეფორმიზმი. თავის წიგნში „ახალგაზრდობა და სოციალური ცვლილებები“, რომელიც 1971 წელს გამოქვეყნდა, მან აზრი გამოთქვა მემარცხენე ბლოკის მიერ სოციალური ხასიათის პროგრამის გამომუშავების აუცილებლობის შესახებ [1].

ხოლო 1973 წელს ნაშრომში „ამბოხებული ახალგაზრდა ინტელიგენცია“ იგი კატეგორიულად უარყოფს მარქსისტულ დებულებას პროლეტარიატის ისტორიული როლის შესახებ. „პოსტინ-

---

[1] Flacks R. Youth Social Change. Chicago. Markham 1971.

დუსტრიულ“ საზოგადოებაში, ავტორის თქმით, ინტელიგენციის ხარისხობრივი ზრდა განსაზღვრავს მის თვისებრივად ახალ სოციალურ-ისტორიულ როლს — იგი ხდება საზოგადოებრივი განვითარების წამყვანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც საბოლოოდ გამოდევნის მუშათა კლასს[1].

ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა იდეოლოგმა კიდეც შემოიღო სპეციალური ტერმინი „პროვოტარიატი“[2], რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ახალ რევოლუციურ ძალას, იგი ახდენს ახალგაზრდების პროვოცირებას, მათი აზრით, თანამედროვე პირობებში პროვოტარიატზე გადავიდა პროლეტარიატის რევოლუციური მისია.

იმპერიალიზმის იდეურ არსენალში მრავალრიცხოვანი თეორია და კონცეფციაა, რომლებიც მიზნად ისახავენ ახალგაზრდობის დამცირებას, საკუთარი ძალებისადმი რწმენის დაკარგვას, ამასთან, უიმედო და დაბნეული წვრილბურჟუაზიული ახალგაზრდობის ცალკეული წარმომადგენლის ცხოვრებაში მახინჯსა და ამორალურ მხარეს (რომელიც წარმოშვა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებამ) ბურჟუაზიული თეორეტიკოსები და პროპაგანდისტები მიიჩნევენ როგორც მთელი ახალგაზრდა თაობის „კრიზისს“, მის „დეგრადაციას“, იმ „უზრუნველი“ და „ბედნიერი“ ცხოვრების შედეგს, რომლითაც გარემოსილია იგი „მზრუნველი“ კაპიტალისტური წყობილების მეშვეობით. ისინი გაყვირიან ახალგაზრდების მორალისა და ეთიკური ნორმების მასობრივი დაცემის შესახებ, რასაც ადასტურებენ ხელისუფლების, მთავრობის, მშობლების, სკოლისა და უნივერსიტეტის მიმართ მათი უპატივცემულობით.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ მიჩქმალონ ჭეშმარიტი მიზეზი და არსი კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდების გამოსვლებისა, რომლებიც მიმართულია კაპიტალიზმის საერთო კრიზისით გამოწვეული მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ.

---

[1] Flacks R. Youth Intelligentsia in Revolt. Chicago, 1973. p. 247.

[2] პროვოტარიატი შედგენილია ორი შემოკლებული სიტყვისაგან: პროვოკატორი და პროლეტარიატი.

ბურჟუაზიული იდეოლოგები შეგნებულად ცდილობენ ახალგაზრდების გამოსვლები როგორმე მისი ცხოვრებისა და საქმიანობის სოციალურ-პოლიტიკური პირობების გარეშე ახსნან.

ეს განსაკუთრებით თვალში საცემია ეგრეთ წოდებულ „თაობათა კონფლიქტის“ კონცეფციაში.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი ამერიკელი ბურჟუაზიული სოციოლოგი და ანტიკომუნისტი უ. როსტოუ თავის წიგნში „ეკონომიკური ზრდის სტადიები“[1], რომელიც მრავალი ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური კონცეფციის დასაბამი გახდა, შეშფოთებით აღნიშნავდა ახალგაზრდების „მღელვარებისა და ბათ ბიერ თავიანთი მამებისა და პაპების იდეალთა უარყოფის შესახებ“. უ. როსტოუმ ამ ტენდენციებს „ბუდენბროკთა გვარის ღინამიკა“ უწოდა თომას მანის ცნობილი რომანის ანალოგიით. ნაწარმოების მიხედვით ბუდენბროკების სამი თაობიდან პირველი ესწრაფვის გამდიდრებას, მეორე— ხელისუფლებას, ხოლო მესამე ერთსაც და მეორესაც უარყოფს და მუსიკაში ხედავს გამოსავალს. უ. როსტოუს სამართლიანად აშინებს ამერიკელი ახალგაზრდების მესამე, ახალი თაობის გამოჩენა ბუდენბროკთა მესამე თაობის მსგავსად, რომელიც უარყოფს ბურჟუაზიული საშყაროს ფასეულობებს.

ყველაზე უფრო სრულად „თაობათა კონფლიქტის“ თეორია გახსნა ამერიკელმა სოციოლოგმა, პროფესორმა ლიუის ფეიერმა. მისი თვალსაზრისით, ახალგაზრდების გამოსვლათა მთავარი მიზეზი, რომელიც განხილული აქვს შრომაში „თაობათა კონფლიქტი“, მდგომარეობს უფროსი თაობის მიმართ ბრმა და დაუძლეველ სიძულვილში. ამ უსასრულო მტრობის საფუძველს განაპირობებს უკმაყოფილება ყოველივე იმით, რასაც უფროსი თაობა აკეთებს. სოციალური ინსტიტუტებით გამოწვეულ გაღიზიანებას, უკმაყოფილებას უფროსი თაობის ცხოვრების წესით და მკაცრ კრიტიკულ დამოკიდებულებას მათი სულიერი ღირებულებისადმი საფუძვლად უდევს ქვეცნობიერი ნეგატიური ემოციები. ლ. ფეიერის აზრით, ახალგაზრდების გამოსვლების ახსნა კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდების სოციალური ვითარებისა და ცხოვრე-

---

[1] Rostow Y. The Stages of Economic Growth. N. Y., 1960.

ბის პირობების ანალიზით კი არ არის შესაძლებელი, არამედ მთლიანად ბიოლოგიური სფეროთი. კერძოდ, 60-იანი წლების მეორე ნახევრის სტუდენტების რადიკალური მოძრაობის განმარტების დროს პროფესორი ლ. ფეიერი წერს: „სტუდენტური მოძრაობები მაგალითია იმ აზრით, რომ მათში ბატონობს გაუცნობიერებელი სტიმული — ამბოხის სურვილი მამის წინააღმდეგ, რომელმაც ავტორიტეტი დაკარგა“ [1].

ლ. ფეიერი არ მალავს, რომ განმარტების მოდელი, რომელიც მან „თაობათა კონფლიქტის“ თეორიას დაუდო საფუძვლად, არის ფროიდისტული კონცეფციის მოდერნიზაცია თაობათა ურთიერთობის შესახებ. როგორც ცნობილია, ზიგმუნდ ფროიდმა ჩამოაყალიბა თეზისი სექსუალურ საფუძველზე თაობათა მარადიული ბრძოლის შესახებ, რომელიც მოკლედ „ოიდიპოსის კომპლექსად“ განსაზღვრა. იგი მიიჩნევს, რომ ფსიქოანალიზი უფროსი თაობის მიმართ ქვეცნობიერ მისწრაფებათა და აგრესიულობის გამოვლენის გზით საშუალებას იძლევა დადგინდეს მამებსა და შვილებს შორის ურთიერთობათა ფარული მექანიზმი.

აღნიშნავს რა ფსიქოანალიზის უსაფუძვლობას, საბჭოთა მეცნიერი ი. ვ. ერიომინი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ზ. ფროიდი რეალურ ურთიერთობებს ამახინჯებს. „ნაცვლად იმისა, რომ თაობათა ფსიქოლოგია დაადგინოს ყოფიერების პირობებისაგან გამომდინარე, ფროიდი პირიქით იქცეოდა: თაობათა ფსიქიკური თავისებურებებისაგან გამოჰყავდა მათ ურთიერთობათა მდგომარეობა“[2].

ზ. ფროიდის მსჯელობაში შეიძლება დავინახოთ სწორი დაკვირვებები, მაგრამ წინასწარ უნდა ვიპოვოთ რეალური დამოკიდებულება, რომელმაც მისტიფიკაცია განიცადა. ის, რაც ზ. ფროიდს თაობათა მარადიული ანტაგონიზმი ეგონა, რომელიც აიხსნება ინდივიდის ბიოლოგიური ანალიზის მეშვეობით, სინამდვილეში არის იმ გარემოებათა საკმაოდ ზუსტი ანალიზი, რომლებიც იქმ-

---

[1] Feuer L. The Conflict of Generations Y., 1969. p. 529.

[2] ი. ვ. ერიომინი. ჰაბეკური იზოლაციონიზმი ანტიკომუნიზმის იარაღია. მ., 1973, გვ. 15 (რუს).

ნებიან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, უფრო ზუსტად — ბურჟუაზიულ ოჯახში, და რომლებსაც წარმოშობენ კერძომესაკუთრული ურთიერთობები.

„ადამიანთა საზოგადოების როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში მშობლების პატივისცემა, — წერს ზ. ფროიდი თავის ნაშრომში „სიზმრის ახსნა", — სხვა ინტერესებთან შედარებით მესამე პლანზე გადადის. ბუნდოვანი ცნობები მითოლოგიიდან და ადამიანთა საზოგადოების პირველყოფილი მდგომარეობის შესახებ საკმაოდ სავალალო წარმოდგენას გვიქმნის მამის ძალაუფლებისა და მის მიერ გამოჩენილი სიმკაცრის შესახებ ამ ძალაუფლებით სარგებლობისას. კრონოსი შთანთქავს თავის შვილებს, ხოლო ზევსი ასაჭურისებს მამამისს და მის ადგილს იჭერს. ძველ ოჯახში, რაც უფრო სრულუფლებიანია მამა, მით უფრო მეტი საფუძველი აქვს შვილს, როგორც მის აღიარებულ მემკვიდრეს, რომ მტრულ პოზიციაზე დადგეს, მით უფრო ძლიერი მოუთმენლობა იპყრობს, ძალაუფლებას მიაღწიოს მამის მოკვლის გზით. ჩვენს ბურჟუაზიულ ოჯახშიც კი მამა, რომელიც შვილის თვითგამორკვევას ხელუდავს, თვით უწყობს ხელს მტრობის ჩანასახის განვითარებას, რომელიც მათ ურთიერთობებშია დაფარული. ექიმს ხშირად აქვს იმის შენიშვნის საშუალება, რომ მამის დაკარგვით გამოწვეული სევდა ვერ ფარავს შვილის სიხარულს მიღწეული თავისუფლების გამო" [1].

ამ შემთხვევაში ზ. ფროიდი მართალია: ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მშობლების პატივისცემის გრძნობას გამოდევნის საწინააღმდეგო გრძნობები. ბურჟუაზიული ოჯახის წევრებს შორის, უპირველეს ყოვლისა კი ოჯახის უფროსსა და მემკვიდრეს შორის, ხშირად მყარდება ფარული მტრობა. მაგრამ უფროსი და უმცროსი თაობის ანტაგონისტურ მისწრაფებათა ფესვები, მათი გრძნობათა აგრესიულობა არ უნდა ვეძებოთ ქვეცნობიერ მისწრაფებათა სფეროში, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სიღრმისეულ ფენებში, როგორც ამას ზ. ფროიდი აკეთებდა ან ფსიქოანალიზის თანა-

---

[1] ციტატა ი. ვ. ერიომინის აღნიშნული წიგნიდან, გვ. 14—15.

ჰედროვე მომხრეები აკეთებენ. „არაჯანსაღი ემოციების“ ფესვები იმ რეალურ ეკონომიკურ სტრუქტურებშია, რომელთა საფუძველია კერძო საკუთრება. თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სალმა თვალსაზრისმა ზ. ფროიდს საშუალება მისცა ზუსტად დაეხასიათებინა ინდივიდის მდგომარეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მაგრამ მის მიერ დამუშავებული კონცეფციალური სქემიდან გამომდინარე, მან მოახდინა ამ მდგომარეობის აბსოლუტიზაცია და ის, რაც დამახასიათებელია კერძომესაკუთრულ ურთიერთობებზე დამყარებული და ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოებისათვის, გადაიტანა მთელ კაცობრიობაზე. მან ადამიანის ბიოფიზიკურ საწყისს შეცდომით მიაწერა ის, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კერძო საკუთრებასთან — ადამიანურ ურთიერთობათა დამახინჯება, ადამიანების ერთმანეთისაგან გაუცხოება და ა. შ.

ზ. ფროიდმა ყურადღება არ მიაქცია სოციალურ რეალობას, რომლის მეცნიერულმა ანალიზმა შესაძლებლობა მისცა ვანემარტა ბევრი რამ, რის გამოყვანასაც უშედეგოდ ცდილობდა ცნობიერი და ქვეცნობიერი დამოკიდებულებისაგან, რომელიც ჩამოყალიბდა ისტორიამდელი ადამიანის ფსიქიკაში. მეტად სიმპტომატურია, რომ მისი მოძღვრების გამგრძელებელი თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსები ცდილობენ კლასიკური ფსიქოანალიზის სოციოლოგიზებას. მაგრამ მათი გაუბედავი „სიახლეები“ ფროიდიზმის პრინციპებისა და მეთოდური მითითებების ფარგლებს ვერ შორდება.

სწორედ ამ აზრით (როგორც მამის ძალაუფლების წინააღმდეგ შვილის აჯანყების შედეგი) განიხილავენ ახალგაზრდების მასობრივ ანტისამხედრო და ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებს კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული მეცნიერები: ი. ბლოხი, გ. ბლეინი, ე. შეზელი, ხ. შელსკი და სხვ. ისინი დაჟინებით იცავენ ოავიანთ აკვიატებულ იდეას იმის შესახებ, რომ თაობათა ბრძოლა, რომლის მამოძრავებელი ძალაა ახალგაზრდების „არაჯანსაღი ემოციები“. მისი მისწრაფებების ანტაგონისტური ხასიათი, წარმოადგენს მარადიულ პაექრობას მამებსა და შვილებს შორის, რომელიც მეტ-ნაკლები ძალით მიმდინარეობს.

სოციოლოგების მიერ ჩატარებულმა კონკრეტულმა ემპირიულ-მა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თაობათა კონფრონტაციის იდეა მოკლებულია რეალურ საფუძველს, ცხოვრებისეულ ორიენტაციებს, ამოსავალ პოლიტიკურ ღირებულებებს და ა. შ. ამბოხებულ ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს შორის ეგრეთ წოდებული „თაობათაშორისი უფსკრულია“.

ადამიანთა დიდი ნაწილის დაკითხვა, რომლებიც „ახალ მემარცხენეებს“ მიაკუთვნებენ თავიანთ თავს, შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ლაპარაკი არ შეიძლება ძირითად პოლიტიკურ და ყოფით საკითხებში ახალგაზრდების რაღაც ძირეულ დაშორებაზე მშობლებთან. რადგან უფროსები მემარცხენე-ლიბერალურ ან რადიკალურ თვალსაზრისზე დგანან. ხოლო მამებს შორის ბევრი წარსულში თავად ეწეოდა სოციალურ ან რაღაც სხვა პროგრესულ საქმიანობას და ახლა ახალგაზრდების პროტესტს თანაუგრძნობს. ასეთია ფაქტობრივი მხარე საკითხისა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება „თაობათა კონფლიქტის“ კონცეფციის მომხრეთა თეორიულ კონსტრუქციებს. გარდა ამისა, ამ კონცეფციის ცენტრალური იდეა ვერ ჭრის გადაუწყვეტელ სიძნელეებს, რის გამოც იგი სუსტია. ამ „თეორიას“ არ შეუძლია რამდენადმე დამაკმაყოფილებლად ახსნას ფაქტი, რომლის ასახვაც მისი დანიშნულებაა. საქმე ის არის, რომ „თაობათა კონფლიქტის“ თეორია არ პასუხობს კითხვას, თუ რატომ შეიძინა არნახული გაქანება და ძალა XX საუკუნის 60-იანი წლების ახალგაზრდობის გამოსვლებმა.

ამ „კონცეფციის“ უსუსურობას გრძნობს ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგი. ამიტომ ცდილობენ ისინი სხვა ახსნაც მოძებნონ, რომლებშიც მეტი ყურადღება მიექცევა თანამედროვე ახალგაზრდულ მოძრაობის ისტორიულ ფონს.

ახალგაზრდობისა და სტუდენტური გამოსვლების შესახებ სოციოლოგიურ კონცეფციებს ამუშავებს იელის უნივერსიტეტის პროფესორი კენეტ კენისტონი[1], აგრეთვე ამერიკელი მეცნიერი, დოქტორი რიჩარდ ე. პიტერსონი[2].

---

[1] კ. კ ე ნ ი ს ტ ო ნ ი, ჭაბუკობა, ცელილებები, ძალადობა, „ამერიკა“, № 150; რას ესწრაფვიან სტუდენტები, „ამერიკა“, № 159.

[2] რ. ე. პ ი ტ ე რ ს ო ნ ი, როგორია სტუდენტთა წრე, „ამერიკა“, № 156.

კ. კენისტონი მიიჩნევს, რომ სტუდენტური გამოსვლების ინტენსიურობა სინთეტიკურად უნდა ავხსნათ ფსიქოლოგიური და ისტორიული ფაქტების სიმბიოზით. ამასთან, ამ თვალსაზრისის მიხედვით, კონფლიქტი უნდა გადაიჭრას ცნობიერების სფეროში, ფსიქოლოგიური დაძაბულობის განმუხტვის მეშვეობით. ეს დასკვნა მთლიანად წინასწარ განსაზღვრულია უკმაყოფილებისა და სტუდენტური ოპოზიციის მიზეზების ინტერპრეტაციით. ახალგაზრდების წრეში რადიკალიზაცია და ოპოზიციურ განწყობილებათა ზრდა იქიდან მომდინარეობს, რომ იგი სერიოზულად ეჭცევა ჩამოყალიბებულ სულიერ ღირებულებებს, სწამს იდეალები წინამორბედი თაობებისა, რომლებიც ოცნებობდნენ ადამიანურ სიკეთესა და სოციალურ სამართლიანობაზე, და მათ გადააქცევს თავისი საქმიანობის რეალურ მიზნად.

ავტორის თქმით, ახალგაზრდები „ღრმად ერთგულნი არიან სხვა ძველი ტრადიციებისა და ფუძემდებლური ამერიკული ღირებულებებისა, ისეთისა, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაში, შესაძლებლობათა თანასწორობა, სამართლიანობა“ [1].

ამრიგად, კ. კენისტონი სტუდენტური მოძრაობის პერსპექტივას უკავშირებს „პოსტინდუსტრიული“ რევოლუციის ამოცანებს, რომელსაც, „ძველი რევოლუციისაგან“ განსხვავებით, საქმე აქვს არა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებთან, არამედ, მისი სიტყვებით, დაკავშირებულია „ფსიქოლოგიურ და კულტურულ ძვრებთან“.

კ. კენისტონის შეხედულებით, სტუდენტური პროტესტი, ყოველ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა მოძრაობა, თუ ყველა კაპიტალისტური ქვეყნისა არა, განპირობებულია არა იმდენად თვით სტუდენტობის რეალური პრობლემებით, რამდენადაც მათი ფილანთროპიული აღშფოთებით დაჩაგრული უმცირესობის ტანჯვის გამო [2]. საბოლოო ანგარიშით, კენისტონის სანახევრო აღსარებას ერთი მიზანი აქვს: მოათვინიეროს

---

[1] Keniston K. Young Radicals. Notes on Commited Youth. N. Y., 1968, p. 301.

[2] იქვე, გვ. 301.

შეამბოხენი, აჩვენოს, რომ მათ გამოწვევას არა აქვს ღრმა ფესვები, რათა შესაძლებელი გახადოს კაპიტალისტურ სისტემაში რადიკალური ახალგაზრდების „ინტეგრაცია“. ამის მჭევრმეტყველური მოწმობაა სიტყვები, რომლებითაც იმედს გამოთქვამს, რომ ახალგაზრდები ჩამოშორდებიან რევოლუციურ პოლიტიკურ ბრძოლას და დაუბრუნდებიან „გონივრული“ ლიბერალური რეფორმიზმის წიაღს, რიჩარდ ე. პიტერსონის კონცეფციაში სტუდენტური მოძრაობის სიღრმისეული საფუძვლების გამოვლენის ცდები და მისი განვითარების პერსპექტივები თავიდანვე დასაღუპავად განწირულია მის მიერ სტუდენტობის სოციალური არსებისა და ამერიკული საზოგადოების ცხოვრებაში მისი როლის არასწორი მეთოდიკური განმარტების გამო.

რიჩარდ ე. პიტერსონი, კ. კენისტონის მსგავსად, სტუდენტობას განიხილავს როგორც ზეკლასობრივ მოვლენას, „საერთოდ“ სტუდენტობას კლასობრივ წარმოშობასთან, სოციალურ მდგომარეობასა და სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაუკავშირებლად. რიჩარდ ე. პიტერსონის თვალსაზრისით, მთელი მსოფლიოს სტუდენტების სასწავლო, აკადემიური და სხვა ინტერესების ერთობა ფარავს კონკრეტული სოციალური წრის კლასობრივ გამიჯვნას, საზოგადოების შესაბამისი კლასობრივი სტრუქტურისადმი კუთვნილებას. ამიტომ სტუდენტური მოძრაობის სიღრმე და მოცულობა დამოკიდებულია საზოგადოების მიერ წმინდა აკადემიური ამოცანების გადაწყვეტის ხარისხზე.

ამრიგად, რ. ე. პიტერსონს არ ესმის, რომ ანტაგონისტური საზოგადოების ფარგლებში სტუდენტობის აკადემიური ან სხვა კორპორაციული ერთობის ცალკეული ნიშნები არ შეიძლება წარმოადგენდეს ერთიან სოციალურ ჯგუფად სტუდენტთა კონსოლიდაციის საფუძველს და რომ სტუდენტური მოძრაობის მასშტაბი და სიღრმე განპირობებულია თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივ ურთიერთობათა ერთობლიობით.

იმპერიალიზმის, როგორც ლპობადი კაპიტალისტური საზოგადოებისა და სოციალისტური რევოლუციის წინადღის, პირობებში სტუდენტობისა და უმაღლესი განათლების პრობლემები წარმოადგენს მომავალი რევოლუციის კიდევ ერთ განვითარებად წანამძღვარს. თანამედროვე კაპიტალიზმის სოციალური განვითარების

პროცესი საშუალებას იძლევა გაღრმავდეს კლასობრივი ბრძოლა ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემის გარშემო, როგორიც არის უმაღლესი სკოლა, სტუდენტური ცხოვრება და რომელსაც აქტიურად ითვისებს მუშათა კლასი და მისი ავანგარდი — კომუნისტური პარტიები.

ავტორი სხვა თეორიისა, რომელიც ცდილობს აგვიხსნას თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში ახალგაზრდული მოძრაობის აღმავლობის მიზეზები, არის ცნობილი ბურჟუაზიული სოციოლოგი და ანტიკომუნისტი ზბიგნევ ბჟეზინსკი.

ზ. ბჟეზინსკი ახალგაზრდული ამბოხების მიზეზებს ხედავს საზოგადოების განვითარებისაგან ახალგაზრდების ჩამორჩენილობისა და მისი იდეალების ისტორიულ შეუსაბამობაში და არა კაპიტალისტური წყობილების უარყოფაში; ამასთან იგი ემყარება ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში მიღებულ „ინდუსტრიული საზოგადოების“ კონცეფციებს, რომელშიც ხელისუფლება ეკუთვნით ტექნობიუროკრატებს. ზ. ბჟეზინსკის აზრით, „ისტორიული შეუთავსებლობა“ და ახალგაზრდობისა და მისი იდეალების ჩამორჩენილობა მიმდინარეობს ახალგაზრდების განხიბლვის გზით, რომლებსაც სწამთ ჰუმანიზმისა და რომანტიზმის ტიპის „ძველმოდური სულიერი ღირებულებანი“ და აქვთ წინათგრძნობა, რომ მათთვის ადგილი არ აღმოჩნდება „პოსტინდუსტრიულ“ საზოგადოებაში. ი. ზ. ბჟეზინსკი დაასკვნის, რომ თანამედროვე ახალგაზრდული მოძრაობა მოგვაგონებს ლუდიტების ამბოხს, რომლებიც მანქანებს ამსხვრევდნენ, რათა შეეჩერებინათ მრეწველობის განვითარება, ესე იგი რეაქციულია. ამრიგად, ზ. ბჟეზინსკის „ისტორიული შეუსაბამობის“ თეორიამაც ვერ შეძლო რამდენადმე დამაკმაყოფილებლად აეხსნა ახალგაზრდული მოძრაობის აღმავლობის მიზეზები. „ოიდიპოსის კომპლექსის“ „ტექნიკური საფუძვლის“ ლუდიტური კომპლექსით შეცვლის გზით ზ. ბჟეზინსკიმ თავი ვერ დააღწია ვიწრო სუბიექტივიზმის ფარგლებს და დამარცხდა თაობათა ურთიერთობის მოდელების კონსტრუირებასა და იმ მიზეზების განმარტებასთან დაკავშირებით, რომლებიც განაპირობებენ ახალგაზრდული მოძრაობის აღმავლობას თანამედროვე ამერიკის ანტაგონისტურ საზოგადოებაში.

ამრიგად, იმპერიალიზმის თეორეტიკოსები ამახინჯებენ ახალგაზრდების მიერ საზოგადოებაში თავიანთი როლისა და ადგილის გაგებას, თვით სოციალური პროცესების არსებას, ამაოდ ცდილობენ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის ობიექტური კანონზომიერება შეცვალონ „თაობათა კონფლიქტით“ [1].

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ადამიანები პოლიტიკაში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მოტყუებისა და თვითმოტყუების უგნური მსხვერპლნი, ვიდრე ისინი არ შეიგნებენ იმას, რომ ყოველგვარ ზნეობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ ფრაზებსა, განცდებსა და დაპირებებში ამა თუ იმ კლასის ინტერესები უნდა ეძიონ“ [2].

ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია ზოგადკაცობრიული ნიშნები. ვ. ი. ივანოვი მათ შემდეგნაირად ჩამოაყალიბებს: „ახალგაზრდობა დიალექტიკურად ითვისებს ძლიერ და სუსტ ნიშნებს სოციალურ მიმართებაში. ერთი მხრივ, მისთვის დამახასიათებელია რომანტიზმი, მომავლისაკენ სწრაფვა, გაბედულება. თავგანწირვა. შემოქმედებითი აქტიობა. მეორე მხრივ — ორგანიზაციული სისუსტის, პოლიტიკური გულუბრყვილობის, მოუთმენლობის ელემენტები... გლობალური მოთხოვნილებანი, მაქსიმალისტური განწყობილებანი ბრძოლის მექანიზმების ზედმიწევნით არცოდნისას ხანდახან ანარქიზმის, ჯგუფური და პირადი უპასუხისმგებლობის ელემენტებით იფერება“ [3].

ახალგაზრდობის ეს თვისებები ნებისმიერი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში ვლინდება და კლასობრივი კუთვნილებით განისაზღვრება.

მარქსისტებისათვის ნათელია ახალგაზრდობის, როგორც საზო-

---

[1] იხ. დაწერილებით: ს. ნ. იკონიკოვა, ახალგაზრდობა, სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი, ლ., 1974; გ. ვ. მაქაცარია, ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის შესახებ და თანამედროვე ახალგაზრდული მოძრაობის ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკა, თბ., 1976 (რუს).

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 9.

[3] ვ. ი. ივანოვი. ახალგაზრდობა სოციალისტურ საზოგადოებაში როგორც მეცნიერული მართვის ობიექტი და სუბიექტი. კრებ.: სოციალური მართვა და ახალგაზრდობა. მ., 1969, გვ. 20 (რუს.).

გადოებრივი ჯგუფის, შეფარდებითი დამოუკიდებლობა, მისი სპეციფიკური ადგილი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, მაგრამ ახალგაზრდობის მეცნიერული დახასიათება, თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი როლისა და მზარდი სოციალური აქტიურობის ფაქტორების გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასაკობრივი ნიშნების მთელი კომპლექსი და თავისებურებები შეეფარდება ახალგაზრდა თაობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ყოფის ობიექტურ პირობებს. ეს კი ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ახალგაზრდობის ადგილის და როლის ანალიზისადმი განმსაზღვრელი მიდგომა ჩვენთვის შეიძლება იყოს მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური კლასობრივი მიდგომა. იგი, უპირველეს ყოვლისა, გვავალდებულებს დავინახოთ, რომ დღეს სოციალისტურ საზოგადოებაშიც კი არ არის ახალგაზრდულ წრეში სრული სოციალური ერთგვაროვნება. იგი შედგება მეგობრული კლასებისაგან — მუშებისა და გლეხებისაგან, აგრეთვე მშრომელი ინტელიგენციისაგან [1].

ახალგაზრდობა არის სპეციფიკური სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, რომელსაც აქვს საერთო სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნები, თვისებები და ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებიც განპირობებული არიან სოციალურ ურთიერთობათა ხასიათით.

კომუნისტური პარტია ახალგაზრდობას განიხილავს როგორც შემოქმედებით ძალას და ქვეყნის შემდგომი განვითარების წარმატებებს დიდად უკავშირებს ახალგაზრდა თაობის ინიციატივას, მიზანსწრაფვას, შრომით აქტიობას.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თუ ადამიანს არ ძალუძს პასუხი აგოს თავის საქციელზე, დავალებულ საქმეზე, მაშინ ფორმულა—„დედამიწაზე პასუხს ვაგებ ყველაფერზე“ — მისთვის არ არის განკუთვნილი. იური გერმანმა, რომელმაც თავის ტრილოგიას უწოდა „პასუხს ვაგებ ყველაფერზე“, შესანიშნავად გვიჩვენა, თუ მისმა მთავარმა გმირმა — ექიმმა ვლადიმერ უსტიმენკომ როგორ გამოიმუშავა მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებ-

---

[1] ჯ. ზარეფდინოვი. მარქსისტულ-ლენინური კლასობრივი მიდგომა ახალგაზრდობის თანამედროვე პრობლემებისადმი. წიგნ: „ახალგაზრდობის სოციალური აქტიურობა და კომუნისტები“, პრაღა, 1975, გვ. 9—10.

ლობის გრძნობა, მორალური და სოციალური სიმწიფე. პასუხისმგებლობის შეგნება ითვალისწინებს პიროვნების მიერ თავის მოვალეობათა ნებაყოფლობით შესრულებას.

როგორც ცნობილია, ჭაბუკობის ასაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ათვისების უნარი. მაგრამ არასაკმარისმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, მიღებული ინფორმაციის კარგად შეფასების არცოდნამ, მისმა ემოციურმა ზემოქმედებამ, ყველაფრის გაზვიადებამ, ნაკლოვანებების მეტისმეტად ხაზგასმამ შეიძლება გამოიწვიოს ნიჰილიზმი, დაუფიქრებელი კრიტიციზმი, ეგრეთ წოდებული „ფუჭი უარყოფა". ახალგაზრდობის ასაკისათვის დამახასიათებელია სიცხადე, სინამდვილის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ნაკლოვანებების საღი კრიტიკა ზოგიერთ ახალგაზრდას ყოველივე მიღწეულის უარყოფაში გადაეზრდება.

ცხოვრებაში, ჩრდილოვან მხარეებთან შეხვედრისას ზოგიერთი ახალგაზრდა ძალებს ვერ პოულობს, რათა ვაჟკაცურად, დაჟინებით და მოთმინებით იბრძოლოს თავისი იდეალების განხორციელებისათვის. იმის ნაცვლად, რომ შეეცადოს და ნათლად წარმოიდგინოს რეალურად არსებული და მოჩვენებითი გათიშულობა მისწრაფებებისა და ყოველდღიური ცხოვრების სირთულისა, ხშირად ეგ გულგრილი სკეპტიკოსის პოზიციას იკავებს და პესიმიზმში ვარდება.

ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ სკეპტიციზმს როგორც მსოფლმხედველობას, მაგრამ მივესალმებით ეჭვს როგორც ჭეშმარიტების შემეცნების დიალექტიკურ მიდგომას. ვ. ი. ლენინი წერდა: „არა შიშველი უარყოფა, არა ფუჭი უარყოფა, არა **სკეპტიკური** უარყოფა, მერყეობა, ეჭვი არის დამახასიათებელი და არსებითი დიალექტიკაში, — რომელიც, უეჭველია, შეიცავს უარყოფის ელემენტს და თანაც როგორც თავის უმნიშვნელოვანეს ელემენტს — არამედ უარყოფა როგორც მომენტი კავშირისა, როგორც მომენტი განვითარებისა, დადებითის შენახვით, ე. ი. ყოველგვარი მერყეობის გარეშე, ყოველგვარი ეკლექტიკის გარეშე"[1].

ახალგაზრდობასთან უნდა ვილაპარაკოთ გულახდილად, პატი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 225—226.

ოსნად. არგუმენტირებულად თანამედროვეობის ყველა აქტუალური პრობლემის ირგვლივ. გაუმართლებელია ასეთი ლაპარაკისათვის თავის არიდება. საზოგადოების სრულფასოვანი და სასარგებლო წევრი ვერ იქნება ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი შეხედულებები და, პირიქით, თუ ახალგაზრდას აქვს ღრმა იდეური რწმენა, თუ შეუძლია თავისი რწმენის დაცვა. მას გზას ვერავინ ვერ ააცდენს. მას შეეძლება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღოს რთულ სიტუაციაში. ამიტომაც ცდებიან ის პედაგოგები, რომლებიც თანამედროვეობის მწვავე პრობლემის ირგვლივ სერიოზული კამათის, დისკუსიის ნაცვლად ახალგაზრდებს სთავაზობენ უპრობლემო მსჯელობას, მედავითნეობასა და ციტატობანას.

საბჭოთა ახალგაზრდობის თანამედროვე თაობის ნიშანია განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური აზროვნება, რაც შეუძლებელია საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის სისტემატური შესწავლის გარეშე. სოციალურ-ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას დიდად უწყობს ხელს საერთო განათლება, ინფორმაციის ფლობა, საზოგადოებრივი აქტიურობა.

ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებაა მაქსიმალიზმი. იგი ვლინდება საკუთარი თავისა და სხვა პიროვნებისადმი გაზრდილი მომთხოვნელობით, უსამართლობის შეუწყნარებლობით. შეფასებისა და მსჯელობის კატეგორიულობით. რეალურ სიძნელეებთან შეჯახებისას მაქსიმალიზმს სხვადასხვა შედეგი მოსდევს. თუ მომთხოვნელობა და უკომპრომისობა ჩამოყალიბებულ იდეურ რწმენასა და გამოცდილებას ემყარება, ჩნდება არა მარტო სასარგებლო კრიტიციზმი, არამედ, რაც მთავარია, აქტიური მოქმედების სურვილი, მაღალი სოციალური აქტიობა. ხოლო თუ იდეური რწმენა ჩამოუყალიბებელია ან საკმაოდ მტკიცე არ არის, თუ ცხოვრების გამოცდილება არ არსებობს, შეიძლება გაჩნდეს აბსტრაქტული, ცარიელი კრიტიკანობა, ყველაფრის უარყოფის სურვილი. ამ შემთხვევაში, ისე როგორც არასდროს, საჭიროა ალმზრდელის დახმარება.

მოზარდ თაობას ხშირად საზოგადოების აქტიურ და მოწინავე ნაწილს უწოდებენ, მაგრამ ქალიშვილებისა და ჭაბუკების სახე,

უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმ კონკრეტულ სოციალურ პირობებზე, რომლებშიც მიმდინარეობს მათი აღზრდა.

ახალგაზრდობის ნიშან-თვისებაა მეტად მაღალი დინამიზმი, უამრავი ცვლილება მათ ცხოვრებასა და ცხოვრების წესში. გუშინდელი მოსწავლე ახალგაზრდა მუშად, სტუდენტად იქცევა, ქორწინდება, მას საპასუხისმგებლო ფუნქციები ეკისრება საზოგადოებაში.

საქმიანობის აღნიშნულ სფეროებში ჩართვა არსებითად ცვლის ახალგაზრდა კაცის შეგნებას. ერთსა და იმავე ასაკში ზოგიერთი გამოირჩევა მკაფიო ცხოვრებისეული პოზიციით და დამოუკიდებლობით, ზოგიერთი კი — პასიურობითა და უპრინციპობით, მომხმარებლური განწყობილებითა და ინტერესების შეზღუდულობით. ცხადია, აქ საქმე მხოლოდ ასაკში ან ხასიათის თავისებურებებში როდია. მთავარია წინააღმდეგობა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტასთან, მთავარია იდეურ-ზნეობრივი სიმწიფის დონე. თუ ახალგაზრდა მხოლოდ პირადი საზრუნავისა და პრობლემების ეგოცენტრ სამყაროშია ჩაკეტილი, მაშინ ის ადვილად გადაიქცევა ეგოისტ მომხმარებლად, რომლის ქცევასაც გულგრილობის ობივატელური ფორმულა განსაზღვრავს. ამიტომაც აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ახალგაზრდობის აღზრდაში საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი ფორმების სრულად გამოყენებას, სოციალურ პრაქტიკაში ახალგაზრდობის უფრო აქტიურად ჩაბმას.

ი. ს. კონმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ცხოვრების საზრისის საკითხის დასმა ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის სიმპტომია. როდესაც ადამიანი გატაცებულია რაიმე საქმით, ის, ჩვეულებრივ, არ ეკითხება თავისთავს თუ რა არის ამ საქმის საზრისი. რეფლექსია, ღირებულებათა კრიტიკული გადაფასება ფსიქოლოგიურად. როგორც წესი, დაკავშირებულია რაღაც პაუზასთან, „ვაკუუმთან“ საქმიანობაში ან სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში. სწორედ იმიტომ, რომ ეს, არსებითად, პრაქტიკული პრობლემაა, მასზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მოქმედებით, რომელსაც აქვს საზრისი პიროვნებისა და სა-

ზოგადოებისათვის[1], სხვაგვარად შეიძლება დავეცეთ იქამდე, რომ ქება შევასხათ ცხოველს, რომელსაც არ აფიქრებს თავისი მოქმედება.

ცხოვრების სისავსე რომ განვიცადოთ, არა მარტო უნდა შეგვეძლოს დღევანდელ შრომაში დავინახოთ „ხვალინდელი სიხარული" (ა. ა. მაკარენკო), არამედ შევიგნოთ კიდეც თვით საქმიანობის თითოეული მომენტის ღირებულება, სიძნელეთა დაძლევით, ახალი ცოდნით აღფრთოვანება და ა. შ. არ შეიძლება ადამიანს უმტკიცო, რომ გზას დაძლევს და ამავე დროს არ გაუშვა ამ გზით. ეს ბადებს სხვათა შემყურეობასა და პიროვნების შინაგან რღვევას[2].

ახალი ადამიანის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ აქტიური აღზრდით, ვინაიდან ადამიანი სრულებითაც არ იბადება „სუფთა დაფად", როგორც ამას თავის დროზე ჯონ ლოკი მიიჩნევდა. ა. გ. ხარჩევმა სწორად შენიშნა, რომ ადამიანი „უფრო შეიძლება შევადაროთ გაუმჟღავნებელ ფოტოსურათს: ძირითადი და საქმიანი თვისებები გარკვეული ზომით მოცემულია ჩანასახის ფორმით, აღზრდამ კი ჰარმონიულად უნდა განავითაროს, გაამდიდროს, გააძლიეროს ისინი, უზრუნველყოს პიროვნების მაქსიმალური სოციალური უკუგება"[3].

ამ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რადგან ზოგიერთი სოციობიოლოგი აღიარებს ბიოლოგიურის პრიმატს და ცდილობს გააუქმოს მარქსისტული მოძღვრება ადამიანის ერთიანი სოციალური არსების შესახებ. ისინი აყენებენ თეზისს, თითქოს ადამიანის მთელ სოციალურ ქცევას გენეტიკური პროგრამა წარმართავდეს.

ცხადია, რომ ყოველ თაობაში კულტურა და მორალი ყალიბდება სწავლებისა და აღზრდის გზით, ე. ი. ისტორიული ხასიათი აქვს სოციალური პროგრამით ადამიანის არსობრივი ძალების განპირობებულობას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი

---

[1] ი. ს. კ ო ნ ი, „მეს" აღმოჩენა, მ., 1980 (რუს.).

[2] იქვე, გვ. 337.

[3] „ფილოსოფსკიე ნაუკი". 1971, № 1, გვ. 4.

გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორი გ. ნ. დუბინინი მიუთითებს, რომ ადამიანის არსებას სოციალური გარემო აყალიბებს[1].

ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური თვისებები. ფიზიკურისაგან განსხვავებით, გენებით არ გადაიცემა. ამიტომაც მათი ფორმირების პირობები საზოგადოების, პედაგოგიკის. აღზრდის ხელთაა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის ხელოვნურად ჩამოყალიბება სიბრმავისა და სიყრუის პირობებში. ამ მოვლენას საფუძვლად დაედო ი. ა. სოკოლინსკისა და ა. ი. მეშჩერიაკოვის პედაგოგიური სისტემა, რომელსაც 1980 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. სწავლულმა პედაგოგებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ სოციალიზმის პირობებში „ადამიანს ყველაფერი შეუძლია“.

აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის დროს უნდა გავითვალისწინოთ ობიექტური პირობები და სუბიექტური ფაქტორი, ე. ი. არსებული აღზრდის სისტემა. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „მასების შეგნების განვითარება, როგორც ყოველთვის, მთელი ჩვენი მუშაობის ბაზად და მთავარ შინაარსად რჩება“[2].

მეტად ფართო და მრავალმხრივია ადრეული სიჭაბუკის სოციალური როლი. 15—17 წლის ახალგაზრდა არის: უფროსკლასელი, სკოლადამთავრებული, უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელი კურსების მსმენელი, აბიტურიენტი, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, ტექნიკუმის ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, ახალგაზრდა მუშა. სიჭაბუკე პიროვნების ყველაზე ინტენსიური მომწიფების პერიოდია. ამ დროს იწყება გადასვლა ბავშვობიდან მოზრდილი ადამიანის შეგნებულ და პასუხისმგებელ პოზიციაზე.

ასაკი არ არის ცხოვრების წლების უბრალო ნეიტრალური „მრიცხველი“. იგი განვითარების პერსპექტივას შეიცავს. შემთხვევით როდი ლაპარაკობდა ა. ს. მაკარენკო ახლო და შორეულ პერსპექტივაზე. უამისოდ არ არსებობს პიროვნება. ამიტომაც არის, რომ ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ახალგაზრდობის პროფესიული და სოციალური სტარტის ხელოვნურად შეყოვნებას.

---

[1] გ. ნ. დ უ ბ ი ნ ი ნ ი, ბიოლოგიური და სოციალური მემკვიდრეობა, „კომუნისტი“, 1980, № 11, გვ. 63 (რუს.).

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 197—198.

ნეკრასოვის „ცეროდენა გლეხი“, რომელსაც სულ ექვსი წელი შეუსრულდა, უკვე ოჯახის დამხმარე, მარჯვე მუშაკი, „სოლიდური კაცია“. აქედან მოდის მისი თვითდაჯერებულობა. თავის ასაკში ის უკვე მოზრდილია, „ინფანტილურობისათვის“ არ სცალია.

ხოგჯერ ბიიჩნევენ, რომ სოციალურ ინფანტილიზმს უპირისპირდება ახალგაზრდობის ერთი ნაწილის უზომო პრაქტიციზმი. ეგრეთ წოდებული „XX საუკუნის რაციონალიზმი“. ეს არ არის სწორი. უფრო ინფანტილიზმი გახდა მეტისმეტად „პრაქტიკული“. ნამდვილი სოციალისტური კულტურა კი თავის თავში აერთიანებს საქმიან თვისებებსა და უმაღლეს ზნეობას, რამეთუ, როგორც ა. ს. მაკარენკო ამბობდა, სოციალიზმის პირობებში ყველაზე ჭკვიანური საქციელი ზნეობრივი საქციელია.

ინფანტილიზმი და სხვათა შემყურეობა, რაც ახალგაზრდებში გვხვდება, არაპირდაპირი შედეგია (შედლის უკანა მხარეა) ბავშვობის მდგომარეობაში იმ უდიდესი გადატრიალებისა, რომელიც სოციალიზმმა მოახდინა[1]. ბავშვობასა და სიჭაბუკეში ეყრება საფუძველი პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ამ დროს კი ზოგიერთი მშობელი დაახლოებით ასე მსჯელობს: „ჩვენ თვითონ ცოტა სიძნელე როდი შეგვხვდა ცხოვრებაში, ამიტომ შვილებს მაინც შევუქმნათ იოლი ცხოვრება“. უქმნიან კიდეც, იცავენ სიძნელეებისაგან.

სოციალური სიმწიფის მიღწევა არის სოციალურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის თანდათანობით ჩაბმის მრავალგანზომილებიანი პროცესი: განათლების დასრულება, სტაბილური პროფესიის შეძენა, შრომითი აქტიობა, ორგანიზატორული და სახელმძღვანელო ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა, სამხედრო ვალდებულების მოხდა, პოლიტიკური უფლებების მიღება. პასუხისმგებლობა კანონის წინაშე ანტისაზოგადოებრივი ქმედებისათვის, ქორწინებისა და შვილების აღზრდის შესაძლებლობა.

ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგი, ბ. გ. ანანიევი შენიშნავს, რომ მომწიფება ადამიანის, როგორც ინდივიდის (ფიზიკური სიმწიფე),

---

[1] ვ. ს. მ ა რ კ ო ვ ი, ახალგაზრდა თაობის სოციალიზაციის პრობლემები, კრებ. „ახალგაზრდობის ფორმირებისა და აღზრდის პრობლემები“, მ. 1978, გვ. 38 (რუს.).

პიროვნების (მოქალაქეობრივი სიმწიფე). შემეცნების სუბიექტის (გონებრივი სიმწიფე) და შრომის სუბიექტისა (შრომის უნარიანობა) დროში ერთმანეთს არ ემთხვევა[1].

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ პიროვნების განვითარების თვალსაზრისით 18—20 წლის ასაკს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს არის პერიოდი ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობების ყველაზე აქტიური განვითარებისა, ხასიათის ჩამოყალიბების და სტაბილიზაციისა და, რაც მთავარია, მოზრდილი ადამიანის სოციალური როლების მთელი კომპლექსის ათვისებისა, მოქალაქეობრივი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პროფესიულ-შრომითი როლების ჩათვლით.

სრული პასუხისმგებლობის შეგნების აღზრდა თითოეულ ადამიანში კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი მომენტია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა რაღაც აბსტრაქტული პასუხისმგებლობა საერთოდ, არამედ პიროვნების პოზიცია, სოციალური აქტიობა, თვითდისციპლინა, თვითორგანიზების უნარი, ვინაიდან ქმედითი საწყისი ყალიბდება საკუთარი აქტიობის განვითარებით. ამიტომაც ნიადაგ უნდა ვაწარმოებდეთ ქცევისათვის, მისი გონივრულობისათვის, ადამიანის ცხოვრების პრინციპებისათვის პასუხისმგებლობის აღზრდას, რაც უფრო აქტიურად ასრულებს ადამიანი თავის ფუნქციებს, რაც უფრო ღრმად აქვს შეგნებული თავისი ძირითადი როლების სოციალური მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია მისი პიროვნული თვისებების განვითარების დონე, მისი სიმწიფის ხარისხი.

ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და იურისდიქციის თვალსაზრისით ადამიანი მოზრდილად ითვლება:

— თუ მას, გინდაც ახალგაზრდასა და გამოუცდელს, მოზრდილად მიიჩნევს საზოგადოება და თუ მას ძალუძს შეასრულოს ის მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ საზოგადოების სრულფასოვან წევრს;

— თუ მან გაიარა ბიოლოგიური, მათ შორის სქესობრივი, მომწიფების პროცესი და შეჩერდა მისი სხეულის ზრდა;

---

[1] ბ. გ. ანანიევი, ადამიანი როგორც შემეცნების საგანი, ლ., 1968, გვ. 109 (რუს.).

— თუ მას შეუძლია გაიგოს მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ მის შეგნებულ მოღვაწეობას, თუ შეუძლია გაერკვეს საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და თავის თავში[1].

განვითარების ამ დონეს ადამიანი აღწევს უკვე 18—19 წლის ასაკში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის ჩამოყალიბება მთლიანად დასრულდა — ის მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება.

ი. ს. კონი წერს: „ზნეობრივად მომწიფებულმა ადამიანმა იცის, რომ ცხოვრებაში არ არსებობს შავად ნაწერი, რომლის გადათეთრებაც შესაძლებელი იქნება, მან იცის, რომ ყოველი მისი საქციელი საბოლოოა. ყოველ დღე და ყოველ საათს ისე, რომ ვერც კი ამჩნევს, ადამიანი დგას არჩევანის წინაშე, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან შეიძლება წაშალოს მისი წარსული ცხოვრება“[2].

ვფიქრობთ, სოციალური სიმწიფე გამოხატავს პიროვნების ისეთ მდგომარეობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, როდესაც იგი გვევლინება, როგორც უფლება-მოვალეობათა სრულუფლებიანი სუბიექტი. მაშასადამე, სიმწიფე არის აგრეთვე პასუხისმგებლობის დონე, რომელსაც სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად ადამიანი თვითონ დაადგენს საკუთარი თავისათვის.

---

[1] ი. ბ. ბატკინა, სტუდენტთა გონებრივი შრომის ჰიგიენა, იხ. კრებული. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, ვორონეჟი, 1974, გვ. 26 (რუს.).

[2] ი. ს. კონი, „მეს“ აღმოჩენა, გვ. 364 (რუს).

სტუდენტობა, როგორც განსაკუთრებული ჯგუფი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, როგორც უმაღლეს სკოლაში კომუნისტური აღზრდის ობიექტი და სუბიექტი

სტუდენტობა, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების განსაკუთრებული ჯგუფი, როგორც სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური გამოკვლევები და სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, სპეციფიკურ თავისებურებათა საკმაოდ რთული სისტემით ხასიათდება. ჩვენს ლიტერატურაში დღესდღეობით არ არის შემუშავებული ამ ჯგუფის სტატუსი. სხვადასხვა ავტორი მას უწოდებს „სოციალურ-პროფესიულს", „სოციალურ-დემოგრაფიულს", „თვითმყოფ სოციალურ ჯგუფს", ზოგჯერ მას განსაზღვრავენ როგორც „ინტელიგენციის ფენას", „სოციალურ ფენას" [1].

ყოველივე ეს, რასაკვირველია, დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ სოციალურ ჯგუფში განვითარების დონით განსხვავებული სტუდენტები ცხოვრების პროცესში სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა სოციალურ თვისებას ავლენენ.

სტუდენტობა უნდა დავახასიათოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ადგილი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. სტუდენტობის შემადგენლობის ფორმირებაზე უდიდეს გავლენას ახდენს სოციალისტური საზოგადოების ამჟამად არსებული სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა. რიგელიც მოიცავს მეგობრულ კლასებსა (მუშებსა და გლეხებს) და ფენებს (ინტელიგენცია და მოსამსა-

---

[1] იხ.: აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებელში, მ., 1976, გვ. 44—48, 49 (რუს.); ლ. რუბინა, საბჭოთა სტუდენტობა. სოციოლოგიური ნარკვევი. მ., 1981, გვ. 21—22 (რუს.), გ. მაკაცარია, ვ. ლისოვსკი, თანამედროვე სტუდენტი, თბ., 1980, გვ. 96—105 (რუს.).

ხურეები), აგრეთვე სხვა სოციალურ ჯგუფებს (მოსწავლეები, საავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები, პენსიონერები).

მარქსისტებისათვის ცხადია, რომ ახალგაზრდობას, მათ შორის სტუდენტობას, როგორც საზოგადოებრივ ჯგუფს, შედარებითი დამოუკიდებლობა ახასიათებს და სპეციფიკური ადგილი უჭირავს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში[1]. ამასთან, ახალგაზრდობის, თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი როლის, მისი გაძლიერებული სოციალური აქტიურობის ფაქტორთა მეცნიერული ახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მთელი კომპლექსი ასაკობრივ თავისებურებებთან დაკავშირებული ნიშნებისა განიხილება მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ყოფიერების ობიექტურ პირობებთან ურთიერთკავშირში. ეს კი ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ახალგაზრდობის ადგილისა და როლის ანალიზი უნდა დაემყაროს მხოლოდ და მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ კლასობრივ მიდგომას, რომელიც ცხადყოფს, რომ ახალგაზრდობის, მათ შორის სტუდენტობის ჯგუფი სოციალურად ერთგვაროვანი არ არის: მასში შედიან მეგობრული კლასების — მუშებისა და გლეხების, აგრეთვე, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებსაც კლასობრივი შეგნების სხვადასხვა დონე ახასიათებთ[2].

2. ადგილი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, მონაწილეობა მატერიალურ და სულიერი წარმოების სფეროში. სხვადასხვა სოციალური ჯგუფის არსებას განსაზღვრავს აგრეთვე მისი როლი და ადგილი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში. სტუდენტობის, როგორც სოციალური ჯგუფის თავისებურება იმაშია, რომ მისი ძირითადი ამოცანაა არა უშუალო მონაწილეობა საზოგადოებრივ წარმოებაში. არამედ მომზადება მატერიალური და სულიერი წარმოების სფეროში მაღალკვალიფიციური შრომისათვის. საბჭოთა საზოგადოების ისეთი სოციალური ჯგუფებისაგან, როგო-

---

[1] იხ. გ. მაქაცარია, ვ. ი. ლენინი რევოლუციურ ბრძოლაში ახალგაზრდობის როლისა და ადგილის შესახებ, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1970, № 10.

[2] იხ. კ. ი. ზაროტოვი, მარქსისტულ-ლენინური მიდგომა ახალგაზრდობის თანამედროვე პრობლემებისადმი. ახალგაზრდობის სოციალური აქტიურობა და კომუნისტები, პრაღა, 1975, გვ. 9—10, რუს.

რიც არიან მუშათა კლასი. კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია, სტუდენტობა განსხვავდება იმით, რომ სტუდენტური ყოფა დროებითია და გრძელდება, როგორც წესი, 5—7 წელიწადს. ამავე დროს სასწავლო შრომა, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან დაკავშირებული, ფართოდ შეიცავს სულიერი წარმოების ელემენტებს. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის განვითარების ტენდენცია გულისხმობს სტუდენტის მიერ ცოდნის უპირატესად დამოუკიდებლად ათვისებასა და გადამუშავებას. ამჟამად სულიერი წარმოების სფეროში სტუდენტის მონაწილეობის ხარისხი მაღლდება სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სავალდებულო ჩართვით სასწავლო პროცესის სტრუქტურაში, რეალურ, გამოყენებით ამოცანათა გადაწყვეტაში მათი წილის ზრდით. გარდა ამისა, სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ მონაწილეობს მწარმოებლურ შრომაში. ამ მონაწილეობის ჭეშმარიტად მასობრივი ფორმაა სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მუშაობა. ბევრი სტუდენტი მუშაობს უმაღლესი სასწავლებლების კათედრებსა და ლაბორატორიებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამეურნეო ანგარიშიან საწყისებზე. შემოქმედებით სამეცნიერო მუშაობაში ამ ფორმით 1,5 მილიონზე მეტი სტუდენტია ჩაბმული[1]. სტუდენტთა გარკვეული ნაწილი მუშაობს, დროებით თუ მუდმივად, არასრულ სამუშაო დღეს დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით. სტუდენტები, აგრეთვე, სწავლისაგან თავისუფალ დროს მონაწილეობენ სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა შექმნაში შემოქმედებით და სამოყვარულო გაერთიანებებში, მუშაობენ მწვრთნელებად სპორტულ საზოგადოებებში, პროპაგანდისტებად, აღმზრდელებად საბავშვო დაწესებულებებში. და ა. შ. რასაკვირველია, სხვადასხვაგვარია სტუდენტთა წილი მატერიალური და სულიერი წარმოების სფეროში, რეალურ მწარმოებლურ შრომაში, მაგრამ ამ სოციალური ჯგუფის მონაწილეო-

---

[1] იხ. გ. მაჭაცარია, სტუდენტთა კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის გამოცდილებიდან სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე, თბ., 1980, გვ. 18 (რუს).

ბის ხარისხის განუწყვეტელი ზრდის ტენდენცია მასში ცხადად ჩანს, რასაც ფასდაუდებელი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

3. **სოციალური გამოცდილების დონე.** სოციალური, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური გამოცდილების თვალსაზრისით სტუდენტობას დიდი სირთულე ახასიათებს. ეს სირთულე იმით არის განსაზღვრული, რომ, ჯერ ერთი, სტუდენტები სოციალური წარმოშობით სხვადასხვა კლასსა და ფენას მიეკუთვნებიან. მეორეც, გარკვეული სოციალური გამოცდილების მქონე სტუდენტების ნაწილს შესაბამის კოლექტივებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებთან შრომისა და ურთიერთობის შედეგად უკვე შეძენილი აქვს ერთგვარი სოციალურ-კლასობრივი თვისებები. უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებაზე ახალგაზრდების ნაწილი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, სწავლას უთავსებს მუშაობას შრომით კოლექტივებში. ოჯახში ან დაქირავებულ ბინაში მცხოვრები სტუდენტები განუწყვეტლივ განიცდიან მშობლების ან სახლის პატრონების ზეგავლენას, რისი საშიშროებაც თითქმის არ ემუქრება საერთო საცხოვრებელში მყოფ სტუდენტებს. გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ზოგჯერ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩარიცხულთა შემადგენლობაში არსებითი განსხვავება არსებობს სოციალური წარმოშობის მიხედვით. სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები სხვადასხვანაირ ურთიერთობას ამყარებენ ამა თუ იმ შრომით კოლექტივთან. განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ განსხვავება ჰუმანიტარული და ტექნიკური სპეციალობის სტუდენტებს შორის. თვით ფაქტი ურთიერთობისა მუშათა კლასის, გლეხობის, სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფის წარმომადგენლებთან, მით უფრო, ერთიან შრომით პროცესში, არსებით ზეგავლენას ახდენს სტუდენტთა კლასობრივი, პოლიტიკური შეგნების ჩამოყალიბებაზე. ცნობილია თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნების, პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში სხვადასხვა კლასის თავისებურებებისა და მდგომარეობის ცოდნას.

4. **ასაკი როგორც სოციალური ფაქტორი.** „სტუდენტობის“ სოციალური ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ვარკვეული ასაკობრივი ერთგვაროვნება. ამასთან, ისევე როგორც ფსიქოფიზიოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, ასაკი

ამავე დროს სოციალური ფაქტორიც არის, ვინაიდან უმაღლეს სასწავლებელზე მოდის ძირითადად ჭაბუკობის მეორე პერიოდი, ახალგაზრდის ჩამოყალიბება სოციალურად მომწიფებულ პიროვნებად. ბ. გ. ანანიევი წერს: „სტუდენტის ასაკი... არის ისტორიული მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარებასთან მრავალ ქვეყანაში. ცხოვრების ამ პერიოდში პიროვნების ჩამოყალიბების საერთო პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოღვაწეობის, სოციალური ფუნქციებისა და როლების ათვისების სტარტის მომენტს, როგორც განათლების დამამთავრებელ ეტაპსა და სპეციალიზაციის (პროფესიონალიზაციის) ძირითად სტადიას“ [1]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური მონაცემებით სტუდენტთა მასაში ფაქტიურად ორი ასაკობრივი ჯგუფი შეიმჩნევა: ერთი — 17-დან 22 წლამდე, მეორე — 19—20-დან 24—25-მდე. პირველს შეადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებიც დამთავრების წელსვე ჩაირიცხნენ სასწავლებელში, მეორეს — ახალგაზრდები, რომლებმაც საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შეგნებულად მიაშურეს წარმოებას (მათ შორის ისინიც, ვინც მუშაობდა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელი შეღავათიანი შრომითი სტაჟის მოსაპოვებლად), ვინც მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, „უიღბლონი“, ვინც უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩაირიცხა საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე. არ შეიძლება ეს ფაქტი არ იქნეს გათვალისწინებული აღმზრდელობით მუშაობაში, რადგანაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო ასაკობრივი სხვაობა დაკავშირებულია მეტად მნიშვნელოვან განსხვავებასთან როგორც სოციალურ, ისე ფსიქოფიზიოლოგიურ ურთიერთობებში. მაგალითად, არმიაში და შრომით კოლექტივებში შეძენილი სოციალური გამოცდილება და 17 წლის ახალგაზრდების გამოუცდელობა განსაზღვრავს დიფერენცირებულ დამოკიდებულებას აღმზრდელობით მუშაობაში. თუმცა სოცია-

---

[1] თანამედროვე ადამიანთმცოდნეობის პრობლემების შესახებ. მ., 1983, გვ. 334 (რუს.).

ლური გამოცდილების მიხედვით განსხვავება თვით 17-წლიანების ჯგუფშიც არსებობს (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, პროფტექ-სასწავლებლის, საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულები).

5. **შემოსავლის, მატერიალური მდგომარეობის დონე.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება უფასოა. კარგოსნები ღებულობენ სტიპენდიას 40—45 მან. რაოდენობით, ფრიადოსნებს აქვს 25%-ით მეტი. აგრეთვე ვ. ი. ლენინის, კ. მარქსის (100 მან.), ცნობილი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლების (75 მან.) სახელობის სტიპენდიები. გარკვეულ კატეგორიათა სტუდენტები ღებულობენ დამატებით შეღავათებს [1]. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში უზრუნველყოფილია იმის შესაძლებლობა, რომ სტიმული მიეცეს სწავლისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიობის გათვალისწინებით (პრემიები, დანამატები სტიპენდიის ფონდის ანგარიშზე, შეღავათიანი საგზურები ჯანმრთელობის დაცვის, დასვენების, სპორტის, ტურიზმის დაწესებულებებში პროფკავშირული ფონდების ხარჯზე). ყველა სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საერთო საცხოვრებლით, ინვენტარით და ა. შ. სხვადასხვა გარემოების გამო (მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ობლობა და სხვ.) დღის განყოფილების ზოგიერთი სტუდენტი იძულებულია იმუშაოს. ყველა სტუდენტი, ვინც მონაწილეობს შესაბამის დაწესებულებათა (მათ შორის თვითმოქმედი სტუდენტური დაწესებულებების) სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობაში, თავის შრომაში ხელფასს იღებს. კარგი ანაზღაურება აქვთ სტუდენტებს სამშენებლო რაზმებში. სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (სოციოლოგიური გამოკვლევებით 90%-მდე) მშობლებისაგან იღებს დახმარებას. ამრიგად, მატერიალური მდგომარეობის მიხედვითაც სტუდენტთა მასაში განსხვავებაა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღმზრდელობით მუშაობაში. სტუდენტთა მატერია-

---

[1] სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ბიულეტენი, 1972, № 7.

ლური უზრუნველყოფის საკითხთა გადაწყვეტაში დიდია საზოგადოებრიობის როლი (სასტიპენდიო, შრომითი მოწყობის კომისიები და სხვ.).

6. **ჯგუფის სოციალური ფუნქცია.** საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომავალ გადაადგილებათა თვალსაზრისით თავისი მიზნობრივი ფუნქციის მიხედვით სტუდენტობა არის საბჭოთა ინტელიგენციის შევსების ძირითადი რეზერვი. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პროცესში იგი სოციალურ პოლიტიკური იერით სულ უფრო მეტად უახლოვდება ინტელიგენციას. სტუდენტობისა და ინტელიგენციის სოციალური ნიშნების ერთობაზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინი სტატიაში: „რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები". მან სტუდენტობა დაახასიათა როგორც ინტელიგენციის ნაწილი. რომელიც ყველაზე მეტად ეხმარება რევოლუციის მსვლელობას, ემსახურება პროლეტარული რევოლუციის ინტერესებს და არა როგორც მ ო მ ა ვ ა ლ ინტელიგენციას[1]. ეს არ ეწინააღმდეგება ზემოთქმულს, ვინაიდან რევოლუციამდელი სტუდენტობა სოციალური წარმოშობით, სოციალური მდგომარეობით და სოციალური ღირებულებითი განწყობითა და ორიენტაციით, იმ დროის უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის ხასიათით ძირფესვიანად განსხვავდება თანამედროვე სტუდენტობისაგან.

7. **მდგომარეობა მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალურ ჯგუფში.** ასაკის მიხედვით სტუდენტობა ახალგაზრდობის ჯგუფში შედის, იგი მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური ქვეჯგუფის ნაწილია, ამ ქვეჯგუფში გამოირჩევა ცხოვრების წესით, სპეციფიკური ქცევით მოღვაწეობის ყველა სფეროში. არსებითი თვისებები ახასიათებს, მაგალითად, მის სასწავლო პროცესს, სასწავლო შრომას, განსხვავებით საშუალო სკოლისაგან, სხვა საშუალო სასწავლებლებისაგან. ეს გამოიხატა სასწავლო ამოცანების გადაწყვეტაში დამოუკიდებლობის ხარისხით, მოსწრების შედეგებზე კონტროლის ორგანიზაციით, პედაგოგების მხრივ ყოველდღიური მომთხოვნელობის დონით და ა. შ. აშკარაა განსხვავება ყოფა-ცხოვრებაში დროის, კერძოდ, თავისუფალი დროის ორგანიზაციაში. არსებითია სხვაობა წარმოების სფეროსთან კავშირში, სხვადასხვა სოციალუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 7, გვ. 343.

რი, სოციალურ-პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში. ეს სხვაობა განსაკუთრებით დიდია განათლების შინაარსისა და სიღრმის, მისი გამოყენებითი მნიშვნელობის ასპექტით.

ა. თაობისადმი კუთვნილება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სტუდენტობა ერთ თაობას მიეკუთვნება. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი სტუდენტები არიან ახალგაზრდები, რომლებიც გაიზარდნენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში. აითვისეს მისი ღირებულებები, ტრადიციები, ნორმები, პრინციპები. რომლებითაც ხელმძღვანელობენ თავიანთ საქმიანობაში. ამრიგად, საბჭოთა სტუდენტობის, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის განუყოფელი ნაწილის, მთავარი ნიშნებია იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა მთელ ხალხთან, კომუნიზმის იდეების ერთგულება.

ბ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობის დონე. „პარტიას საჭიროდ მიაჩნია — ნათქვამია სკკპ პროგრამაში — მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ყურადღება ახალგაზრდობის სოციალური პრობლემებისადმი და, უწინარეს ყოვლისა, იმისადმი, რომ განვითარდეს და უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ქალიშვილებისა და ჭაბუკების საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინტერესები და მოთხოვნილებები შრომისა და ყოფა-ცხოვრების, განათლებისა და კულტურის, პროფესიული და სამსახურებრივი ზრდის, თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების სფეროში“ [1].

საბჭოთა სტუდენტებს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უდიდესი შესაძლებლობა აქვთ. მათი სოციალური აქტიობის მნიშვნელოვანი დადასტურებაა მოღვაწეობა პარტიულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებში. სტუდენტები მონაწილეობენ სალექციო, სააგიტაციო და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მონაცემებით, 2000-მდე სტუდენტი მუშაობს საბჭოთა არჩევით ორგანოებში, 600 ათას სტუდენტზე მეტი — არჩევით კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებში.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 62.

ამრიგად. მთელი რიგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მიხედვით, სტუდენტთა რთულ დიფერენციაციასთან ერთად ამ სოციალურ ჯგუფს აქვს მრავალი საერთო არსებითი ნიშანი, რომლებიც განასხვავებენ მას დანარჩენი სოციალური ჯგუფებისაგან. ყველა ეს ნიშანი უნდა გახდეს სტუდენტთა აღზრდის ორგანიზაციის, მათი კომუნისტური აღზრდის სისტემის მართვის საფუძველი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ სოციალისტური საზოგადოების პირობებში სტუდენტობა ღია სოციალური ჯგუფია, მისი შემადგენლობა განუწყვეტლივ ივსება საზოგადოების ყველა ფენისა და კლასის წარმომადგენლებით. ამ დებულებას ადასტურებს სტატისტიკისა და მრავალი კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემები [1].

სტუდენტობის სოციალური არსების გასარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე თანამედროვე პირობებში დინამიკური ცვლილებები მუშათა კლასის, გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის, ჩვენი საზოგადოების ყველა სოციალურ-პროფესიული ჯგუფის ცხოვრებაში. მაგალითად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ახალი ცოდნის მიღების მიზნით შრომა, რომელსაც აუცილებლად თან სდევს პროფესიული გადაადგილება, ინფორმაციის ნაკადის ზრდა, საბჭოთა ადამიანების სწრაფვა თვითგანათლებისაკენ, შესამჩნევ ცვლილებებს იწვევენ მშრომელთა დროის ბიუჯეტში, რაც ხშირად დაკავშირებულია ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლებასთან, ზოგჯერ დიდი ხნით.

საერთოდ გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოების, ქალაქსა და სოფელს, კლასებსა და სოციალურ ფენებს შორის განსხვავების გაქრობის პროგრესული ტენდენციები, ჩვენი აზრით, ყველაზე კარგად სტუდენტთა სოციალურ ჯგუფში ჩანს. ამ მიმართებით უმაღლესი სკოლა ჩვენი საზოგადოების პროგრესული სოციალური ცვლილებების მძლავრი ფაქტორია.

დიფერენცირებული განხილვის მეთოდის გამოყენება უნდა

---

[1] იხ. ვ. ტ. ლისოვსკი, თანამედროვე სტუდენტის პიროვნების ფორმირება, ლ., 1976, გვ. 14 (რუს.).

დაემყაროს აგრეთვე სტუდენტთა განვითარების დონეს. მათს ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებს, რაც გულისხმობს: ა) ინტელექტის განვითარების დონეს: ბ) ტემპერამენტისა და ხასიათის თავისებურებებს: გ) ნებელობითი თვისებების განვითარების დონეს: დ) ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ამრიგად, სტუდენტობა როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ჯგუფი სოციალური შემადგენლობისა და კლასობრივი შეგნების განვითარების სირთულით ხასიათდება. უმაღლეს სკოლაში სწავლების პერიოდში იგი დინამიკურად იცვლება, განიცდის გავლენას როგორც სოციალური წარმოშობის მხრივ, ისე იმის გამო, რომ ერთვება ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებში განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენლებთან და მიმართულია იქითკენ, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შეუერთდეს ინტელიგენციის სოციალურ ფენას.

იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტის პიროვნების სტრუქტურა, ფსიქოფიზიოლოგიური მახასიათებლები და, რაც მთავარია, განწყობა და ქცევა ცხოვრების ძირითად სფეროებში დიდად განსხვავებულია, უმაღლეს სასწავლებელში აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის არსების შემეცნების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის ტიპოლოგიზაციის, ტიპოლოგიური დაჯგუფების მეთოდის გამოყენებას.

სოციალური ტიპოლოგიზაცია როგორც მეთოდიკური ხერხი ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის დიალექტიკურ თანაფარდობას ემყარება. ის შესაძლებლობას გვაძლევს პიროვნების სოციალური ტიპი ერთობის სხვადასხვა დონეზე წარმოვადგინოთ. პიროვნების შინაარსის მეცნიერული ახსნისას ინდივიდუალურის სოციალურზე დაყვანის ხერხი პიროვნების სტრუქტურაში ააშკარავებს არსებითს, ტიპურს, რაც კანონზომიერად ყალიბდება იმ გარკვეული კლასის ან სოციალური ჯგუფის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, რომელსაც პიროვნება ეკუთვნის. „ამ მეთოდოლოგიური ხერხის ფარგლებში, — წერს მ. კორენევი, — შესაძლებელია წინასწარ განვჭრიტოთ პიროვნებათა ტიპების გან-

ვითარების ძირითადი ტენდენციები, მათი თანაფარდობა, და ყოველივე ამის შედეგად. შევიმეცნოთ პიროვნების როგორც საზოგადოებრივი მოვლენის განვითარების კანონზომიერებები“ [1].

ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში ასხვავებენ ტიპოლოგიზაციის ორ ძირითად სახეს: უპიროვნოსა და პერსონიფიცირებულს. პირველი იკვლევს ადამიანის პიროვნებას, როგორც სოციალურ ტიპს. მეორე უახლოვდება მხატვრულ ტიპიზაციას, თუმცა რამდენადმე განსხვავდება მისგან. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი იყენებდნენ სოციალურ პორტრეტებს, რომლებშიც პიროვნების სოციალური ტიპი (ბურჟუა, პროლეტარი, წვრილი ბურჟუა) პერსონიფიცირებული ფორმით გვევლინება [2].

პიროვნების ამა თუ იმ სოციალური ტიპის გამოვლინება დაკავშირებულია გარკვეულ ტიპურ საზოგადოებრივ მოვლენებთან. რაიმე თვისებების სხვადასხვაგვარი კომბინაციები ან დომინანტის სახით რომელიმე თვისების წინ წამოწევა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ტიპური პიროვნებაში.

პიროვნების სოციალურ-ტიპოლოგიური ანალიზის მეშვეობით შეიძლება არა მარტო გამოვლინდეს მოცემული სოციალურ-ისტორიული ერთობის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებები, არამედ განისაზღვროს საზოგადოებრივი პირობები, რომელთა დროსაც წარმოიქმნება პიროვნების სოციალურ-ტიპობრივი და ინდივიდუალური თვისებების შენადნობი [3].

ტიპოლოგიზაციის მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია მმართველობითს მოღვაწეობაში, მათ შორის სტუდენტთა აღზრდის სისტემის მართვაში. ტიპოლოგიზაცია არის ობიექტების მასის დანაწილება კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემის მიხედვით.

ამ მიმართულებით ფუძემდებლური მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს რევოლუციური რუსეთის სტუდენტობის ტიპოლოგიზაციისადმი ლენინურ მიდგომას. სტატიაში „რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები“, რომელიც გაზეთ „სტუდენტის“ თხოვნით

---

[1] პიროვნების სოციალური ტიპოლოგიის პრობლემები. ლ., 1971, გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 258.

[3] ვ. ა. ი ა დ ო ვ ი, სოციალურ კვლევათა მეთოდოლოგია და პროცედურები, ტარტუ. 1968, გვ. 149.

დაიწერა 1902 წ. სექტემბერში, ვ. ი. ლენინმა დაასკვნა. რომ იმ დროს სტუდენტობაში ექვსი პოლიტიკური დაჯგუფება იყო: რეაქციონერები. გულგრილები, აკადემისტები, ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები[1]. ეს დაჯგუფება, ვ. ი. ლენინის აზრით, შემთხვევითი არ იყო. მთელი რუსული საზოგადოებისათვისაც სწორედ ეს ჯგუფები იყო დამახასიათებელი. ვ. ი. ლენინის მეთოდოლოგიური მიდგომა დაედო საფუძვლად ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მრავალრიცხოვან კვლევებს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში[2]. გ. ლ. სმირნოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ტიპოლოგიზაციის პრობლემებს ძირითადად ფსიქოლოგები იკვლევდნენ, რაც ზღუდავდა სოციალურად მნიშვნელოვანი ნიშნების მთელი მრავალფეროვნების შესწავლის შესაძლებლობებს. ამ ბოლო ხანს ტიპოლოგიზაციის პრობლემებით დაინტერესდნენ ფილოსოფოსები და სოციოლოგები[3]. ლ. გ. სმირნოვს მიაჩნია, რომ ნებისმიერი ტიპოლოგიზაცია, ჯერ ერთი, უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენას და, მეორე, უნდა აგებულ იქნეს უარსებითეს საფუძველზე. ასეთ საფუძვლად იგი გვთავაზობს შემდეგს: 1) ადამიანების დამოკიდებულება საზოგადოებრივი წყობილების, სოციალიზმის როგორც სისტემის მიმართ; 2) დამოკიდებულება შრომასთან, თავისი საქმიანობის ხასიათი და შინაარსი; 3) დამოკიდებულება ურთიერთობის წესებთან, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობისა და დისციპლინიანობის დონით[4]. მან განსაზღვრა აგრეთვე ადამიანთა ასეთი ტიპები: პოლიტიკური მებრძოლი, მეურნე, საქმოსანი, მორალის მქადაგებელი პიროვნება, ესთეტი პიროვნება და წამოაყენა ანტისაზოგადოებრივი ქცევის ტიპთა დახასიათება პოლიტიკურად მტრული პიროვნების ტიპის ჩათვლით[5].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 7, გვ. 343 (რუს.).

[2] იხ. გ. ვ. მ ა ქ ა ც ა რ ი ა, ვ. ტ. ლ ი ს ო ვ ს კ ი, თანამედროვე სტუდენტი, თბ., 1982, გვ. 299—302 (რუს.).

[3] გ. ლ. ს მ ი რ ნ ო ვ ი, საბჭოთა ადამიანი, პიროვნების სოციალისტური ტიპის ჩამოყალიბება, მ., 1980, გვ. 258 (რუს.).

[4] იქვე, გვ. 271, 278.

[5] იქვე, გვ. 267.

სტუდენტის პიროვნების ტიპოლოგიზაციის პრობლემას თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს ამ პრობლემის ირგვლივ გამოკვლევები, პიროვნების ტიპოლოგიზაციის შესახებ ნაშრომებში კი, როგორც წესი, აბსტრაქტული ტიპოლოგიზაციაა მოცემული. აი კიდევ ამგვარი მიდგომის ერთი მაგალითი: პიროვნება, რომელშიც ჰარმონიულად არის შერწყმული პირადი და კოლექტიური ცხოვრება; პიროვნება, რომელშიც კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა ეხამება უდისციპლინობას; პიროვნება, რომელიც გულგრილობას იჩენს კოლექტივის საქმეების მიმართ [1].

სტუდენტთა აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის გადასაწყვეტად უნდა დაიძებნოს ყველაზე არსებითი, დამახასიათებელი კრიტერიუმები და მაჩვენებლები, მოცემული ჯგუფისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

როსტოველი სოციოლოგები ბ. გ. რუბინი და ი. ს. კოლესნიკოვი სტუდენტობის ტიპოლოგიზაციის საკითხს მოქმედების დახასიათების მხრივ მიუდგნენ. მათ გამოყვეს სტუდენტთა მოქმედებისა და ქცევის სამი ძირითადი ტიპი. პირველ ტიპს ახასიათებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების მიზნებისა და ამოცანებისადმი ღრმა მიდგომა, პროგრამით გათვალისწინებულზე უფრო ფართო შემეცნებითი ინტერესები, მაღალი სოციალური აქტიობა ცხოვრების ყველა სფეროში, ორიენტაცია ფუნდამენტური მომზადებისა და ფართო სპეციალიზაციისაკენ. ამ ტიპს, როსტოველი მკვლევრების აზრით, სტუდენტთა 62,7% მიეკუთვნება. მეორე ტიპი გამოირჩევა მკაფიო ორიენტაციით ვიწრო სპეციალობაზე, სტუდენტთა შემეცნებითი საქმიანობა სცილდება სასწავლო პროგრამის ფარგლებს, მაგრამ არა „ფართოდ", არამედ „სიღრმით". ამ ჯგუფს მიეკუთვნება სტუდენტთა 10,5%. მესამე ტიპს ახასიათებს შემეცნებითი ასპექტით სასწავლო პროგრამით დაკმაყოფილება, შემოქმედების, სწავლაში აქტიურობის დაბალი დონე; ეს ტიპი

---

[1] იხ. ვ. ვ. რახმანინი, იდეალები და პიროვნების სოციალიზაცია: პიროვნება და კომუნისტური აღზრდის პრობლემები, ვორონეჟი, 1942, გვ. 12 (რუს.).

მოიცავს სტუდენტთა 26.8%[1]. ეფიქრობთ, რომ ეს ტიპოლოგია არ ასახავს თანამედროვე საბჭოთა სტუდენტის ქცევის მთელ მრავალფეროვნებას. მეტისმეტად კატეგორიულია ავტორთა მტკიცება სტუდენტების საკვლევი ტიპების პროცენტული შეფასების შესახებ.

დაკვირვებაზე დაფუძნებულ აღწერითს ტიპოლოგიზაციასთან ერთად გამოიყენება სტატისტიკური, ეგრეთ წოდებული „ბუნებრივი" ტიპოლოგიზაცია. ამ შემთხვევაში სტატისტიკური დამუშავების შედეგების მიხედვით გამოიყოფა ჯგუფი ისეთი ნიშნებისა, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება სინამდვილეში და რომლებიც საფუძვლად ედება ტიპოლოგიას[2]. მაგალითად, ზ. ვ. სიკევიჩი შეეცადა გამოეკვლია სტუდენტთა მხატვრული ტიპები. მოდელის საკლასიფიკაციო ნიშნებად მიჩნეულ იქნა პიროვნების მხატვრული კულტურის სამი შემადგენელი: ცოდნა (პირობით ნიშანი A), ინტერესი (ნიშანი B), საქმიანობა (ნიშანი C). გამოიყოფა ნიშანთა განაწილების სამი დონე: მაღალი — 1, საშუალო — 2, დაბალი — 3. მომდევნო ეტაპზე გამოვლინდება რეალური ტიპოლოგია. აქ გამოიყენება კომპლექსური მიდგომა: ტესტური საბოლოო შეფასება (ცოდნის გამომჟღავნება), ანკეტური გამოკითხვა (ინტერესების და ნაწილობრივ საქმიანობის გამომჟღავნება), ობიექტური მონაცემების შესწავლა (საქმიანობის გამომჟღავნება).

ა. ვ. ლისოვსკის[3] გამოკვლევებში სტუდენტთა ცხოვრების წესის ტიპოლოგიზაცია ხდება ფაქტორული ანალიზის მეშვეობით. ანკეტაში შეტანილია რამდენიმე ასეული მაჩვენებელი, რომლებიც

---

[1] ბ. გ. რუბინი, ი. ს. კოლესნიკოვი, სტუდენტი სოციოლოგის თვალით. დონის როსტოვი, 1968, გვ. 107—108.

[2] ასეთი ტიპოლოგიის შექმნის ერთ-ერთი ცდა იყო ლ. ა. გორდონის, ვ. ი. ვოლკისა და სხვ. მიერ ჩატარებული გამოკვლევა, იხ. თავისუფალი დროის ტიპოლოგიის ზოგიერთი პრობლემა (მრავალგანზომილებიანი ანალიზის გამოყენების გამოცდილება). საინფორმაციო ბიულეტენი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტიტუტი, № 2, მ., 1969.

[3] ა. ვ. ლისოვსკი, თანამედროვე სტუდენტის ცხოვრების წესის ტიპოლოგიის სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევის პრობლემებისათვის. სტუდენტობის ზნეობრივი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები, ლ., 1978.

ასახავენ როგორც სტუდენტთა რეალური ცხოვრების სხვადასხვა მახასიათებელს (მის პროდუქტიულობას, ხანგრძლივობას, რეგულირებულობას და ა. შ.). ისე სტუდენტების რეალურ დამოკიდებულებას ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან (სწავლა, თავისუფალი დრო, ურთიერთობა). შემდეგ გადაირჩა ყველაზე ინფორმაციული მაჩვენებლები და ჩატარდა ფაქტორული ანალიზი უკვე მთელი ცხოვრების წესისა. ასე გამოვლინდა სტუდენტების სასწავლო საქმიანობის ორი ტიპი. სტუდენტების თავისუფალი დროის ტიპწარმომქმნელ ნიშნად მიჩნეულ იქნა ურთიერთობის ხასიათი.

მაშასადამე, სტუდენტის პიროვნების ტიპოლოგიზაციაში გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა — გამოიყოფა კრიტერიუმების სხვადასხვა ერთიანობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ კრიტერიუმებს, როგორიც არის ინტერესების მიმართულება, მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი პოზიცია, აქტიურობის დონე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (სასწავლო, მეცნიერულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თავისუფალ დროს, ყოფა-ცხოვრებაში), კოლექტივიზმის, კულტურის დონე.

საყურადღებოა დნეპროპეტროვსკელი სოციოლოგის ტ. ნ. ბელოვას ცდა მომავალი სპეციალისტების იდეური რწმენის დონის ტიპოლოგიზაციისა[1]. ეს ტიპოლოგიზაცია ემყარება იმას, რომ სოციალისტური ტიპის პიროვნების იდეური რწმენა თავის განვითარებაში თანამიმდევრულ საფეხურებს გაივლის. ამის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს რეალურად მოქმედი იდეური რწმენის შესაბამისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპები. გამოვლინდა ხუთი ასეთი ტიპი:

— კომუნისტური რწმენის უმაღლესი — „მეცნიერული" ტიპი აერთიანებს თეორიულად ყველაზე მომზადებულ, საზოგადოებრივად აქტიურ სტუდენტებს. მათი მსოფლმხედველობა გამოირჩევა მთლიანობით და მეცნიერული სიღრმით, ხოლო ქცევა — დიდი პრინციპულობითა და შეგნებით. მათ წარმოდგენაში ერთიანი და განუყოფელია საზოგადოებრივი და პირადი იდეალი.

---

[1] ტ. ნ. ბ ე ლ ო ვ ა. სტუდენტთა სოციალური აქტიურობა როგორც მათი იდეური კომუნისტური რწმენის საფეხური და კრიტერიუმი. საკანდ. დისერტაციის ავტორეფერატი, მინსკი, 1979, გვ. 13—14.

— „მაგენერალიზებელი“ ტიპის სტუდენტები თავიანთი თვისებებით მეტად ახლოს დგანან მეცნიერული ტიპის სტუდენტებთან: მათ აქვთ საკმაოდ ღრმა ცოდნა, ესმით ამ ცოდნის ფასი, ახასიათებთ დიდი საზოგადოებრივი აქტიობა. მაგრამ მათ ინტერესს საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართ არ აქვს შემოქმედებითი ხასიათი;

— „კონფორმული“ ტიპის სტუდენტები გამოირჩევიან თეორიული ცოდნის, მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიობის საშუალო დონით;

— „უტილიტარული“ ტიპის სტუდენტებს არ გააჩნიათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა საკმაო ცოდნა, ახასიათებთ სუსტი მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიობა, თუმცა შეგნებული აქვთ ამ ცოდნისა და აქტიობის სოციალური ღირებულება.

— „აგნოსტიკური“ ტიპის სტუდენტებს ახასიათებს ყველაზე სუსტი სოციალური აქტიობა ყველა მის გამოვლენაში, ისინი ამკარად ვერ აფასებენ საზოგადოებრივი მეცნიერებების ცოდნის მნიშვნელობას.

ტ. ნ. ბელოვა ეყრდნობა იმ მეთოდოლოგიურ დებულებას, რომ საბჭოთა უმაღლესი სკოლის სისტემაში არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს კომუნისტური იდეოლოგიისა და იდეური რწმენის ალტერნატივა, იდეური რწმენის დაბალი დონის მქონე ტიპებს იგი განიხილავს როგორც განუვითარებელს, როცა შეგნებაში კომუნისტური იდეოლოგიის ელემენტებთან ერთად არსებობს მათთვის უცხო გადმონაშთური ელემენტები.

არსებობს სტუდენტთა სასწავლო ჯგუფების ტიპოლოგიზაციის ცდები. მაგალითად, შემჭიდროებული ჯგუფის ინტეგრალური სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათების საფუძველზე ტ. ვ. პელევინამ გამოჰყო სტუდენტთა სასწავლო ჯგუფების ხუთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპი.

I ტიპი. მთელი ჯგუფი წარმოადგენს მეგობრულ, დარაზმულ კოლექტივს — 5,1%;

II ტიპი. ჯგუფის დიდი ნაწილი მჭიდრო კოლექტივია, მაგრამ ზოგიერთი სტუდენტი განცალკევებით დგას, ნაკლებად მონაწილეობს ჯგუფის ცხოვრებაში — 30,8%;

III ტიპი. ჯგუფში არის მეგობრული, დარაზმული ბირთვი. მაგრამ სტუდენტთა დიდი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს ჯგუფის ცხოვრებაში — 13.6%.

IV ტიპი. ჯგუფში არის ორი ან მეტი ვიწრო მიკროჯგუფი, რომელთა შორის კონტაქტი გაძნელებულია, ზოგიერთი სტუდენტი კი განცალკევებით დგას — 40,0%.

V ტიპი. ჯგუფში არ არის მჭიდრო ბირთვი, სტუდენტები განცალკევებული არიან, შინაკოლექტიური ცხოვრება ფაქტობრივად არ არსებობს — 10,5%[1].

პიროვნების იდეალური მოდელია ყოველმხრივი და ჰარმონიულად განვითარებული ინდივიდი, ამიტომაც ტიპოლოგიაში მიზნობრივ ნიშნად უნდა მოქმედებდეს პიროვნების ყოველმხრივობა და ჰარმონიულობა, ე. ი. მისი მოდელის ნიშნები. ანალიზის საწყის პუნქტად მივიჩნევთ პრაქტიკულ საქმიანობას და მნიშვნელოვნად გვესახება თვისებათა ოთხი ჯგუფი, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე სრულად ახასიათებს საბჭოთა სტუდენტს, მის როლს საზოგადოებაში. ესენია, სახელდობრ, ორიენტაცია: 1) სწავლის, მეცნიერების, პროფესიის მიმართ; 2) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში (აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია); 3) კულტურაში (მაღალი სულიერება); 4) კოლექტივში ურთიერთობაში. მოდელის გასამარტივებლად თითოეულ პარამეტრს რაოდენობრივად არ გამოვსახავთ, შემოვიფარგლებით მხოლოდ მოცემული თვისების არსებობა-არარსებობის კონსტატაციით. აღნიშნული თვისების გარკვეულ შეხამებას თუ ცალკე ტიპად ჩავთვლით, მივიღებთ თექვსმეტ ტიპს.

უკიდურესი ტიპებია:

I ტიპი. ინდივიდი აქტიურია ოთხივე სფეროში. რეალურად ეს არის სტუდენტი, რომელიც ჰარმონიულად აერთიანებს თავის თავში მოღვაწეობის ყველა სახეს, უახლოვდება მომავალი სპეციალისტის იდეალს.

XVI ტიპი. ინდივიდი არცერთ სეფეროში არ არის აქტიური, ეს არის ჩამოუყალიბებელი პიროვნება.

---

[1] მაჩვენებლები მიღებულია ქვეყნის 18 უმაღლეს სასწავლებელში კვლევის შედეგად, იხ. გ. ვ. მაკაცარია, ვ. ტ. ლისოვსკი, თანამედროვე სტუდენტი, გვ. 324—325.

დანარჩენი 14 ტიპი შუალედურია. მათგან ოთხი პირველს უახლოვდება. შეიცავს სამი დადებითი და ერთი უარყოფითი ორიენტაციის სხვადასხვა კომბინაციას. ოთხი ემსგავსება მეთექვსმეტე ტიპს. ვინაიდან წარმოადგენს სამი უარყოფითი და ერთი დადებითი ორიენტაციის კომბინაციას. ექვსი დანარჩენი კი ორი საპირისპირო პოზიციის შეხამებაა.

აღწერით დონეზე ტიპოლოგია ასე გამოიყურება:

II ტიპი. „იდეალური სტუდენტი". მკაფიო პოლიტიკური რწმენის მქონე ახალგაზრდა, რომელსაც დიდად განვითარებული მოვალეობის გრძნობა აქვს. იგი უკვე დღეს მონაწილეობს კომუნისტურ მშენებლობაში, არის თავისი სოციალისტური სამშობლოს ნამდვილი მოქალაქე, ცდილობს სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას წარჩინებული სწავლით, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში მუშაობით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. სტუდენტთა სამშენებლო რაზმებში შრომით. მისთვის ნიშანდობლივია კარგად განვითარებული ინტერესები და მიდრეკილებები. საქმიანობის რომელიმე სახისადმი მის ინტერესს შედეგად არ მოჰყვება ცალმხრივობა და სხვა სახეებისადმი ინტერესის დაკარგვა. დიდად აფასებს და მხურვალედ უყვარს თავისი მომავალი პროფესია. ამიტომაც ნიადაგ ეძიებს. ლექციებსა და წიგნებში პოულობს პასუხს წამოჭრილ საკითხებზე და ნამდვილად ბედნიერია, როდესაც ჩაწვდება იდეას, რომელსაც მასწავლებელი გამოარჩევს არგუმენტების რთულ სისტემაში. ამავე დროს იგი თვითონაც ეძებს არგუმენტებს, დამატებით დასაბუთებას, ადარებს, აქტიურად უზიარებს თავის შეხედულებებს ამხანაგებს, ამოწმებს თავის ცოდნის სისწორეს. გარშემო მყოფთათვის მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა და ადვილი. იგი განვითარებული, კულტურული, კარგი საამხანაგო ახალგაზრდაა, ღრმად არის დაინტერესებული ლიტერატურითა და ხელოვნებით, აქტიურად მისდევს სპორტს. ურთიერთობაში პატიოსანია და წესიერი. სწორედ ამგვარი ახალგაზრდები დგებიან დიდი მეცნიერები და კარგი წარმოების მუშაკები.

III ტიპი. „პროფესიონალი". სპეციალობა აირჩია შეგნებულად, სწავლობს, როგორც წესი, კარგად. მისთვის დამახასიათებე-

ლია მკაფიო ორიენტაცია მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე, ამიტომაც სპეციალობის მიღება უმაღლეს სკოლაში სწავლების უმნიშვნელოვანეს მიზნად მიაჩნია: იშვიათად მონაწილეობს სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში (ტიპური არგუმენტაცია: „დრო არ მყოფნის მეცადინეობაზე, გადატვირთული ვართ: კვირაში სამი სემინარია. ან კი რად მინდა? ასპირანტურაში შესვლას მე არ ვაპირებ"). ლექციებს ესწრება. მაგრამ ყველას არა: „სახელმძღვანელოები არსებობს". კოლექტივში პატივს სცემენ როგორც კარგ და საიმედო ამხანაგს. მის აზრს მუდამ ანგარიშს უწევენ. უყვარს ამხანაგებთან ერთად კინოში, თეატრში, კონცერტზე წასვლა.

IV ტიპი. „აკადემიკოსი". სწავლობს „ფრიადზე". შეიძლებისდაგვარად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში. ზოგჯერ ძალიან აქტიურადაც. ამხანაგებთან ურთიერთობაში წესიერია და პატიოსანი. მაგრამ სტუდენტური ჯგუფის კოლექტივთან სუსტად არის დაკავშირებული, რადგან მისი ყურადღება უპირატესად სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზეა მიმართული. ლიტერატურა და ხელოვნება აინტერესებს. მაგრამ კითხულობს გულდასმით შერჩეულ წიგნებს, კინოში და თეატრში, ძირითადად, სერიოზულ ნაწარმოებებს ეცნობა. სპორტს იშვიათად მისდევს. დრო არ აქვს. ორიენტაცია აქვს აღებული უმეტესად ასპირანტურაში სწავლაზე.

V ტიპი. „საზოგადო მუშაკი". მისთვის დამახასიათებელია აშკარა მიდრეკილება საზოგადოებრივი მუშაობისაკენ, რაც ჭარბობს სხვა ინტერესებს. ჩვეულებრივ, იგი მოწინავეთა რიგებშია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ყველა უბანზე, თვითონ იჩენს ინიციატივას, აქტიურობს ყველა სახის საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის არის სტუდენტური რაზმის მებრძოლი, ზამთრის აგიტლაშქრობის მონაწილე, ფაკულტეტის გაზეთის აგიტატორი და რედაქტორი, ჯგუფხელი ან კომორგი. მუდამ ცხოვრების ძაგულშია, სხვაგვარად არ შეუძლია არსებობა. მას დიდ პატივს სცემენ მასწავლებლებიცა და ამხანაგებიც პატიოსნების, პრინციპულობის, წესიერების, სიტყვისა და საქმის ორგანული ერთიანობის გამო. ზოგიერთი ბოროტად სარგებლობს კიდეც მისი მაღალი საზოგადოებრივი აქტიურობით და პასუხისმგებლობის გრძნობით, რადგან იცის, რომ თუ „მას დაავალებს, შესრულდება კარგად და

დროზე". მეტისმეტი აქტიურობა ზოგჯერ ცუდადაც მოქმედებს მის აკადემიურ წარმატებაზე: ვადაზე ვერ აბარებს საკონტროლო სამუშაოებს, ჩათვლებსა და გამოცდებს. იგი უყვართ ძალდაუტანებელი ურთიერთობისათვის. ის ნამდვილი ამხანაგია, ესარჩლება დაჩაგრულს. მომავალი მისთვის ნათელია — „ვიმუშავებ იქ, სადაც გამგზავნიან". სწორედ ასეთი სტუდენტებისაგან გამოდიან შესანიშნავი წარმოების მუშაკები და საზოგადო მოღვაწეები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამგვარ სტუდენტებს შორის ზოგჯერ ვხვდებით აშკარა კარიერისტებს ან ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ვინაიდან მოსწონთ გამოსაჩენ ადგილას ყოფნა, უფროსობა, ცდილობენ „მოიპოვონ" დახასიათება ასპირანტურაში შესასვლელად.

VI ტიპი. „ერუდიტი". როგორც წესი, კარგად სწავლობს, კეთილსინდისიერად ეკიდება მომავალ პროფესიას, მაგრამ სამეცნიერო მუშაობაში იშვიათად მონაწილეობს. ამხანაგებთან ურთიერთობაში წესიერია და პატიოსანი, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში. იზიდავს ხელოვნება, აქვს კარგი ესთეტიკური გემოვნება, ფართო ჰორიზონტი. კითხულობს ბევრს, მაგრამ შერჩევით, რეგულარულად დადის კინოში, თეატრში, კონცერტებზე, მუზეუმში. როგორც წესი, ახასიათებს ხელოვნებისადმი შემოქმედებითი და არა მომხმარებლური დამოკიდებულება, ხშირად მონაწილეობს მხატვრულ თვითმოქმედებაში, ზოგჯერ მხატვრულ შემოქმედებას ეწევა დამოუკიდებლად: წერს ლექსებს, პროზას, ხატავს და ა. შ. სტუდენტების ჯგუფში აღიარებული მცოდნეა თანამედროვე ხელოვნებისა, მისი რჩევით კითხულობენ ამხანაგები ამა თუ იმ წიგნს, ნახულობენ კინოფილმებსა და სპექტაკლებს. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწრაფად ეჩვევა კოლექტივს და ხდება კარგი ორგანიზატორი.

VII ტიპი. „რაციონალისტი", ორიენტაცია აქვს აღებული მეცნიერულ მოღვაწეობაზე და შეძლებისდაგვარად ცდილობს თავიდან აიცდინოს ყოველგვარი სხვა საქმიანობა, რადგან მიაჩნია, რომ ის დასახულ მიზანს ააცდენს. საზოგადოებრივ საქმიანობაში მისი ჩაბმა საკმაოდ რთულია. ის არც თუ ისე ხალისით მონაწილეობს მასობრივ ღონისძიებებში, ვერ ეგუება კოლექტივს, ამხანაგებს ქედმაღლურად ეკიდება, ნაკლებად აინტერესებს ლიტერა-

ტურა და ხელოვნება, რადგანაც მისთვის მთავარია „დროის რაციონალურად გამოყენება ახლანდელი და მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის“.

VIII ტიპი. „მონდომებული“, მეტისმეტად კეთილსინდისიერი, მონდომებული და დისციპლინიანი სტუდენტი. არ აცდენს არცერთ ლექციასა და სემინარს. თუმცა არ არის დიდი ნიჭის პატრონი, მაგრამ, როგორც წესი, იღებს „კარგსა“ და „ფრიადს“. სხვა შეფასებას მეტად მტკივნეულად განიცდის, რადგან სკოლაში პირველ მოსწავლედ ითვლებოდა. საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობს, თუ ამაში პირად სარფს ხედავს. კოლექტივთან ნაკლებად აქვს ურთიერთობა. ჯგუფში ერთგვარად ქედმაღლურად უყურებენ. არაკეთილსინდისიერი სტუდენტები „ზუბრიაკს“ ეძახიან. ლიტერატურა და ხელოვნება ნაკლებად აინტერესებს. ძალიან დიდი დრო ეხარჯება სწავლაზე, მაგრამ უყვარს კინოში სიარული. სპორტს არ მისდევს. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ხდება კარგი და შემსრულებელი მუშაკი. ასპირანტურაც უნდა; თუ შესვლა მოახერხა, დისერტაციას დროულად იცავს და მეცნიერი „გამოდის“.

IX ტიპი. „საშუალო“. კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე, დისციპლინიანი სტუდენტი. მეცადინეობას არ აცდენს, მაგრამ რიგი მიზეზების გამო (სუსტი სასკოლო მომზადება, წყვეტა სწავლაში და ა. შ.) ძირითადად „დამაკმაყოფილებელზე“ სწავლობს. ორიანებსაც იღებს, ვინაიდან უმაღლეს სასწავლებელში „პირველ ცდაზე“ არ არის შესული. ამ ტიპის სტუდენტებს შორის არიან „სამოსნები“, მაგრამ იმიტომ, რომ მათ უმაღლესში შესვლამდე დიდი დრო გავიდა („ყველა საგანს ერთნაირად ვერ ვერევით“). გარშემო მყოფთა მიმართ პატიოსანია და წესიერი. ურთიერთობას ამყარებს. მაგრამ თავად არ იჩენს ინიციატივას. საზოგადოებრივ დავალებებზე უარს არ ამბობს, მაგრამ იშვიათად აძლევენ, რადგან იციან, რომ მთელ დროს სწავლას ანდომებს. ამავე მიზეზის გამო იშვიათად დადის კინოში, თეატრში. სპორტს არ მისდევს. სწავლის დამთავრების შემდეგ მიდის იქ, სადაც გაგზავნიან. სამუშაოზე „ვარსკვლავებს არ წყვეტს“, მაგრამ ძალიან კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობას. დროთა განმავლობაში არცთუ ცუდი და შემსრულებელი სპეციალისტი ხდება.

X ტიპი. „ზარმაცი“. როგორც წესი, ცუდად სწავლობს. ხშირად აქვს „კუდები“ (იმიტომ კი არა, რომ უჭირს საგნის შესწავლა, არამედ იმიტომ, რომ სწავლა ეზარება). სწავლობს ძალთა უმცირესი დანახარჯების პრინციპით. მაგრამ სავსებით კმაყოფილია თავისი თავისა. სამეცნიერო-საკვლევ და საზოგადოებრივ მუშაობაში არ მონაწილეობს. ჯგუფში უყურებენ როგორც „ბალასტს“, რომელსაც „ვერ გადააგდებ და უნდა ათრიო დიპლომამდე“. ამბანაგების კრიტიკას შეჩვეულია, ეთანხმება, პირდება გამოსწორებას, მაგრამ იქცევა უწინდებურად. კითხულობს ცოტას და იშვიათად, უპეტესად დეტექტივს. ხელოვნება არ აინტერესებს. სამაგიეროდ უარს არ ამბობს დალევაზე ძმაკაცებთან ერთად, ზოგჯერ აყალმაყალსაც არ ერიდება, რათა გამოაცხადოს, რომ ჯგუფში პატივს არ სცემენ. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ცდილობს შეარჩიოს ისეთი სამუშაო, სადაც პასუხისმგებლობა ნაკლებია და შეიძლება „ჩრდილში მიმალვა“.

XI ტიპი. „სპორტსმენი“. როგორც სპორტსმენი ნიჭიერია და ბეჯითი. ცდილობს სწავლას ძალის მინიმუმი მოახმაროს. რაშიც ხშირად მხარს უჭერენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ხშირად აქვს დავალიანება რამდენიმე საგანში, შეცადინეობს „ინდივიდუალური გეგმით“. სტუდენტთა ჯგუფის ცხოვრებაში. იმის გამო, რომ დიდად არის დატვირთული არასასწავლო საქმეებით, მონაწილეობს ფორმალურად. ზოგჯერ ინსტიტუტს მიიჩნევს არა უმაღლეს სასწავლებლად, არამედ სპორტული და თვითმოქმედი ოსტატობის ასამაღლებელ სკოლად. თუმცა სტუდენტთა ამ კატეგორიაში გვხვდებიან პირები, რომლებიც სპორტით გატაცებას წარმატებით უთავსებენ კარგად სწავლასა და აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, არიან კოლექტივის სული და გული.

XII ტიპი. „მონხმარებელი“. ეარეგნულად პასუხობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სასწავლო აქტიურობის მინიმუმს, მაგრამ არსებითად თავისი მოქალაქეობითა და მორალით ნაკლებად მდგრადია, სხვა ტიპებთან შედარებით ძალზე ხშირად სარგებლობს გაელენიანი ნათესავების, ნაცნობებისა და ა. შ. მფარველობით. ნიშანდობლივია, რომ მისთვის საინტერესო არ არის უმაღლესი სასწავლებლის პროფილი. მისი პირადი მიზანია მიიღოს

უმაღლესი განათლების დიპლომი. ყოველგვარ საქმიანობას სკეპტიკურად უყურებს. თავისი მომავალი პროფესიის შეფასებას ახდენს მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რა ადგილზე იმუშავებს (კომფორტაბელობის მიხედვით), როგორი ექნება შრომის პირობები და ხელფასი, რანაირად დაწინაურებენ სამსახურში და სხვ. თუ მოლოდინი არ გაუმართლდა, სხვა ტიპებთან შედარებით უფრო აღვილად ამბობს უარს განაწილებაზე და ტოვებს სამუშაო ადგილს. როგორც წესი, გულწრფელია მხოლოდ თავის მსგავსთა არაოფიციალურ წრეში. საზოგადოებრივ მუშაობასა და სტუდენტთა ჯგუფის ცხოვრებაში იმვიათად მონაწილეობს, გასაჭირში ვერ ენდობი. მისი მთავარი საქმე ბართობა და დასვენებაა.

XIII ტიპი. „ფსევდოთანამედროვე", როგორც წესი, წარმატებით სწავლობს, ვინაიდან საკმაოდ ნიჭიერია. საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობს, თუკი ავალებენ რამეს. მისდევს სპორტს. გარშემო მყოფთა მიმართ უმეტესად გულგრილია, მისთვის მთავარია საკუთარი წარმატება, უყვარს ყოველივე მოდური. პრესტიჟული. სტუდენტთა ჯგუფის კოლექტივში ყოველივე მოდურისა და თანამედროვეს მცოდნის სახელი აქვს. ხშირად შურთ კოდეც მისი. ურთიერთობას ხშირად უმაღლესი სასწავლებლის გარეთ აბამს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დიდად არ ეპიტნავება განაწილების ადგილზე სამუშაოდ წასვლა, ცდილობს ქალაქში დარჩეს.

XIV ტიპი. „ცენტრის კაცი". როგორც წესი, კარგად სწავლობს, დავალიანებები არ აქვს. იცვამს უკანასკნელ მოდის მიხედვით, ფულს შოულობს იმით, რომ არავითარ სამუშაოზე არ ამბობს უარს. ჯგუფის ამხანაგებს ქედმაღლურად ეპყრობა, ისინი არათანამედროვედ მიაჩნია. დადის თეატრში, ფილმებზე, კონცერტებზე, კითხულობს პოპულარულ „მოდურ" წიგნებს. საკმაოდ ხშირად დადის ბარებსა და რესტორნებში. დროს ატარებს კომპანიაში, სადაც „მორალი წარსულის კატეგორიად" ითვლება, სადაც „მარტივი" ზნე-ჩვეულებები და ურთიერთობები ბატონობს. პოლიტიკურად და ზნეობრივად მაინცდამაინც მდგრადი არ არის. საზოგადოებრივად პასიურია, მაგრამ შეუძლია მარჯვედ შენიღბვა, რომ „სხვაზე ნაკლებად" არ გამოიყურებოდეს. ამიტომაც საზოგადოებ-

რივ მუშაობაშიც მონაწილეობს და სპორტსაც მისდევს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ცდილობს განაწილებას თავი აარიდოს და მაინცდამაინც ქალაქში დარჩეს.

XV ტიპი. „მარჯვე ბიჭი". გართობის მოყვარული, თავისი თავი მიაჩნია „ორიგინალად", თუმცა მორალურად და პოლიტიკურად საკმაოდ არამდგრადია. უმაღლეს სასწავლებელში მოვიდა კარიერის გასაკეთებლად ან იმიტომ, რომ ეს „მოდაშია", „ყველა სწავლობს", „ქარხანაში ხომ არ წავა". ბუნებრივია, რომ სწავლობს მინიმალური ძალის დახარჯვით: სადაც შეიძლება, გაძვრება, გადაწერს, შპარგალკას მოიხმარს, თუ ჩავარდა, წუწუნებს: „გაუგებრობა მოხდა, შევცდი", ამხანაგებს კი ეტყვის, „შპარგალკას ყველა ხმარობს, მე კი უბრალოდ ხელი მომეცარა". მეტწილად უვიცია, თუმცა თვლის, რომ „დახვეწილი ბუნება აქვს", „ხელოვნების ნამდვილი შემფასებელია". საზოგადოებრივი სამუშაოსაგან თავს იძვრენს, სამაგიეროდ ხშირად ჩივის, რომ „კოლექტივში მისი არ ესმით". უყვარს გართობა, ქეიფი, ურთიერთობაში წესიერებით არ ბრწყინავს. თუკი მოახერხა კურსის დამთავრება და დიპლომის აღება, მისი როგორც სპეციალისტის გზა განაწილებაზე უარის თქმით იწყება.

* * *

რასაკვირველია, პიროვნების ესა თუ ის კონსტრუირებული ტიპი არ შეიძლება განვიხილოთ მისი რეალური განვითარების გარეშე ან მივიჩნიოთ, რომ პიროვნება თავიდანვე მაინცადამაინც ერთ რომელიმე ტიპს მიეკუთვნება. არსებობს ეგრეთ წოდებული „გარდამავალი", „გადარეცხილი" ტიპები, ქვეტიპები და ა. შ. მით უფრო უნდა იცოდეს ალმზრდელმა რა ტიპებია მოცემულ კოლექტივში, როგორია მათი რიცხობრივი მიმართება, ძირითადი ნიშნები, განვითარების ტენდენციები.

ცხადია, რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სხვადასხვა კურსზეც კი სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ ყველაზე ძვირფასი თვისებები.

ჩვენი ზემოთ მოტანილი მსჯელობა მეთოდოლოგიური და მე-

ოდიკური ბაზა იქნება სტუდენტთა შორის მოცემული ტიპების გავრცელების ემპირიული შესწავლისათვის. არსებითი კრიტერიუ-ებისა და მაჩვენებლების დაძებნა, მათი წარმომადგენლობის უზ-რუნველყოფა მკვლევრის მნიშვნელოვანი და მძიმე ამოცანაა, რომელიც გადაწყდება არა მარტო ჰიპოთეზების შემუშავების დონეზე, არამედ კვლევის ემპირიული მონაცემების ანალიზითაც. ტიპოლოგიური განაწილების შესახებ სარწმუნო მონაცემების მი-ღება დიდად შეუწყობს ხელს პრაქტიკული რეკომენდაციების მი-ღებას.

საჭირო ეფექტის მისაღწევად აღმზრდელი პირველ რიგში მი-მართავს არა ინდივიდუალურ მხარეს, არამედ იმას, რაც საერთოა, მსგავსია ადამიანთა აზრსა და ქცევაში, რაც გამოხატავს პიროვნე-ბის სოციალურ ტიპს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ჯგუფობ-რივი და კლასობრივი ტიპებიდან პიროვნული გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არის და ყოველთვის იქნება, მაგრამ სოციალური ტი-პები რჩებიან"[1]. ამიტომაც უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ვიპო-�ოთ ის ტიპობრივი, საერთო, რაც აერთიანებს სტუდენტთა სხვა-დასხვა კატეგორიას, და ამის შესაბამისად ვიმუშავოთ, განვსაზღვ-როთ ჩაშოსაყალიბებელ პიროვნებაზე ზემოქმედების ფორმები და მეთოდები.

უდავოა, რომ სტუდენტის ყოველ ტიპს, როგორც ზემოთ ვცა-დეთ გვეჩვენებინა, შეიძლება ჰქონდეს თავისი „ქვეტიპები", ვი-ნაიდან თითოეულ ადამიანს აქვს როგორც დადებითი, ისე უარ-ყოფითი ნიშნები. შემთხვევითი როდია, რომ ტიპოლოგიის განხილ-ვისას სხვადასხვა აუდიტორიაში საბჭოთა კავშირშიც და საზღ-ვარგარეთაც (ბულგარეთში, უნგრეთში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკია-ში, კანადაში, აშშ-სა და შვეიცარიაში) ყველაზე მეტი წინააღმდე-გობა შეხვდა, მაგალითად, „იდეალურ" სტუდენტს. იძულებული გავხდით აგვეხსნა, რომ ეს არის იდეალი, მოდელი, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყოველი სტუდენტი.

„იდეალური სტუდენტი" აბსტრაქცია კი არა, რეალობაა, რო-მელიც ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს უმაღლეს სასწავ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 328.

ლებლებში. მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის რიგებს ავსებენ დიპლომირებული სპეციალისტები, რომლებიც მარჯვედ უხამებენ ერთმანეთს წარმატებულ სწავლასა და აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას.

საგულისხმოდ, სტუდენტთა წრეში (და არა მარტო აქ) ყალიბდება თავისებური „სტერეოტიპი" — „ფრიადოსანი მოზეპირეა", „სამოსანი მომავალში კარგი სპეციალისტია" და ა. შ. ამით ფაქტობრივად ხდება სიზარმაცის გამართლება. უსახურობა და უფერულობა კი თითქმის სათნოებათა რანგშია აყვანილი.

როგორც ითქვა, ჩვენს ქვეყანას სჭირდება ფართო პროფილის მაღალგანვითარებული სპეციალისტი. რომელიც კარგად აერთიანებს დიდ ერუდიციასა და მოქალაქეობრიობას. მაღალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიობას, რომელსაც უყვარს თავისი პროფესია. შეუძლია და ცდილობს კარგად იმუშაოს. არის წარმოებისა და კოლექტივის შესანიშნავი ორგანიზატორი. ღრმად და სერიოზულად არის დაინტერესებული ლიტერატურითა და ხელოვნებით; მას აქვს აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. შეუწყნარებელია კომუნისტური მორალის ანტიპოდების მიმართ.

ახალგაზრდობის სოციალისტური ტიპი აერთიანებს იმ ნიშნებს, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ხალხის საბრძოლო-რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მემკვიდრეობითობას. ეს ტიპი ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს აღმზრდელობითი მოღვაწეობისა და ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ღრმა სოციალური ცვლილებების შედეგად. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ ახალგაზრდობის სოციალისტური ტიპი ასრულებს პიროვნების აღზრდის რთულ პროცესს. ჩვენი ახალგაზრდა თანამედროვის სახე იცვლება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის მსვლელობაში, იგი ახალ-ახალ ნიშან-თვისებებს იძენს. ამ აზრით სოციალისტური ახალგაზრდობის ტიპი ნიადაგ სრულყოფის პროცესშია. გარდა ამისა, ისევე როგორც ყოველგვარი ტიპიზაციის დროს, დგინდება მსგავსება მხოლოდ უმთავრესის მიხედვით. დგინდება ტიპის განმეორებადობა, მდგრადობა, ახალგაზრდა თაობაში მისი გავრცელების ხარისხი და ხვედრითი წონა. რეალურად კი თითოეულ ტიპს საკუთარი თავისებურების ბეჭედი

აზის, მას სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციები და ვარიაციები აქვს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალგვარობას ასახავენ [1].

სოციალურ-ტიპობრივზე აქცენტირება არ აუქმებს უნიკალობასა და შემოქმედებით განუმეორებლობას აღზრდის პროცესში. ტიპობრივი და ინდივიდუალური ავსებს ერთმანეთს. ინდივიდუალობის საზოგადოებრივი ღირებულება ბევრად არის განპირობებული იმით, რომ იგი სოციალურ-ტიპობრივს ეკუთვნის. ამიტომაც ტიპობრივი პიროვნებაში მისი საზოგადოებრივი ჩამოყალიბებისა და განვითარების განუყოფელი თვისებაა.

მომავალი სპეციალისტების მომზადების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ეტაპია უმაღლეს სასწავლებელში ახლად შემოსული ახალგაზრდების პიროვნების შესწავლა. ამ მიზნით ჩვენში ვიყენებთ სხვადასხვაგვარ, მათ შორის მეცნიერულ, მეთოდებს. რიგ უმაღლეს სასწავლებლებში (საქართველოს სსრ, ესტონეთის სსრ, ქ. ლენინგრადი) ტარდება სპეციალური ინტერვიუ (ანკეტირება) აბიტურიენტებისა საბუთების შემოტანის დროს, რის შედეგადაც განისაზღვრება მათი პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიობის, საერთო-საგანმანათლებლო მომზადებისა და საერთო-კულტურული განვითარების დონე. კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს შემდგომ იყენებენ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტთა აღზრდის ორგანიზაციაში.

აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში, განსაკუთრებით სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდის მიზნით, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური კულტურის — პიროვნების სტრუქტურის ძირითადი ბირთვის — განვითარების დონის შესასწავლი მეთოდების შემუშავებას. ე. ი. იმ მეთოდების შემუშავებას, რომელთა მეშვეობითაც ვღებულობთ აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიმართულებით მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის აუცილებელ ინფორმაციას. ამ მიზნის მისაღწევად გვჭირდება უმაღლეს

---

[1] იხ. ს. იკონიკოვა. ახალგაზრდობა: სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი, ლ., 1974.

სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტთა პოლიტიკური კულტურის დონის შესწავლა ტიპოლოგიზაციის მეთოდის საშუალებით. ეს შესწავლა ხდება უმაღლეს სასწავლებელში შემოსვლამდე სტუდენტთა პოლიტიკური ცხოვრების ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნული ტიპოლოგიზაციის ძირითადი კრიტერიუმები და მაჩვენებლებია:

1. მუშათა კლასის წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება;

ა) ოჯახში; ბ) საწარმოო კოლექტივში, აქ მუდმივად მუშაობასთან დაკავშირებით; გ) საწარმოო კოლექტივში, აქ დროებით ყოფნასთან დაკავშირებით; დ) მეგობარ-ამხანაგების ოჯახებში.

2. გლეხობის წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება:

ა) ოჯახში; ბ) საწარმოო კოლექტივში, აქ მუდმივად მუშაობასთან დაკავშირებით; გ) საწარმოო კოლექტივში, აქ დროებით ყოფნასთან დაკავშირებით; დ) მეგობარ-ამხანაგების ოჯახებში.

3. ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება:

ა) ოჯახში; ბ) საწარმოო კოლექტივში, აქ მუდმივად მუშაობასთან დაკავშირებით; გ) საწარმოო კოლექტივში, აქ დროებით ყოფნასთან დაკავშირებით; დ) მეგობარ-ამხანაგების ოჯახებში.

4. საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებთან ურთიერთობის გამოცდილება:

ა) ოჯახში; ბ) შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან დაკავშირებით; გ) სამხედრო ნაწილში, ქვეგანაყოფში, აქ დროებით ყოფნასთან დაკავშირებით; დ) მეგობარ-ამხანაგების ოჯახებში.

5. საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება:

ა) ოჯახში; ბ) საწარმოო კოლექტივში, სამხედრო ნაწილში, ქვეგანაყოფში, აქ მუდმივად მუშაობასთან, სამსახურთან დაკავშირებით; გ) საწარმოო კოლექტივში, სამხედრო ნაწილში, ქვეგანაყოფში, აქ დროებით ყოფნასთან დაკავშირებით; დ) მეგობარ-ამხანაგების ოჯახებში.

6. საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება:

ა) ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ ხანგრძლივად ყოფნის დროს, იქ მუშაობასთან, სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით; ბ) საზღვარგარეთ ხანმოკლე დროის განმავლობაში ყოფნის დროს; გ) ხანგრძლივი ურთიერთობა საკუთარ ქვეყანაში, დ) ხანმოკლე შეხვედრები საკუთარ ქვეყანაში.

7. კომკავშირში საზოგადოებრივი მუშაობის გამოცდილება:

ა) არჩევითი ხელმძღვანელი სამუშაო; ბ) მუდმივი დავალებების შესრულება კომკავშირულ, პიონერულ ორგანიზაციაში; გ) მუდმივი კომკავშირული დავალების შესრულება პროფკავშირულ, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში; დ) ცალკეული კომკავშირული დავალებების შესრულება.

8. პირველადი კოლექტივის ხელმძღვანელობის გამოცდილება:

ა) შრომითი (ბრიგადირი და სხვ.); სამხედრო (ათეულის მეთაური, ოცეულის მეთაურის თანაშემწე და სხვ.); ბ) სასკოლო (კლასის მამასახლისი); გ) სხვა (საგნობრივი წრის მამასახლისი, სპორტული გუნდის კაპიტანი და სხვ.); დ) პიონერული.

9. სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება:

სემინარის, წრის, ჯგუფის ხელმძღვანელობაში მონაწილეობა შეიარაღებული ძალების (ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე) პოლიტმეცადინეობის სისტემაში, პოლიტიკურ სწავლებაში, კომკავშირულ განათლებაში (სემინარის, წრის, ჯგუფის, მამასახლისი); ბ) პოლიტინფორმატორი; გ) აგიტატორი; დ) ცალკეული პოლიტიკური საუბრების ჩატარება.

10. პოლიტიკური ცოდნის მიღების გამოცდილება (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, საწარმოო-ტექნიკური სასწავლებლის, საშუალო სპეციალური სასწავლებლის პროგრამებით გათვალისწინებულის გარდა):

ა) შეიარაღებულ ძალებში პოლიტმეცადინეობის, პოლიტიკური სწავლების, კომკავშირული განათლების სისტემებში; ბ) პოლიტიკური ინფორმაციის რეგულარული აქტიური ათვისება (გაზეთების, პოლიტიკური ლიტერატურის კითხვა); გ) პოლიტიკური ინფორმაციის რეგულარული პასიური ათვისება (ტელეგადაცემების ნახვა, რადიოგადაცემების მოსმენა, პოლიტიკურ თემებზე ლექციების, მოხსენებების მოსმენა); დ) პოლიტიკური ინფორმა-

ციის ათვისების აქტიური და პასიური ფორმების არარეგულარული გამოყენება. თითოეული კრიტერიუმის მეხუთე მაჩვენებელია აღნიშნული ნიშნების არარსებობა.

ინფორმაცია კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების მოცემული სისტემის თაობაზე შეიძლება მივიღოთ როგორც უმაღლეს სასწავლებლებში შემოწმებულებთან უშუალო საუბრით, ისე სათანადო დოკუმენტის (ანკეტა, ინტერვიუს ბლანკი) შევსებით. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები გამოიყენება სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების დროს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ახალმოღებული სტუდენტების ჩასართავად. დამრიგებელთა მიმაგრებისას, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სამუშაოში საჭირო ღონისძიებების დასაგეგმავად. მათ ვითვალისწინებთ საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლებისას, ინდივიდუალურ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის ყოფნის მთელი პერიოდისათვის ინდივიდუალური პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს.

ზემოთ მოტანილი კრიტერიუმების სისტემა სათანადო გადამუშავების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველწლიური ლენინური ჩათვლების (ატესტაციის) ჩატარების დროს იმ მიზნით, რომ საერთო წარმოდგენა გვქონდეს სტუდენტებში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე.

ეს მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც ვადგენთ პირველადი ინფორმაციის შეგროვების შესახებ დოკუმენტს შემდგომ მანქანით გადასამუშავებლად, რათა შევისწავლოთ სტუდენტთა პოლიტიკური კულტურის ფორმირების პროცესის. ტენდენციების, ეფექტიანობის თავისებურებები უმაღლეს სასწავლებელში მათი სწავლების პერიოდში, რათა გაეცნოთ ცვლილებებს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა კოლექტივების ტიპოლოგიურ დახასიათებებში შემდგომი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

საბჭოთა სტუდენტები, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები — ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ღვიძლი შვილები — კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ყოველწლიურად სულ უფრო მზარდ იდეურ-პოლიტიკურ ერთიანობას

ამყოვანებენ მთელ ხალხთან, რაც ვლინდება ცოდნით, საქმით, ურთიერთობით.

სტუდენტი ახალგაზრდობის სოციალისტურ ტიპს აქვს თვისებები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების მემკვიდრეობითობას. ეს ტიპი ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს აღმზრდელობითი მოღვაწეობის შედეგად და ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ღრმა სოციალური გარდაქმნების ნაყოფია. ამასთან ერთად, იგი პიროვნების აღზრდის რთული პროცესის საბოლოო შედეგი როდია. ჩვენი ახალგაზრდა თანამედროვის სახე იცვლება სოციალისტური საზოგადოების, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფასთან ერთად, იძენს ახალ-ახალ ნიშან-თვისებებს. ყოველივე აქედან გამომდინარეობს:

1. სოციალური თვალსაზრისით სტუდენტობა, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ჯგუფი, შემადგენლობითა და კლასობრივი შეგნების განვითარების დონით რთული ჯგუფია, რომელიც დინამიკურად იცვლება უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის პერიოდში როგორც სოციალური წარმოშობის, ისე ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენლებთან ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ჩაბმის გამო. ეს ცვლილება გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულის ჩასართავად ინტელიგენციის სოციალურ ფენაში.

ამ ჯგუფში შემავალ სტუდენტ ახალგაზრდებს აქვთ სპეციფიკური ჯგუფური და ინდივიდუალური თავისებურებები, როგორიცაა პოლიტიკური, სოციალური, სულიერი, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ფსიქო-ფიზიოლოგიური და სხვ. ნიშნები.

2. ჯგუფის რთული სოციალური სტრუქტურისა და სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით კომუნისტური აღზრდის სისტემაში საჭიროა აღვრიცხოთ სხვადასხვა დონეზე როგორც თითოეული სტუდენტის ტიპოლოგიური თავისებურებები, ისე ინდივიდუალური ნიშნები.

3. ჯგუფის სოციალური სტრუქტურის, ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებების სირთულე მოითხოვს მეცნიერული მიდგომის მაღალ დონეს, კომუნისტური აღზრდის სისტემისა და პროცესების შესწავლის, მართვისა და ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების შემუშავებას.

პოლიტიკური კულტურა. მომავალ სპეციალისტთა მსოფლმხედველობრივი აღზრდა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ ახალი ამოცანები დასახა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის სფეროში. ჩვენი პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში ხაზგასმით არის მითითებული: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნიადაგ იზრუნებს იმისათვის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი ღრმად ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, იმაღლებდეს პოლიტიკურ კულტურას, შეგნებულად მონაწილეობდეს პარტიის პოლიტიკის შემუშავებაში და აქტიურად ახორციელებდეს მას“ [1].

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნის სისტემის აქტიური ათვისება და მათ საფუძველზე შემუშავება ღრმა პირადი მრწამსისა. რომელიც სტუდენტების აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად გადაიქცევა, მიმდინარეობს სწავლების პერიოდში სასწავლო პროცესის ყველა ფორმაში აქტიური მონაწილეობით, უმაღლესი სასწავლებლის, მისი კოლექტივების ცხოვრების ყველა სფეროში მოღვაწეობით, სტუდენტთა მთელი პრაქტიკული საქმიანობით.

სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის ამოცანათა კომპლექსური გადაწყვეტისას წამყვანი მიმართულებაა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. განვითარებული სოციალიზმის პირობებში თითოეული მოქალაქის, განსაკუთრებით სტუდენტისა და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტის — უმაღლესდამთავრებულის მთავარი მახასიათებელია პოლიტიკური კულტურის დონე, საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმის ხარისხი. სტუდენტისა და უმაღლეს-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 139.

დამთავრებულის მთელი საქმიანობის იდეურ-პოლიტიკური დონე არის ცენტრალური და მთავარი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მისი ცნობიერების ყველა ელემენტის განვითარების დონეს. მის რეალურ ქცევას ცხოვრებაში, შემეცნების პროცესში, შრომაში, ურთიერთობაში. სკკპ XXVII ყრილობამ მაღალი შეფასება რომ მისცა ჩვენს მიღწევებს იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, ამავე დროს აღნიშნა ნაკლოვანებები და გადასაწყვეტი საკითხები.

აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისა და სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის სისტემის, მათ შორის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის კომპლექსის ეფექტიანი მართვის ამოცანების გადაწყვეტის გზების შესახებ პარტიის მითითებათა შესასრულებლად მასტიმულირებელი როლი მიეკუთვნება მეცნიერულ სიტყვათხმარებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში „პოლიტიკური კულტურის“ ცნების შემოღებას.

ბოლო ხანებში ეს ცნება სულ უფრო ხშირად მოიხმარება ცოდნის სხვადასხვა სფეროში (მეცნიერული კომუნიზმის თეორია, სოციოლოგია, სამართალი, კომუნისტური აღზრდის, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის თეორია). იგი დამკვიდრდა საზღვარგარეთის პოლიტიკური მეცნიერების არსენალში.

ინდივიდის პოლიტიკური კულტურის სისტემაში შედის პოლიტიკური ცოდნა, ღირებულებითი ორიენტაციები, იდეალები, მრწამსი, მათთან მჭიდროდ დაკავშირებული უნარები, ჩვევები, ქცევისა და საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ნიმუშები, მათი ემოციური შეფასება, მოტივები.

ინდივიდის პოლიტიკური კულტურა საერთოდ კულტურის სპეციფიკური სახესხვაობაა. იგი გვიხასიათებს მის მონაწილეობას საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, გარკვეულ თვისებებს, სულიერ-პრაქტიკული საქმიანობისა და ურთიერთობების წესს. პოლიტიკური კულტურის განვითარების დონის მთავარი კრიტერიუმია მისი კლასობრივი მიმართულება. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინმა პოლიტიკა განსაზღვრა როგორც ურთიერთობა, ბრძოლა კლასთა შორის სახელმწიფო ძალაუფლებისათვის, როგორც მონაწილეობა სახელმწიფოს საქმეებში, რაზეც არ უნდა ემსჯელა, — ეკონომიკასა თუ სამართალზე, რელიგიასა თუ მორალზე, — იგი მუდამ გამოყოფდა პრობლემის პოლიტიკურ ღერძს, ე. ი. პრობ-

ლემას მუდამ უკავშირებდა ძალაუფლებისათვის კლასების ბრძოლას, რევოლუციური მოძრაობის ინტერესებს, სოციალისტურ საწყისებზე მსოფლიო გარდაქმნის ძირეულ ამოცანებს.

საზოგადოებრივ მოვლენათა ანალიზისა და შეფასებისადმი კლასობრივი მიდგომა მარქსიზმ-ლენინიზმის უმთავრესი მეთოდოლოგიური პრინციპია. ვ. ი. ლენინს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს კლასობრივი მიდგომის, მებრძოლი პარტიულობის აუცილებლობა პროპაგანდისა და აგიტაციის, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი პროცესის ორგანიზაციისათვის, ნაშრომში „სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა“ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ უპარტიობა არის გულგრილობა პარტიების ბრძოლის მიმართ... უპარტიობა არის ბურჟუაზიული იდეა. პარტიულობა კი არის სოციალისტური იდეა. „პროლეტარული კულტურის შესახებ“ რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ „საქმის მთელი დაყენება... პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დარგში... გამსჭვალული უნდა იყოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით, მისი დიქტატურის მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის, ე. ი. ბურჟუაზიის დამხობის, კლასების მოსპობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობისათვის“ [1].

„პოლიტიკური კულტურის“ ცნება, როგორც მასის, ჯგუფის, ადამიანის, პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, ამ ცოტა ხნის წინათ იშვიათად გამოითქმებოდა ტერმინით „პოლიტიკური კულტურა“. ამავე დროს ყოველივე ის, რასაც თანამედროვე ავტორები ამ ცნებაში გულისხმობენ, გაანალიზებულია ვ. ი. ლენინის შრომებში. ვ. ი. ლენინის შრომებში ღრმა დამუშავება პოვა პროლეტარიატის, გლეხობის, მშრომელთა სხვადასხვა ფენისა და ახალგაზრდობის, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნების რევოლუციური ახალგაზრდობის, პოლიტიკური აღზრდის საკითხებმა[2]. აქ მოცემულია დებულებები პოლიტიკური აღზრდის საგ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 382.

[2] იხ. მაგ. ა. გ. დატიაევი, პოლიტიკური აღზრდის პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნების ახალგაზრდობასთან ვ. ი. ლენინის რევოლუციური კავშირურთიერთობის მაგალითზე, საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია „ლენინი და ახალგაზრდობა“, მ., 1974.

ნის შესახებ (პოლიტიკური განათლებულობა, პოლიტიკური შეგნებულობა. პოლიტიკური საქმიანობა, პოლიტიკური აქტიურობა), ჩამოთვლილია და დაკონკრეტებულია პოლიტიკურად განვითარებული ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ვ. ი. ლენინის შრომებში მოცემულია დებულებები მშრომელების, ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის მიზნებისა და ამოცანების, ფორმებისა და მეთოდების შესახებ, რომელთაც გარდაუვალი მნიშვნელობა აქვთ.

საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ სახესთან დაკავშირებულ საკითხებს მეცნიერთა ყურადღება მიეპყრო საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე. პოლიტიკური აღზრდის პრობლემებს საბჭოთა კავშირში იკვლევდნენ ჯერ კიდევ 20-იან წლებში. „განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო წითელარმიელის ზეპირი და წერილობითი ლექსიკონისა და „პოლიტზემოქმედების მუშაობის“ ლექსიკონის შესწავლა“ [1]. ამ კვლევაში გამოყენებულ იქნა საკვლევ მუშაობაში იშვიათად ხმარებული კონტენტ-ანალიზის მეთოდი, მათ შორის „დაფიქსირებული ტექსტის სტატისტიკური შესწავლის“ მეთოდი [2]. ამ წლებში სოციოლოგები და ფსიქოლოგები იკვლევდნენ საბჭოთა გაზეთების, მშრომელთა წერილების შინაარსს. ამ კვლევის შედეგად მიღებულ იქნა მდიდარი ემპირიული მასალა, რომელსაც პარტია იყენებდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდაში[3].

ამჟამად პოლიტიკური კულტურის კვლევა ბევრ სამეცნიერო ცენტრში მიმდინარეობს [4], ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები. გამოკვლევები შეიცავს მდიდარ მონაცემებს პოლიტიკური კულტურის შინაარსის პროფესიულ შრომით ზნეობრივ კულტურასთან კავ-

---

[1] სოციალური ფსიქოლოგიის მეთოდები, ე. ს. კუზმინის, ვ. ე. სებიონოვის რედ., ლ., 1977, გვ. 46.

[2] ნ. ა. რიბნიკოვი, მუშათა ავტობიოგრაფიები და მათი შესწავლა, მ.—ლ., 1930, გვ. 40—43.

[3] იხ. მაგ., ვ. ა. კუზმიჩოვი, ბეჭდვითი აგიტაცია და პროპაგანდა, მ.—ლ. 1930, გვ. 37—38.

[4] იხ. ნ. მ. ბლინოვი და სხვ., პოლიტიკური კულტურა და ახალგაზრდობა, გვ. 6.

შირის შესახებ, ამ შინაარსში ინდივიდის მთელ ცხოვრებასთან მისი პოლიტიკური მიმართების შესახებ.

მაშასადამე, სტუდენტის პოლიტიკური კულტურაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთო კულტურის სხვა ელემენტებთან, განსაკუთრებით ზნეობრივ და პროფესიულ-შრომით კულტურასთან. სტუდენტის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება იდეურ-პოლიტიკური რწმენის, ქცევის, მთელი ცხოვრების პოლიტიკური და ზნეობრივი მოტივირების, სასწავლო პროცესთან და ყოველგვარ შრომით საქმიანობასთან (რომელიც პროფესიონალისა და მოქალაქის ფუნქციის შესასრულებლად მომზადებასთანაა დაკავშირებული) პასუხისმგებლური, შემოქმედებითი დამოკიდებულების მტკიცე ერთობლიობით.

ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობას განაპირობებს ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფაქტორი, როგორიც არის ის გარემოება, რომ გამწვავდა ორი მსოფლიო სისტემის იდეური დაპირისპირება, გაიზარდა ომის საფრთხე, გააქტიურდა კლასობრივი მოწინააღმდეგის პროპაგანდისტული საშუალებები, გაძლიერდა საბჭოთა ადამიანების ცნობიერებაზე ნეგატიური გავლენის მოხდენის ცდები.

ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ. პარტია გვასწავლის, რომ ვიჩენდეთ პოლიტიკურ სიფხიზლეს. თავი არ უნდა დავიმშვიდოთ იმით, რომ საბჭოთა ადამიანთა უდიდეს უმრავლესობაზე გავლენას ვერ ახდენს ანტიკომუნისტური პროპაგანდა. უმრავლესობაზე ვერ ახდენს, მაგრამ ზოგიერთი მერყეევი ხომ ხანდახან ექცევა ამ ზემოქმედების გამხრწნელი გავლენის ქვეშ. ბურჟუაზიული პროპაგანდისტები ცდილობენ საბჭოთა ახალგაზრდებს ჩააგონონ, თითქოს თანამედროვე პირობებში ქრება კლასობრივი საზღვრები, მოძველებული და საზრისგამოცდილია ცნებები „კლასი“, „ექსპლუატაცია“ და თითქოს დროა ისინი რაც შეიძლება სწრაფად შეიცვალოს ტერმინით „საერთო-რეალობის სიმდიდრე“. თითოეულ ალმზრდელს უნდა ახსოვდეს, რომ საუკეთესო კონტრპროპაგანდა არის სიმართლე სოციალისტური ცხოვრების წესის, მისი ღირებულებისა და დროებითი ნაკლოვა-

ნებების შესახებ. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ფერების გამუქებამ, ნაკლოვანებების მეტისმეტად გაზვიადებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის მიერ უფროსი თაობების გამოცდილების შეუფასებლობა, ჩამოაყალიბოს პიროვნების ისეთი უარყოფითი ნიშნები, როგორიცაა ნიჰილიზმი, სხვათა კმაყოფაზე მყოფის ფსიქოლოგია, დიდი წარმოდგენა თავის თავზე, ამავე დროს გადაუწყვეტი ამოცანების მიჩნევა შესრულებულად ბადებს ცინიზმსა და ურწმუნობას საზოგადოებრივი იდეალების მიმართ.

რასაკვირველია, ყველა მყისვე ვერ შეიგნებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას. ჩვენი საზოგადოება ყოველნაირად ცდილობს პიროვნებას ღირსეული მოქალაქეობრივი პოზიცია ჩამოუყალიბდეს.

მოქალაქეობა როდია მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი აღზრდის მოთხოვნა. იგი პრინციპია, რომელიც გამოხატავს ჩვენი საბჭოური ცხოვრების წესის ერთ-ერთ უარსებითეს მხარეს.

სტუდენტის საერთო კულტურის ფორმირების, მის ელემენტებს შორის, უპირველესად, პოლიტიკურ, პროფესიულ-შრომით ზნეობრივ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის კანონზომიერებათა რეალიზაცია ხდება სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის მართვით, მიზნების, ამოცანების დასახვის მეშვეობით აღზრდის პროცესების ორგანიზაციის, იმ ეფექტიანი მეთოდებისა და საშუალებების შერჩევით, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნულ კავშირთა ყველაზე სრულად გათვალისწინებას. მაგალითად, სტუდენტთა რეალური მონაწილეობა სულიერი თუ მატერიალური წარმოების სფეროში, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში უნდა უზრუნველვყოთ იმით, რომ ნათელი წარმოდგენა შევუქმნათ მათ თავიანთი შრომის პოლიტიკური, ზნეობრივი მნიშვნელობის შესახებ.

უმაღლეს სკოლაში საზოგადოებისათვის საჭირო სპეციალისტების აღზრდისა და მომზადების ამოცანათა კომპლექსური გადაწყვეტის პრობლემა უნდა განვიხილოთ მარქსისტულ-ლენინური, პროფესიული განათლებისა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში სტუდენტთა მონაწილეობის პროცესში ზემოქმედებითი თვისებების ჩამოყალიბების ურთიერთკავშირის თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის ამ სამი შემადგენელი ნაწილის მჭიდრო კავში-

რის დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ასპექტია მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციისა თანამედროვე საბჭოთა უმაღლეს სასწავლებელში, ეს არის საბჭოთა უმაღლესი სკოლის წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი გზა. რასაკვირველია, ამ ამოცანების გადასაწყვეტად უმაღლესი სკოლის ყველა რგოლის მუშაობის გენერალური გეზია ცხოვრებასთან, სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებთან უმაღლესი სკოლის კავშირის განმტკიცება, რაც სულ უფრო მეტად გამოიხატება განათლების, მეცნიერებისა და წარმოების სულ უფრო მეტი შერწყმით, ინტეგრაციით.

ამ კომპლექსის გამოყოფისას ჩვენ, ჯერ ერთი, ვეყრდნობით უმაღლესი სკოლის სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის ყველა ამოცანის გადაწყვეტის რეალურ კომპლექსურ ხასიათს, ე. ი. აღვნიშნავთ, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის აღნიშნული სამი კომპონენტის გამოყოფა პირობითია. მეორეც, სასწავლი პროცესს განვიხილავთ მხოლოდ მის აღმზრდელობითი მნიშვნელობის ასპექტით.

თანამედროვე ახალგაზრდების, მათ შორის სტუდენტების, მთავარი მახასიათებელია მსოფლმხედველობრივი მომზადების დონე. სწორედ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, პრაქტიკულ ამოცანათა რეალიზაციაში სტუდენტების აქტიურად ჩაბმასთან ერთად, შეადგენს სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემის მართვისადმი კომპლექსური მიდგომის უმნიშვნელოვანეს პირობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში აღნიშნულია, რომ სკკპ „საბჭოთა ადამიანებს გამოუმუშავებს დიდ პოლიტიკურ შეგნებასა და სიფხიზლეს, უნარს — მტკიცე კლასობრივი პოზიციებიდან აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, იცავდნენ სოციალისტური საზოგადოების იდეალებსა და სულიერ ღირებულებებს“ [1].

მსოფლმხედველობა არის მთლიანად სამყაროზე, სოციალურ და ბუნებრივ სინამდვილეზე შეხედულებების სისტემა, იმ იდეალებისა და რწმენის ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას, იგია საზოგადოებაში დამკვიდრებული და დამკვიდ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 141.

რების პროცესში მყოფი კომუნისტურ იდეალებთან დაკავშირებული მორალური ნორმებისა და ღირებულებების შეგნება, ადამიანის მიერ საზოგადოებაში თავისი ადგილის, მეცნიერული იდეალების დანახვა. დასასრულ, მსოფლმხედველობა არის ბუნებათმეცნიერული და სოციალური შეხედულებების ერთიანი სისტემა.

კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ცოდნის სერიოზულ და სისტემატურ ათვისებას, მეხსიერების გამდიდრებას, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია"[1].

ჩამოყალიბებული კომუნისტური მსოფლმხედველობა არის პიროვნების აღზრდის დონის უმაღლესი მაჩვენებელი.

თითოეული სოციალური ჯგუფის მსოფლმხედველობა თავისებურად ყალიბდება საზოგადოებაში მისი ადგილის მიხედვით. საყოველთაოდ ცნობილია ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ინჟინერი კომუნიზმის აღიარებამდე მივა არა ისე, როგორც მივიდა იატაკქვეშელი-პროპაგანდისტი, ლიტერატორი, არამედ თავისი მეცნიერების მონაცემთა საშუალებით... თავისებურად მივა კომუნიზმის აღიარებამდე აგრონომი, თავისებურად — მეტყევე და ა. შ."[2].

მთავარი როლი მსოფლმხედველობის სოციალურ ორიენტაციაში მიეკუთვნება პოლიტიკურ, სამართლებრივსა და ზნეობრივ ურთიერთობებს, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნების პოზიციას საზოგადოებრივი სიტუაციის შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. ზუსტად ასეთივე როლი აქვს მეცნიერული მსოფლმხედველობისათვის შესაბამის სოციალურ ინფორმაციასაც[3].

მსოფლმხედველობა ადამიანის პიროვნების რთული ნიშან-თვისებაა, ვ. ს. ოვჩინიკოვი მსოფლმხედველობის ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური ასპექტების კვლევის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა აგრეთვე მისი ისტორი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 344.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 169.

[3] იხ. ვ. რ. ბ უ კ ი ნ ი, მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, ლ., 1983 (რუს.).

ული, ფსიქოლოგიური და აქსიოლოგიური ასპექტების შესწავლა'. „პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი რთულია და განსხვავდება ცოდნის დაუფლებისაგან, — აღნიშნავს იგი, — ცოდნა მეცნიერული მსოფლმხედველობის საფუძველია, მაგრამ... მსოფლმხედველობა ცოდნაზე არ დაიყვანება, ის აუცილებლად შეიცავს სინამდვილის შეფასებას, რაც განპირობებულია პიროვნების ცხოვრებისეული პოზიციით"[2].

ამრიგად, მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას ახასიათებს არა მარტო ცოდნის სისტემა, მას განსაზღვრავს ადამიანის სოციალური პოზიცია, რომელიც გულისხმობს:

ა) ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ძირითადი კანონების, კაპიტალისტური და კომუნისტური ფორმაციების ძირითადი კანონის ცოდნას;

ბ) მუშათა კლასის ინტერესებისა და იდეოლოგიის თვალსაზრისით, მაშასადამე, სინამდვილის ობიექტური კანონების, ისტორიული განვითარების ტენდენციებისა და პრობლემების თვალსაზრისით მეცნიერულად დასაბუთებულ შეფასებას;

გ) ამ საფუძველზე ჩამოყალიბებულ კომუნისტურ მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, რწმენასა და იდეალებს, რომლებიც ხორცს ისხამენ თითოეული საზოგადოებრივი სუბიექტის (კლასი, სოციალური ფენა, კოლექტივი, პიროვნება) საქმიანობის ყველა მიმართულებით;

ყველა ეს მხარე დიალექტიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში ერთიანად მონაწილეობს. კომუნისტური მსოფლმხედველობის მთავარი ნიშანია სოციალიზმის და კომუნიზმის უსაზღვრო ერთგულება.

საბჭოთა უმაღლესი სკოლის პირობებში სწავლება და აღზრდა გამოირჩევა იმით, რომ მიმართულია მეცნიერულად დასაბუთებული იდეური მრწამსის შემუშავებისაკენ.

---

[1] იხ. ვ. ს. ოვჩინიკოვი, მსოფლმხედველობა როგორც საზოგადოების სულიერი ცხოვრების მოელენა (ცნებათა ანალიზის ცდა), ლ., 1978, გვ. 32 (რუს.).

[2] იქვე, გვ. 44.

ამ მრწამსის ძირითადი ელემენტებია: მთელი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შეგნებულად ათვისება; მარქსისტული თეორიის ჭეშმარიტებისა და პროგრესული ხასიათის გაგება და შეგნება და არა ცარიელი რწმუნება; იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ მარქსისტულ თეორიაში ახსნილი სოციალური კანონზომიერებები და აქედან გამომდინარე პრაქტიკული შედეგები გამოხატავს მშრომელთა ძირეულ მატერიალურ და სულიერ ინტერესებს; აქტიური-ნებელობითი ქცევა მარქსიზმის რევოლუციური იდეების განსახორციელებლად პრაქტიკული საქმიანობის პროცესში.

კომუნისტური იდეური მრწამსი გულისხმობს ადამიანის თეორიული ცოდნისა და რეალური ურთიერთობების სიმდიდრეს, ცხოვრებაზე, სამყაროზე მისი შეხედულებების ფართო ჰორიზონტსა და სიღრმეს, განვითარებულ გრძნობებს, განათლებულობას, ადამიანებთან დამოკიდებულების კულტურას. ყოველივე ეს შეადგენს სწორედ პიროვნების განვითარების საფუძველს. მრწამსი გვევლინება როგორც ცოდნის, შეფასების, ემოციებისა და ქცევის სინთეზი და შენადნობი.

მრწამსი და მსოფლმხედველობა მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. მტკიცე კომუნისტური იდეური მრწამსი ადამიანის პიროვნების მოქალაქეობრივი სიმწიფისა და სულიერი თვითმყოფობის უმთავრესი ნიშანია.

კომუნისტური იდეური მრწამსი ჩვენ გვესმის როგორც ცხოვრებისეული გამოცდილებითა და გრძნობებით გაშუქებული ღრმა, მტკიცე ცოდნა, მიზანდასახული მოქმედების საფუძვლად, სტიმულად რომ იქცევა, ე. ი. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნაზე დამყარებული კომუნისტური იდეურობა არის შეგნებული და მტკიცე ზნეობრივი და პოლიტიკური ორიენტაცია და პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის აქტიურ და მიზანდასახულ მონაწილეობას კომუნისტურ მშენებლობაში. მრწამსი გამომდინარეობს გრძნობითა და გამოცდილებით შემოწმებული ცოდნისაგან. ამით იგი ძირეულად განსხვავდება რწმენისაგან, რომლისთვისაც მიუღებელია გამოცდილება და ზრდა, რომელიც ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას ეყრდნობა ავტორიტეტს როგორც

უმაღლეს ინსტანციას. რწმენა ნიშნავს იდეის ბრმად მიყოლას, თუნდაც ეს იდეა სრულიად მცდარი იყოს. სწორედ ეს არის მისი სისუსტე. რწმენის დამარცხება გაცილებით ადვილია, ვიდრე მრწამსისა, ვინაიდან მას, ვისაც სწამს, შეიძლება დაკარგოს რწმენა, თუ დაინახა, რომ სინამდვილე ვერ თავსდება მოცემულ დოგმებში. ის კი, ვინც შეიარაღებულია ცოდნით და გამოცდილებით, ვისაც ესმის ისტორიული განვითარების კანონები, არ დაიბნევა, თუ შეამჩნია, რომ მისი წარმოდგენების ნაწილი არ ემთხვევა ცხოვრების პრაქტიკას. იგი ან დააზუსტებს, ან შეცვლის ამ წარმოდგენებს. იმისათვის, რომ ადამიანმა იმოქმედოს, საჭიროა თავისი შეხედულებების დაცვა, საჭიროა აზროვნების, შედარების, განცდების შედეგად მიღებულ მტკიცე ცოდნაზე დამყარებული ღრმა კომუნისტური მრწამსი.

ჩვენ გვჭირდება ადამიანები, წერდა ვ. ი. ლენინი, „რომელთა შესახებ დანამდვილებით ვიცით, რომ არც ერთ სიტყვას უსაბუთოდ არ მიიღებენ, არც ერთ სიტყვას სინდისის წინააღმდეგ არ იტყვიან, — არ შეუშინდნენ არავითარ სიძნელის აღიარებას და არ შეუშინდნენ არავითარ ბრძოლას სერიოზულად დასახული მიზნის მისაღწევად“ [1].

მრწამსად ცოდნის გადაქცევის მთავარი პირობაა კრიტიკული მიდგომა მოვლენებისადმი, სხვადასხვა თვალსაზრისის შედარების უნარი.

ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულ ქალიშვილს, რომელიც ბაპტისტთა სექტის წევრი აღმოჩნდა, ჰკითხეს: „როგორ მოხდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდით მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, „ფრიადზე“ ჩააბარეთ ეს საგანი, ღმერთი კი გწამთ?“ „სემინარებსა და გამოცდებზე, — უპასუხა მან, — მეკითხებოდნენ თუ რას ამბობდნენ ამა თუ იმ საკითხზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, ნიშნები ცოდნაში მივიღე. მრწამსი კი სულ სხვაგვარი მაქვს. მე მორწმუნე ვარ“.

მრწამსის არსებითი ნიშანია იმ იდეის მხარდაჭერა, რომელსაც ადამიანი, პარტია, კლასი სამართლიანად და სწორად მიიჩნევენ. კ. მარქსი ერთ-ერთ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნის-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 578.

ტური იდეები, რომლებიც იპყრობენ ჩვენს აზრებს, იმორჩილებენ ჩვენს მრწამსს და რომლებმაც გონება მიაჯაჭვეს ჩვენს სინდისს,— ესაა იმგვარი კვანძები, რომლებისგანაც გულის დაუფლეთავად თავს ვერ დააღწევ [1].

მრწამსი გულისხმობს თვითმყოფ აზროვნებას. ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ" ვ. ი. ლენინი მიმართავს მსმენელებს: „უმთავრესი... ის არის, რომ წიგნების კითხვამ, საუბრებმა და ლექციებმა, რასაც თქვენ სახელმწიფოს შესახებ მოისმენთ, შეგძინოთ უნარი ამ საკითხისადმი დამოუკიდებელი მიდგომისა..." [2] და იქვე დასძენს: „მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ ამ საკითხში — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საკმაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის" [3].

მრწამსი მოიცავს არა მარტო გონებას, არამედ ადამიანის გულსაც. სწორედ მაშინ არის იგი მოქმედების სახელმძღვანელო. თუ ცოდნა მრწამსად არ იქცა, იგი უქმია.

ხაზგასმით ვამბობთ: ცოდნის დაუფლება არ არის საკმარისი, ცოდნა ცხოვრებით უნდა შემოწმდეს. მხოლოდ დაზეპირებული და დასწავლილი ლოზუნგი უცილობლად დოგმად იქცევა. ცოდნა თავისთავად ჯერ კიდევ არ არის არც მსოფლმხედველობა, არც მრწამსი. იგი მხოლოდ მასალაა, რომელიც უნდა შეივსოს ცხოვრების გამოცდილებით, ადამიანის აზრის აქტიობით. პრობლემა ის არის, თუ რამდენად ეხმარება ადამიანს ცოდნა საკუთარი პოზიციის, მსოფლმხედველობის, შეხედულებების შემუშავებაში.

კომუნისტური იდეების ჭეშმარიტობის ღრმა რწმენა, რაც მეცნიერული მსოფლმხედველობის დაუფლების შედეგია, და აქტიური ბრძოლა მათი განხორციელებისათვის განაპირობებენ პიროვნების მთლიანობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კომუნიზმისათვის მებრძოლი.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 1, გვ. 118 (რუს.).
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 553.
[3] იქვე, გვ. 554.

გასულ საუკუნეში დ. პისარევი წერდა: „მზამზარეულ მრწამს ვერც ნაცნობს სთხოვთ, ვერც წიგნის დუქანში იყიდით. იგი უნდ შეიმუშავოთ საკუთარი აზროვნების პროცესის შედეგად, რომელიც დამოუკიდებლად, თქვენს საკუთარ გონებაში მიმდინარეობს“ [1].

მრწამსის სიმტკიცე გარკვეულწილად მოწმდება შეხედულებების ჭიდილით, მაგრამ ამისათვის საჭიროა ფიქრიც, განცდაც: მოქმედების სურვილიც, და რაც მთავარია, მოქმედების უნარიც. ვინაიდან მრწამსი, რომელიც ენის წვერზეა, მრწამსი კი არა, ჰაერის უბრალო შერხევაა.

შეიძლება დაუსრულებლად მოიხმო მარქსის ციტატები და მარქსისტი ვერ გახდე. გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულად შეგეძლოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის გამოყენება სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტისას, უმრწამსოდ არ არსებობს პიროვნება.

ცოდნა, რომლის შინაარსის მიმართ ადამიანი განურჩეველია, ვერ გადაიქცევა მისი ქცევის განმსაზღვრელ პრინციპებად. ცოდნა პლუს კომუნისტური მსოფლმხედველობა მუდამ შეადგენენ ადამიანის იდეურობას, ხელს უწყობენ მისი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას. ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად სკკპ XXVII ყრილობამ დასახა აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

მ. ნ. პოკროვსკისადმი — წიგნის „რუსეთის ისტორიის უმოკლესი ნარკვევი“ ავტორისადმი — ბარათში ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მოსწავლეები არ ყოფილიყვნენ ზედაპირული, სცოდნოდათ ფაქტები, ესწავლათ ძველი და ახალი მეცნიერების შედარება. ეს სიტყვები ასახავენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი მიდგომას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დაუფლების ამგვარი პრინციპი საშუალებას მოგვცემს აღვზარდოთ მოაზროვნე, შემოქმედი ახალგაზრდობა.

საბჭოთა ახალგაზრდობის თანამედროვე თაობისათვის დიდად დამახასიათებელია განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური აზ-

---

[1] დ. ი. პ ი ს ა რ ე ვ ი, თხზ., ტ. 4, მ., 1956, გვ. 197 (რუს.).

როვნება, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის სისტემატური შესწავლის გარეშე. ამ სახის აზროვნების გამომუშავებას დიდად უწყობს ხელს საერთო განათლებულობა, ინფორმირებულობა, საზოგადოებრივი აქტიობა, ახალგაზრდების მრავალგვარი საზოგადოებრივი კავშირები. სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 64 პროცენტი მიიჩნევს: ჭეშმარიტების აღსაქმელად აუცილებელია მთლიანად მისი მეცნიერული დასაბუთება. 21 პროცენტი აუცილებლად თვლის მარტო ძირითადი დებულებების დასაბუთებას და მხოლოდ 12 პროცენტს მიაჩნია, რომ თუ ჭეშმარიტებას გამოთქვამს ავტორიტეტი ან იგი გავრცელებული აზრია, აღარ არის საჭირო სპეციალური დასაბუთება და განსჯა.

უნდა დავუფიქრდეთ იმ კითხვებსაც, რომლებსაც იძლევიან ახალგაზრდები დისპუტებზე, გაკვეთილებსა და სემინარებზე, ლექციების დროს, უნდა გავიაზროთ მათი არგუმენტები, მაშინ შესაძლებელი გახდება ახალგაზრდების აზროვნების დონის განსაზღვრა.

ახალგაზრდის მიერ სოციალურ-ეკონომიკური აზროვნების გამომუშავება გადამწყვეტია მისი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის.

სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა უმაღლეს სასწავლებელში კომუნისტური აღზრდის მთელ სისტემაში სტუდენტთა მეცნიერული მსოფლმხედველობის ადგილის გარკვევა, რაც ითვალისწინებს კომუნისტური აღზრდის სხვა მიმართულებებთან მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ფუნქციურ კავშირთა გამოვლენას, მეცნიერული მსოფლმხედველობის დაუფლების დონეს, მორალურ პასუხისმგებლობას, ესთეტიკურ კულტურას, შრომით აღზრდასა და პოლიტიკური აქტიობის ხარისხს შორის ფუნქციურ კავშირთა გამოკვლევას. მხოლოდ ასეთი კომპლექსური, ინტეგრაციული მიდგომა მოგვცემს საშუალებას დავინახოთ სტუდენტის პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემა და განვიხილოთ მთლიანად კომუნისტური აღზრდის პროცესი.

მომავალი სპეციალისტის მსოფლმხედველობრივი აღზრდა გულისხმობს 1) სტუდენტთა მიერ მეცნიერული ცოდნის დაუფლებას

და ამ საფუძველზე მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას; 2) შემეცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის დაუფლებას და ცხოვრების პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისადმი სწორი მიდგომის უნარის გამომუშავებას; 3) დამოუკიდებლად ცოდნის შეძენის უნარის აღზრდას; 4) ცოდნის გადაქცევას კომუნისტურ იდეურ მრწამსად, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგეთა საკავშირო თათბირზე (1986 წ. 1-3 ოქტომბერს) აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ადრე არსებული პრაქტიკა, ფორმა და მეთოდები ხშირად დაფუძნებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებების დაზუთხვაზე. სწავლების მოწყვეტა პრაქტიკისაგან ხშირად ხელს უწყობდა იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ დოგმატიზმს, სქოლასტიკას. როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა „შეიქმნა პარადოქსული სურათი: თანამედროვე მეცნიერულ შემეცნებაში ყველაზე საინტერესო და წარმტაცი ადამიანი და საზოგადოება, მათი განვითარების კანონები, წინააღმდეგობანი, კლასთა ბრძოლა, ახალი სამყაროს მშენებლობა, კაცობრიობის სწრაფვა იდეალისკენ, სულიერი ძიებანი და იმედგაცრუებანი, ჰუმარიტების მიგნება და შრომითი აღმშენებლობის გმირობა—არცთუ იშვიათად ლექციებსა და სახელმძღვანელოებშიც კი გადაქცეულია რაღაც მოსაწყენ, კაზიონურ ფორმალურ თხრობად“ [1].

ცხოვრება თავის მოთხოვნებს აყენებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე. დაჩქარების მრავალმხრივი პრობლემები, ურთიერთკავშირში მყოფი მისი პოლიტიკური და ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური, კულტურულ-სულიერი და ფსიქოლოგიური ასპექტები საჭიროებენ ღრმა და ყოვლისმომცველ ანალიზს. წინა პლანზე იწევს სერიოზული ფილოსოფიური განზოგადების მწვავე აუცილებლობა, დასაბუთებული ეკონომიკური და სოციალური პროგნოზი, ღრმა ისტორიული კვლევა, რომელიც წინ უსწრებს საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებას და მათი როლის ამაღლებას პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

წარსულის ობიექტურად შეფასების ფონზე, არასწორი იქნებო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1986 წლის 2 ნოემბერი.

და გვეფიქრა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მხოლოდ ჩვენი კადრების, პროფესორ-მასწავლებლებით პროფესიული მომზადების დაბალი დონით, მათი არასაკმარისი აქტიურობის და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ცუდი ორგანიზაციის შედეგი იყოს.

ამ მდგომარეობის მიზეზები, აღინიშნა სკკპ ცკ-ის იანვრის (1987 წ.)პლენუმზე, შორიდან მოდის. მათ ფესვები აქვთ გადგმული ჯერ კიდევ იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, რომელშიც ცნობილ გარემოებათა გამო, თეორიიდან და საზოგადოებათმცოდნეობიდან გაქრა ცოცხალი დისკუსია და შემოქმედებითი აზრი, ავტორიტეტული განსჯა და შეფასება გახდა უდავო ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ კომენტირებას ექვემდებარებოდა და ადგილს არ ტოვებდა ობიექტური, მეცნიერული ანალიზისათვის. თეორიისადმი ასეთ დამოკიდებულებას არ შეეძლო უარყოფითი შედეგი არ გამოეღო. „ამის გარდაუვალი შედეგი იყო საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინტერესის შენელება, სულიერი სიღატაკისა და სკეპტიციზმის გამოვლინებანი, შრომის მორალური სტიმულების როლის შესუსტება. გაიზარდა ფენა ადამიანებისა, მათ შორის ახალგაზრდებს შორის, რომელთათვის სიცოცხლის მიზნად იქცა მატერიალური კეთილდღეობა, ქონების მოხვეჭა ნებისმიერი საშუალებებით. მათი ცინიკური პოზიცია სულ უფრო თავხედურ ფორმებს იღებდა, შეგნებას უწამლავდა გარშემო მყოფთ, წარმოშობდა მომხმარებლობის ტალღას. სოციალური ზნეობის დაცემის მაჩვენებელი გახდა ლოთობის ზრდა, ნარკომანიის გავრცელება, დამნაშავეობის გადიდება“[1].

მართალია, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის პოზიტიური ძვრები, რომლებიც ამ მიმართულებით მიმდინარეობდა ჩვენს რესპუბლიკაში. მაგრამ საერთო ტენდენციების იმ ფონზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ქვეყანაში, მათ არ შეეძლოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდათ. საზოგადოებათმცოდნეობის ასპარეზზე ხშირად ხვდებოდნენ ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ თანამედროვე ცხოვრებისეული პრობლემებისადმი შემოქმედებითად მიდგომის უნარს, იფარგლებოდნენ მარქსისტული ლოზუნგების, ფორ-

---

[1] სკკპ ცკ პლენუმის მასალები (1987 წ. იანვარი), თბ., 1987, გვ. 15.

მულებისა და ციტატების დაზეპირებით. ასეთი საზოგადოებათმცოდნენი ხშირად იფარგლებიან ნახევრადსიმართლის თქმით. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის მიერ სათანადო დასკვნების გამოტანას ლენინური ჰეშმარიტებიდან გადახვევის შესახებ, რომლის ისტორიული გაკვეთილებიც სახეზეა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემოქმედებითი განვითარების გარეშე შეუძლებელია მოვლენათა სწორი აღქმა, მომავლის მეცნიერული ხედვა. მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებებსაც სჭირდებათ შესაფერისი საზოგადოებრივი ატმოსფერო, სწორი ინფორმაცია და აზრთა ჰიდილი. ჰეშმარიტების ძიება, ხაზს უსვამს მ. გორბაჩოვი, უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვა შეხედულებების, დისკუსიების, განსჯის, მოძველებული სტერეოტიპების მსხვრევის ფონზე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში უნდა აღმოიფხვრას არსებული მედავითნეობა და დოგმატიზმი, საჭიროა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება. საჭიროა ლექციების ხარისხის ამაღლება. მათში თეორიის საკვანძო საკითხების გაშუქება. საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკული ამოცანების, სკკპ საგარეო და საშინაო პოლიტიკის გაშუქება—ხაზგასმულია სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი[1].

ამჟამად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სისტემის გარდაქმნა, ახალ სასწავლო პროგრამებზე, სწავლების ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლა.

გარდაქმნის არსი მდგომარეობს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის განმტკიცებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებაში; ჩვენ გვინდა, რომ მომავალი სპეციალისტების მარქსისტულ-ლენინური რწმენა იყოს ღრმა გააზრებისა და შემოქმედებითი ძიების შედეგი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გარდაქმნა ითვალისწინებს ინიციატივის განვითარებას, კათედრების უფლებათა გაფართოებასა და ამავე დროს პასუხისმგებლობის ამაღლებას.

---

[1] გაზ. „იზვესტია“, 1987 წ., 21 მარტი.

ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში სოციოლოგიური კვლევის დროს შესწავლილ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან რომელი უწყობდა ხელს სტუდენტთა ინტერესის, კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სემინარებით მათი დაკმაყოფილების ზრდას. სტუდენტთა პასუხები ასე განაწილდა (იხ. ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

(%-ად გამოკითხულთა რიცხვის მიმართ)[1].

რა უწყობს ხელს	ქვეყნის 18 უმაღლეს სასწავ. სტუდენტები	თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები	ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტები
მასწავლებლის პიროვნება	38,5	32,9	45.6
სემინარის თემის შინაარსი	30.0	21,2	31,6
სემინარის დისკუსიური ხასიათი	26,3	29,4	26.3
საკითხის პრობლემური დაყენება	19,1	21,2	23,6
კავშირი პრაქტიკულ პრობლემებთან	16,4	29,5	13,7
თვითონ კარგად იყო მზად	10,7	32,9	9,1
თემის გარკვევის სისრულე	5,1	29,4	3,1
მკაცრი შეფასება	3,0	22,3	2,7
სტუდენტის პასუხისმგებლობა	2,8	18,8	1,3
კონსპექტი ჰქონდა	2,4	16,5	2.6
არ იცის, რადგან მათთან სემინარები არ არის საინტერესო	13,5	18,5	14,0

ამრიგად, ქვეყნის 18 უმაღლესი სასწავლებლის, აგრეთვე ლსუ და თსუ სტუდენტებმა პირველ ადგილზე დააყენეს მასწავლებლის პიროვნება. ამავე დროს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა (სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით) ძალიან მაღალი შეფასება მისცეს სასემინარო თემის კავშირს პრაქტიკულ პრობლე-

[1] იხ. გ. მაქაცარია, ვ. ტ. ლისოვსკი, თანამედროვე სტუდენტი (უმაღლეს სკოლაში სწავლებისა და აღზრდის სოციალური პრობლემები), თბ, 1982, გვ. 188.

მებთან, თემის გარკვევის სისრულეს, სემინარის დისკუსიურ ხასიათს, მკაცრ შეფასებას და პირად პასუხისმგებლობას.

სტუდენტები დიდად აფასებენ მასწავლებლის პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას. სწავლება შედეგიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით მასწავლებელი თავისი პირადი მაგალითით, მოვლენათა ღრმა და შინაარსიანი ანალიზით დამაჯერებლად აჩვენებს მსმენელებს, თუ როგორაა სინამდვილეში პრაქტიკულად მარქსისტული მეცნიერების მოთხოვნები, რამეთუ შეიძლება დაუსრულებლად მოუწოდო საზოგადოების ცხოვრების მოვლენათა ანალიზისას კლასობრივი მიდგომის აუცილებლობისაკენ და არ აჩვენო პრაქტიკულად როგორ ხდება ეს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება თანამედროვე ცოდნის დონეზე უნდა იდგეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ წარმატებას. სწორედ ამ გარემოებას ეთმობა ყურადღება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

ამ მნიშვნელოვან გარემოებას კიდევ ერთხელ მიექცა ყურადღება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების საკავშირო თათბირზე, სადაც ითქვა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გარდაქმნის ამოცანა მოითხოვს იდეურ-თეორიული და სასწავლო-მეთოდური დონის ამაღლებას სწავლების პროცესში, უწინარეს ყოვლისა პრაქტიკასთან მის დაახლოებას. როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა „დღეს საზოგადოებათმცოდნეთა წინაშე დგას ამოცანა, დაძლიონ ცხოვრების მომთხოვნელობისაგან დაშორება, ჩვენ უაღრესად გვჭირდება საზოგადოებათმცოდნეების მთელი ფრონტის მტკიცე შემობრუნება პრაქტიკისაკენ“ [1].

ვერ შევურიგდებით იმას, რომ ლექციებზე ლაპარაკობენ ერთს, ხოლო რეალურ ცხოვრებაში სტუდენტი ხედავს სხვას. უმაღლესი სასწავლებლების კარები უნდა გავუღოთ ცხოვრებას, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლექციები გადავაქციოთ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების დიალექტიკურ ანალიზად.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ზოგიერთი მას-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1986 წ., 2 ნოემბერი.

წავლებელი მეტ ყურადღებას უთმობს იმას, რომ პირველკურსელებს ჰქონდეთ კონსპექტები და იცოდნენ ცალკეული ციტატები, ვიდრე ღრმა ცოდნის დაგროვებას. რიგ ანკეტებში სტუდენტებმა ჩაწერეს, რომ მათ ხელს არ აძლევს „სწავლების დაბალი კულტურა, სახელმძღვანელოში თითქმის ყველაფერია ნათქვამი, ზოგიერთი მასწავლებელი ლექციებს მოსაწყენად კითხულობს, ზოგჯერ იგრძნობა, რომ საზოგადოებათმცოდნეს თავად არ აინტერესებს საკითხი, არ იმართება დისკუსიები“.

ზოგიერთ მასწავლებელს ჰგონია, თითქოს ლექციაში სადისკუსიო მასალის ჩართვა ძირს უთხრის სტუდენტთა ნდობას არსებული სახელმძღვანელოების მიმართ. ეს აშკარად მცდარი თვალსაზრისია. სემინარებზე უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს დისკუსიები სტუდენტებისათვის საინტერესო და სადავო საკითხების ირგვლივ. დაე, მათ ისწავლონ კამათი, დაარწმუნონ ერთმანეთი, კოლექტიურად ეძიონ ჭეშმარიტება.

სტუდენტებმა შემდეგი ნაკლოვანებები აღნიშნეს სოციალურ-ეკონომიკური დისციპლინების სწავლების დახასიათებისას: მეცადინეობებს არ აქვს სიახლის „გემო“ — 22,1 პროცენტმა, ნაკლებად ირჩევა სადავო საკითხები, არ ხდება მათი არსის, თვალსაზრისების გარკვევა — 20,5 პროცენტმა, არადამაკმაყოფილებელია დისკუსიების ორგანიზაცია — 20,3 პროცენტმა, ლექციაში ჭარბობს აღწერითი მასალა — 13,4 პროცენტმა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შესასწავლი დისციპლინები მოწყვეტილია პრაქტიკას — 9,0 პროცენტმა, სემინარები ხშირად ეთმობა მეორეხარისხოვანი, ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხების განხილვას — 8,6 პროცენტმა. სტუდენტთა ერთი ნაწილის გადაჭარბებულად კრიტიკული შეფასების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ღირებული წინადადებაა წამოყენებული.

ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებულმა გამოკვლევამ დამაჯერებლად გვაჩვენა, რომ რაციონალურ-თეორიული ასპექტის შეფასებისას სწავლების დადებით ნიშნებს შორის სტუდენტებმა პირველ ადგილზე დაასახელეს დისკუსიები, მეორეზე — ახალი საინტერესო აზრები და პრობლემები, მესამეზე — დამოუკიდებლად აზროვნების აქტივიზაცია, ხოლო უარყოფით მახასიათებლებს შორის — 1) სტუდენტთა მიერ დასმული „მწვავე“ სა-

კითხებისათვის გვერდის ავლა მასწავლებლის მხრივ, 2) წამოყენებულ დებულებათა არასაკმაო დასაბუთებულობა, 3) სემინარებზე თავისუფალ აზრთა გაცვლა-გამოცვლის არარსებობა. სწავლებაში დოგმატური მეთოდების გაბატონება წლების მანძილზე განპირობებული იყო ახლო წარსულის ისტორიული ფაქტორებითაც.

სწავლების ემოციურ-ფსიქოლოგიური ასპექტის შეფასებისას დადებით მახასიათებლებს შორის სტუდენტებმა პირველ ადგილზე დააყენეს მასწავლებლის მკაფიო, ხატოვანი მეტყველება, მეორეზე — ნათელი, დასამახსოვრებელი მაგალითების მოყვანის უნარი, მესამეზე — მასწავლებლის დარწმუნებულობა, უარყოფით ნიშნებს შორის კი — 1) მასალის შემოქმედებითი გადმოცემის არარსებობა, ზედმეტი ციტატები, 2) დასამახსოვრებელი მაგალითების არსებობა, 3) მშრალი, უსახო მეტყველება. სტუდენტებმა აღნიშნეს აგრეთვე მასწავლებელთა ნაწილის შეზღუდული კულტურული ჰორიზონტი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სკოლური მეთოდები.

ამავე დროს ცოტა როდია მასწავლებლები, რომლებიც არ არიან მზად სტუდენტებთან სადისკუსიოდ და არც სურთ დისკუსია, კიდევ მეტი, მათ დიდად არც უყვართ მეტისმეტად „ცნობისმოყვარე" სტუდენტები.

ადამიანი, რომელსაც არ აქვს დამოუკიდებელი თვალსაზრისი, ვერ გახდება სრულფასოვანი და საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნება და, პირიქით, თუ ახალგაზრდას ჩამოუყალიბდა ღრმა იდეური მრწამსი, რთულ სიტუაციაში იგი ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სემინარის ჩატარება დისკუსიის ფორმით შეიძლება ზარმაცებმაც მოითხოვონ, რადგან ეს მისთვის საინტერესოა — საშუალება ეძლევა მოუმზადებლად და ძალ-ღონის დაუხარჯავად მიიღოს ინფორმაცია. შემთხვევით როდია, რომ სწორედ ასეთი სტუდენტები მოითხოვენ „მეცადინეობაზე თავისუფალ დასწრებას" და მაინცდამაინც არ ეპიტნავებათ „ინდივიდუალური გეგმით მეცადინეობა", ამიტომაც არის, რომ აღზრდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სიზარმაცისა და პასიურობის დაძლევა, შემეცნებისა და სწავლის სფეროში აქტიობის აღზრდა. ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სისტემა-

ტურად და კეთილსინდისიერად მეცადინე სტუდენტები გამოირჩევიან ზუსტი პროფესიული მიმართულებით და არჩევანის სისწორის რწმენით, მათ ახასიათებს შემოქმედებითი დამოკიდებულება ცოდნის ათვისებისა და მოპოვებისადმი, დაინტერესება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით. მათი უმეტესობა (მოზეპირეთა გამოკლებით) აქტიურად მონაწილეობენ უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ისინი არა მარტო სარგებლობენ დამსახურებული ავტორიტეტით კოლექტივში, არამედ მეტად დიდ გავლენას ახდენენ აკადემიური ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე. ისინი თავისებური „იდეალური სტუდენტები“ არიან.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ უმაღლესი სკოლების მასწავლებლის საქმიანობა სტუდენტებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის აღზრდის მიზნით ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ეფექტიანი.

ყოველივე ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, შემდეგია:

1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები სათანადოდ არ იცნობენ სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორიენტაციის მდგომარეობას. ამიტომაც თითოეულ უმაღლეს სასწავლებელში უნდა შეიქმნას სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესების შესწავლის მუდმივმოქმედი სოციოლოგიური სამსახური.

2. პოლემიკას ბურჟუაზიულ იდეოლოგებთან ხშირად თავდაცვითი ხასიათი აქვს. ეს არის იდეოლოგიური მოწინააღმდეგის გამოაშკარავება, კრიტიკული შეფასება, რეცენზირება, შესწორება, ამასთან ხშირად ვხვდებით შეხედულებას — რადგან დასავლურია, მაშასადამე, მტრულია. ამავე დროს დასავლეთში შეხედულებებისა და პოზიციების ფართო სპექტრი არსებობს.

3. მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა უბანზე ჯერ კიდევ გვაბრკოლებს ენობრივი ბარიერი, რომლის მიზეზითაც მასწავლებლებს ხელი არ მიუწვდებათ მოწინააღმდეგის „იარაღამდე“, ეს მაშინ, როდესაც სტუდენტების მიერ უცხოური ენების ცოდნის დონე ბევრად მაღალია, ვიდრე ბევრი მასწავლებლისა.

ახალგაზრდობას სჭირდება გულახდილი, პატიოსანი, არგუმენ-

ტირებული საუბარი თანამედროვეობის ყველა აქტუალური პრობლემის ირგვლივ. ასეთი საუბრისათვის თავის არიდება გაუმართლებელი იქნებოდა.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში გარკვევით არის ნათქვამი: „იდეურ-აღმზრდელობითს და პოლიტიკურ მუშაობაში გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ფუჭი ლაქლაქის, პარადულობის, ფორმალიზმის გამოვლინებანი“ [1].

ახალგაზრდის პიროვნებას აყალიბებს არა მარტო უშუალო გარემოება, არამედ აღმზრდელებთან ყოველდღიური ურთიერთობა, მათი პროფესიონალიზმი, ერუდიცია, კულტურა, მოქალაქეობრიობა, ჰუმანიზმი, მომთხოვნელობა. სამართლიანად ამბობენ, რომ პიროვნების აღზრდაზე მხოლოდ პიროვნებამ შეიძლება მოახდინოს გავლენა; ხასიათს მხოლოდ ხასიათი აღზრდის, სამშობლოს ერთგულების აღზრდა კი მაშინ ხდება, როდესაც აღმზრდელი თავისი პირადი მაგალითით, მოვლენების შინაარსიანი ანალიზით დაბეჯითებით აჩვენებს ახალგაზრდებს, თუ როგორია სინამდვილეში პრაქტიკულად მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მოთხოვნები.

საჭიროა საქმით დავარწმუნოთ ახალგაზრდობა, რომ ცხოვრების სირთულეები შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამოყენებით, რადგან ყოველი სხვა მიდგომა მცდარია.

ახალგაზრდობასთან აღმზრდელობით მუშაობაში უნდა შეგვეძლოს სწორად დავსვათ იდეოლოგიური აქცენტები, გულდასმით ავწონ-დავწონოთ გადასაცემი ინფორმაცია, ზუსტად გავითვალისწინოთ მისი ემოციური ზემოქმედება. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტური მშენებლობის გადასაწყვეტი ამოცანების უკვე გადაწყვეტილად გამოცხადება არ წარმართავს ახალგაზრდობას სიძნელეთა დასაძლევად და ხელს არ უწყობს ხასიათის შესაბამისი ნიშნების ფორმირებას, კომუნისტური აღზრდის ხელოვნება ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს უნარზე — არ გამოვიჩინოთ უკიდურესობა, მუდამ ვხედავდეთ სოციალისტური საზოგადოების განვითარების პერსპექტივებს.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 41.

„აღზარდო ადამიანი — ნიშნავს აღზარდო მასში პერსპექტიული გზები“, — წერდა ა. ს. მაკარენკო[1]. ცხოვრების ოპტიმისტური აღქმის ეს „ფილოსოფიური ქვა“ მოგვცა მეცნიერულმა კომუნიზმმა და გამოცადა სოციალისტურმა წყობილებამ, რამეთუ სოციალიზმი არის სოციალური ოპტიმიზმისა და მაღალი კომუნისტური შეგნებულობის საზოგადოება.

---

[1] ა. ს. მ ა კ ა რ ე ნ კ ო, თხზ., ტ. 5, მ., 1958, გვ. 176 (რუს.).

ზნეობრივი აღზრდის როლი მომავალი სპეციალისტის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებაში

ვ. ი. ლენინის ანდერძი ახალგაზრდობის კომუნისტური მორალით აღზრდის შესახებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ამაღლდა ზნეობრივი საწყისის როლი საზოგადოების ცხოვრებაში, სულ უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ზნეობრივი აღზრდის პროცესის განხორციელებისათვის. აუცილებელი გახდა ყოველი ახალგაზრდისათვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირება, კომუნისტური ნორმების დარღვევისადმი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების შემუშავება.

უდავოა, რომ ზნეობრივი აღზრდა თავისი სირთულით ბევრად აღემატება განათლებისა და სწავლების პროცესს. თვით ამოცანა, რომელსაც ის ისახავს, უჩვეულო სიძნელისაა. იგი გულისხმობს ჩამოაყალიბოს განსაკუთრებული, ჰუმანისტური ტიპის პიროვნება. შემკული მაღალზნეობრივი თვისებებით, აღზარდოს კომუნიზმისათვის მებრძოლი მოქალაქე.

დინამიკური ცხოვრება მაღალ მოთხოვნებს უყენებს ზნეობრივ საიმედოობას პიროვნებისა, რომელმაც ყველაზე რთულ, მოულოდნელ სიტუაციებშიც კი ოპტიმალურად ჰუმანური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, ღირსეულად მოიქცეს.

მარქსიზმ-ლენინიზმმა ზნეობრივი აღზრდის ჭეშმარიტად მეცნიერული კონცეფცია შეიმუშავა. ის ეფუძნება დებულებას, რომ ნამდვილი აღზრდა ხორციელდება როგორც სპეციალური აღმზრდელობითი ძალისხმევისა და სოციალური გარემოს ზემოქმედების, პიროვნების აქტიურობის, თვითაღზრდის ერთიანობა.

„თეზისებში ფოიერბახის შესახებ“ კ. მარქსმა ასე ჩამოაყალიბა ყოველგვარი, მათ შორის ზნეობრივი აღზრდის ფუნდამენტური პრინციპი: „ადამიანები გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი გარემოებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან“, მაგრამ რამდენადაც „გარემოებას სწორედ ადამიანები ცვლიან“, „გარემოებათა და ადამიანთა მოქმედების ცვლილების თანმთხვევა შეიძლება წარმოვადგინოთ და რაციონალურად გავიგოთ მხოლოდ როგორც რევოლუციური პრაქტიკა“ [1].

ქცევის რეგულატორი, როგორც წესი, მხოლოდ ის პრინციპები და ნორმებია, რომელთაც პიროვნება ითვისებს და თავისი ინდივიდუალური ცნობიერების ელემენტებად, პირად რწმენად, პრაქტიკულ ჩვევებად და ჩვეულებებად გადააქცევს.

აღზრდას ორი, ერთმანეთისაგან განუყოფელი ასპექტი აქვს. ერთი მხრივ, იგი ადამიანის წინაშე მდგარ კონკრეტულ სადღეისო ამოცანებს ითვალისწინებს, მეორე მხრივ კი, სახავს მომავლის პერსპექტივებს, რომელთა შუქზეც უნდა შეაფასოს ადამიანმა თავისი საქმე და ქცევა. კომუნისტური აღზრდის არსი სწორედ ამ პერსპექტიულობაში, პარტიისა და ქვეყნის წინაშე დასახული საერთო ამოცანების გადაჭრაშია. ლაპარაკია იმაზე, რომ ყოველი ადამიანი უბრალოდ კი არ ასრულებდეს შრომით და საზოგადოებრივ მოვალეობას, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივი პერსპექტივით ცხოვრობდეს.

ზნეობრივ აღზრდას კომუნისტური აღზრდის სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აღმზრდელობითი პროცესის ხასიათს, მის შინაარსსა და საშუალებას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ზნეობრივი აღზრდა არის მიზანდასახული და სისტემატური ზემოქმედება ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევაზე იმ მიზნით, რომ მათ ჩამოუყალიბდეს კომუნისტური მორალის იდეალების, პრინციპების, ნორმების შესაბამისი მორალური თვისებები.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1975, გვ. 4.

ზნეობრივი აღზრდა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის კომპონენტთა ურთიერთქმედების შედეგია. ზნეობრივი აღზრდის სპეციფიკა ისაა, რომ იგი თითქოს „მსჭვალავს" კომუნისტური აღზრდის ყველა სხვა მხარეს, ამის გამოა აუცილებელი იდეურ-პოლიტიკური, ფიზიკური, ეკოლოგიური, შრომითი, ესთეტიკური და სამართლებრივი აღზრდის ზნეობრივი ასპექტების დანახვა და გათვალისწინება, რადგანაც ზნეობრივი აღზრდა პიროვნების სულიერი ფორმირების მთელი პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ო. გ. დრობნიცკი ზუსტად შენიშნავს: ზნეობა „ხშირად უმაღლესი კანონმდებლისა და მსაჯულის როლს კისრულობს... იგი „მაღალკომპეტენტურ ხასიათს ატარებს" [1].

ზნეობრივი აღზრდის თავისებურება ისაა, რომ არ არსებობს მისგან თავისუფალი დრო, არ შეიძლება ღონისძიება ნეიტრალური იყოს მორალური ზემოქმედებისადმი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ გვხვდება ფორმალური, ბიუროკრატიული მიდგომა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდისადმი, რისი საფუძველიცაა გულგრილობა და ეჭვიანი უნდობლობა, ინიციატივის შიში, ეთიკური ასპექტით კი — ახალგაზრდისადმი არაკეთილგანწყობილება და უპატივცემლობა, მისწრაფება დაამცირონ აღსაზრდელი, დაამახინჯონ თვით ურთიერთობათა შინაარსი. ამის შედეგად წვრილმანი ჩაცინება მომთხოვნელობად მიიჩნევა, ხოლო ყოველგვარი ინიციატივის დათრგუნვა — „მკაცრ დისციპლინად". ა. ს. მაკარენკოს პედაგოგიკის მნიშვნელობა კი სწორედ ისაა, რომ აღსაზრდელს იგი პიროვნებად თვლის, რადგან ადამიანი უმაღლესი სოციალური ღირებულებაა.

სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ადამიანის იდეური აღზრდის საქმეში წარმატება სიტყვისა და საქმის ერთიანობით მიიღწევა: „უცილობელი ფაქტია, რომ ჭკვიანურ და ალალმართალ სიტყვას უდიდესი გავლენის ძალა აქვს. მაგრამ იგი ასეც უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებს უერთდება. მხოლოდ ასე შევძლებთ დავძლიოთ გულისგამაწყალებელი ჭკუისსწავლება, შთაგბეროთ სი-

---

[1] იხ. ო. გ. დ რ ო ბ ნ ი ც კ ი, მორალის გაგებისათვის, მ., 1972, გვ. 38 (რუს.).

ცოცხლის სუნთქვა მოწოდებებსა და ლოზუნგებს“ [1]. ეს დებულება ძალზე მნიშვნელოვანია, იგი მიუთითებს, რომ აღზრდა, უწინარეს ყოვლისა, საქმით აღზრდაა.

ცნობილი სოციოლოგი ა. გ. ხარჩევი აღნიშნავს, რომ სიტყვისა და საქმის ერთიანობის პრინციპს ორი ასპექტი აქვს: პირველია ის, რომ თანამედროვე სპეციალისტი, სადაც უნდა შრომობდეს — წარმოებისა თუ აღზრდის სფეროში — ვალდებულია თავის თავში ორგანულად გააერთიანოს პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინა და ინიციატივა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა სამუშაოზე და ყოფა-ცხოვრებაში. მეორე ასპექტია როგორც მიღწევების, ასევე ნაკლოვანებების ღრმა პარტიული, გულწრფელი გაშუქების, ხაკლოვანებათა მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების ანალიზის აუცილებლობა.

მარქსიზმ-ლენინიზმი აღზრდის პროცესს განიხილავს მჭიდრო კავშირში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან, რომელიც გარდაქმნის არა მარტო ადამიანების გარემომცველ სამყაროს, არამედ თვით ადამიანებსაც.

მივიჩნევთ რა პიროვნების სოციალური აქტიობის ზრდას მისი ზნეობრივი სრულყოფის ფაქტორად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ფაქტორი განაპირობებს საზოგადოებრივი პროგრესის ხელშემწყობ ფორმებს.

პიროვნების მორალურ თვისებათა ფორმირება გულისხმობს არა მხოლოდ განათლებას და, მით უფრო, მორალიზებას, არამედ კონკრეტული მოღვაწეობისას მაღალმორალური მიზნების მიღწევისაკენ მიმართულ ურთიერთობათა მთელ სისტემას. ამასთან, დადებით შედეგებს იძლევა არა ურთიერთობათა ნებისმიერი სისტემა, არამედ ის, რასაც ძალუძს აამოქმედოს პიროვნება საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანების საკეთილდღეოდ და ამავე დროს თვით ამ პიროვნების კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენაა მიმართული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ სისტემას საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამება უნდა ახასიათებდეს.

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 146.

საბჭოთა ადამიანთა მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდას, მათ პატრიოტულ მისწრაფებათა ფორმირებას პარტია მუდამ პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა.

სკკპ XXVII ყრილობაზე პირდაპირ ითქვა: „საბჭოთა პატრიოტიზმის წყარო და სათავეა საზოგადოებრივი წყობა, ჩვენი ჰუმანისტური იდეოლოგია. ნამდვილი პატრიოტიზმი — ეს არის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია. სოციალიზმი მაღალი ზნეობის საზოგადოებაა. ვერ იქნება იდეური ადამიანი, თუ არა ხარ პატიოსანი, ნამუსიანი, წესიერი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი“ [1]. ადამიანი მოქმედებაში ვლინდება.

ვ. ი. ლენინი წერდა: „რა ნიშნების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ რეალურ პიროვნებათა რეალურ „ზრახვებსა და გრძნობებზე?“ ცხადია, ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ პიროვნებათა მოქმედება“[2].

ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანა აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „კომუნისტური მორალი, რომლის დამკვიდრებისთვისაც იღვწის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. არის... აქტიური, ქმედითი მორალი. იგი შთააგონებს ადამიანს მოიპოვოს ახალი შრომითი და შემოქმედებითი მიღწევები, დაინტერესებული მონაწილეობა მიიღოს კოლექტივისა და მთელი ქვეყნის ცხოვრებაში, აქტიურად უკუაგდოს ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური ცხოვრების წესს, შეუპოვრად იბრძოლოს კომუნისტური იდეალების დასამკვიდრებლად“[3].

„აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში უნდა დავაყენოთ მომავალი სპეციალისტის პიროვნების განვითარებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. ამასთანავე უნდა მივაღწიოთ სტუდენტური ჯგუფის ეფექტურ აღმზრდელობით ზეგავლენას კოლექტივის თითოეული წევრის სწავლაზე, რწმენაზე, ქცევაზე და მორალურ სახეზე, მათ მიერ კო-

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 151.

[2] გაზ. „იზვესტია“, 1987 წ. 21 მარტი.

[3] სკკპ პროგრამა, გვ. 80.

მუნისტური მორალის ნორმების მტკიცე დაცვაზე, ცხოვრების საბჭოური წესის ანტიპოდების აქტიურ უარყოფაზე“ — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“[1].

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია არის ცხოვრების სოციალისტური წესის განუყოფელი ნაწილი, უმნიშვნელოვანესი ნიშანი თვისებრივად ახალი პიროვნებისა, რომელიც ჩამოყალიბდა კომუნისტური იდეურობის, ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების შედეგების საფუძველზე. კომუნისტური იდეური დარწმუნებულობა უწყობს ხელს საბჭოთა ადამიანს, ღირსეული ადგილი დაიჭიროს კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში და მისი შეგნებული, აქტიური მონაწილე გახდეს. სწორედ მოღვაწეობაში, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი მიმართებაში მჟღავნდება ადამიანის ცხოვრებისეული პოზიცია, ყალიბდება კომუნისტური მსოფლმხედველობა, შეიძინება გამოცდილება და ცოდნა, აღიზრდება ადამიანის საუკეთესო ზნეობრივი თვისებები.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ყალიბდება ისეთ მოვლენასთან ბრძოლაში, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური ცხოვრების წესსა და ურთიერთობის ფორმებს, კომუნისტური მორალის პრინციპებს. ამ პოზიციაში აისახება საბჭოთა ადამიანის, როგორც მოქალაქისა და კომუნიზმის აქტიური მშენებლის, ხასიათის მთავარი ნიშნები, იგი გულისხმობს მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფვის ადამიანი, — საქმისა და შემოქმედების სიყვარულს, პატრიოტულ სწრაფვას სამშობლოსათვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანისაკენ, რწმენისა და ქცევის ერთიანობას. აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია არის სისტემა ადამიანის მოქმედებებისა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს პასუხობს და კომუნისტური მორალის პრინციპებითაა მოტივირებული, ესაა კომუნიზმის იდეალების შესატყვისი ადამიანის ცხოვრების წესი.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების წესის, უწინარეს ყოვლისა, პარტიისა და ყველა მისი ორგანიზაციის მიზანდასახული აღმზრდელობითი მუშაობის გავლით ყალიბდება.

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 81.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის უმნიშვნელოვანესი ნიშანია მომავლისაკენ სწრაფვა, პიროვნების იდეალური მისწრაფებანი, ღირსეული ცხოვრების წესი, ვ. ი. ლენინმა კომუნისტური ზნეობის განსაზღვრებისას მოქალაქეობის კრიტერიუმი მოიშველია: „ჩვენ ვამბობთ: ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ქმნის“ [1].

სრული პასუხისმგებლობის აღზრდა ყოველ ადამიანში კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი მომენტია. ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს რაღაც აბსტრაქტული პასუხისმგებლობა „საერთოდ“, ჩვენ ვლაპარაკობთ ახალგაზრდის მოქალაქეობრივი პოზიციის, მისი სოციალური აქტიობის, თვითდისციპლინისა და თვითორგანიზაციის უნარის შესახებ; ასევე ქმედითი საწყისიც საკუთარი აქტიობის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდება. ამიტომაც საკუთარი ქცევის გონიერების, ცხოვრების პრინციპების გამო პასუხისმგებლობის აღზრდა ბავშვობიდანვე უნდა ხდებოდეს, რადგან რაც უფრო აქტიურია პიროვნება, მით უფრო ღრმად ესმის მას თავისი მოვალეობის სოციალური მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია მისი სოციალური სიმწიფის დონე. მოქალაქეობა მუდამ იყო ადამიანის საზოგადოებრივი ქცევის უმთავრესი მაჩვენებელი.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ადამიანის ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის გამოვლენაცაა. ამ პოზიციის ჩამოყალიბების მაჩვენებელი ძირითადი კრიტერიუმებია: 1) სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ე. ი. მოღვაწეობის მთავარ მოტივებში გამოვლენილ ღირებულებით ორიენტაციებს და განწყობასა და პიროვნების რეალურ ქცევას შორის შესაბამისობა; 2) ცოდნაზე, რწმენაზე, უნარსა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოღვაწეობისათვის მზაობაზე დამყარებული პიროვნების სოციალური აქტიობის გამოვლენის ხარისხი; 3) სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების დონე, როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და ინტერესებისადმი პიროვნების მოღვაწეობის შესაბამისობის მაჩვენებელი; 4) მოღვაწეობის მიზნებისა და საშუა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 351.

ლებების სოციალური მნიშვნელობის შესაბამისობა მისი შედეგებისადმი. მოცემული კრიტერიუმები პიროვნების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ერთგვარ ინდიკატორებს წარმოადგენენ. პიროვნების სოციალური აქტიობა არის შეგნებული, ნებაყოფლობითი, ინიციატივიანი, შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია გარემოსა და თვით პიროვნების პროგრესული გარდაქმნისაკენ. სოციალურ აქტიობას სოციალური გულგრილობა უპირისპირდება.

გადაწყვეტილების შერჩევის და მიღების ფუნქცია, მისი გამოყენება და შემოქმედებითი აქტიობის მაქსიმუმის გამომჟღავნება პიროვნების, როგორც მოქალაქის მოქმედების საფუძველია.

პასუხისმგებლობის ხარისხი ადამიანის სოციალური სიმწიფის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია. იგი გულისხმობს საკუთარი ქცევის შედეგების წინასწარჭვრეტის, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა სისტემის გათვალისწინების უნარს, სწორად ჩამოყალიბებული ცხოვრებისეული პოზიცია ახდენს გადამწყვეტ გავლენას იდეალების ფორმირებაზე, განსაზღვრავს ცხოვრების მიზნებსა და საზრისს. მათი მიღწევის საშუალებებს.

საბჭოთა ადამიანი პასიურად კი არ ჭვრეტს, იბრძვის, მას არ შეუძლია და არც სურს ნაკლოვანებებს შეურიგდეს, არ შეამჩნიოს სამართალდარღვევები, არ გამოააშკარავოს სიცრუე; იგი ყოველ ღონეს იხმარს. რომ ისინი არ განმეორდეს. ნამდვილი ადამიანი, ჭეშმარიტი მოქალაქე მზადაა საკუთარი კეთილდღეობა მსხვერპლად შესწიროს საერთო საქმეს. მას არ ეშინია ებრძოლოს იმათ, ვინც ხელს უშლის კომუნიზმის აშენებას, ვინაიდან მხოლოდ სინდისი, პატიოსნება, წესიერება, ადამიანების, სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარული შეაძლებინებს ადამიანს ამაღლდეს ექსტრემალურ პირობებში გმირობამდე, ბოლომდე შეასრულოს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, იცხოვროს ღირსეულად.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ მას მოასმენინოთ ყოველგვარი დამატკბობელი სიტყვები და წესები ზნეობის შესახებ. ეს არ არის აღზრდა... კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რა არის კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლის სა-

ფუძველიც, აი, როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ რანაირად უნდა ვასწავლოთ კომუნიზმი“ [1].

აქტიობის, როგორც პიროვნების ერთ-ერთი მახასიათებლის, აუცილებელი კომპონენტია ნებელობითი ძალისხმევის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების და ცხოვრებაში მისი გატარების უნარი. გარემოს მიმართ ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია მისი ინტელექტუალური, ნებელობითი, მორალური შესაძლებლობების, ქცევის თვითრეგულაციის საფუძველია[2].

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია საკუთარი ქცევის რეგულაციისა და მიღებული გადაწყვეტილების გამო პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს გულისხმობს. „შეუძლებელია აღზარდო მამაცი ადამიანი, — ამბობდა ა. ს. მაკარენკო, — თუ ის არ ჩააყენე ისეთ პირობებში, რომ შეძლოს გამოამჟღავნოს სიმამაცე, ჭირთათმენა, გაბედულება“[3].

ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქტიურობა, მაღალი შედეგები ზოგჯერ შეიძლება მიღწეულ იქნას უზნეო გზითაც. პრინციპით—„მიზანი ამართლებს საშუალებას“, ან „ვამარჯვებულებს არ სჯიან“. სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად გვხვდება ამგვარი აქტიობაც, ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი საზოგადოებრივი მუშაკები, რომლებიც მოწოდებით კი არა, წმინდა მერკანტილისტური მოსაზრებებით ეწევიან საზოგადოებრივ მუშაობას. ამიტომაც აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავება წარმოუდგენელია კომუნისტური მორალის ანტიპოდებთან შეურიგებელი ბრძოლის გარეშე. თანამედროვე ახალგაზრდობას არათუ დიდი ბოროტება, არამედ ჩვენი წინსვლის ყოველი ხელისშემშლელი წვრილმანიც კი აღელვებს. ეს მისი ღვიძლი საქმეა. კულტურის, მორალის, საზოგადოებრივი ქცევის ნორმების დარღვევა, უწინარეს ყოვლისა, მთელი მოზარდი თაობის პროტესტს უნდა იწვევდეს. ამგვარ დარღვევებთან ბრძოლაშიც უნდა ყალიბდებოდეს ახალგაზრდის პირადი კულტურა, მისი მორალური სახე, ყველაფერი ის, რასაც ნეგატიურს ვუწოდებთ, ჩვენი ახალგაზრდობისა და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სტუდენტობის ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 254.

[2] იხ. პიროვნების სოციალური აქტიობა, 1979, გვ. 66.

[3] ა. ს. მ ა კ ა რ ე ნ კ ო, თხზულებები, ტ. III, გვ. 21 (რუს.).

[4] მიზანი: მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი..., თბ., 1979, გვ. 51—52.

რა აიძულებს ადამიანს შეასრულოს ზნეობრივი მოვალეობა? პასუხი, თითქოს, ცხადია: ადამიანის მიერ მორალური ქცევის მნიშვნელოვნობის შეგნება, მისი შესრულების აუცილებლობა. ვფიქრობთ, ასეთი ახსნა გარკვეულად ფარდას ხდის მორალური ქცევის მოტივაციის საიდუმლოებას, მაგრამ ეს არაა საკმარისი. მისაღები ნორმა რომ მოქმედების მოტივად იქცეს, არ კმარა მხოლოდ შეგნება მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა. დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მიერ ზნეობრივი ქცევის გამო დადებითი ემოციის განცდას. ეს განცდა მორალურად მომწიფებულ ადამიანს უჩნდება არა მხოლოდ განხორციელებული ქცევის შედეგის გამო, არამედ მაშინაც, როცა მას განზრახული აქვს ზნეობრივ ღირებულებათა მხოლოდ დაცვა. ამ შემთხვევაში ამაღლებული გრძნობები შეიძლება გამოიწვიოს მორალური მოტივის მშვენიერების განცდამ. სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების განვითარებული უნარი საშუალებას იძლევა მშვენიერი იქნეს თვით ზნეობრივ ნორმაში, ზნეობრივ განზრახვაში, მორალურ ქცევაში, რაც მაღალზნეობრივ ადამიანს სიხარულითა და ბედნიერებით ავსებს.

1976 წ. მინსკში ჩატარებულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა, სამართლიანად ითქვა, რომ განუწყვეტლად იზრდება ზნეობრივი საწყისების როლი მთელ ჩვენს ცხოვრებაში, წარმოებს მათი მოქმედების საზღვრების განუხრელი გაფართოება, როცა ადამიანები სულ უფრო აქტიურად ებმებიან მკაცრი ურთიერთვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მქონე ინტენსიური საზოგადოებრივი კავშირ-ურთიერთობების სფეროში, როცა ყოველი ადამიანის ქცევა, შრომა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ცხოვრებასთან, თანამედროვეობის მსოფლიო პრობლემებთან.

ამრიგად, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია მრავალპლანიანი მოვლენაა. თუ ვილაპარაკებთ აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის სტრუქტურაზე, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ელემენტები: პიროვნების აქტიური ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ზნეობრივი რწმენა, ქმედითი აქტიობა, ზნეობრივი საქციელის ესთეტიკური განცდის მაღალი დონე, ღრმა ცოდნა. ეს ყველაფერი ერ-

თიანობაში უნდა იყოს და რაც მთავარია, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების ცხოვრებაში გატარებისათვის აქტიური მოღვაწეობით უნდა გამოვლინდეს.

„საბჭოთა ეთიკაში, — წერდა ა. ს. მაკარენკო, — უნდა არსებობდეს ადამიანის მიმართ მოთხოვნათა სერიოზული სისტემა და მხოლოდ ამის შედეგად განვითარდება პირველ რიგში მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ. ეს ყველაზე ძნელი რამაა — მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ"[1].

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში იზრდება ზნეობრივი პასუხისმგებლობა საკუთარი ცხოვრების წესის და კონკრეტული ქცევის შეგნებული და ნებაყოფლობითი არჩევის გამო. სწორედ მოქალაქეთა მიერ საკუთარი მოვალეობის, ხალხის ინტერესების მიმართ პასუხისმგებლობით მიდგომა ქმნის ერთადერთ საიმედო ბაზას სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების, პიროვნების ჭეშმარიტი თავისუფლების ყველაზე სრული განხორციელებისათვის. ამასთან, პიროვნების ქცევის უმნიშვნელოვანეს შინაგან რეგულატორად გვევლინება მორალური თვითშეგნება, როგორც ცნობიერების მთლიანობის რთული ქვესისტემა, მისი განუყოფელი მხარე, მიმართული თვით ზნეობრივი მოღვაწეობის სუბიექტისადმი.

ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებს კვლავ იერიში მიაქვთ მარქსის თეზისზე იმის შესახებ, რომ მხოლოდ კოლექტივში იღებს ინდივიდი საშუალებას ყოველმხრივი განვითარებისათვის და თავისი ინდივიდუალობის გამოვლენის ნამდვილ თავისუფლებას. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ძლიერდება კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, რაც ბურჟუაზიული მკვლევრების მიერ ახსნილია როგორც „მარადიული" ბრძოლა ადამიანის უცვლელი „ბუნებისა", რომელიც მიისწრაფვის კოლექტიური ურთიერთობებისაგან გამოცალკევებისაკენ. ეს იმის ობიექტური შედეგია, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს არ სურთ დაინახონ პრინციპული განსხვავება კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ „კოლექტიურობის სეროგატსა" და კომუნისტურ კოლექტივიზმს შორის.

---

[1] ა. ს. მ ა კ ა რ ე ნ კ ო, თხზულებანი, ტ. V, მ., 1958, გვ. 447 (რუს.).

სოციალისტური კოლექტივი „მოჩვენებითი", „ცრუ" (კ. მარქ-ის გამოთქმით) კოლექტიურობის ყველა ადრინდელი ფორმისაგან განსხვავებით ქმნის ადამიანთა ისეთ საზოგადოებრივ კავშირს, რომლის საფუძველზეც ვითარდება თავისუფალი ინდივიდუალობა, ე. ი. პიროვნება. პიროვნებას პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი ღირსების შეგნება გააჩნია. პროფესორი ვ. ი. ტოლსტიხი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამგვარი ინდივიდუალობის განუმეორებელი და უნიკალური ხასიათი ვლინდება არა „ნატურის" კაპრიზებსა და უცნაურობაში, რაც არავისთვის არაა საინტერესო, არამედ სოციალურად მნიშვნელოვან სულიერ და მორალურ საქციელში და ქცევის მოტივებში. სოციალისტური კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდილ ადამიანს დამოუკიდებელი, ინიციატივიანი და საპასუხისმგებლო საქციელის გამოვლინება ძალუძს ყოველგვარ, ყველაზე მოულოდნელ პირობებშიც[1].

ზნეობრივი აღზრდის თავისებურებებისა და მეთოდების დახასიათებისას განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის პრინციპული დებულებები, რომ რომელიმე მეთოდის იზოლირებული გამოყენება, მისი ფეტიშიზაცია, კონკრეტული პირობებიდან მოწყვეტა ხშირად მის დისკრედიტაციას იწვევს.

ზნეობრივი აღზრდის მეთოდთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დარწმუნებას, მაგრამ მას თან ახლავს იძულებაც (სხვადასხვა ფორმით), წახალისებაც და შესაბამისი ქცევის სტიმულირების სხვა საშუალებებიც.

დარწმუნების მეთოდი მთავარი ხერხია, მისი მეშვეობით აღწევს პარტია წარმატებებს მასების აღზრდაში. აღმზდელობითი მუშაობის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფლობენ აღმზრდელები დარწმუნების ხელოვნებას.

სკკპ ცკ-ის პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმითაა აღნიშნული: „... თავისთავად იდეები, რაოდენ მომზადებული უნდა იყოს, ავტომატურად როდი აყალიბებს ერთიან და აქტიურ მსოფლმხედველობას, თუ მასების სოციალურ-პოლიტიკურ გამოცდილებასთან არ არის დაკავშირებული, მოწინავე

---

[1] ვ. ი. ტ ო ლ ს ტ ი ხ ი, სოკრატე და ჩვენ, იხ. კრებული „საიდან იწყება პიროვნება?", მ., 1979, გვ. 20 (რუს.).

იდეებისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკის ურთიერთკავშირი ანიჭებს ენერგიასა და ქმედითობას სოციალისტურ იდეოლოგიას"[1].

დარწმუნებასთან ერთად არსებობს იძულების მეთოდიც სამართალსა და მორალში დადგენილი სანქციების, პრინციპებისა და ქცევის ნორმების სახით. ვ. ი. ლენინმა ეს შემდეგნაირად გადმოსცა: „ჩვენ მართებულად და წარმატებით ვიყენებდით იძულებას, როცა ვახერხებდით მისთვის ჯერ დარწმუნების ბაზის შექმნას"[2].

მთავარია, რომ მეთოდების სისტემა ზემოქმედებას ახდენდეს აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებაზე. იმ შემთხვევაში კი, როცა საჭირო ხდება ცალკეულ პიროვნებათა გამოსწორება, იგი უნდა გამოვიყენოთ როგორც ინსტრუმენტი სოციალისტური ცხოვრების წესისათვის შეუფერებელი, ყალბი ღირებულებითი ორიენტაციისა და განწყობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებს, კომუნისტური მორალის ანტიპოდებს, რაც უფრო ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელია ჯერ კიდევ არსებული გადახრები ზნეობის სოციალისტური ნორმებიდან. ამასთან არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამ მოვლენების შედეგად ზარალი მატერიალური კი არა, მორალურია. ასეთ ფაქტებს რომ ხვდებიან, ახალგაზრდები მათ აბსოლუტიზაციას ახდენენ. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ უარყოფითი მაგალითის დამღუპველი ძალა. ბოროტების დაუსჯელობას (თუნდაც დროებითს), ბოროტების ძალას (თუნდაც ილუზორულს) ძალზე სერიოზული მორალური შედეგები მოჰყვება ხოლმე.

ზნეობრივი შეგნებისა და თვითშეგნების განვითარების მეტად მნიშვნელოვანი პირობაა ზნეობრივი განათლება, ადამიანის მიერ ზნეობრივი პრობლემატიკის ცოდნა, მორალური ნორმების, პრინციპებისა და წესების გაგება, მათი მოხმარება საკუთარი ქცევისა

---

1 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 146.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 19,

და საკუთარი პიროვნების შეფასებისას. ზნეობრივი განათლების ამოცანები შემდეგია:

1) ადამიანის მორალური შეგნება და წარმოდგენების გაფართოება და გაღრმავება; 2) პიროვნების მიერ საკუთარი ზნეობრივი გამოცდილების გააზრების უზრუნველყოფა კომუნისტური მორალის ნორმებისა და პრინციპების პოზიციებიდან; 3) პიროვნების მოღვაწეობის, ქცევისა და თვისებების ანალიზში, შეფასებასა და თვითშეფასებაში მორალური გამოყენების ჩვევის შემუშავება; 4) ადამიანთა ინფორმირება გამოაშკარავებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და პიროვნების სასურველი თვისებების აღზრდაში მათი შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი როლის შესახებ.

განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, საბჭოთა ადამიანებში მასობრივი მორალური შეგნების აღზრდას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს, ჯერ ერთი, კომუნისტური მორალის ნორმების, წესებისა და პრინციპების პროპაგანდას; მეორე, ადამიანის ჩართვის ერთიანობას, ათვისებული ცოდნის დამკვიდრებისათვის მიმართულ პრაქტიკულ საქმიანობას; მესამე, ამ კომუნისტური მორალის ანტიპოდებთან შეურიგებელ ბრძოლას.

უდავოა, რომ სტუდენტთა ზნეობრივ აღზრდაში დიდი როლი ეკისრება მარქსისტულ-ლენინური ეთიკის კურსს, რომელიც ბევრ უმაღლეს სასწავლებელში იკითხება. არის სპეცკურსებიც. მაგალითად, თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფილოსოფიის განყოფილებაზე არის სპეცსემინარები „სტუდენტობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემები“ და „ესთეტიკური აღზრდის კანონზომიერებანი“.

32 საათზე გაანგარიშებული პროგრამა მომავალი სპეციალისტების ზნეობრივი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის ძირითად მიმართულებათა დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ხუთი წელია იკითხება სპეცკურსი „სოციალისტური ცხოვრების წესი“.

რესპუბლიკის რიგ უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს ზნეობრივ-ესთეტიკური პრაქტიკუმები. იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციებზე აღზრდას. უმაღლეს

სასწავლებლებში ჩამოყალიბდა მხოლოდ სტუდენტობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტრადიციები. ასეთია რიტუალები: „სტუდენტად მიღება“, „მედიუმი“ (სწავლის ნახევარი დროის გავლის საზეიმო აღნიშვნა), „უკანასკნელი ზარი“, „ჰიპოკრატეს ფიცი“ და სხვ.

საქართველოში გაჩნდა ახალი სტუდენტური რიტუალები, დღესასწაულები, ტრადიციები, მაგალითად, „სტუდენტური დღეები“, „სტუდენტად კურთხევა“, „შრომის დღესასწაული“, „ახალგაზრდული გაზაფხული“ და სხვ.

„სტუდენტური დღეები“ საბჭოთა საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის ზეიმია. ის სტუდენტთა ნიჭის, უნარის, შემოქმედების, მეცნიერული იხტერესების, ორგანიზატორული ჩვევებისა და თვითმოქმედების წარმოსაჩენად ახალ შესაძლებლობებს ავლენს. მშობლიური კომუნისტური პარტიის, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი საბჭოთა საქართველოს სტუდენტების ერთგულების ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენს.

„სტუდენტური დღეები“ რესპუბლიკაში პირველად 1975 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღინიშნა. შემდეგ წლებში ეს დღესასწაული ჩვენი რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ტარდება. იგი საბჭოთა საქართველოს სტუდენტობის ახალ შესანიშნავ ტრადიციად იქცა.

სტუდენტური დეკადა ყოველთვის ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს იწყება.

„სტუდენტური დღეების“ მრავალფეროვან პროგრამაში შედის: ლენინური ჩათვლები, ატესტაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრაქტიკაში, სტუდენტ-ინტერნაციონალისტთა შეკრებები, სტუდენტთა მეცნიერულ-თეორიული კონფერენციები, სამხედრო-სპორტული თამაშობანი, სტუდენტური ფესტივალები, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების, თეატრალური კოლექტივების დათვალიერება, ოლიმპიადები, ფოტომოყვარულთა ნამუშევრების, სტუდენტთა მხატვრული შემოქმედების გამოფენები, საშეფო კონცერტები და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა თვითშემოქმედებას, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას.

სტუდენტები ხვდებიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, დიდი სამამულო ომის, შრომის ვეტერანებს, მეცნიერებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, აქტიურად მონაწილეობენ საკავშირო კომუნისტურ შაბათობებში.

„სტუდენტურ დღეებში" ტრადიციულად მონაწილეობენ მოძმე რესპუბლიკების, ძმადნაფიცი ქალაქების და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური დელეგაციები.

რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სამინისტრომ, უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებმა პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად „სტუდენტური დღეების" ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მათში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ყველა სტუდენტის პრაქტიკულ მონაწილეობას, იმ გარემოებას, რომ ეს დღეები ყოველი მომავალი სპეციალისტისათვის თავისი ფაკულტეტის, სკოლის, შრომითი კოლექტივის, მშობლიური რაიონის წინაშე თავისებური ანგარიში ყოფილიყო.

„სტუდენტური დღეები" გასცდა უმაღლესი სასწავლებლების კედლებს. მათ მოიცვეს ფაბრიკები და ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დაწესებულებები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. „სტუდენტური დღეები — 86"-ის განმავლობაში სტუდენტთა სამეცნიერო-თეორიული კონფერენციები ჩატარდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რიგ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში (ფსიქოლოგიის, მეტალურგიის, მათემატიკის, ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის, კიბერნეტიკისა და სხვა ინსტიტუტებში).

წარმოებს სტუდენტთა ანგარიშგება სწავლის, საზოგადოებრივი საქმიანობის, სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მუშაობის, შრომით სემესტრში მონაწილეობის შესახებ მშობლიური სკოლის, ფაბრიკის, ქარხნის, კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივების წინაშე, თბილისში, აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში,

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის რაიონებში ტარდება პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შეხვედრები იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც სწავლობენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, ქვეყნის ქალაქებში, აგრეთვე საზღვარგარეთ.

ამ შეხვედრებზე სტუდენტი ახალგაზრდობა ანგარიშს აბარებს შრომით კოლექტივებს. ამას გარდა, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არსებითი საკითხების გარშემო, იკითხება ლექციები და მოხსენებები.

„სტუდენტური დღეების" პროგრამაშია ლაშქრობები საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, ღია კარის დღეების ჩატარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, შეხვედრები საშეფო ორგანიზაციებთან და ჯარის ნაწილებთან, სამეცნიერო კონფერენციებში, მხატვრულ ფესტივალებსა და გამოფენებში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება, სტუდენტთა ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა მწერლებსა და ჟურნალისტებთან ერთად და მათი გამოქვეყნებისათვის რეკომენდაციების მიცემა.

ტრადიციულად სტუდენტთა დეკადის განმავლობაში ტარდება სტუდენტთა შეჯიბრებები, დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირი სტუდენტების ხსოვნის მემორიალები. მათში ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენი სტუდენტები მონაწილეობენ.

„სტუდენტური დღეების" დროს ფართო გავრცელება პოვა სტუდენტთა თვითმმართველობამ, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ფორმამ.

„სტუდენტური დღეები — 86", რომელიც სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს მიეძღვნა, გამოირჩეოდა სიახლითაც, წელს პირველად ჩატარდა კონკურსი სტუდენტთა საუკეთესო ნამუშევრებზე, რომლებიც წარმოებაში დაინერგა. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე მოეწყო სტუდენტთა ნაშრომების თემატური გამოფენა.

„სტუდენტური დღეები" მთავრდება საქართველოს კომუნის-

ტური პარტიისა და საქართველოს სსრ მთავრობის ხელმძღვანელებთან სტუდენტი ახალგაზრდობის შეხვედრით.

რესპუბლიკური სტუდენტური დეკადა — „სტუდენტური დღეები". როგორც დიფერენცირებულად, ისე კომპლექსურად, აჯამებს მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტთა პოლიტიკური, ინტელექტუალური, მეცნიერული, შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის სფეროში, ავლენს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

რესპუბლიკის რიგი უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ინიციატივით შემუშავდა ახალი რიტუალები და ტრადიციები, რომლებიც სახალხო დღესასწაულებად იქცა. მაგ. ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისა და მასწავლებლების თაოსნობით ძველი რელიგიური დღესასწაული „გიორგობა" შეცვალა ახალმა „იაკობობამ", რომელსაც ეს სახელი ეწოდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემად.

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ინიციატივით, რელიგიური დღესასწაულების ნაცვლად ტარდება უკვე ტრადიციულად ქცეული დიდი ქართველი პოეტისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმები: „შოთაობა" — სოფელ იყალთოში, „ვაჟაობა" — სოფელ ლაფანყურში.

ზნეობის ძალა, მისი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, მოქმედების ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა იგი წარმოდგენილი ადამიანთა შინაგან სამყაროში და როგორ ვლინდება ქცევაში. ზნეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მეცნიერების ჰუმანიზაციას, მომავალი სპეციალისტების ჰუმანიტარულ მომზადებას. ეს განპირობებულია „ადამიანური ფაქტორის" მზარდი გავლენით მატერიალურ და სულიერ წყაროებზე, ამიტომ აუცილებელია სასწავლო გეგმების განუწყვეტელი სრულყოფა, ისეთი კურსების შემოღება, რომლებიც სტუდენტებს გააცნობს ადამიანის აზროვნებისა და კულტურის განვითარების ისტორიას, რაც შეუწყობს ხელს მათი ემოციური და ზნეობრივ-ესთეტიკური სამყაროს მართებულ ჩამოყალიბებას.

ზნეობრივი მოღვაწეობა სოციალისტური ცხოვრების წესის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, აქ ყველაზე ნათლად ჩანს ცხოვრების წესისა და მორალის ურთიერთკავშირი. თავის მოღვაწეობაში ადამიანები ჩაიდენენ ზნეობრივ და უზნეო საქციელს. ქცევები, განმტკიცებული ადამიანთა ერთობის ქცევაში, შეადგენს ზნე-ჩვეულებებს. ცხოვრების წესი საზოგადოებაში გაბატონებული ზნე-ჩვეულებების ზემოქმედებით იქმნება.

ეთიკური ასპექტით პიროვნება ზნეობრივი მოღვაწეობის სუბიექტია. აი, ამიტომ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადამიანი მაშინ ხდება მორალური პიროვნება, როცა თავის მოქმედებას ნებაყოფლობით უმორჩილებს სოციალისტური საზოგადოების მორალურ მოთხოვნებს, შეგნებული აქვს მათი შინაარსი და მნიშვნელობა, შეუძლია დაისახოს ზნეობრივი მიზნები და შეიმუშაოს გადაწყვეტილებები კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, დამოუკიდებლად შეაფასოს თავისი ქცევა და გარშემო მყოფთა მოქმედება, აღზარდოს საკუთარი თავი.

სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის შეგნებულობა არ არის მხოლოდ ნაკითხობის, განათლებულობის, „იდეოლოგიური წრთობის" შედეგი; ეს არ არის მხოლოდ წიგნებიდან და ბროშურებიდან კომუნიზმის მოძღვრების შეთვისების უნარი. ეს არის ადამიანთა ჩვევებისა და ტრადიციების, ემოციებისა და გემოვნების ახალი წყობა. ამ აზრით, ჭეშმარიტად თავისუფალი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ადამიანს, ვისი კომუნისტური შეხედულებებიც არაა მოწყვეტილი მისი ყოველდღიური ქცევისაგან. ვისი კომუნისტური შეხედულებები და გრძნობებიც ღირსეულადაა გამოხატული მის კომუნისტურ საქმეებში, ზნეობრივი სახის ასეთ თავისებურებას კომუნისტური პარტიულობა ეწოდება, მიუხედავად იმისა, პარტიის წევრია ადამანი, თუ არა. კომუნისტური პარტიულობა — ასეთია პიროვნების სულიერი თავისუფლების უმაღლესი თანამედროვე ფორმის შინაარსი[1].

მაღალი ზნეობა მაღალ პირად პასუხისმგებლობას ნიშნავს. აქ იგულისხმება არა თვითდისციპლინის, თვითორგანიზების რა-

---

[1] რ. ი. კოსოლაპოვი, თეორიის საკითხისათვის, მ., 1979, გვ. 475 (რუს.).

ღაც „აბსტრაქტული“ პასუხისმგებლობა, ვინაიდან რაც უფრო აქტიურია ახალგაზრდა თავისი ფუნქციების შესრულებისას, რაც უფრო ღრმად აქვს შეგნებული თავისი ქცევის სოციალური მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია მისი პიროვნული თვისებების განვითარების დონე, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი მოქალაქეობრივი სიმწიფე. მაღალზნეობრივი ქცევის აუცილებელი პირობა მოქალაქეობრივი სიმწიფე და პასუხისმგებლობაა. პარტია ყოველთვის მიგვითითებდა, რომ მოქალაქეობრივი მორალური პასუხისმგებლობის ფორმირების აუცილებლობა ესაა პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ ნებაყოფლობით, რწმენის ძალით, როგორც კომუნისტებმა და კომკავშირლებმა, ავიღოთ ჩვენს თავზე, პასუხისმგებლობა ისეთი ორგანიზებულობისა და შეგნებულობის მიღწევისა, მწარმოებლურ ძალთა ისეთი განვითარებისა, რომლებიც ჩვენს კომუნისტურ იდეალებს რეალობად აქცევს.

სწორედ ყოველი მოქალაქის პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობის მიმართ, ხალხის ინტერესების მიმართ ერთადერთ საიმედო ბაზას ქმნის იმისათვის, რომ ყველაზე სრულად განხორციელდეს სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები, ნამდვილი პიროვნების ქცევის უმნიშვნელოვანეს შინაგან რეგულატორად იქცევა ზნეობრივი შეგნება, როგორც მთლიანი ცნობიერების რთული ქვესისტემა, მისი განუყოფელი არსებითი მხარე, მიმართული თვით ზნეობრივი მოღვაწეობის სუბიექტზე.

ამავე დროს, აუცილებელია გავითვალისწინოთ პიროვნების წინააღმდეგობა აღზრდის დროს. თუკი აღსაზრდელი შენიშნავს, რომ აწარმოებენ მხოლოდ მის „აღზრდას“, აღმზრდელის საქმე წაგებულია. მით უფრო საშიშია აბსტრაქტული მორალის ქადაგება, მენტორის ტონი. დიდი ხანია ცნობილია, რომ ახალგაზრდობის მუდმივ წინააღმდეგობას იწვევს, ერთი მხრივ, აბსტრაქტული მორალიზება და, მეორე მხრივ, გაუმართლებელი ადმინისტრირება, დასჯით დაშინების ცდა. ორივე ეს უკიდურესობა ხშირად შემგუებლური პოზიციის შემუშავებას, ქცევაში მოჩვენებითობას და თვალთმაქცობას იწვევს.

თბილისის ორი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს სოციოლოგიური კვლევის მსვლელობაში მიეცათ შეკითხვა: „თუ ხმარობთ „შპარგალკებს“ გამოცდებზე, ჩათვლებზე, საკონტროლო-

ებზე?" გამოკითხულთა 27,2%-მა დადებითი პასუხი გასცა ამ შეკითხვას. „შპარგალკებით" სარგებლობის ზნეობრივი შეფასება გამოვლინდა შეკითხვით: „გრძნობთ თუ არა სინდისის ქენჯნას ამის შემდეგ?" 35,3%-მა უპასუხა — „დიახ", 64,7%-მა — „არა".

მაშ, ბევრი სტუდენტი ხმარობს „შპარგალკას" და ამის გამო სინდისი არ აწუხებს, რა არის ეს? უზნეობა, თუ სამწუხარო აუცილებლობა? როგორია ამ მოვლენის ობიექტური მიზეზები?

უდავოა, რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტი გადატვირთულია საგანმანათლებლო მეცადინეობით, მას ბევრი რამის დაზეპირება უხდება. ისიც ამ გარემოებისაგან თავის დასაღწევ გზებს ეძებს.

მასწავლებლების მოთხოვნათა განსხვავებული დონე, გადატვირთვა, ზეპირობა, დიდი რაოდენობის ციტატებისა და მეორეხარისხოვანი საკითხების დასწავლის აუცილებლობა სტუდენტს ჩამოუყალიბებს „შპარგალკების" საშუალებით „თვითგანტვირთვის" მისწრაფებას. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ობიექტური მიზეზებია, რაც სრულიადაც არ ამართლებს სტუდენტებს. მასწავლებლებისა და სოციოლოგების ნაწილი, ჩვენი აზრით, გამოთქვამს სამართლიან მოსაზრებას — მოხდეს „შპარგალკის" ლეგალიზაცია, ე. ი. ნება დაერთოთ სტუდენტებს გამოცდებსა და ჩათვლებზე ფართოდ ისარგებლონ ცნობარებითა და დამხმარე მასალით, ამავე დროს მთავარი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა მიერ ფუნდამენტური კანონების ცოდნის, ინფორმაციის გამოყენების უნარის შემოწმებას.

მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ არიან „მარჯვე" სტუდენტები, რომელთათვისაც მასწავლებლების მოტყუება, იოლი ცხოვრებისაკენ მისწრაფება ქცევის ნორმად იქცა. ამ გარემოების დაფარვა თავის მოტყუება იქნებოდა, ვინაიდან, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ანტიპოდი მომხმარებლური ფსიქოლოგიაა.

ლენინგრადის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩატარდა დისპუტი — „შენი ზნეობრივი პოზიცია", მასზე განიხილეს პროფესორ ვ. თ. ბარაბანოვის ამავე სახელწოდების სტატია, რომელიც გაზეთ „ლენინგრადის უნივერსიტეტში" იყო გამოქვეყნებული. ცნობილმა მეცნიერმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა ძალზე მწვავედ დასვა საკითხი ყოველი სტუდენტის პირადი

ზნეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ, როგორც საკუთარი, ისე ამხანაგების ქცევის გამო. სტატიას დიდი რეზონანსი ჰქონდა. სტუდენტებმა მოიწადინეს პირადად შეხვედროდნენ ვლადიმერ თედორეს ძეს ღია დისპუტზე. შესავალ სიტყვაში პროფესორმა ვ. თ. ბარაბანოვმა ხაზგასმით აღნიშნა „ახლა დიდ მოდაშია ლაპარაკი ახალგაზრდობის შინაგანი სამყაროს პატივისცემაზე, მისადმი მზრუნველ დამოკიდებულებაზე, იმაზე, რომ ამ სამყაროში არ უნდა ჩაერიო. ეს ყველაფერი სწორია. როცა ეს სამყარო მთლიანია. ჯანმრთელი, წმინდა, და სრულებითაც არაა მართებული, როცა ჩაურევლობით განადგურებისაგან ვიცავთ ცინიზმის ჩანასახს, წარსულის უპატივცემულობას, საბჭოთა საზოგადოების და სამშობლოს წინაშე საკუთარი მარადიული მოვალეობის შეუგნებლობას“.

შემდეგ პროფესორმა დაასახელა სტუდენტთა ერთი ნაწილის უზნეო ქცევის მაგალითები — სწავლისადმი, საზოგადოებრივი სამუშაოებისადმი გულგრილობა, თავისი თავის სიყვარული, ეგოცენტრიზმი, პრაგმატიზმი, საქმოსნობა, კარიერიზმი, მახინჯი მოდისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება.

„ამ აუდიტორიაში, — თქვა პროფესორმა, — ომის დაწყებამდე ათი დღით ადრე დიპლომი მომცეს, აქ კითხულობდნენ ლექციებს უდიდესი რუსი და საბჭოთა მეცნიერები. მე არ მესმის. როგორ შეუძლია ზოგიერთ სტუდენტს, თუ ის ინტელიგენტია. წეროს არა რვეულებში, არამედ მაგიდებზე, თანაც ისეთ რამეს წესიერ კაცს სირცხვილს რომ მოჰგვრის. როგორ ურიგდებიან ამას მათ გვერდით მყოფი კოლეგები? გადაჭრით, შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ ამგვარ საზიზღარ მოვლენებს!“

გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, სადაც გამოაშკარავდა, რომ ზოგიერთი სტუდენტი დისპუტზე მოვიდა, რათა პრინციპული ბრძოლა გამოუცხადოს მასწავლებელს, რომელმაც, მათი აზრით, „პოლემიკური განცხადების“ გამო დაიგიწყა მთავარი, რომ „მთლიანად საბჭოთა ახალგაზრდობა მშვენიერია“, აღიტომ არ ღირს ყურადღება მიექცეს „წვრილმანებს, ზოგიერთ საწყენ და არატიპურ მოვლენას“, მეტიც, ერთი პირველკურსელი იმასაც კი ცდილობდა, თავისებური ფილოსოფიური საფუძველი გამოეძებნა, რათა გაემართლებინა მჯღაბნელები, რომლებიც

„სამაგიდო ხელოვნებას“ მისდევენ, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სწავლას. საქმე ისაა, — თქვა მან, — რომ ყველა მასწავლებელი არ კითხულობს საინტერესო ლექციებს და აი, მოწყენილობისაგან სტუდენტები მაგიდაზე რაღაც-რაღაცეებს წერენ“[1].

ამ „თეორეტიკოსს“ მაშინვე შეედავნენ სხვა სტუდენტები. „სტუდენტთა წრეში არსებული მახინჯი მოვლენების ფესვები უნდა ვეძებოთ არა ზოგიერთი მასწავლებლის ცუდ ლექციებში, არამედ თვით სტუდენტებში. იმ სამოსნებს, რომლებიც გადატვირთულობას უჩივიან, ხომ ჰყოფნით დრო ბარში კათხა ლუდით 2-3 საათის განმავლობაში გაერთონ, ჩათვლებისათვის მზადებას კი ვერ ასწრებენ. „როცა ამბობენ—„უფერული სტუდენტიაო“—ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ლაპარაკია სტუდენტზე, რომელმაც რაღაც არ იცის. არა. ჩვენ მხედველობაში გვყავს ახალგაზრდა, რომელსაც არ უნდა ისწავლოს. „ზოგიერთი სტუდენტი მეცადინეობების თითქმის მესამედს აცდენს. შემთხვევითი არაა, რომ სწავლის ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტთა მეხუთედი ირიცხება. ძალზე დიდი საფასური ხომ არაა სწავლისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა?“[2]

სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის პროცესი გულისხმობს ისეთი ნეგატიური მოვლენების ძირფესვიანად აღმოფხვრას, როგორიცაა ლოთობა და ალკოჰოლიზმი. სკკპ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სოციალურ ამოცანად თვლის. სკკპ ცკ 1986 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ერთ-ერთ პირველ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია ჩვენი საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისაკენ, წარმოადგენდა სკკპ ცკ 1985 წლის 7 მაისის დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში ხაზგასმულია: „საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობა ერთსულოვნად აღიარებს, რომ სპირტიანი სასმელების გამოყენებას დიდი ეკონომიკური და

---

[1] გ. ვ. მაქაცარია, ე. ტ. ლისოვსკი, თანამედროვე სტუდენტი, გვ. 87.

[2] იქვე, გვ. 88.

მორალური ზიანი მოაქვს, რაც შეუწყნარებელია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

ლოთობის დაძლევის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა მდგომარეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ძირითადი რეზერვის — ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციაში. პარტიისა და მთავრობის ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ ემყარება ახალ პრინციპებს, რომლებიც ახდენენ ლოთობის დაძლევისა და პროფილაქტიკის ღონისძიებათა მთელი სისტემის ორიენტაციას ფხიზელი ცხოვრების განვითარებასა და გამოსაფხიზლებელ ფსიქოლოგიურ განწყობილებებზე.

1985 წლის 7 მაისიდან სკკპ ცკ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ ცკ შესაბამისი მოთხოვნილებების თანახმად, ჩატარებულ იქნა დიდი მუშაობა ლოთობის აღმოსაფხვრელად სტუდენტებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. დასახელებულ დადგენილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დასახა ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, მიმართული მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებაზე.

ლოთობის ფაქტების აღმოსაფხვრელად აუცილებელია უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურული ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, კოლექტივებში ლოთობის ნებისმიერი ფაქტის მიმართ შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნა, მოსწავლეთა და სტუდენტთა ფართო ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, მხატვრულ თვითშემოქმედებაში, ფიზკულტურასა და სპორტში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი ახალგაზრდობის ერთსულოვანი მოთხოვნით, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაადგინა, რომ უმაღლესი სკოლის სტუდენტები და ტექნიკუმის მოსწავლეები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან საზოგადოებრივ ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში, დაუყოვნებლივ გაირიცხებიან სასწავლებლიდან.

ლოთობასთან ბრძოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების ეფექტური გამოყენების შედეგად ბოლო დროს მკვეთრად შემცირდა ლოთობის ფაქტები სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის.

თუ 1985 წლის იანვარ-მაისში არაფხიზელ მდგომარეობაში დააკავეს და გამოსაფხიზლებელში მოათავსეს ქ. თბილისის 96 სტუდენტი და მოსწავლე, 1985 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით მათი რიცხვი 34-ს შეადგენდა, ხოლო 1985 წლის ნოემბრიდან 1986 წლის მარტამდე — 12-ს.

დიდი მუშაობა წარმოებს მოწინავე შრომითი კოლექტივების გამოცდილების შესწავლისა და გაზიარებისათვის, უმაღლეს სასწავლებლებში ახალი ტრადიციების და წეს-ჩვეულებების დანერგვისათვის სადღესასწაულო ღონისძიებების, კერძოდ, უალკოჰოლო ქორწინებისა და სხვა ზეიმების დამკვიდრებისა და ფართო პროპაგანდისათვის რესპუბლიკის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უმაღლესი სასწავლებლების ცალკეულმა მასწავლებლებმა, ხელმძღვანელებმა ბოლომდე არ შეიგნეს ლოთობასთან ბრძოლის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე, ხშირია ფორმალური, ზედაპირული დამოკიდებულების შემთხვევები ამ მნიშვნელოვან სამუშაოსთან. ზოგიერთ აღმზრდელში გამტკიცებულია აზრი, რომ ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლა ვარაუდობს ახალგაზრდებში სპირტიანი სასმელების ხმარების კულტურის გამომუშავებას, საკითხი სულ სხვაგვარად დგას: ახალგაზრდებს გადაჭრით ვათქმევინოთ უარი ალკოჰოლის მიღებაზე. დადგენილებაში „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ პირდაპირ მითითებულია, რომ დაუშვებელია სპირტიანი სასმელების გამოყენების „კულტურის“ პროპაგანდა. ამით მხილებულია საზოგადოებისათვის სახიფათო აზრი და მოწოდება — ვასწავლოთ ხალხს „კულტურულად“ სმა.

როგორია სპირტიანი სასმელებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება? ... ამ შეკითხვას ქვეყნის 18 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს: ვსვამ ნაცნობ-მეგობრებთან ერთად დღესასწაულების დროს — 46,2%; თითქმის არ ვსვამ, წმინდა სიმბოლური აზრით ვსვამ — 30,9%; უარს არ ვიტყვი, თუ შესაძლებლობა მომეცა — 12,8%; სრულიად არ ვსვამ — 9,5%; რეგულარული სმა ჩვეულებად მექცა — 0,6%.

ერთი შეხედვით ნორმალური სურათია. 4065 გამოკითხული სტუდენტიდან მხოლოდ 24-ს „ექცა რეგულარული სმა ჩვეულებად". მაგრამ თუ ამათ მივუმატებთ იმ 524 კაცს, რომლებიც „შესაძლებლობის შემთხვევაში უარს არ ამბობენ", უკვე საგანგაშო მდგომარეობა იქმნება.

სტუდენტთა ერთი ნაწილის ლოთობას ადასტურებს მრავალი წერილი, რომლებსაც გამოსაფხიზლებლები უმაღლესი სასწავლებლების დეკანატებსა და რექტორატებში გზავნიან.

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ დისპუტზე მონაწილეებს ვკითხეთ: „რატომ სვამს ზოგიერთი სტუდენტი?" პასუხები ერთფეროვნად მარტივი იყო: „მიზეზია კულტურული ინტერესების არაგონიერი ხასიათი, მათი განუვითარებლობა". ერთმა სტუდენტმა თქვა: „ვსვამთ, რათა უფრო ადვილად დავამყაროთ ურთიერთობა ერთმანეთთან, თრობა ყოველგვარ ბორკილებს ხსნის". მას უპასუხეს, „ახალგაზრდების უმრავლესობა მშვენივრად უგებს ერთმანეთს სასმელის გარეშეც".

ზნეობის ძალა, მისი მოქმედების ეფექტურობა იმითაა განპირობებული, თუ რამდენად მონაწილეობს ზნეობა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში, როგორ ვლინდება იგი ქცევაში.

„ყოველთვის ხელმძღვანელობთ ცხოვრებაში შემდეგი პრინციპებით?" — ასეთ შეკითხვაზე ქვეყნის 18 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა შემდეგი პასუხი გასცეს:

	ხშირად	იშვიათად	არასოდეს
სამართლიანობისადმი სწრაფვით	84,8	14,0	1,2
ადამიანებისათვის სარგებლობის მოტანისადმი სწრაფვით	84,7	54,2	1,1
გარშემო მყოფთა პატივისცემის და სიყვარულის დამსახურების სურვილით	54,6	36,4	9,0
პრინციპით „სხვაზე ნაკლები რად უნდა ვიყო!"	44,8	41,2	14,0
პრინციპით „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს".	6,0	33,0	61,0
პრინციპით „რა ჩემი საქმეა!"	5,5	58,6	85,0

პასუხებიდან ნათელია, რომ სტუდენტთა ნაწილს, მათივე აღიარებით, გულგრილობა და შემგუებლობა ახასიათებს.

ვ. ა. სუხომლინსკი წერდა: „სამყაროს მოქალაქეობრივი ხედვა-ზნეობის სისხლი და ხორცია... მთავარია, რომ წმინდა, მაღალი მორალური გრძნობების განმტკიცებისა და გამოვლენის სფეროს მდიდარი ემოციური ცხოვრება, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი ადამიანის პირადი მიმართება შეადგენდეს. მრავალი წლის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ მოზარდების, ჭაბუკების წრეში ამორალური საქციელის ფესვებს გრძნობათა სამყაროს შეზღუდულობა, სიღატაკე, პრიმიტიულობა კვებავს"[1].

ქვეყნის 18 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის განკუთვნილ ანკეტაში ასეთი შეკითხვა ჩავრთეთ: „ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მსჯელობა, აარჩიეთ ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე სრულად უპასუხებს თქვენი ცხოვრების პრინციპებს".

პასუხები შემდეგნაირი იყო:

1. მაქვს მიზნები და იდეალები, რომლებიც მწამს და რომლებსაც ბოლომდე დავიცავ — 47,0%.

2. ჩვენს დროში უფრო ძნელია ცხოვრების საზრისის პოვნა, ვიდრე წინათ — 23,4%.

3. ხშირად ვგრძნობ, რომ არ გამაჩნია მიზნები და იდეალები, რომლებიც ღრმად მწამდეს — 22,6%.

4. ჩვენს დროში უფრო ადვილია ცხოვრების საზრისის პოვნა, ვიდრე წინათ" — 7,0%.

კომუნისტური ზნეობრივი იდეალი მუდამ აქტიურია. იგი ადამიანისაგან მოითხოვს კომუნისტური მორალის ანტიპოდებთან აქტიურ ბრძოლას, ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ძიებას. სწორედ იდეალის ერთგულება აძლევს ადამიანს საშუალებას შეიგნოს საკუთარი ცხოვრებისეული პოზიცია, გააქტიუროს იგი, უერთგულოს საკუთარ რწმენას.

შემთხვევითი არაა, რომ რეჟისორი რ. ჩხეიძის ფილმმა „მშობლიურო ჩემო მიწავ!", რომლის სცენარიც მან ს. ჟღენტთან

---

[1] ვ. სუხომლინსკი, მოქალაქის დაბადება, მ., 1971, გვ; 174, (რუს.).

ერთად დაწერა (მოთხრობა რაიკომის მდივანზე), ასე ააღელვა მაყურებელი.

ფილმის მთავარი გმირი გიორგი თორელი, რაიკომის მდივანი, შედარებით ახალგაზრდა კაცი, ნამდვილი თანამედროვე ინტელიგენტია, მისთვის ყველაფერი მაღალი სულიერების ნიშნით ხასიათდება, სულიერება განუყრელია მისი პიროვნებისაგან. ამ სულიერების იდეურ საფუძველს კომუნისტური დარწმუნებულობა წარმოადგენს. ის გიორგისათვის მსოფლშეგნების ნორმაა. ახალგაზრდა რაიკომის მდივანი გაურბის მაღალფარდოვან სიტყვებს. იგი მათ უბრალო, საქმით, შრომით განმტკიცებულ სიტყვებს ამჯობინებს. გიორგის ვაიოს მწირი ველის აღორძინება სურს. ეს ველი ოდესღაც საოცარი ბაღ-ვენახებით იყო განთქმული. ასეთი ოცნება ჰქონდა მის მამა-პაპას[1]. გიორგი თაობათა ესტაფეტას ღებს და ადამიანებიც მას მიჰყვებიან.

რაიკომის მდივანი მკაცრი, საქმიანი და პრინციპულია, მაგრამ ეს ხელს კი არ უშლის, პირიქით, ეხმარება მას იყოს კეთილი და გულითადი. იგი ახალი ტიპის ხელმძღვანელია, საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილი, საბჭოთა სოციალისტური ცხოვრების წესის მატარებელი.

გიორგი თორელი სამშობლოს ერთგულად და უანგაროდ ემსახურება. ამიტომ იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავს დემაგოგს და გაიძვერას — მერაბ სეთურიძეს. ებრძვის სიყალბეს, თვალთმაქცობას, ჩამორჩენილობას, რაც უნდა „თვითმყოფი“ სამოსლით იყოს იგი შენიღბული.

თორელის ქცევის ზოგადი მიმართულების საფუძველია მშობლიური მიწის პატიოსანი, თავდაუზოგავი სამსახურის იდეა — ჭეშმარიტად ზნეობრივი იდეა, იგი მართავს მის ყოველგვარ ქცევას. მისთვის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების განუყოფელი ერთიანობაა დამახასიათებელი, იგი ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებაა.

საინტერესოა ფილმის კადრები, სადაც თორელი აკვირდება „დონ-კიხოტის“ გადაღებას. ლამანჩელი რაინდის მამაცობა, კეთილ-

---

[1] ე. ერემოვი, ვაიოს ველის ვენახი, „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1981 წ., 11 თებერვალი.

შობილება, თავგანწირვა — გიორგი თორელის დამახასიათებელი თვისებებიცაა, მაგრამ იგი მათ ქარის წისქვილებთან საბრძოლველად კი არა, სინამდვილის გარდასაქმნელად წარმართავს.

გავიხსენოთ ღამეული საუბარი მერაბ სეთურიძესთან. დემაგოგი სეთურიძე ცინიკურად ჟონგლიორობს ისეთი ცნებებით, როგორიცაა „ადამიანის თავისუფალი განვითარება", „მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება" და ცდილობს ამით დაფაროს და დააკანონოს საკუთარი მომხვეჭელობა. თორელის სახით მას უპირისპირდება მტკიცე რწმენა, ზნეობრივი უმწიკვლობა ადამიანისა, რომელმაც იცის, რომ მის მხარეზეა ჩვენი საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების სიმართლე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გავლილი ისტორიული გზის სიმართლე. თორელი იმარჯვებს რთულ ბრძოლაში.

იმარჯვებს თორელი ვაიოს ველის მომავლისათვის ბრძოლის პირველ ეტაპებზეც.

ზნეობრივი ზემოქმედების მეთოდების ერთიანობა ადამიანისადმი (როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულებისადმი) დამოკიდებულებითაა განპირობებული, აღმზრდელობითი (უფრო ფართოდ კი — იდეურ-აღმზრდელობითი) მუშაობის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს: 1) განსაზღვრული, სოციალისტური ცხოვრების წესის შესაბამისი პირობები უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივში, განსაკუთრებით ის, რაც შეადგენს სტუდენტის „უშუალო მიკროგარემოს" — შრომის, ყოფა-ცხოვრების, თავისუფალი დროის შესაბამისი პირობები და ყველა სფეროში ურთიერთობის გარკვეული ხასიათი; 2) იმის ფორმირება და განმტკიცება, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „პიროვნების იდეურ-ზნეობრივი ღერძი", ე. ი. იმ მოთხოვნილებათა და ინტერესთა, ღირებულებითი ორიენტაციათა სისტემა, რომელიც მორალურ განწყობას და სულიერ სახეს განაპირობებს.

მოთხოვნილებები და მოხმარებლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „ჩვენს ქვეყანაში საწარმოო და სულიერი პოტენციალი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები აუცილებელს და შესაძლებელს ხდის არსებითს წინსვლას, „საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების მისაღწევად“ (ლენინი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამოცანად აყენებს ავიყვანოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა თვისებრივად ახალ საფეხურზე, უზრუნველვყოთ მატერიალური, სოციალური და კულტურული დოვლათის მოხმარების ისეთი დონე და სტრუქტურა, რომლებიც ყველაზე სრულად შეესატყვისება ჰარმონიულად განვითარებული, სულიერად მდიდარი პიროვნების ჩამოყალიბებას, საბჭოთა ადამიანების უნარისა და ნიჭის სრული გამოვლენის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნებს საზოგადოების ინტერესებისათვის. უკვე უახლოესი თხუთმეტწლეულისათვის დასახულია გაორკეცდეს ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოყოფილი რესურსების მოცულობა.

კვლავაც განხორციელდება იმ მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის სრულ და ეფექტიან დასაქმებას, მიანიჭებენ ყველა შრომისუნარიან მოქალაქეს შესაძლებლობას — იმუშაონ საქმიანობის არჩეულ სფეროში მოწოდების, უნარის, განათლების, პროფესიული მომზადების შესაბამისად და საზოგადოებრივი მოთხოვნილების გათვალისწინებით“[1].

სკკპ XXVII ყრილობაზე სკკპ ცკ-ის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, „პოლიტიკას საჭირო შედეგები მოაქვს, როდესაც იგი კლასების, სოციალური ჯგუფების, პიროვნების ინტერესების ზუსტ გათვალისწინებას ემყარება.... საზოგადოებას კონკრეტული ადამიანები შეადგენენ, მათ აქვთ კონკრეტული

[1] სკკპ პროგრამა, გვ. 57.

ინტერესი, თავიანთი სიხარული და გასაჭირი, წარმოდგენა ცხოვრებაზე, მის ნამდვილ თუ მოჩვენებებით ღირებულებაზე"[1].

ადამიანის მოღვაწეობის წანამძღვარი მოთხოვნილებაა, მაგრამ მოთხოვნილება თავისთავად, წერს ა. ნ. ლეონტიევი, „... ვერ განსაზღვრავს მოღვაწეობის კონკრეტულ მიმართულებას. მოთხოვნილება მხოლოდ მოღვაწეობის საგანში ვანისაზღვრება: იგი თითქოს „მასში თავის თავს პოულობს". ვინაიდან მოთხოვნილება თავის განსაზღვრულობას, როგორობას საგანში პოვებს (მასში „გასაგნდება"), მოცემული საგანი მოღვაწეობის მოტივად იქცევა, იგი მას გამოიწვევს"[2], ამიტომ ქცევის სუბიექტი, როგორც წესი, აქტიურობას მხოლოდ მას შემდეგ ავლენს, რაც შეიგნებს არა მარტო მოთხოვნილებას, არამედ, ამასთან, მისი დაკმაყოფილების გარემოებებსაც, აგრეთვე წამოწყებული აქტის შესაძლო შედეგებს როგორც თავისთვის, ისე სხვებისათვის. ძასში შედის აგრეთვე გაცნობიერება იმ ნორმებისა, რომლებიც შემოფარგლავენ მისი მოღვაწეობის შესაძლებლობათა არეს, და გაცნობიერება მათი დარღვევისა. მაშასადამე, კონკრეტულად როგორი უნდა იყოს მოქმედება, თვით სუბიექტის შეგნებულ-ნებელობით გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

„... პიროვნება, — წერდა ა. ნ. ლეონტიევი, — ვერ განვითარდება მოხმარების ჩარჩოებში, მისი განვითარება აუცილებლად გულისხმობს მოთხოვნილებათა გადანაცვლებას ქმნადობაზე, რომელიც უსაზღვროა"[3]. ეს მხოლოდ მატერიალური საგნების მოხმარებაზე როდია ნათქვამი. ე. წ. „ვეშჩიზმს" მეორე მხარეც აქვს— მომხმარებლური დამოკიდებულება სულიერი კულტურისადმი, „ვინაიდან იქ, სადაც ბრძოლა წარმოებს არა „კომუნიზმის განმტკიცებისა და დასრულებისათვის (ვ. ი. ლენინი), არამედ ნივთთა ფლობისათვის არა ადამიანისათვის, არამედ მისი გარეგანი იერისათვის, იქ თავისუფლად ხარობს მეშჩანობა"[4].

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 148.

[2] ა. ნ. ლეონტიევი, ფსიქიკის განვითარების პრობლემები, მ., 1965 (რუს.).

[3] ა. ნ. ლეონტიევი, მოღვაწეობა, ცნობიერება, პიროვნება, მ., 1977, გვ. 226 (რუს.).

[4] ა. ფროლოვი, სულიერი სიმდიდრე და კომუნისტური ზნეობა, „კომუნისტი" 1980, № 15, გვ. 32 (რუს.).

ქვეყნის 18 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს სოციოლოგიური კვლევისას მიეცათ შეკითხვა: „ზოგიერთი ადამიანი დეფიციტური საქონლის შესაძენად გადამყიდველებს მიმართავს, როგორ უყურებთ ამას?“ პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: „ვთვლი, რომ ისინი უზნეოდ იქცევიან“ — 24,6%, „რა ქნან, თუკი დეფიციტური საქონელი ძნელად იშოვება მაღაზიებში“ — 56,9%, „სულ ერთია“ — 18.6%, დამაზუსტებელ შეკითხვაზე — „პირადად მიგიმართავთ გადამყიდველებისათვის?“ — დადებითი პასუხი გასცა გამოკითხულთა 48,6%-მა.

ლენინგრადის უნივერსიტეტის ერთმა სტუდენტმა პირად საუბარში განმარტა: „ვერ ვიტან ამ საძაგლებისაგან რაიმეს ყიდვას, მაგრამ ძალიან რომ მინდა მოდურად, თანამედროვედ ჩაცმა?“ „სინდისი არ გაწუხებთ?“ — შევეკითხეთ. „სინდისი სინდისია, მაგრამ საზღვარგარეთული ჯინსიც საჭიროა“ — იყო პასუხი. რაღა ცხოვრებისეულ პოზიციაზე უნდა ვილაპარაკოთ აქ?

ზოგიერთი სტუდენტისათვის იდეალადაა ქცეული კაცი, რომელსაც „ყველაფრის შოვნა“ შეუძლია, როგორც წესი, იგი მოდურადაა ჩაცმული, დამოუკიდებლად უჭირავს თავი, ფულს აბნევს, ერთი სიტყვით, გარკვეულ დრომდე წარმატებული საქმოსანია.

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გამოიკვლიეს ჯგუფი ქალიშვილებისა, რომლებიც სტუდენტთა ქალაქში მოდის კანონმდებლები იყვნენ. ეს ლამაზი ქალიშვილები უფრო გაუბედავნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი ნაკლებ მიმზიდველი თანატოლები. ულტრამოდური ჩაცმულობა, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იქცევდა, მათთვის იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ისინი კარგად გამოიყურებიან, ყურადღებას იქცევენ, მოწონებით სარგებლობენ. თავისთავში დაჯერებული ადამიანი არ საჭიროებს საკუთარი ღირსების გამუდმებულ მტკიცებას.

თუ ახალგაზრდობას არ ჩამოუყალიბდა გონიერება, მას, როგორც წესი, გამოუმუშავდება შემგუებლობა, ზოგჯერ კი მლიქვნელობაც „მშოვნელთა“ მიმართ, ჩაცმულობაში თავის გამოვლენისაკენ სწრაფვა.

ამბობენ, მოდა არის თავის გამოჩენის შანსი, ადვილი შანსი, მოდა საშუალებას იძლევა, ახალგაზრდა ეფექტური იყოს, თავისი პიროვნების გარკვეული მხარეები წარმოაჩინოს. ამაში ცუდი არაფერია, თუკი ეს არ არის ერთადერთი და უკანასკნელი შანსი, რადგან არასოდეს მოძველდება საინტერესო, წესიერი პიროვნების მოდა, მხოლოდ საერთო კულტურა ზემოქმედებს მოდის აღქმაზე. მხოლოდ მისი წყალობითაა შესაძლებელი საგანთა სიმრავლეში შეირჩეს სწორედ ის, რაც ამ ადამიანს, მისი ცხოვრების სტილს, საზოგადოებაში ზნეობრივ ქცევას შეესაბამება. მხოლოდ საერთო კულტურის საფუძველზე ახერხებს ადამიანი საკუთარი თავის ერთგული დარჩეს მორიგ „მოდურ ტალღაზე“ და სასაცილოდ არ იქცეს, მეშჩანობა მარტო ნივთებთან მიმართებაში კი არ ვლინდება, იგი ცხოვრების გააზრებაში, წიგნებთან, მუსიკასთან, რელიგიასთან, სხვადასხვა ატრიბუტებთან დამოკიდებულებაშიც იჩენს თავს.

ფრიად მართებულად შენიშნა მწერალმა ე. ბოგატომ: „მომხმარებლობა მაშინ იწყება, როცა ილუზიები თვითმიზნად გადაიქცევა, როცა ისინი ცოცხალ სინამდვილეს ჩრდილავენ; ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი არსებითი კრიტერიუმია ადამიანის სულისა და გონების ქმნილებებისადმი მომხმარებლური მიმართების განსასაზღვრელად“[1]. ე. წ. „პრესტიჟული მოთხოვნილების“ არსებობამ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხაზი გაესვას მატერიალურ თუ სულიერ იშვიათობასთან ვინმეს თანაზიარობას, ალექსეი არბუზოვის პიესაში „სასტიკი თამაშები“ ერთი ასული, რომელიც სრულებითაც არ ჰგავს ანგელოზს, იტყვის: „ღმერთო ჩემო! უკვე ოცი წლისა ვარ და ჯერაც არ ვყოფილვარ დაღესტანში. ამბობენ, იქ ისეთი მონასტრები ყოფილა! ყველა იქ მიდის, აბა, რომელი სულელი წავა ახლა სოჭში?“.

ამ ბოლო დროს ახალგაზრდებში მოდაში შემოვიდა ჯვრების, ამერიკული სამხედრო ფორმების და სხვათა ტარება.

ახალგაზრდებს, რომელთაც „ბურჟუაზიული სამოთხის“ სიმბოლოებიანი მაისურები აცვიათ, არ ესმით, რომ ისინი თავისდაუნებურად მონაწილეობენ გაქნილ პოლიტიკურ თამაშში. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ასეთი მაისურების გაფორმებაზე

[1] იხ., ბ ო გ ა ტ ო, გრძნობები და ნივთები, მ., 1975 (რუს.).

მარტო მხატვრები კი არა, ე; წ. დასავლეთის პოლიტიკოსი „მოდელიორებიც“ ფიქრობდნენ.

პრესტიჟული საგნების ფლობის, მათი შეძენის წყურვილი ხშირად იწვევს ზღვრის წაშლას გონივრულს, მიზანშეწონილსა და სასურველს შორის. ბევრი თბილისელი ავტომოყვარული აჰყვა მოდას: „ჟიგულებისა“ და „ვოლგების“ უკანა მინასთან უდევთ ფეხბურთის ბურთები. ამავე დროს, როგორც ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტმა გამოარკვია, ბურთების მფლობელთ ფეხბურთთან არავითარი კავშირი არა აქვთ. შეკითხვაზე:

„თქვენი აზრით, ასეთი ბურთებით ავტომოყვარულები თამაშობენ?“ — მანქანის პატრონმა უპასუხა: „ბურთს თუ ორმოცდაათ მანეთად იყიდი, მერე იმას ფეხს დაარტყამ?“.

აი, ასე! პრესტიჟისათვის ორმოცდაათი მანეთიც არ ენანებათ, სწორედ იგი, „მისი უდიდებულესობა“ მეშჩანი აქცევს „უძრავ ქონებად“ წიგნებს, რომელთა შეძენაც ახლა ასე მოდაშია. ეს პრესტიჟის საქმეა — წაკითხვა არაა აუცილებელი.

შემთხვევით ერთ სახლში მოვხვდით — ვეებერთელა ზეთანამედროვე ბიბლიოთეკა ვნახეთ.

— რამდენი წიგნი გაქვთ! — აღტაცებით ვუთხარით დიასახლისს.

— დიახ, ოფიციალური ფასი ორი ათას სამასი მანეთია, შავ ბაზარზე კი ცხრა-თხუთმეტ ათასსაც ავიღებთ.

საქმოსნების ოჯახში წიგნებს არ კითხულობენ, მაგრამ ბევრს ყიდულობენ: ყოველი შემთხვევისათვის, შავი დღისათვის და იმიტომაც, რომ მოდაშია, პრესტიჟის საქმეა.

ცნობილია, რომ ვლადიმერ დალმა მოდას „მოარული ჩვეულება“, ემანუილ კანტმა კი „მერყევი ცხოვრების წესი“ უწოდა. მოდა ყოველთვის კოლექტიური, მასობრივი ქცევაა, რომელიც ქცევის, მოთხოვნილებების, შეფასებების ამა თუ იმ ეტალონს აყალიბებს. სამართლიანად შენიშნავენ, რომ თუ ადამიანი „იძირება“ ნივთთა სამყაროში, იგი ხშირად საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ინტერესს კარგავს, რადგან „ვეშჩიზმის ფსიქოლოგია“ ამახინჯებს წარმოდგენას ცხოვრების ჭეშმარიტ მიზნებისა და საზრისის შესახებ, იწვევს დანაშაულებრივ ქცევას.

ჩვენ ჯიბით ვატარებთ გაზის სანთებელას, ბურთულიან ავტო-

.კალამს, ფილტრიან სიგარეტს, საშუს, ტროლეიბუსის ან ავტობუსის სამგზავრო ბილეთს, პორტმონეს, ტელეფონის ნომრებიან უბის წიგნაკს. გასული საუკუნიდან შემოგვრჩა მხოლოდ სავარცხელი, ცხვირსახოცი... სწორედ შენიშნავს ხელოვნების მცოდნე ნიკიტა ვორონოვი, რომ ახლა ნივთებზე უარის თქმა ისევე უპერსპექტივოა, როგორც ფაბრიკების დანგრევისა და გამოქვაბულებში საცხოვრებლად გადასვლის ქადაგება.

სამწუხაროდ, ნივთებზე ფიქრს ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ცნობიერებაში ძალზე დიდი დრო ეთმობა. ამ ასპექტით ძალზე საინტერესოა კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტების მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი „გამოკვლევა". ისინი ლენინგრადის ქუჩებში ინტერვიუს ართმევდნენ ახალგაზრდებს — ქალიშვილებს და ჭაბუკებს. კერძოდ უსვამდნენ ასეთ შეკითხვას:

— „უთვალავი ფული რომ გქონდეს, რას იზამდი?"

ირა: „ჯერ ყოველივე აუცილებელს შევიძენდი, მერე კი, რადგან თეატრი ძალიან მიყვარს, ყველგან, დედამიწის ზურგზე, ბევრ, ბევრ თეატრს ავაშენებდი".

დიმა: „მე მოტოციკლს ვიყიდდი".

— შემდეგ?

— კიდევ მოტოციკლს.

— შემდეგ?

— შემდეგ კიდევ მოტოციკლს.

— რად გინდა ამდენი მოტოციკლი?

— სანამ არ მომწყინდებოდა".

მოდური საქონლის წარმოების დეფიციტი სპეკულაციას ბადებს. ამას გარდა, უპრინციპო ადამიანებში აყალიბებს, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, შემგუებლურ, წამქეზებლურ 'დამოკიდებულებას სპეკულანტებთან: „სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს", „საქონლის წარმოების ზრდასთან ერთად მოისპობა სპეკულაციის ეკონომიკური ფესვები". მაგრამ „იოლი ფულის" შოვნის ჩვევის აღმოფხვრა ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვინ იცის, ფულის შოვნის როგორ ხერხს გამონახავენ „ბიზნესმენები?" პატიოსანი ცხოვრებისაკენ მოწოდების გზით მათი აღზრდის იმედი, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობაა.

საბჭოთა ფსიქოლოგმა ა. ი. ხალიუტამ ინტერვიუ ჩამოართვა ადამიანებს, რომლებიც დეფიციტური საქონლით სპეკულანტობდნენ. მათ შორის რამდენიმე უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი აღმოჩნდა. თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის გამართლებას ისინი ცხოვრების სიძნელეებით ცდილობდნენ: „ეს ცხოვრება გულს მირევს: სამსახურში 8 საათს გამოსულელდები, მუდამ გაჭედილი ტრანსპორტი, მუდამ ფულის ნაკლებობა, მაღაზიებში ზღვა ხალხი" — ასეთია ახალგაზრდა ინჟინრის სერგეი ბ-ს საჩივარი.

თავდაპირველად მათ სურთ იოლად მიიღონ ყოველგვარი სიკეთე, შემდეგ კი (მათივე სიტყვებით) კარგად იმუშავებენ, ვინაიდან ჩვენთან „კარგ ფულს ვერსად გააკეთებ". გაბოროტებით და შურით ლაპარაკობენ სპეკულანტები იმ ახალგაზრდებზე, ვისთვისაც მშობლები ყიდულობენ მანქანებს და სხვ. „ჩვენ ყველაფერს საკუთარი ხელით ვაკეთებთ. მათზე დედიკოები და მამიკოები ზრუნავენ"[1].

მომხმარებლურ ფსიქოლოგიაში ყველაზე საშინელია ბედნიერების ილუზია, ადამიანური ღირსების დაკარგვა.

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი სპეკულიანტი ალექსანდრე მ. კოლონიაში დისპუტზე იკვეხნიდა: „სასტუმროს ბარში პერსონალური ადგილი მქონდა, ყველა ბარმენი მიცნობდა". მას ჰკითხეს:

— რა მიიღეთ კოკტეილებზე მოპოვებული „ბედნიერების" ფასად?

— შვიდი წელი.

— ძალიან ძვირი ხომ არ დაგიჯდათ ეს „ლამაზი ცხოვრება?"

მთავარია ყოველმა ადამიანმა დაინახოს, გაიგოს განსხვავება ნამდვილ და მოჩვენებით პრესტიჟს შორის, ადამიანის პიროვნების ღირსებასა და მისი „შეფუთვის" სიმბოლოს შორის, სულიერ კომფორტსა და მატერიალურ კეთილდღეობას შორის, როგორც ერთმა პოეტმა თქვა: „და მაცივარი, გწამდეს, ქვითინით შენს კუბოს უკან არ გამოჰყვება".

---

[1] ა. ი. ხ ა ლ ი უ ტ ა, ასოციალური ქცევის ზოგიერთი ასპექტი, ლ., 1980,

გონიერ მოთხოვნილებათა ჩამოყალიბება ურთულესი ამოცანაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი აქტიობისა და არაგონიერი არსებობის მიმართ მოქალაქეობრივი შეურიგებლობის აღზრდასთან.

ახალგაზრდობას უნდა ჩავუნერგოთ, რომ მატერიალური კეთილდღეობა ჩვენთვის თვითმიზანი კი არა, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების წანამძღვარია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ კეთილდღეობის ზრდას თან სდევდეს ადამიანთა შინაგანი სამყაროს გამდიდრება, ცხოვრების მიზნისა და საზრისის სწორი გაგების ფორმირება.

სოციალიზმი ყველა პირობას ქმნის, რათა დაძლეულ იქნეს გონებისა და ადამიანური ბუნებისათვის მიუღებელი ანტაგონიზმი ადამიანებსა და ნივთებს შორის. სამწუხაროდ, ეს ყველას როდი ესმის, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ეს ადამიანები სულიერ კრახს განიცდიან, რადგანაც ნივთების გამოდევნება ილუზორული ბედნიერება აღმოჩნდება ხოლმე.

მწერალი ე. მ. ბოგატო ძალზე საინტერესო წიგნში „გრძნობები და ნივთები" წერს ე. წ. „საუკუნის ცდუნებებზე": „ცდუნების პრობლემის" არსია „საუკუნის ცდუნებათა" სხვა სახეწოდებით წარმოდგენა ილუზიაში: „ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი მიიღწევა, ყველაფერი ხელმისაწვდომია"[1].

ჩართავ ტელევიზორს და მოივლი ავსტრალიას თუ საფრანგეთს, რამდენიმე საათში გაეცნობი ლ. ნ. ტოლსტოის ეპოპეას „ომი და მშვიდობა", რომელზეც უწინდელი თაობები ღამეებს ათენებდნენ.

ერთ-ერთმა მონაწილემ დისკუსიისა „ახალგაზრდობა. ეთიკა. საუკუნე" შენიშნა, რომ ცხოვრების ასეთი მოჩვენებითი სინამღვილე თავისებურ სულიერ პარაზიტიზმს, ერთგვარ სულიერ დისტროფიას იწვევს. ამის შედეგად ქრება გაოცება და მის ადგილს მოხმარება იჭერს. ეს ძალზე ძვირი საზღაურია „საუკუნის ცდუნებებისათვის", და, რაც ძალზე სამწუხაროა, ნივთები ხშირად ჩრდილავენ ადამიანებს.

თანამედროვე ახალგაზრდა თაობა შედის არა მარტო ახალი კომუნისტური სულიერი ღირებულებებისა და იდეალების, არამედ

---

[1] ე. ბ ო გ ა ტ ო, „გრძნობები და ნივთები", გვ. 181, 293 (რუს).

ყოველმხრივ მზარდ მატერიალურ შესაძლებლობათა სამყაროში. დღეს შეიძლება იმ გარემოების კონსტატაცია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მოხმარების საგნებში უფრო ხშირად ჩაერთვის გუშინდელი ფუფუნების საგნები. ეს ბუნებრივიცაა. კარგი, მოხერხებული და ლამაზი ნივთების სიმრავლე ცხოვრებას აიოლებს, ეს აღინიშნა პარტიის XXVII ყრილობაზე: „მეოთხედი საუკუნის მანძილზე, სკკპ მესამე პროგრამის მიღების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. შვიდჯერ გაიზარდა სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები, აშენდა ათასობით საწარმო, შეიქმნა ახალი დარგები, ეროვნული შემოსავალი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა, სამრეწველო წარმოება — 5-ჯერ, სასოფლო სამეურნეო წარმოება — 1,7-ჯერ... ეს მიღწევები ხალხის უდიდესი ძალისხმევის შედეგია. მათი მეოხებით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. მეოთხედი საუკუნის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი 2,6-ჯერ გაიზარდა, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები — 5-ჯერ...“[1].

ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობაში ჭეშმარიტი კრიტერიუმების აღზრდას, რაც განაპირობებს სულიერი სიმდიდრის შენარჩუნებასა და ილუზირებული აზროვნების თავიდან აცილებას.

საყურადღებოა, რომ მოზარდ დამნაშავეთა კოლონიებში დისპუტებზე ვერცერთმა გამოკითხულმა ვერ უპასუხა შეკითხვაზე: „რა არის — ადამიანის ღირსების მთავარი კრიტერიუმი?“ იძულებული გავხდით აგვეხსნა, რომ ეს არის შრომა, სამაგიეროდ, შეკითხვაზე: „რა უფრო სასიამოვნოა ცხოვრებაში — საჩუქრების გაცემა თუ მიღება?“ დაუფიქრებლად პასუხობდნენ: „რა თქმა უნდა, მიღება!“ მათ ავიწყდებათ შოთასეული სიბრძნე: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“.

მშიერს დააპურებ, შიშველს ჩააცმევ, მაგრამ რა უნდა უყო ასეთ ზედმეტად „ნაპატიებ“, გულგრილ ახალგაზრდას? სიმაძღრისაგან წარმომდგარი გულგრილობა ხომ საშინელი რამეა.

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 36—37.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენი საზოგადოება წარმატებით იბრძვის სოციალისტური სამართლიანობის პრინციპების სრული და საბოლოო განმტკიცებისათვის. ჩვენს ქვეყანაში განმტკიცდა ხალხის ძალაუფლება და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა კანონის მიმართ, ერების ფაქტიური თანასწორუფლებიანობა, პიროვნებისადმი პატივისცემა, ყველა პირობაა შექმნილი პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის, მაგრამ როგორც ცნობილია, სამართლიანობა მთლიანად დამოკიდებულია მატერიალურ დოვლათზე. დღეს სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მკაცრი დაცვა — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით" — დაკავშირებულია განაწილებისა და მოხმარების მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის დაწესებასთან. სწორედ ამიტომაც სოციალისტური სამართლიანობის პრინციპთა საბოლოო დადასტურებას თან სდევს შეურიგებელი ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან, სამომხმარებლო ფსიქოლოგიის რეციდივებთან.

დღევანდელ დღეს არ შეიძლება განგაში არ გამოიწვიონ ნეგატიურმა მოვლენებმა, რომელთაც ჯერ კიდევ ადგილი აქვთ სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობაში. ნეგატიურ მოვლენებს, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება სამომხმარებლო ფსიქოლოგია. ნიჰილიზმი, საზოგადოებრივი პასიურობა, პოლიტიკური და ზნეობრივი კულტურის უქონლობა. ამგვარ და სხვა მოვლენებს თან სდევს სტუდენტთა წრეში ისეთი ფაქტები, როგორიცაა სისხლის სამართლის დანაშაულები, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა იდეურად მყარი, მიზანდასახული კომკავშირელი აქტივისტის ნიღაბქვეშ იმალება უპრინციპო, შემგუებელი, შმაგი ბანდიტიც კი. ცნებები, რომლებიც შორს არიან პატივისა და ადამიანური ღირსებებისაგან. ასე მოხდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის სტუდენტი — კომკავშირის კომიტეტის წევრი, სკკპ წევრი, მაისურაძე — აღმოჩნდა მძარცველი, ქურდი. რომელმაც როგორც დამნაშავეთა ჯგუფის თანამონაწილემ, გაძარცვა მრავალი ბინა.

სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით ნათლად ვლინდება დიალექტიკური ურთიერთკავშირი, ერთი მხრივ, ჩვენი საზოგადოების მომწიფებას, ხოლო, მეორე

მხრივ, მისი ყოველი წევრის პოლიტიკურ, მოქალაქეობრივ, ზნეობრივ, პროფესიულ, მსოფლმხედველობრივ მომწიფებას შორის. სკკპ XXVII ყრილობაზე პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „დღეს განსაკუთრებით საჭიროა ვაყალიბებდეთ თანამედროვე ამოცანების ხასიათის ღრმა გაგებას, მტკიცე მეცნიერულ მსოფლმხედველობას, პრინციპულობას, დიდ კულტურას, პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას საქმისადმი, ყოველ უბანზე, ვამაღლებდეთ საზოგადოების მოწიფულობის დონეს. ვაშენებდეთ კომუნიზმს, განუხრელად ვზრდიდეთ შეგნების მოწიფულობას; ვამდიდრებდეთ ადამიანის სულიერ სამყაროს“[1].

ეს უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური მითითება, რომელიც გაპირობებულია სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივ მიმართულებათა მშენებლობის შეგნებული ხასიათით, უნდა იქცეს უმაღლესი სკოლის საქმიანობის, ყველა დონის აღმზრდელთა ღერძად უმაღლესი განათლების მქონე მომავალი სპეციალისტის ფორმირებისათვის მოცემულ ამოცანათა განხორციელების საქმეში. შრომისადმი დამოკიდებულება თაობის ზნეობრივი სიწმინდის, მისი კომუნისტური მრწამსის ძირითადი საზომია. სწორედ იმის მიხედვით, თუ როგორ მონაწილეობს ახალგაზრდობა შრომით საქმიანობაში, როგორ ცხოვრობს იგი რესპუბლიკის ჭეშმარიტი დაძაბული სამუშაო დღით, ჩვენ განვსაზღვრავთ მის მოქალაქეობრიობას, მიზანსწრაფვას, პასუხისმგებლობას.

სამყაროსავით ძველთაძველი ადამიანური ჭეშმარიტება — „ბედნიერება შრომის თანაბრია“, რომელიც მიუთითებს, რომ ადამიანური ღირსებისა და პატივის საერთო საფუძველი შრომაა, არასოდეს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას საზოგადოებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალ სპეციალისტთა შრომით აღზრდას. ამასთანავე იგი გულისხმობს არა მარტო გარკვეული შრომითი ჩვევების ფორმირებას, არამედ ინიციატივებსაც, სიმარ-

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას“, თბ., 1986, გვ. 155.

ჯვეს, საქმისადმი პასუხისმგებლობას. „ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ შრომა შემოქმედებაა“ (მ. გორკი). სტუდენტთა ამგვარი აღზრდისაკენ უნდა იქნეს მიმართული დღეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უმაღლეს სკოლაში. მომავალ სპეციალისტთა შრომითი აღზრდის მეთოდოლოგიური საფუძველია სკკპ XXVII ყრილობის მითითება, რომ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გრანდიოზული გეგმები „რეალურად იქცევა მხოლოდ იმ პირობით, თუ თითოეული საბჭოთა ადამიანი დაძაბულად და ეფექტიანად იშრომებს, თითოეული ადამიანი—რა სამუშაო ადგილზეც უნდა შრომობდეს და რა თანამდებობაც უნდა ეკავოს. რასაც თვითონ გავაკეთებთ, ის გვექნება და ისე ვიცხოვრებთ“[1].

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ისეთ მასობრივ მოვლენას, როდესაც უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულები მიდიან სპეციალისტებად, ინჟინრებად, კოლექტივთა ხელმძღვანელებად, არა აქვთ რა არავითარი პრაქტიკული გამოცდილება უშუალო შრომით საწარმოო საქმიანობაში. ამიტომაც მომავალი სპეციალისტების შრომითი მომზადების უზრუნველსაყოფად უშუალოდ წარმოებაში ტარდება სტუდენტთა და მოსწავლეთა ექსპერიმენტი შრომითი მოწყობის საქმეში, რომლებსაც სურვილი აქვთ შეუთავსონ სწავლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის პირობებში. ამ პრინციპით „თბილმეტრომშენში“ მუშაობენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. რუსთავის პოლიტექნიკური, ქუთაისის ავტომექანიკური, ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეები უთავსებენ სწავლას რუსთავის მეტალურგიულ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში, „საქნახშირის“ მაღაროებში. მუშაობის ეს ექსპერიმენტი უნდა გავრცელდეს რესპუბლიკის ყველა უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებაზე.

სკკპ ცკ-ის იანვრის (1987 წ.) პლენუმზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა — „არ არის ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების ჩამოყა-

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე, თბ., 1986, გვ. 76.

ლიბების, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ფორმირების სხვა რეალური გზა. გარდა მისი რეალური ჩაბმისა ყველა საზოგადოებრივ საქმეში. კონკრეტულ გამოცდილებას ვერაფერი შეცვლის. აი რატომ არის საჭირო შექმნილი მდგომარეობის შეცვლა"[1].

უნდა განხორციელდეს სტუდენტური აკადემიური ჯგუფების თვითმმართველობაზე გადასვლა. დღეისათვის რესპუბლიკის რიგ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს და ქუთაისის პოლიტიკურ ინსტიტუტებში აკადემიური ჯგუფები ფუნქციონირებენ თვითმმართველობის საფუძველზე.

აკადემიური ჯგუფი კრებებზე განიხილავს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლების, დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, ისმენს სტუდენტთა ანგარიშს სწავლის, დამოუკიდებელი მუშაობის, საზოგადოებრივი დავალების შესრულების შესახებ, რეკომენდაციას უწევს თანაკურსელებს სტიპენდიის დანიშვნაზე, ინაწილებს ადგილებს საერთო საცხოვრებელში, წარადგენს დეკანატებში იმ სტუდენტთა გვარებს, რომლებიც კარგი სწავლის, სამეცნიერო მუშაობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისათვის იმსახურებენ წახალისებას.

ჯგუფი სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში წარჩინებულებს რეკომენდაციას აძლევს სწავლების ინდივიდუალურ გეგმაზე გადასვლისათვის, ასპირანტურაში შესვლისათვის, აგრეთვე მონაწილეობს კურსდამთავრებულთა განაწილების ორგანიზაციაში.

გადაჭრით უნდა დავგმოთ სტუდენტთა ზედმეტი მეურვეობა, მეტი ნდობა გამოვუცხადოთ მათ, მივანიჭოთ საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის ფართო შესაძლებლობა. ახალგაზრდობაზე აღმზრდელობითი ზემოქმედებისათვის საჭიროა პრინციპულად ახალი გზების, ფორმებისა და მეთოდების ძიება.

აღზრდის ეფექტურობის ამაღლების განუსაზღვრელი რეზერვი იმალება თვით სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებაში, მათი თვითმმართველობის ყველა ფორმის განვითარებაში. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, თავისუფალი დროის ორგანიზაციაში ფარ-

---

[1] სკკპ ცკ-ის პლენუმის მასალები, თბ., 1987, გვ. 49.

თოდ უნდა დაინერგოს სტუდენტთა თვითმმართველობის პრინციპები, აუცილებელია შეიქმნას მთელ სასწავლო-აღმზრდელობით და თვითმმართველობის პროცესებში სტუდენტთა აკადემიური ჯგუფების აქტიური მონაწილეობის პირობები.

სტუდენტთა შრომითი აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტად რჩება სტუდენტური საშენებლო რაზმები. XI ხუთწლედის მანძილზე შრომით სემესტრში საამშენებლო რაზმებმა შეასრულეს სამუშაოს მოცულობა, რომელმაც 100 მლ მანეთს გადააჭარბა.

ჩვენი ახალგაზრდობის ამ უმნიშვნელოვანეს პატრიოტულ მოძრაობაში გამოჩნდა ახალი ფორმები: სტუდენტები უსასყიდლოდ აწარმოებენ არქეოლოგიურ გათხრებს, ჩამოყალიბდა წლიური სტუდენტური რაზმი, ისტორიულ ძეგლთა რესტავრატორების რაზმები, ხუთი სამეცნიერო-საპროექტო რაზმი, უსასყიდლო შრომის ორი სტუდენტური რაზმი.

სწორად აღნიშნავენ, რომ აღზრდას მზა რეცეპტები არ გააჩნია. მაგრამ არსებობს კონკრეტული მიზნები, რომლებიც დროის მოთხოვნებს გამოხატავენ. მშობლებში თანაზიარი პასუხისმგებლობის განვითარება თავიანთი შვილების ყოფაქცევის მიმართ უთანაბრდება შვილების პასუხისმგებლობას მშობლების მიმართ ოჯახში ჯანსაღი ურთიერთობის ფორმირებისათვის. თითქოს მშობლებსა და შვილებს შორის სიყვარულის ჭეშმარიტი გრძნობა თვითონვე განსაზღვრავს ოჯახურ ერთიანობას. საკმარისია გავიხსენოთ ა. ს. მაკარენკოს ბრძნული სიტყვები, რომ სიყვარულიც კი ჩვეულებრივი საქმეა, რომელსაც ორგანიზება ეჭაკიროება, მაშასადამე, ცოდნის, ოსტატობის, პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება. ბევრ მშობელს ეს ზედმეტად მიაჩნია: ერთნი ფიქრობენ, რომ ის ფაქტი, რომ ბავშვი მათ ოჯახს განეკუთვნება, უკვე გამორიცხავს მისი პიროვნების ფორმირებაში ნეგატიური მოვლენების არსებობას, მეორენი დარწმუნებულები არიან თავიანთი ბავშვების განსაკუთრებულობასა და უნიკალურობაში, რომელთა მიმართაც აღზრდის მეთოდების გამოყენება ზედმეტად მიაჩნიათ. ამის შედეგი ხომ არ არის ის, რომ ყველაზე უფრო უზრუნველყოფილ ოჯახებში იზრდებიან უდიდესი ეგოისტები, პარაზიტები, სხვის კმაყოფაზე მყოფნი, ასევე სისხლის სამართლის დამნაშავენი, ნარკომანები.

„განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს იმათი პასუხისმგებლობა, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. სწორედ ამ მასაზრდოებელ გარემოში იბარტყა დანაშაულობამ და ისეთმა სოციალურად საშიშმა სენმა, როგორიც არის ნარკომანია"[1].

შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო სპეციალური დადგენილებები ოჯახის როლის გაძლიერების შესახებ ახალგაზრდობის პოლიტიკურ, იდეურ, ზნეობრივ აღზრდაში. ეს დადგენილებები სტიმულს აძლევენ, ერთი მხრივ, ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, აძლიერებენ პარტიულ გავლენას ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთობის გაუმჯობესებაზე.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ქმედით ზომებს ღებულობენ, რათა აქტიურად მიიზიდონ სტუდენტთა მშობლები მჭიდრო თანამშრომლობისათვის მომავალ სპეციალისტთა პიროვნების ჩამოყალიბების ერთიან პროცესში. ასე. მავალითად, 1986 წლის თებერვალში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შედგა სტუდენტთა მშობლების საერთო კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, კრებაზე განიხილეს აქტუალური ამოცანები უმაღლესი სასწავლებლისა და ოჯახის აღმზრდელობითი ზომების ერთიანობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ისმის კითხვა: ხომ არ აყენებს ეს ზიანს სტუდენტი ახალგაზრდობის დამოუკიდებლად მოქმედების უნარს?

პარტია აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში აყენებს იმას, რომ ჩამოუყალიბოს ყოველ საბჭოთა ადამიანს საზოგადო კეთილდღეობისადმი, კეთილსინდისიერი შრომისადმი ღრმა პატივისცემა და მზადყოფნა. იქნება ეს გონებრივი თუ ფიზიკური შრომა. „შრომა არის საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ძირითადი წყარო. ადამიანის სოციალური პრესტიჟის

---

[1] ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა სკკპ XXVII ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი", 1986 წ. 28 თებერვალი, № 51 (1943).

მთავარი კრიტერიუმი, მისი წმიდათაწმიდა მოვალეობა, პიროვნების კომუნისტური აღზრდის საძირკველი"[1] — ნათქვამია სკკპ პროგრამაში.

საბჭოთა სტუდენტი უნდა გამოირჩეოდეს პარტიისა და ხალხის საქმის უსაზღვრო ერთგულებით, საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნების ნათელი გაგებით. თანამედროვე სტუდენტი — ეს ნამდვილი პროფესიონალია, წარმოების ორგანიზატორი, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება და ცხოვრებაში გატარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალ სპეციალისტებს ჩამოვუყალიბოთ სიამაყე, რომელიც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით, საბჭოთა პროდუქციის ხარისხით იქნება გაპირობებული. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა. ყოველი ჩვენი გეგმა „ჰაერში გამოკიდებული დარჩება, თუ ხალხს გულგრილს დატოვებს, თუ მათ არ გაუღვივებს შრომით და საზოგადოებრივ აქტიურობას, ენერგიასა და ინიციატივას"[2].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ იმის შეგნება, რომ შრომა, მოქალაქეობრივი მოვალეობა საზოგადოებრიობისა და თვით პიროვნების განვითარების უპირველესი, სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა. ახალგაზრდებს ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ იმის უნარი, რომ დაინახონ საზოგადოებრივი საზრისი, რომლითაც გამსჭვალულია მასობრივი პროფესიები, უმეტესად ე. წ. „უბრალო შრომის" სახეობები, ვინაიდან საბჭოთა ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების საერთო საფუძველი არის საზოგადოების საკეთილდღეო შრომა. დღეს, ისე როგორც არასდროს, სამარცხვინოა კაცი იყოს უქნარა, მუქთახორა, უსაქმური. სამწუხაროდ. ეს არ ესმით ადამიანებს, ვინც კომუნისტური მორალის ნორმებსა და პრინციპებს, საბჭოთა კანონებს არღვევს.

„მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, — წერს პროფესორი ი. ი. კარპეცი, — რომ დანაშაულს თითქმის ყოველთვის პიროვნების

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 254.

[2] იქვე.

ზნეობრივი დეგრადაცია უძღვის წინ... ადამიანებში კომუნიზმის მშენებლის თვისებების აღზრდაში გაზეთები მოწოდებულია დაუნდობლად ამხილონ მდაბალი მორალური პრინციპების მქონე პიროვნებები"[1].

ლაპარაკია იმაზე, რომ ახალგაზრდებში უნდა აღვზარდოთ შეურიგებლობა ყოველგვარი წამგლეჯების, თაღლითების, მფლანგველების მიმართ, იმ ადამიანთა მიმართ, ვინც ცხოვრობს პრინციპით „ხელი ხელს ბანს", ვინც საეჭვო სახსრებით ცხოვრობს.

სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „სოციალისტური სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ. დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ... გამოიკვეთა ისეთი ადამიანების ჯგუფები, რომლებსაც აშკარად აქვთ გამოსატული კერძომესაკუთრული მისწრაფებები, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი აგდებული დამოკიდებულება"[2].

სტუდენტთა დისპუტზე ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტმა ნ. ივანოვმა ასეთი ამბავი მოგვითხრო: „...ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტი სწავლობდა, ნიჭიერი, ძალიან ნიჭიერიც. მაგრამ უკვე I კურსზე „უცნაურობები" დაჩემდა, მაგალითად, თითქმის მთელი წლის განმავლობაში „ფირმის" ჯინსებს ეძებდა და ბოლოს იშოვა კიდეც 200 მანეთად. რისთვის? იმისთვის, რათა არ მორიდებოდა საჯურველი ქალიშვილის გაცნობა. პირველი სემესტრის ბოლოს თამბაქოს წევა დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ძვირფასი „ფირმის" სიგარეტს ეწეოდა. ეს გოგონა მისთვის სიღატაკის მიზეზი გახდა: ძვირფასი ყვავილების, ტაქსის გარეშე მისთვის წარმოუდგენელი იყო ქალიშვილ-

---

[1] ი. ი. კარპეცი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი მართლწესრიგის განმტკიცებაში, წიგნში: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და პროპაგანდის როლი ზნეობრივ აღზრდაში, მ., 1979, გვ. 187 (რუს.).

[2] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 78.

თან შეხვედრა. მას ეგონა, ეს აამაღლებდა ვოგონას თვალში. რამდენჯერმე „ჩაიკაც“ კი დაიქირავა. როცა გოგონა მეცადინეობაზე მიდიოდა, მისრიალდებოდა ინსტიტუტთან, მერე კი უამბობდა, ბიძა მანქანას პირველი მოთხოვნილებისთანავე მიგზავნისო.

თვალის ახვევა, ტრაბახი ჩქარა შინაგან მოთხოვნილებად იქცა. ცოტა ხანს აქტიურად იმუშავა ფაკულტეტის ალკკ კომიტეტში, იმედი ჰქონდა, რომ პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციას მისცემდნენ, მაგრამ როცა სტუდენტებმა უთხრეს. რომ მისთვის ჯერ ადრეა სკკპ რიგებში შესვლა, აქტიურობას უკლო. III კურსის საკურსო სამუშაო მაღალ დონეზე ვერ შეასრულა, IV კურსზე კი სამეცნიერო მუშაობას თავი მიანება და საკურსო შრომას ძლივს გააართვა თავი. მიზეზი? მან ასპირანტურაში შესვლის იმედი დაკარგა“.

რადგანაც „ცენტრისტები“ და „ფსევდოთანამედროვენი“ არ არიან შეჩვეული შრომას, მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექმნას, ისინი იოლი გზით სიარულს არჩევენ და თავის ამბიციას შემდეგი ფორმებით იკმაყოფილებენ:

1. გარეგნულად ბაძავენ მეცნიერს, პოლიტიკოსს, მხატვარს და ა. შ. რათა მოატყუონ ადამიანები და დაუმსახურებელი პატივი მიიღონ. ზოგჯერ ამას ახერხებენ კიდეც.

2. ურთიერთშექების მიზნით ქმნიან მიკროსოციალურ (არაფორმალურ) ჯგუფს: „მე გენიოსი ვარ“, „შენ გენიოსი ხარ“, ისინი სხვებს ამცირებენ, ხშირად დასცინიან კიდეც: „გაგრია“, „გოიმი“, „გლეხი“ და ა. შ. ასეთი ჯგუფის წევრები გაურბიან ჭკვიან და „იღბლიან“ ადამიანებს, კარიერისტებს უწოდებენ მათ, ვინაიდან ვერ ეგუებიან იმათ წარმატებას, ვინც მათი ჯგუფის შეფასებით, სულელია. სამაგიეროდ სულელ და მდაბალ ადამიანებს ისინი სიამოვნებით იღებენ თავის ჯგუფში, რათა ასეთ ფონზე უფრო მკვეთრად გამოჩნდეს მათი აღმატებულება. თავის დროსტარებას ისინი უწოდებენ „ჰაილაიფ“ — მაღალ („ტკბილ“) ცხოვრებას. თავად კი წარმოადგენენ „ხალიფებს ერთი საათით“, „საპნის ბუშტებს“. როგორც წესი ასეთი ახალგაზრდები ელემენტარული ზნეობრივი ნორმების გარეშე ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მათი ცხოვრების წესი მოდაზე ჩაცმის უნარი, ნადიმში ფულის

ფანტეა — ერთგვარად იზიდავს ცხოვრებაში გამოუცდელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, მათ შორთ კიდეც ამ უსაქმურებისა.

სასურველი დროსტარების მოდელი გულისხმობს თეატრებში, მუზეუმებსა და კულტურის სხვა ცენტრებში ხშირად სიარულს, მაგრამ ეს ღირებულებითი ორიენტაცია ძალზე ხშირად საქმით, თავისუფალი დროის რეალური გამოყენებით არ მტკიცდება. ამის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები არსებობს. ხან ქალაქი ვერ აკმაყოფილებს რეალურ მოთხოვნილებებს, ხან არაა გამომუშავებული მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის შინაგანი მოთხოვნილება. აუცილებელია ურთიერთობის ეთიკის შემუშავებაც. უნდა შეიქმნას სპეციკურსი თავისუფალი დროის მეცნიერულ ორგანიზაციაში, უნდა შემუშავდეს თავისუფალი დროის პედაგოგიკა.

ლენინგრადის ერთ-ერთი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგემ გვაჩვენა კურსდამთავრებულის წერილი: „ციმბირში რომ ჩამოვედი, — წერდა იგი, — მეგონა, პირველი შეხვედრისთანავე უმაღლესი სასწავლებლის ამბებს მკითხავდნენ. გაოცებული დავრჩი, როცა მუშებმა მთხოვეს, მეამბნა ლენინგრადის შესახებ. 25 მანეთს გიგზავნით. გთხოვთ, მიყიდოთ წიგნები ლენინგრადის შესახებ და სასწრაფოდ გამომიგზავნოთ“.

კაცმა 5 წელი ლენინგრადში ისწავლა და ამ შესანიშნავი ქალაქის მთელი მშვენიერება მისი ყურადღების მიღმა დარჩა.

განა ამის შემდეგ საკვირველია, რომ ქვეყნის 18 უმაღლესი სასწავლებლის ჩვენ მიერ გამოკითხული სტუდენტებიდან 1985 წ. 21% არც ერთხელ არ ყოფილა დრამატულ თეატრში, 62.2% — არ ყოფილა საოპერო და საბალეტო სპექტაკლებზე, 68,5% — კლასიკური მუსიკის კონცერტზე, 13,1%—მუზეუმებსა და სამხატვრო გამოფენებზე. სტუდენტთა ერთ ნაწილს ამის შესაძლებლობა არა აქვს, რადგან ზოგიერთ ქალაქში არ არის არც ერთი თეატრი. მაგრამ რა უშლის ხელს, მაგალითად. ლენინგრადელ სტუდენტებს თეატრში სიარულს? გამოკვლევამ ცხადყო (ლენინგრადში გამოკითხულ იქნა 5 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები), რომ წლის განმავლობაში სტუდენტთა 13,1% არც ერთხელ არ ყოფილა დრამატულ თეატრში, 33.5% — საოპერო და საბალეტო სპექტაკლებზე, 41,4% — კლასიკური მუსიკის კონცერტებზე,

33,2 — მუზეუმებსა და სამხატვრო გამოფენებზე. როგორ გაძარცვეს მათ საკუთარი თავი?!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულმა შერჩევითმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ 1985 წლის განმავლობაში სტუდენტთა 13,0% არც ერთხელ არ ყოფილა დრამატულ სპექტაკლზე, 67,0% — საოპერო და საბალეტო სპექტაკლებზე. 70,2% — კლასიკური მუსიკის კონცერტზე, 18,0% — მუზეუმებსა და სამხატვრო გამოფენებზე, 84,0% — ზნეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ ლექციებსა და დისპუტებზე, 61,0% — საერთაშორისო ცხოვრების პრობლემებისადმი მიძღვნილ ლექციებსა და დისპუტებზე. გარკვეული შეღავათის უფლებას იძლევა ის გარემოება, რომ გამოკითხულ იქნა უმცროსი კურსები, რომლებიც ჯერ ვერ ეზიარნენ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაღვიძებიათ ცნობისმოყვარეობა. მაგრამ ეს ხომ სკოლაში და ოჯახში უნდა მომხდარიყო. ახლა უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა შეავსოს ეს სერიოზული ხარვეზი აღზრდაში. აქვე შევნიშნავთ, რომ საესტრადო კონცერტებზე არ ყოფილა გამოკითხულთა მხოლოდ 20,0%, ხოლო საესტრადო-ინსტრუმენტული ჯგუფების გამოსვლებზე — 22,0%. მაშასადამე, სტუდენტები გამოდიან საზოგადოებაში, სახლში არ სხედან, ლაპარაკია იმაზე, რომ აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებში მეტი ყურადღება დაეთმოს მომავალი სპეციალისტების მიერ მაღალი სულიერი კულტურის შეძენას. გვინდა დავძინოთ, რომ თბილისის უნივერსიტეტის გამოკითხულ სტუდენტთა 88,0%-ს უყვარს თეატრში სიარული, 92,0%-ს კინოში სიარული, 94,0%-ს — კონცერტებზე დასწრება, 78,0-ს—სპორტული ვადაცემების ყურება და მხოლოდ 32,0%-ს მუზეუმებში სიარული.

შეკითხვაზე: „წარმოიდგინეთ, რომ თავისუფალი გაქვთ საღამო, როგორ გაატარებთ მას?“ — თბილისის უნივერსიტეტის გამოკითხული სტუდენტების 70,5%-მა უპასუხა — წავალ თეატრში ან კონცენტრზე, 63.0%-მა — წავალ კინოში, 60.0%-მა — წავიკითხავ, 30,0%-მა—წავალ საჯარო ლექციაზე, დისპუტზე, 30,0%—მუზეუმში, სამხატვრო გამოფენაზე. მაშასადამე, კულტურისა და ხელოვნების ღირებულებათა ათვისების სურვილი არსებობს, საჭიროა მისი რეალიზაცია.

ბევრ სტუდენტს ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებია წამდვილი ხელოვნების ათვისების მოთხოვნილება. სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა დისპუტზე „შენი ზნეობრივი პოზიცია".

„3-4 საათს ბარში დასაჯდომად ვპოულობთ, თან ვწუწუნებთ, რომ მუზეუმში წასასვლელად არ გვცალია". „ძალზე მეშინია მარტოობისა. ამიტომ ვეძებ კომპანიას, სადაც შეიძლება შენც შემოგხედონ, სხვასაც შეხედო... მაგრამ შევდივარ კაფეში, ბარში და ვერ ვხვდები ჭკვიან მოსაუბრეს, ხშირად ლაპარაკია ერთსა და იმავეზე: სად იშოვება მოდური, პრესტიჟული ჯინსი, საზღვარგარეთული სათვალის ჩარჩო და ა. შ. მე კი ვ. ლიპატოვისა და ვ. ტენდრიაკოვის ბოლო მოთხრობებზე მინდა ლაპარაკი. მალე ირკვევა, რომ ეს მათ არ წაუკითხავთ. რაზე ვილაპარაკო?".

— კი მაგრამ, გავიწყდება, რომ საინტერესო, სისხლსავსე ურთიერთობა შეიძლება დაამყარო მხოლოდ იქ, სადაც ადამიანები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო საქმით, საერთო სულიერი ინტერესებით. ბარების მუშტრებმა რა სიღრმისეულ კავშირებზე უნდა იოცნებონ? იქ კოკტეილები, თამბაქოს ბოლი და ბინდბუნდია.

— ახალგაზრდობის ნაწილი გასაოცარ აქტიურობას იჩენს გარეგნობის გალამაზებაში, ისინი ცდილობენ გარეგნობით „სხვებს არ ჩამორჩნენ", ამავე დროს ავიწყდებათ მთავარი — მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ღირსეული ცხოვრების წესი.

პიროვნების ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს პიროვნების აქტიობა, მისი ცოდნისმოყვარეობა, სწრაფვა შემოქმედებისაკენ. ცოდნისმოყვარეობის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის ნორმალური განვითარება.

დალი თავის განმარტებით ლექსიკონში ცოდნისმოყვარეობას განმარტავს, როგორც „საქმიან ცნობისმოყვარეობას, მეცნიერების, შემეცნების სიყვარულს, სწავლის სურვილს".

ერთ ფილოსოფიის მასწავლებელს ვიცნობთ, რომელიც იკვეხნიდა: „როცა ასპირანტურაში ვსწავლობდი, კინოსა და თეატრში არ დავდიოდი, მხატვრულ ლიტერატურას არ ვკითხულობდი. სამაგიეროდ, დისერტაცია დროზე დავიცავი". ამგვარ უფერულ სამეცნიერო ხარისხის მქონე ფილოსოფოსს ძნელად შეხვდებით.

კ. დ. უშინსკი ამბობდა, რომ საზოგადოება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ განათლებაზე ზრუნავს, „დიდ შეცდომას უშვებს, ვინაიდან ადამიანი... უფრო მეტადაა ადამიანი იმით, თუ როგორ გრძნობს, ვიდრე იმით, თუ როგორ ფიქრობს“[1].

ლაპარაკია იმაზე, რომ აუცილებელია ადამიანში აღვზარდოთ სულიერი განცდების, ემოციათა მაღალი კულტურა. საქმე ის კი არაა — სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკისა და მათემატიკის საათები შევამციროთ, როგორც ეს ჰგონია ზოგიერთ მონაწილეს დისკუსიისა „ღარიბდება თუ არა ჩვენი გრძნობები?“ არა, საჭიროა განათლების ჰუმანიზირება; ყოველი დისციპლინა (იქნება ის ფიზიკა თუ ისტორია) უნდა აყალიბებდეს მაღალ კულტურას და ემსახურებოდეს ჰუმანიზმის პრინციპებით აღზრდას.

მომავალი სპეციალიტების ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში ძალზე საინტერესო გამოცდილება დააგროვა მაგნიტოგორსკის სამთო-მეტალურგიულმა ინსტიტუტმა. სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე ყოველ სტუდენტს უგროვდება თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების დიდი მარაგი მხატვრული კულტურის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის და ხელოვნებისმცოდნეობის, გრძნობათა აღზრდის სფეროში. ამის შედეგად უმაღლეს სასწავლებელში ყალიბდება ტიპი სპეციალისტისა, რომლისთვისაც სულიერი კულტურა ყოველდღიურ მოთხოვნილებად და აუცილებლობად იქცევა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალისტი ინსტიტუტში მიღებულ ცოდნასა და ჩვევებს ფართოდ იყენებს საწარმოში, მოზარდებთან საშეფო მუშაობაში. ისინი საწარმოო კოლექტივების ხელმძღვანელები ხდებიან, სათავეში უდგებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების კლუბებს. უმაღლესი სასწავლებელი უშვებს არა ზოგადად ერუდიტს, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, არამედ ნამდვილ, ახალი ტიპის საბჭოთა ინტელიგენტს.

ახალ საზოგადოებაში ფართო გზა ეძლევა მოთხოვნილებათა ზრდის ლენინურ კანონს[2], რომლის მიხედვითაც, გონივრულად

---

[1] კ. დ. უ შ ი ნ ს კ ი, თხზულებათა კრებული, ტ. 9. მ. 1950, გვ. 473, (რუს),

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, 101—102.

ახსნილი აუცილებელი საარსებო მოთხოვნილებათა შეცნობის კვალდაკვალ იზრდება სულიერი, სოციალურ-კულტურული, შემოქმედებითი მოთხოვნილებების სპექტრი. ამასთან, ხსენებული კანონის მოქმედება, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ უპირველეს ადგილს იჭერს შინაარსობრივი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მოთხოვნილება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი ადამიანისათვის შრომა სამომხმარებლო ღირებულებათა სოციალურ თვისებას იძენს[1].

მოთხოვნილებათა ზრდის კანონი განსაზღვრავს ადამიანთა და მის ახალ მოთხოვნილებათა შორის თანაფარდობის ცვლის დინამიკას, წარმოებს ახალ მოთხოვნილებათა სრულყოფა, დაზუსტება და გაკეთილშობილება, სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ხვედრითი წონის აღზრდა.

ახალი ადამიანის პიროვნების ფორმირება შეუძლებელია სულიერი კულტურის მთელი სიმდიდრის დაუფლების, ყველა მისი შემოქმედებითი ძალისა და უნარის გამოვლენის გარეშე. „საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება“ — წერია სსრკ კონსტიტუციის 46-ე მუხლში. სოციალისტურ საზოგადოებაში ასე განმტკიცდა კონონმდებლობით ვ. ი. ლენინის მიერ ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოთქმული აზრი, რომ სოციალიზმში მეცნიერებისა და ხელოვნების საუნჯე „ხალხისათვის ხელმისაწვდომი ხდება“[2].

ისტორიულად მოკლე დროში ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანისათვის გახდა ხელმისაწვდომი სულიერი ღირებულებანი. აღსანიშნავია, რომ მატერიალურისაგან განსხვავებით სულიერი მოთხოვნილებები შეიძლება დაუსრულებლად იზრდებოდეს და ხელს უწყობდეს ადამიანთა ინდივიდუალობის განვითარებას. სოციალიზმის ეს რეალური მონაპოვრები, რომლებიც სსრკ კონსტიტუციაშია განმტკიცებული, აღიქმება როგორც ბუნებრივი რამ. ამავე დროს, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ლაპარაკიც არ შეიძლება ამგვარ თანასწორობაზე როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ სფეროში.

---

[1] რ. ი. კოსოლაპოვი, სოციალიზმი. თეორიის საკითხები, მ., 1979, გვ. 536 (რუს).

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 150.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში მოთხოვნილებების ზრდა თავის დალს ასვამს ადამიანის ცხოვრების წესს. სამართლიანია ვ. ზ. როგოვინის შენიშვნა, რომ „მოთხოვნილებათა სფეროში აწინდელი რევოლუციის არსი ისაა, რომ მაღალი რიგის მოთხოვნილებები, რომლებიც მთელი ადრინდელი ისტორიის მანძილზე საზოგადოების შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფებს ახასიათებდა, დღეს ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენების სულიერი ცხოვრების განუყოფელ თვისებად იქცა[1]".

კულტურა ადამიანისათვის საარსებო აუცილებლობად, სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცევა. კარლ მარქსი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ კომუნიზმში საზოგადოების „სიმდიდრის საზომი" იქნება „არა სამუშაო, არამედ თავისუფალი დრო"[2].

ცხოვრების სულიერი და მატერიალური ღირებულებების სწორი თანაფარდობა სერიოზული ზნეობრივი პრობლემაა. როგორ აიცილოს თავიდან ნივთების მოპოვების გადაქცევა ცხოვრების მიზნად და საზრისად — ასეთი ამოცანის წინაშე დგას ახალგაზრდა.

ნაშრომში „საბჭოთა ადამიანი" — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. ლ. სმირნოვი აანალიზებს ჩვენი ცხოვრების ნორმების დარღვევის სხვადასხვა მიზეზს და მიუთითებს, რომ ცუდ საქციელს ყოველთვის „ცუდი განზრახვით, შეგნებული ანტისაზოგადოებრივი განწყობის შედეგად არ სჩადიან. ხშირად მას ფსიქოლოგიური ხასიათის მიზეზები აქვს: ნებისყოფის უკმარობა, სიზარმაცე, ზერელე გონება, მერყეობა"[3]. უდავოა, რომ ისეთი ფსიქოლოგიური თვისებები, როგორიცაა ხასიათის სიმტკიცე, გამბედაობა, სიბეჯითე, დამოუკიდებლობა, ქმნიან ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მაღალ ზნეობრივ შინაარსს.

ზნეობრივი პრინციპების დაცვისას ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს გარანტია, რომ მის ბრძოლას არ მოჰყვება სიძნელეები,

---

[1] ვ. ვ. როგოვინი, ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი პროგრესი, მ., 1976, გვ. 26 (რუს.).

[2] კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. 46, ნაწ. II. გვ. 217.

[3] გ. ლ. სმირნოვი, საბჭოთა ადამიანი, მ., 1973, გვ. 389—390 (რუს.).

ის დაზღვეული არაა დამარცხებისაგან და, მით უფრო, უსიამოვნებათაგან. რეალურ ცხოვრებაში ზნეობრივი კოლიზიები ხშირად ძალზე რთულ ფორმას იღებენ, ზოგჯერ ზნეობრივი ადამიანი უფრო ზარალდება, ვიდრე კეთილგონიერი მეშჩანი. ამიტომ, როცა ადამიანი გადაწყვეტს თავისი პოზიციის დაცვას და იცის, რომ ეს დაკავშირებულია ბრძოლასთან, რომელშიც იგი, შეიძლება, დამარცხდეს, მის სულში ნამდვილად შეეჭიდება ერთმანეთს სხვადასხვა მოტივი. ზნეობრივი მოტივების მაღალი ხმიანობის გვერდით შეიძლება გაისმას კეთილგონიერი ლაჩრული ჩურჩული: „შენ რა, წითელი კოჭი ხარ? სხვები ჩუმად არიან, არ უნდათ, უსიამოვნება შეხვდეთ, შენ კი ყველგან ეჩხირები შენი პრინციპებით. იჯექი ჩუმად, წყნარად, შენთვისვე ჯობს". ასეთ კონფლიქტურ სიტუაციაში სწორი თვალსაზრისის გამარჯვებისათვის ზნეობრივი რწმენის სიწმინდე არაა საკმარისი. აქ საჭიროა სულიერი ძალა, ნებისყოფა, სიმტკიცე.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ, თუ ადამიანი ვერ დაიცავს საკუთარ თავს, მინდობილ საქმეს, მაშინ ფორმულა „ყველაფერზე პასუხს ვაგებ" მას არ მიესადაგება.

ცნება — „მორალური პიროვნება" — მარქსისტული ეთიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ზნეობრივ კატეგორიებთან, როგორიცაა მოვალეობა, პასუხისმგებლობა, სინდისი, ღირსება, პატიოსნება, წესიერება, მოქალაქეობრიობა, კომუნისტური იდეური რწმენა.

ქცევის პასიური ფორმა გარკვეულ ფსიქოლოგიურ ბარიერებს ქმნის, რომელიც პროფესორ ა. გ. ხარჩევის სიტყვით, ინტენსიურად აყალიბებს ადამიანში ნაკლოვანების, არასრულფასოვნების გრძნობას, აბოროტებს მას, ქმნის „გაუცხოების ზონას" ადამიანსა და გარშემო მყოფთა შორის[1].

ის, ვინც დამოუკიდებლად აირჩევს ცხოვრებისეულ პოზიციას, უფრო მეტი წარმატებით დაიცავს ბოლომდე თავის რწმენას. ვინაიდან აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ესაა ადამიანის მოქმედებათა სისტემა, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს

---

[1] იხ. ა. გ. ხ ა რ ჩ ე ვ ი, აღზრდის პროცესის დიალექტიკა, „ვოპროსი ფილოსოფიი", 1971, № 1.

პასუხობს და კომუნისტური მორალის ნორმირებითაა მოტივირებული.

ბაქოელი დრამატურგის ანარის პიესაში „ზაფხული ქალაქში", მთავარ გმირს — უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელს გიას ზეინალლის არაშრომითი შემოსავლით გამდიდრებული ნათესავები და ნაცნობები უხეიროს უწოდებენ: დისერტაცია ვერ დაიცვა, თუმცა ნიჭი აქვს, ქრთამს და საჩუქარს არ იღებს, მის ბიძას — ქირურგს კი არ ჰგავს; ოჯახი ცხოვრობს უბრალოდ, მაგრამ პატიოსნად და წმინდად, გიასის მთავარი სიმდიდრეა წესიერება, სინდისიერება. შემთხვევითი არაა, რომ ცოლისძმა ფირუზი, გაურკვეველი საქმიანობის კაცი, შემნახველი ალაროს სამი წიგნაკის მფლობელი, სიძეს „მწუხარე სახის რაინდს" ეძახის. საიდან უნდა იცოდეს ამ წამგლეჯმა, რომ თავისდაუნებურად უმაღლეს შეფასებას აძლევს გიასს.

ზეინალლის შვილი ნამიკი ისეთივე მორიდებული, პატიოსანი და წესიერი კაცი იზრდება, როგორიც მამამისია. სიმტკიცის გამოცდა ნამიკმა ჩააბარა მაშინ, როცა უბედურება მოხდა. მან მძღოლის უფლება მიიღო, სხვისი მანქანის საჭეს მიუჯდა და ვერ შენიშნა მოსახვევიდან გამოვარდნილი „მაზი" — მოხდა ტრაგედია, ნამიკის მიზეზით დაიღუპა მისი საცოლე. თავდაპირველად ჭაბუკმა იცრუა, თქვა, რომ საჭესთან მისი ბიძის ბახრამ ზეინალლის შვილი იჯდა, ბიძას — ქირურგს ხომ ისეთი ნაცნობები ჰყავს, რომ შეუძლია შვილის გადარჩენა, მაგრამ სახლში მოსული ნამიკი, რომელიც არაა ჩვეული სიცრუეს, მამას ეუბნება: „დილით მილიციაში წავალ და მართალს ვიტყვი. სახლში კი იმიტომ მოვედი, რომ დაგმშვიდობებოდი და ცოტა ხანს შენთან ვყოფილიყავი". ნამიკი მიდის მილიციაში, თუმცა მამა მას არც ერთ სიტყვას არ ეუბნება მოვალეობის, პატიოსნების და წესიერების შესახებ. დრამატურგმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ იგი მთელი ოჯახის მორალურმა ვითარებამ მოამზადა ამ ერთადერთი სწორი ნაბიჯის გადადგმისათვის.

მამას შეუძლია ნამიკს თავიდან ააცილოს სისხლის სამართლის სასჯელი. ამისათვის „მცირე" რამაა აუცილებელი — ხვალ ხუთიანი უნდა დაუწეროს გამომძიებლის ტამტალის და თაღლითის აგარის ვაჟიშვილებს და „ჩაპრას" სამი-ოთხი სხვა აბიტურიენტი—

კონკურენტი. მაგრამ გიასი ამას არ აკეთებს. ცოლის შეკითხვას „რატომ?“ იგი პასუხობს: „მე დავინახე იმ ოთხი ახალგაზრდის თვალები, როგორი იმედით მიყურებდნენ. ისინი ახლა შედიან ცხოვრებაში. მე რომ ეს სისაძაგლე ჩავიდინო, მათ როგორღა უნდა იცხოვრონ?“.

ეს მაღალმორალური არჩევანი ადვილი არ იყო. სასწორის ერთ მხარესაა საყვარელი შვილის კეთილდღეობა, მეორე მხარეს კი — მამის სინდისი და ზნეობრივი რწმენა. გიასმა იცის, რომ სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება, სინდისთან მორიგების გზით, ზნეობრივი სიბინძურის საშუალებით მოპოვებული კეთილდღეობა მოჩვენებითი ბედნიერებაა და მამამ ვერ შეძლო უარი ეთქვა იმ ზნეობრივ პრინციპებზე, რომლებსაც მთელი თავისი ცხოვრებით ნერგავდა ოჯახში. მას ესმის. რომ ამ პრინციპებზე აღზრდილი შვილიც არ დაუშვებდა ამ საზიზღარ მორიგებას, არ ისურვებდა ღალატისა და სიყალბის გზით მოპოვებულ თავისუფლებას. შემთხვევით არ ამბობენ, რომ გონება გონებას ზრდის, პატიოსნება — პატიოსნებას, სამშობლოს ერთგული სამსახური — სამშობლოს ერთგულებას.

ზნეობრივი პიროვნება ორგანული მთლიანობაა, ინდივიდუალურისა და სოციალურის ერთიანობაა, იგი არ დაიყვანება მხოლოდ ინდივიდუალურზე, იგი ყოველთვის გარკვეულ ტიპს წარმოადგენს, სოციალურად ტიპური, წარმოქმნილი სოციალიზმის მთელი წყობის და კომუნისტური აღზრდის შედეგად. ადამიანებში ობიექტურად არსებობს. ეს საშუალებას იძლევა სოციალიზმის პირობებში ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისას გაკეთდეს პროგნოზი მაღალზნეობრივი პიროვნების შემდგომი ფორმირების შესახებ“[1].

მაშასადამე, ზნეობრივი პიროვნების მთავარი ნიშნებია მორალური მრწამსი, სოციალური აქტიობა, საზოგადოების წინაშე მორალური პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, მორალურ შეხედულებათა, გრძნობათა და ჩვევათა, სათანადო ქცევის განვითარების ჰარმონიულობა. მთლიანობაში ისინი ქმნიან პიროვნების ზნეობრივ სამყაროს. ზნეობრივი სამყარო უაღრესად ინდივიდუ-

---

[1] განვითარებული სოციალიზმის მორალი, მ., 1976. გვ 163.

ალურია; ამავე დროს, იგი წარმოებულია ადამიანის საგნობრივი მოღვაწეობის, სხვა ადამიანებთან მისი დამოკიდებულებისაგან. საზოგადოებრივი ურთიერთობების სიმწიფე ბევრად განაპირობებს პიროვნების ზნეობრივ სიმწიფეს[1]. ყოველმხრივი განვითარება გულისხმობს ადამიანის როგორც მოქალაქის, როგორც საზოგადო მოღვაწის, როგორც ზნეობრივი პიროვნების განვითარებას. ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება — ეს, უწინარეს ყოვლისა, მაღალზნეობრივი პიროვნებაა.

მწერალმა თ. ჭილაძემ რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრებაზე (1979 წლის 12 მაისს) აღნიშნა: „დღეს ჩვენ გულახდილად ვსაუბრობთ ჩვენს ნაკლოვანებებზე, სინათლეზე გამოგვაქვს, რაც ხელს ფეიშლის, მაგრამ, მეგობრებო, კარგიც უნდა დავინახოთ. მითუმეტეს, როცა ნამდვილად გაკეთდა არც თუ ცოტა კარგი. კარგის დანახვის უნარი აუცილებელია, იგი ბევრად კეთილისმყოფელია ნიჰილიზმთან, ყველაფრის უარყოფასთან შედარებით. საერთოდ, სკეპტიციზმს, ცინიზმს, ნიჰილიზმს არავისთვის არასდროს კარგი არ მოუტანია და მითუმეტეს ისინი ვერაფერ კარგს ვერ მოგვიტანენ ჩვენს დღევანდელ გამორჩეულად რთულ სიტუაციაში. ნიჰილიზმს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ის, რომ ჩვენი თავგანწირული შრომის, სიმტკიცისა და მაღალი კულტურის წყალობით ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება, ვიდრე დღევანდელი.

მე თავს უფლებას არ მივცემ შეგახსენოთ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება სამშობლოს სიყვარულზე. მხოლოდ მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რატომ უყვარს თავისი სამშობლო, რატომ უნდა ამაყობდეს მისით. მინდა, რომ სამშობლოს სიყვარული გაცნობიერებული იყოს და არა ბრმა, რომ მათ ახსოვდეთ და არ ივიწყებდნენ დიდ წინაპრებს, რომლებიც ქადაგებდნენ სიყვარულსა და მეგობრობას, თავდავიწყებით უყვარდათ რა საქართველო, ისინი პატივს სცემდნენ სხვა ერის წარმომადგენელთა ასეთივე კეთილშობილურ გრძნობებს.

---

[1] ვ. ნ. საგაშოვსკი, ცხოვრების წესი, ლ., 1976. № 10.

იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: „სამშობლოს ძლიერი სიყვარული ბადებს კაცობრიობის ძლიერ სიყვარულს“.

გიყვარდეს შენი სამშობლო — ნიშნავს იყო ღირსეული მოქალაქე, თითოეული ჩვენგანი თავის სამშობლოს ღირსი უნდა იყოს, თავისი საქმით და სინდისით მოიპოვოს უფლება იწოდებოდეს მის ღირსეულ შვილად. თითოეულმა ჩვენგანმა თავისი შრომით უნდა გაამდიდროს სამშობლო. არ უნდა დაგვავიწყდეს: ჩვენი სოციალისტური სამშობლო ჩვენთან ერთად იზრდება“[1].

განვითარებული სოციალიზმი აყალიბებს პიროვნების ახალ ტიპს, რომელიც თავის თავში აერთიანებს კომუნისტურ იდეურ მრწამსს კომუნისტური იდეალების ერთგულებასთან, სოციალისტური სამშობლოს ბედზე ზრუნვასთან, ცოდნისკენ სწრაფვის მაღალ კულტურასთან; სულიერ სიმდიდრეს ზნეობრივ სიმტკიცესთან.

მოწინავე საბჭოთა ადამიანი არის პიროვნება, რომელსაც აქვს არა მხოლოდ ფართო მეცნიერული ცოდნა, შრომისადმი შეგნებული და შემოქმედებითი დამოკიდებულება, არამედ სოციალური პასუხისმგებლობის მაღალგანვითარებული გრძნობაც. იგი გამოირჩევა ზნეობრივი თვითშეგნების მთლიანობითა და პოლიტიკური აქტიობით, საზოგადოებრივი საქმეებისადმი ღრმა ინტერესით და სულიერი ცხოვრების სიმდიდრით.

---

[1] თ. ჭილაძე, ახალგაზრდობა მომავლის იმედია, იხ. კრ. „მიზანი: მაღალკვალიფიციური სპეციალისტი“, გვ. 151.

ურთიერთობის ზნეობრივი კულტურა

სსრ კავშირის კონსტიტუციის 46-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება". ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებულ სამამულო და მსოფლიო კულტურის ღირებულებათა საყოველთაო მისაწვდომობა; ქვეყნის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარება და თანაბარზომიერი განაწილება; ტელეხედვისა და რადიოს, წიგნის გამოცემის საქმისა და პერიოდული პრესის, უფასო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება; საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან კულტურული გაცვლის გაფართოება[1].

სოციალიზმი კაცობრიობას პიროვნების განვითარების შესახებ საზოგადოების ზრუნვის უმაგალითო ნიმუშებს აძლევს. მუშებისა და გლეხების მსოფლიოში პირველი სახელმწიფოს წარმოშობამდე სად და როდის დაინტერესებულა საზოგადოება იმით, რომ თითოეული მოქალაქე იყოს არა მარტო მშრომელი, განათლებული ადამიანი, არამედ, აგრეთვე ჰარმონიულად ათავსებდეს თავის თავში სულიერ სიმდიდრეს, მორალურ სიწმინდესა და ფიზიკურ სრულყოფას?

კულტურული რევოლუციის შინაარსი განსაზღვრა სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნებმა და ამოცანებმა. მისი მიზანი გახდა ახალი საზოგადოების ადამიანი — სულიერი, ზნეობრივი და ესთეტიკური სიმბოლო სოციალიზმისა. ჩვენი კულტურული რევოლუცია პრინციპულად განსხვავდება კულტურის სფე-

---

[1] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბ., 1977, გვ. 23.

როში წარსულში განხორციელებული ყველა ცვლილებისაგან[1]. უპირველეს ყოვლისა, მას აქვს ობიექტური ხასიათი და სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე რეალური წანამძღვრები იქმნება კომუნისტური იდეალის პრაქტიკაში განსახორციელებლად. „შესაბამისად კომუნისტური იდეალისა: „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“, სახელმწიფო მიზნად ისახავს გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის“[2] — ნათქვამია სსრკ კონსტიტუციის მეოცე მუხლში.

მაგრამ ახალი ადამიანის ფორმირება შეუძლებელია სულიერი კულტურის მთელი სიმდიდრის დაუფლების, მისი ყველა შემოქმედებითი ძალის გაშლისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უნარის გარეშე.

თავისუფალი დრო არის დასვენების, განვითარების, ადამიანის, მოქალაქის, ოჯახის პატრონის მიერ თავისი უფლებების გამოყენების დრო. ამასთან, მრავალრიცხოვანმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ რაც უფრო მეტადაა დაკავებული ადამიანი, მით უფრო მეტს ასწრებს. ცნობილია, რომ ორმაგ დატვირთვას უფრო ხშირად კისრულობს მიზანსწრაფული, ორგანიზებული, მრავალმხრივ დაინტერესებული და უნარიანი ადამიანი.

მაგალითად, ყველაზე ხშირად თვითგანათლებას ეწევიან განათლებული ადამიანები. თანამედროვე კულტურული ადამიანის უმნიშვნელოვანესი თვისებაა არჩევის უნარი. ამას კი ბავშვობიდანვე უნდა სწავლობდეს კაცი.

სამყაროს შეცნობა ცნობისმოყვარეობიდან იწყება. სკოლამდელ ასაკში იგი ყველა ბავშვს ახასიათებს. მათ ათასი „რატომ?“

---

[1] დ. ი. ჩხიკვიშვილი, ხალხი და კულტურა, თბ., 1974.

[2] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1977, გვ. 23.

და „რისთვის“ უბადებათ. მეტად მნიშვნელოვანია ამ ცნობისმოყვარეობის განვითარება, საჭირო და სწორი მიმართულებით მისი წარმართვა. მაგრამ ბავშვებს სკოლის პირველ კლასშივე სამყაროს შესახებ სხვადასხვა ცოდნა, უფრო მეტიც, სხვადასხვაგვარი სულიერი ინტერესები აქვთ. ბავშვის პიროვნებაზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო შეგონებები და განმარტებანი, არამედ მშობლიური სახლის ატმოსფეროც. როდესაც მშობლები ვიწრო ინტერესებით სულდგმულობენ, ბავშვებს ძალიან უჭირთ დამოუკიდებლად იმის გაგება, რომ „საუკუნეს განათლებით უსწორონ მხარი და არა ჩაცმა-დახურვით“.

ზოგიერთი ოჯახმა ისეთი მაღალი სულიერი განვითარების დონით უზრუნველყო, რომელზედაც მხოლოდ ოცნება შეიძლება, მეორეს პირიქით, არაფერი ან თითქმის არაფერი არ მისცა. ინტერესთა ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების აქტიურობა, სულიერი გამდიდრებისაკენ მისწრაფება.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანებს, რომლებსაც ღარიბი წარმოდგენის უნარი და ნაკლებად განვითარებული კულტურა აქვთ, არ შეუძლიათ ჭეშმარიტ ფასეულობათა აღქმა. ამის შედეგი იმ „მოდური“ კულტურული სიახლეების გამოდევნებაა, რომელთა შესახებ „ბევრს ლაპარაკობენ“. ბიბლიოთეკარი ლიდია ხარიტონის ასული ახალგაზრდული გაზეთის რედაქციაში წერს: „არ შემიძლია დავივიწყო ახალგაზრდა, მოდურად ჩაცმული ქალი, რომელიც ბალეტის ამერიკული დასის სპექტაკლის დაწყებამდე მეტად ენერგიულად შთააგონებდა თავის მოსწავლე გოგონას: „აი, სონეჩკა უკვე იყო, მისი ყველას შურს, შენ კი ყურება არ გინდა. ესენი ხომ თვით ამერიკელები არიან! ისინი სცენაზე ისეთ რაღაცეებს სჩადიან!“

როგორც ჩანს, ეს მას ყველაზე ძლიერ არგუმენტად მიაჩნდა. ის შემეცოდა, ‘ხოლო ბავშვის მომავალმა შემაშინა — შეძლებს ასეთი დედა, ‘ბავშვს ‘ხელოვნების ‘ეშმარიტი სიყვარული ჩაუნერგოს, თუკი დედას ‘ხელოვნება სულ სხვა მოსაზრებით უყვარს...“.

ლენინგრადის ოლქის პოდპოროჟიეს რაიონის მცხოვრები ვალენტინა კუდრიავცევა წერს: „ლენინგრადში მხოლოდ ორი დღით ჩავედი და ძალიან მინდოდა ფილარმონიაში საორღანო კონცერტზე მოხვედრა. მაგრამ ბილეთების ყიდვა ვერ შევძელი, მიუხე-

დავად ამისა, იმედი მაინც არ დამიკარგავს და კონცერტის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ვიყავით დიდი დარბაზის სალაროებთან. შეგიძლიათ გამიგოთ სიხარული, როდესაც კონცერტის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე ხელზე ბილეთის ყიდვის შესაძლებლობა მომეცა. არ ვილაპარაკებ კონცერტზე — ორღანისტი და პროგრამა მშვენიერი იყო. და მაინც განწყობა აღარ მქონდა საზეიმო. საქმე ის იყო, რომ ჩემს გვერდით აღმოჩნდა ახალგაზრდა სიმპათიური ქალი. 15 წუთის შემდეგ მას მოსწყინდა და ჩანთაში გადააწყო კოსმეტიკა, ათვალიერებდა ვინ როგორ იყო ჩაცმული, ბოლოს, დაწყნარდა. მაგრამ ჩანდა, რომ გაწამებით ებრძოდა ძილს. მე იმაზე ვფიქრობდი, თუ რატომ კარგავდა დროს და სხვის ადგილს იკავებდა დარბაზში? უკეთესი იყო ის ეკეთებინა, რაც ნამდვილად აინტერესებდა. უფრო სასარგებლო იქნებოდა. ასეთი ადამიანები ვის ატყუებენ?"

სამწუხაროდ, ცოტა როდია ისეთი მშობელი, ბებია და ბაბუა, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ ბავშვების სურვილებს და წერენ მათ პრესტიჟულ მოდურ წრეებში, სექციებში, სკოლებში, რათა სხვებს არ ჩამორჩნენ. განა ჩვენვე არ ჩავუნერგავთ ბავშვებს, რომ ამ საუკუნეში კაცი უნდა იყო საქმიანი, მიზანსწრაფული, გონივრულად გაითვალისწინოს თავისი შესაძლებლობანი? ვარწმუნებთ, რომ თუ უნდათ ცხოვრებაში რაიმეს სერიოზულს მიაღწიონ, აუცილებლად უნდა ისწავლონ. რა თქმა უნდა სწორად შთავაგონებთ. რადგან ჩვენს დროში ცოდნის, განათლების გარეშე არ შეიძლება, მაგრამ ხანდახან გვავიწყდება სიკეთისა და წესიერების, გულისხმიერების აღზრდის შესახებ. შედეგი, როგორც წესი, საეჭვალოა.

სოციოლოგების ვაანგარიშებით, თითოეულ ადამიანს დღეში ასობით სხვა ადამიანთან აქვს კონტაქტი. ჩვენ უშუალოდ არ ვგრძნობთ მრავალი ადამიანის ზემოქმედებას. მეტად მნიშვნელოვანია კონტაქტების, ინფორმაციის აღქმის შერჩევის უნარის აღზრდა. „ინფორმაცია! ინფორმაცია! ინფორმაცია! ცოდნა! ცოდნა! ცოდნა!" ასეთია დროის, საუკუნის მოთხოვნა! რეპეტიტორები, მუსიკა, ფიგურული სრიალი — მოდური, პრესტიჟული, პოპულარული და თანამედროვეა! დამახასიათებელია ერთი ხანშიშე-

სული ქალის, დედის. ბებიის შემდეგი წერილი: „ყოველ წელს, როგორც კი დაიწყება ფიგურული სრიალი, ვზივარ ტელევიზორთან და გული მიმდის. თითქოს ოცნებაში ვხედავ — ჩემებიც ხომ შეძლებდნენ... ეს რა ჩავიდინე: ჩემი ვაჟიშვილები თავის დროზე რატომ არ მივიყვანე ფიგურულ სრიალზე. ხომ შესაძლებელი იქნებოდა, რომ დღეს ისინი ჩემპიონები გამხდარიყვნენ. აქვე ვიღებ გადაწყვეტილებას: არავითარი დაყოვნება. წავიყვან შვილიშვილებს. მივათრევ მათ მწვრთნელთან, ვემუდარები, ვთხოვ. ვაიძულებ მიიღოს. შემდეგ ვფიქრობ: ამის გარდა, მუსიკა და ენაც ხომ საჭიროა, სკოლაც ბევრ დროს ითხოვს... ამასთან უნდა ითქვას. რომ ვაჟიშვილები კარგები მყავს. ფიგურული სრიალის გარეშეც შეუძლიათ სხვა რამითაც იამაყონ. სიმართლეს მოგახსენებთ. მშრომელი ბიჭები არიან და ყურადღებიანი დედისადმი... იქნებ არ იყოს საჭირო შვილიშვილების იძულება?“

როგორია კულტურა ადამიანთა ურთიერთობებისა, რის საფუძველზე ხორციელდება ეს ურთიერთობები.

გასაგებია, თუ რა ურთიერთობაა საჭირო იმისათვის, რომ იჭორაონ, ილაზღანდარონ — ეს კულტურის ერთი დონეა. ხოლო თუ მიზანი ის იქნება, რომ ერთობლივად ეზიარონ მეცნიერებისა და ხელოვნების საგანძურს — ეს სულ სხვა საქმეა. შეამხანაგება ერთობლივი ხრიკებისათვის სხვების დასამცირებლად—ერთი დონეა. ხოლო როდესაც მისი მიზანი იქნება სამართლიანობის ერთობლივი დაცვა, ჭეშმარიტების უფრო ღრმად წვდომა, ადამიანებისათვის ბედნიერების მოპოვება— სრულიად სხვა და ა. შ. ათასწლეულთა ხალხურმა სიბრძნემ ქცევის კულტურის, ადამიანთა ურთიერთობის მაღალ და დაბალ დონეებად დაყოფის ნათელი კრიტერიუმები გამოიმუშავა, რომლებიც გამოხატულია ფორმულით: სხვას ნუ გაუკეთებ იმას, რასაც შენთვის არ ისურვებდი. თუ შენი საქციელი ამ ფორმულას შეესაბამება — პატივისცემის ღირსი ხარ, თუ არა და ზიზღს დაიმსახურებ.

კარგად ორგანიზებული თავისუფალი დრო ურთიერთობისათვის დიდ შესაძლებლობებს იძლევა. „ურთიერთობა, სამართლიანად აღნიშნავს საბჭოთა სოციოლოგი ე. ვ. სოკოლოვი. — უნივერსალური საზოგადოებრივი ფენომენია. ეკონომიკური, საქო-

რწმენა-ოჯახური, სოციალურ-დემოგრაფიული, ნაციონალური, პოლიტიკური, ზნეობრივი და სხვა ურთიერთობათა რთული სისტემა, დამახასიათებელი მოცემული საზოგადოებისათვის, იძლევა ურთიერთობის კონკრეტულ საზრისს და ახსნის მის მიმართულებას"[1].

ნ. კ. კრუპსკაია აღნიშნავდა, რომ „ადამიანებს ერთმანეთთან გასაუბრების, თავიანთი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. მათ შესახებ ამხანაგური, გულისყურიანი პასუხის მოსმენის, კამათის, ერთად ფიქრის შესაძლებლობა"[2].

ურთიერთობისათვის საჭიროა არა მარტო „ჭერი", არამედ განსაზღვრული ატმოსფეროც, რომელიც განაწყობს ადამიანებს გულითადი საუბრისათვის. ამასთან, ინტერიერი, თუნდაც ყველაზე თანამედროვე იყოს, ჯერ კიდევ არ არის იმის გარანტია, რომ ისინი მყუდროდ იგრძნობენ თავს. ურთიერთობის განსახორციელებლად საჭიროა სტუმართმოყვარეობის, კეთილმოსურნეობისა და ბუნებრიობის კეთილი სული.

ადამიანთა ურთიერთობა მრავალფეროვანია, განსაზღვრული აზრით, ის შემოქმედის როლს იძენს, რომელიც აქტიურად ზემო-

კულტურული ადამიანი	უპირველეს ყოვლისა	განსაზღვრული ხარისხი	არა აქვს მნიშვნელობა
მაღალი ზნეობის პიროვნება	75,5	17,2	7,3
კარგად აღზრდილი, მოდურად და გემოვნებით ჩაცმული, კარგი ქცევის მქონე	27,5	63,4	9,1
ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ყველა სიახლის კურსში მყოფი პიროვნება	22,8	59,4	17,8
უნდა ეუფლებოდეს წარსულის მხატვრულ მემკვიდრეობას	22,0	65,2	12,8
შესაძლებლობისდაგვარად დაკავებული უნდა იყოს მხატვრული შემოქმედებით	4,5	42,4	53,1

[1] ე. ვ. სოკოლოვი, თავისუფალი დრო და მისი გამოყენების კულტურა, ლ., 1977.

[2] ნ. კ. კრუპსკაია, პედაგ. თხზ. ათ. ტომად. ტ. 8. მ., 1960 (რუს).

ქმედებს ადამიანის სულიერ და ზნეობრივ სამყაროზე, მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე[1].

კითხვაზე: „ვის მიიჩნევთ კულტურულ ადამიანად?“ შემდეგი პასუხები მივიღეთ ქვეყნის 18 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისაგან (იხ. ცხრილი, გვ. 170).

ჩვენ დავინახეთ, რომ გამოკითხული სტუდენტების დიდი უმრავლესობა ადამიანის კულტურის მთავარ კრიტერიუმად თვლის მაღალზნეობრივ ქცევას. მორალი ქცევის კულტურის ძირითადი მაჩვენებელია.

სტუდენტები დიდად აფასებენ აღზრდას, მოდურად და გემოვნებით ჩაცმის უნარს, კარგ მანერებსა და ერუდიციას. სამწუხაროდ, გამოკითხულთა უმრავლესობა (53,1%) ვერ აფასებს მხატვრული შემოქმედებით დაკავებას, ე. ი. კულტურის აქტიურ დაუფლებას.

ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად იმართება დისპუტები: „ხომ არ ღარიბდება ჩვენი გრძნობები?“ დისპუტის ერთ-ერთმა მონაწილემ ამ თემაზე შენიშნა „არა, ჩვენი გრძნობები არ ღარიბდება. ისინი უფრო კონცენტრირებულნი. ძუნწნი ხდებიან, მათ წვრილმანებზე არ დახარჯავენ. საბოლოო ანგარიშით „გრძნობათა თვითღირებულება“ ამაღლდა.

არის კი შესაძლებელი რაღაც „გრძნობათა თვითღირებულებაზე“ ლაპარაკი? რა თქმა უნდა არა. ვინაიდან მას ჩარჩული სუნი დაჰკრავს. არავითარი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნების მომიზეზებით არ შეიძლება ადამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისა და დაბალი ემოციური კულტურის გამართლება.

გულისა და გონების, რაციონალურისა და ემოციურის შეხამება კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოებათაგანია. შემთხვევითი არაა, რომ ეს პრობლემა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. რაციონალიზმი აუცილებელია და ამაზე კამათი ძნელია. იგი მეცნიერის, ინჟინრისა და მეურნის პროფესიული თვისება უნდა იყოს, მაგრამ არა პირად ურთიერთობათა ხარ-

---

[1] იხ. ეიცხოვროთ ღირსეულად, კრ. მ., 1979, გვ. 48-49.

ჯზე. ხალხის თუნდაც ჩურჩულით თქმული კეთილი სიტყვის გამოძახილი ქუხილად ისმის. იმისათვის, რომ ამ კეთილი სიტყვის წარმოთქმა ისწავლო, არ უნდა იყო ეგოისტი და უგულო. სამწუხაროა, როდესაც ინტელექტის მაღალი კულტურა ღარიბ ემოციურ სამყაროს ეგუება. მაგრამ არანაკლებ სამწუხაროა, როდესაც მაღალ ემოციურობას განვითარებული ინტელექტი არ ამაგრებს. ერთიცა და მეორეც ცუდია. აქვე შევნიშნავთ, რომ განქორწინების ანკეტის კითხვას: „რა ნიშან-თვისებები არ გააჩნია თქვენს ყოფილ მეუღლეს?“ ლენინგრადში გამოკითხულმა ყოველმა მეექვსე განქორწინებულმა ქალმა უპასუხა: „ჭკუა“. უნდა აღინიშნოს, რომ „ჭკუის“ ცნებაში შესულია არა მარტო ინტელექტი, არამედ გაგების, გაჭირვებაში მხარში ამოდგომის უნარი, თანაგრძნობა, კულტურა, ე. ი. ინტელიგენტობა ამ სიტყვის ფართო გაგებით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის ხაზგასმით აღნიშვნა რომ რაციონალიზმი ზოგიერთისათვის „ხასიათის ღირსებაა. სხვებისათვის — სულიერი „სიყრუე“. მაგრამ აქ რა შუაშია მეცნიერებისა და ტექნიკის საუკუნე? ყველაფერი აღზრდაზე, პიროვნების სულიერ განვითარებაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ ამა თუ იმ მორალურმა პრინციპმა შეძლოს ადამიანის ღრმა რწმენად ქცევა, დიდი მორალური „გადამუშავება“ უნდა განიცადოს მის ცნობიერებასა და ფსიქიკაში. ვ. ი. ლენინი შემთხვევით არ წერდა: „ადამიანურ ემოციათა“ გარეშე არ ყოფილა. არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“[1].

„ეთიკის ლექსიკონში“ შეიძლება წავიკითხოთ: „მორალური გრძნობები პიროვნების სულიერი მოღვაწეობის ემოციური მხარეა, რომლებიც რწმენასთან ერთად სუბიექტის მორალურ პოზიციას ახასიათებს. სოციალური შინაარსით მორალური გრძნობა საზოგადოებრივი ყოფიერების სხვადასხვა მხარისადმი, ადამიანებისადმი, თავისი თავისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული მოვლენებისადმი, მთელი საზოგადოებისადმი ადამიანის სუბიექტურ მიმართებას წარმოადგენს“[2]. მაგრამ არ უნდა დავივი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 310.

[2] ეთიკის ლექსიკონი, მ., 1985.

წყოთ, რომ გრძნობების ჩამოყალიბება ხდება სოციალური პირობების ზეგავლენით. როდესაც ადამიანი მოქმედებს რწმენის მიხედვით, იგი შექმნილ სიტუაციას აანალიზებს მის მიერ დაგროვებული ცოდნის საფუძველზე და ამის მიხედვით იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. მაგრამ ცხოვრებაში ბევრია ისეთი სიტუაცია, როდესაც აუცილებელია სწრაფი რეაქცია, ფიქრისა და განსჯის გარეშე. ჭეშმარიტად ზნეობრივ მოქმედებაში ადამიანს ეხმარება მორალური გრძნობები.

ზნეობრივი გრძნობა შეიძლება საუკეთესო მრჩეველი იყოს, როდესაც საკითხი წყდება იმის შესახებ, თუ რისი ჩადენა შეიძლება ან არ შეიძლება. ამ ზნეობრივი გრძნობით ხელმძღვანელობის დროს ადამიანი სიტუაციაზე უშუალოდ ახდენს რეაგირებას, უნებლიედ, ავტომატურად და ააქტივებს მის ფსიქიკაში წარსულში დაგროვებულ გამოცდილებას, რომელიც იმთავითვე იჩენს თავს ემოციებსა და ზრახვებში. ეი, რატომ არის პიროვნების ფორმირების უმნიშვნელოვანესი ასპექტი ზნეობრივ გრძნობათა აღზრდა. მორალურ არჩევანში რაციონალური ელემენტები სინდისს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს; ისინი მოწოდებული არიან მხოლოდ იმისათვის, რომ შეცდომებისაგან დაგვიცვან. წინააღმდეგ შემთხვევაში რაციონალიზმმა შეიძლება ამორალიზმამდე, უხამსობის, უნამუსობისა და ღალატის გამართლებამდეც კი მიგვიყვანოს.

ადამიანებმა, რომლებიც, „XX საუკუნის რაციონალიზმისათვის“ იბრძვიან, შემოიღეს ტერმინი „ემოციების შეკავება“, რომელსაც ისინი დღევანდელი დღის სიჩქარეებისაგან თავდასაცავ რეაქციად მიიჩნევენ. მაგრამ ემოციების სისტემატური შეკავება პიროვნების ჰარმონიული განვითარების დარღვევას ხომ არ გამოიწვევს? აუცილებლად გამოიწვევს!

ა. გ. ხარჩევი სამართლიანად წერს, რომ „განათლებამ, რომელიც თავისი არსით გონებისადმია მიმართული და მრავალი წლის მანძილზე წვრთნის და ავარჯიშებს მას, შეიძლება გამოიწვიოს აზრის გრძნობისაგან, გამონათქვამის განცდისაგან არასასურველი

ემანსიპაცია, „სულის სიმხურვალის“ დაცემა ცივ რეზონიორობამ-დე, თუ მისი თანმხლები არაა ასეთივე ინტენსიური განვითარება!“[1].

შ. რუსთაველის სახელობის თბილისის აკადემიურ თეატრსა და ლენსოვეტის სახელობის ლენინგრადის აკადემიურ თეატრში დიდი წარმატებით სარგებლობდა (განსაკუთრებით უფროსკლასელთა შორის) ქართველი დრამატურგის ა. ჩხაიძის პიესა „თავისუფალი თემა“. აი, მისი მოკლე შინაარსი.

...ლიტერატურაში გამოსაშვებ გამოცდაზე მეათეკლასელმა მარიკა გელოვანმა სკოლას ბრალად დასდო... თვალთმაქცობა. გოგონა ხომ ოქროს მედალზე „გადიოდა“. სკოლასა და ქალაქში ალიაქოთია, „მასწავლებელთა კოლექტივი შეარცხვინა“ საუკეთესო მოსწავლემ, ცნობილი მწერლის ქალიშვილმა. სკოლის დირექტორმა ელენე ივანეს ასულმა „ჯერარნახულ უმადურობად“ შეაფასა მარიკას მოქმედება.

ცდილობენ. აიძულონ გოგონა თავიდან დაწეროს თხზულება, მას სთავაზობენ ფიქტიურ ცნობას ავადმყოფობის შესახებ, ყველა უტევს — პედაგოგები, მშობლები, ამხანაგები, მეგობრები. ის კი მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე.

„ჩემო პატარა დონ-კიხოტო!, — ეუბნება მამა, — ცხოვრებას არ იცნობ. აბა, რა მოგივა თხზულება თავიდან რომ გადაწერო?“ მარიკა შეახსენებს მამას — კარგ, პატიოსან ადამიანს, რომ მთავარი გმირები იმ წიგნებისა, რომლებსაც ის წერს, წესიერი, მაღალი ზნეობის ადამიანები არიან.

ბოლოს და ბოლოს მარიკა მოტეხეს. მან ვეღარ აიტანა ღალატი თანაკლასელებისა, რომლებმაც ახალგაზრდულ გაზეთში ცილისმწამებლური წერილი დაწერეს და დაჰყვა მათ ნება-სურვილს. ის გადაწერს თხზულებას და ცხოვრებაში აღარასოდეს იქნება დონ-კიხოტი. ისევე ცუდად მოიქცევა „როგორც ყველა“, კიდევ უარესად. კი, მაგრამ ჩვენ, მაყურებელს რატომ შემოგვაწვა სევდა, ასე რატომ აღელდა და აშფოთდა დარბაზი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თბილისელი და ლენინგრადელი ზოგიერთი მოსწავლე ქუ-

---

[1] ა. გ. ხარჩევი, აღზრდის პროცესის დიალექტიკა, „ფილოსოფსკიე ნაუკი“, 1971, № 1, გვ. 9.

ჩაში რატომ „დაუდარაჯდა“ მსახიობს, რომელიც კომორგის როლს ასრულებს, და ცდილობს მასთან დამოკიდებულების „გამორკვევას“, რადგან დაავიწყდა, რომ იგი მხოლოდ სცენაზე ასრულებს ნორჩი შემგუებლის, კარიერისტის როლს, მის გალახვას ცხოვრებაში ცდილობენ, გალახვას ღალატისა და უნამუსობისათვის. იმიტომ, რომ მათ აღელვებთ ბედი „პატარა დონ-კიხოტისა“, რომლის გარდაქმნას ცდილობენ ობივატელად. „არის თუ არა დონ-კიხოტი თანამედროვე?“ „თქვენი აზრით, ახლა ვინ უფრო თანამედროვეა: XX საუკუნის რაციონალისტი თუ დონ-კიხოტი?“, „გვიღარიბდება თუ არა გრძნობები?“ — ამასა და მის მსგავს საკითხებს მღელვარედ განიხილავენ დისპუტებზე.

დისპუტებზე, რომლებიც ტარდებოდა საკავშირო ბანაკ „ორლიონოკში“, ნაწილობრივ ასეთი აზრები იქნა გამოთქმული:

— დონ-კიხოტების გარეშე ადამიანები ვერ გაკადნიერდებოდნენ შესჭიდებოდნენ განუხორციელებელს. როცა გაიგონებ: „შესდექ! ქვეყანას შენ გაასწორებ?“ — უნებურად ჩაიქნევ ხელს. ბრძოლისა და სიძნელეთა დასაძლევად აუცილებელია დონ-კიხოტი, მისი სული, მისი რაინდული წვა, რადგან კაცობრიობას დონ-კიხოტები იფარავენ.

— შემიძლია შეგახსენოთ ა. ი. გერცენის სიტყვები, რომ დონ-კიხოტი, რომელიც სხვის საქმეში ერევა, ათასჯერ უფრო ადამიანია, ვიდრე რომელიმე მედუქნე, რომელსაც არაფერი აწუხებს, გარდა სხვისი ფულებისა. მაგრამ გერცენი სრულიადაც არ ამტკიცებდა, რომ მწუხარე სახის რაინდმა ჩარევის ჭეშმარიტად სწორი გზა აირჩია.

— რაზე ვდაობთ? დონ-კიხოტი ფეოდალია, რომელიც გლეხებს ჩაგრავდა. ის არ შეიძლება ჩვენი თანამედროვე იყოს.

— დაგიზუთხია! ფეოდალსა და რაინდს ვერ ასხვავებ!

შევუნდოთ მერვეკლასელს დაშტამპული კატეგორიებით აზროვნება. როგორც ჩანს, მას არ გაუმართლა — ლიტერატურის მასწავლებელი ვერ შეხვდა კარგი. მითუმეტეს, რომ ის მხოლოდ თოთხმეტი წლისაა.

ხოლო როდესაც ცენტრალურ ლექტორიუმში დისპუტზე ახალგაზრდა ექიმი გამოდის და უხერხულობის გარეშე აცხადებს,

რომ „დონ-კიხოტი შიზოფრენიითაა დავადებული“ და მწუხარე სახის რაინდში დაავადების ნიშნების ძებნას იწყებს, განგაშის ატეხაა საჭირო.

როგორც ჩანს, სკოლაში ლიტერატურის მასწავლებელმა „კაცობრიობის სნეულებათა მომავალ მკურნალს“ არ გააცნო თ. მ. დოსტოევსკის „1877 წლის დღიურები“. დიდი მწერალი, რა თქმა უნდა, ვერ გაითვალისწინებდა, რომ ასი წლის შემდეგ გაიმართებოდა ასეთი მღელვარე დისკუსია თემაზე „არის თუ არა დონ-კიხოტი თანამედროვე?“ მან არგუმენტირებულად უკუაგდო „XX საუკუნის რაციონალისტები“.

„ო, ეს წიგნი დიადია, — წერდა თ. მ. დოსტოევსკი, — არა ისეთი, როგორსაც ახლა წერენ; „კაცობრიობას ასეთი წიგნი რამდენიმე ასწლეულში თითო ეგზავნება... თუნდაც ის ავიღოთ, რომ ეს სანჩო — საღი აზრის, კეთილგონიერების, ეშმაკობისა და ოქროს შუალედის განსახიერება — შემთხვევამ დაუმეგობრა მსოფლიოში ყველაზე შეშლილ კაცს... სანჩო სულ ატყუებს, აცრუებს მას და, ამავე დროს, სჯერა მისი დიადი გონების, მოხიბლულია მისი გულის სიდიადით, სავსებით იჯერებს რაინდის ყველა ფანტასტიკურ სიზმარს და მთელი იმ ხნის მანძილზე ერთხელაც არ დაეჭვდება, რომ ბოლოს და ბოლოს იგი დაუპყრობს მას კუნძულს!“[1].

თ. მ. დოსტოევსკი იმაზე ოცნებობდა, რომ ახალგაზრდობა საფუძვლიანად გასცნობოდა ადამიანის გენიის მიერ შექმნილ ყველა წიგნს შორის ამ უდიადეს და სევდიან წიგნს. „არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ვინც მწუხარე სახის რაინდს შიზოფრენიით დაავადებულს უწოდებს, მას ეს შესანიშნავი რომანი არასოდეს არ წაუკითხავს“.

ა. ვ. ლუნაჩარსკი წერდა: „დონ-კიხოტში“ ასახულია მაღალი იდეალიზმისა და ყოველდღიური სინამდვილის შეჯამება. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ დასცინის აქ ავტორი იდეალისტებს, რომლებიც თავიანთ იდეალებს სინამდვილედ მიიჩნევენ, მაგრამ, ამასთანავე, ღრმა პატივისცემის როგორ ხარკს უხდის იგი მათ.

სინამდვილეში როგორ შეიძლება იდეალის შესახებ საკითხის გადაწყვეტა? მისი გადაჭრა მხოლოდ ახლაა შესაძლებელი. მხო-

---

[1] ფ. მ. დოსტოევსკი, ხელოვნების შესახებ, მ., 1978, გვ. 325.

ლოდ ჩვენ, კომუნისტები, ვართ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც კაცობრიობის ყველაზე მაღალი იდეალები გადაიქცევა არა დონ-ხოტობად, არამედ სინამდვილედ...“[1].

დისპუტებზე აგრეთვე განიხილავენ საკითხს: „ინფანტილური არის თუ არა დონ-ხოტი?“. ერთ-ერთმა გამოსულთაგანმა შენიშნა: „ბოროტება თუ არსებობს, მას უნდა ებრძოლო — ეს არის მწუხარე სახის რაინდის კრედო“. როგორი ინფანტილობაა? ესაა გაუხარჯავი ბავშვობისა და ახალგაზრდობის, იმ შესანიშნავი მამაცობის გამოვლინება, ურომლისოდაც არ არსებობს წესიერება და გმირობა. შემთხვევითი არაა, რომ თ. მ. დოსტოევსკიმ დონ-ხოტს მსოფლიოში ყველა რაინდს შორის ყველაზე დიდსულოვანი უწოდა, ადამიანებს შორის ყველაზე უბრალო სულისა და ერთ-ერთი ყველაზე დიადი გულის პატრონი. განა ეს ინფანტილობაა?

იმათ, ვინც დონ-ხოტების საზოგადოებრივ სარგებლიანობას უარყოფს, უფრო მეტიც, ვინც მათ შიზოფრენიით დაავადებულს უწოდებს, გვინდა შევახსენოთ, რომ დონ-ხოტი უკვდავია, ისევე როგორც უკვდავია სიკეთის, სილამაზის, სამართლიანობის იდეები, რომლებსაც ის ქადაგებს. დაგვეთანხმეთ, რომ როგორც ჩანს, რაინდები „მოდიდან“ არასოდეს არ გამოვლენ, თუკი ისინი არ არიან „რაინდები ერთი საათით“.

აღსანიშნავია, რომ თ. მ. დოსტოევსკი წერდა: კაცობრიობის განკითხვის დღე რომ დადგეს, მას თავის გასამართლებლად მხოლოდ ეს ერთი წიგნიც ეყოფოდა. და ეს გამართლებული იქნებოდა იმიტომ, რომ დონ-ხოტი მარტოდმარტო შუბით შეერკინება ბოროტებას, თუმცა იცის, როგორი ზიანის მოტანა შეუძლია მისთვის ყველა მის გიჟურ ფანტაზიას; არ ეშინია, იყოს სასაცილო.

პროფესორი ვ. ი. ბაკშტანოვსკი სტატიაში „მორალური არჩევანის პრობლემები“ წერდა: „მორალური არჩევანის თავისუფლება არის პროგრესული ზნეობრივი მიზნებისათვის გარემოებათა წინასწარგანზრახულად გარდაქმნის უნარი“.

ამგვარად, მორალური არჩევანის თავისუფლების აუცილებელი

---

[1] ა. ე. ლუნაჩარსკი, თხზ. კრებული, მ., 1964, გვ. 139.

და საკმარისი პირობების მიღწევა შესაძლებელია სიტუაციის მხოლოდ ორივე ელემენტის ურთიერთქმედების დროს.

მორალური არჩევანის სიტუაციაში აღმოცენდება ქცევის ისეთი ფორმის ძიების პრობლემა, რომლის დროსაც სიკეთისაკენ მისწრაფების გადაწყვეტილების მიღება ხდება ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით. ამ გარემოებათა უარყოფამ. აქტიურობის ფორმებმა ყოველდღიურ მეტყველებაში მიიღო „დონ-კიხოტობის“ საზოგადო სახელი. ლიტერატურიდან ნასესხები სახის მიღმა არის არჩევანის ტიპი, რომელშიც მოვალეობისა და იდეალისათვის აქტიურობა ითვლება უეჭველ სიკეთედ და რომელიც გარემოებებსა და მოქმედებათა შედეგებზე მაღლა დგას. „მე მაშინაც კი ვეძებ, როდესაც ვერ ვხედავ გზას, და არ ვიცი სად მივალ“, — ამბობს დონ-კიხოტი სერვანტესის მოტივების მიხედვით გაკეთებულ ერთ-ერთ თანამედროვე პიესაში.

დონ-კიხოტობა მრავალმხრივ გასაგები და ბუნებრივი რეაქციაა არამარტო შემგუებლობასა და პასიურობაზე, რომელიც სიკეთის რანგშია აყვანილი იმის გამო, რომ უზრუნველყოფს ადამიანს კეთილდღეობითა და კომფორტით. არამედ იგი არის რეაქცია ე. წ. ჰამლეტიზმზეც, რომელიც მდგომარეობს ადამიანების ქცევაში, რომლებიც ისწრაფიან რაციონალური ანალიზით ამოწურონ ყველა შედეგი სიტუაციაში და შეცდომის დაშვებისა და ზნეობრივი მიზნის შებღალვის შიშით ვერ აკეთებენ გადამწყვეტ არჩევანს. ამის შესახებ შექსპირის გმირი ამბობს: „ყვავილივით ჭკნება ჩვენი გადაწყვეტილება გონებრივი ჩიხის უნაყოფობაში“[1].

„დონ-კიხოტობის ტიპის განუსჯელ აქტიურობას. რომელიც გარდუვალად იწვევს გულისგატეხვას ყოველი დამარცხების დროს, წინაღუდგება არა ეგოისტური პასიურობა და მარეფლექტირებული ჰამლეტიზმის უსასრულო მერყეობა. არამედ სწორი არჩევანის, საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარი“[2].

აქტიურობის პრობლემის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის კრიტიკული შენიშვნები მისი კორესპონდენტების მიმართ, რომლებიც წარუმატებლობას უჩივიან ბოროტებასთან

---

[1] მარქსისტული ეთიკა, მ., 1980, გვ. 138-139 (რუს.).

[2] იქვე, გვ. 140.

ბრძოლაში. „სად არის დამტკიცებული, რომ თქვენ სწორად, ოსტატურად იბრძოდით? ბიუროკრატები მარჯვე არიან. მათგან ბევრი არამზადა უდიდესი გაიძვერაა. შიშველი ხელებით მათ ვერაფერს დააკლებ. სწორედ იბრძოდით თუ არა? სამხედრო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით შემოერტყით თუ არა მტერს?"[1], „თქვენ ხელებს ჩამოყრიდით ხოლმე და არ იბრძოდით. არ ამოგიწურავთ ბრძოლის ყველა საშუალება"[2].

ასე რომ ადამიანს არა მარტო უნდა უნდოდეს, არამედ შეეძლოს კიდეც ბრძოლა. წინაალმდეგ შემთხვევაში პირველივე გამოცდა მოხრის, უარეს შემთხვევაში, მოტეხავს, ისე, როგორც მარიკას — „თავისუფალი თემის" გმირს — დაემართა. იგი ამიერიდან მარტივი „ფილოსოფიით" იცხოვრებს: „მეოცე საუკუნეა — სულელები აღარ არიან" ან „თუ გინდა იცხოვრო — უნდა გაძვრე-გამოძვრე!".

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ზნეობა ძალიან ხშირად მოითხოვს ადამიანისაგან ცხოვრების მიერ წამოყენებული მოულოდნელი პრობლემისადმი დაუპროგრამებელ დამოკიდებულებას, დამოუკიდებელ და პასუხსაგებ საქციელს. იმიტომ რომ გაუთვალისწინებელი სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის უნარი შესწევს მხოლოდ ფართო განათლებისა და გამოცდილების მქონე, მცოდნე და პასუხისმგებელ სპეციალისტს, რომელსაც რთულ ვითარებაში ელვისებური გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, ხანდახან, საკუთარი სიმყუდროვისა და კეთილდღეობის საზიანოდაც კი. რამეთუ რთულ სიტუაციაში მხოლოდ მაღალი მორალური და სოციალური გრძნობები ეხმარებიან ადამიანს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

დისპუტებზე ახალგაზრდები, ჩვენი აზრით, საკმაოდ ხშირად და სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ე. წ. „ტექნოკრატები" უფრო ხშირად ავადდებიან გულის უკმარისობით, ვიდრე ჰუმანიტარები, რომელთათვისაც ეს ნაკლი თითქმის პროფესიულ გამოუსადეგობას ნიშნავს. ამას უნდა დავუმატოთ, რომ განათლებული, მაგრამ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 521.

[2] იქვე, გვ. 555.

გულგრილი ადამიანები გვხვდებიან აგრეთვე ფილოლოგიაში ერუდირებულ ჰუმანიტარებს შორისაც.

კ. დ. უშინსკი წერდა. რომ ადამიანის ზნეობა აღიზრდება გრძნობების გზით. აქედან გამომდინარე, გრძნობათა აღზრდის საკითხი აკავშირებს როგორც ესთეტიკურ, ასევე ზნეობრივი ხასიათის პრობლემებს.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ „რაციონალიზმის ქადაგებამ" შეიძლება მიგვიყვანოს არაზნეობრივი საქციელის, გაჩუმების, სიმხდალის, სულმოკლეობის, შემგუებლობის, გმირობის უარყოფის გამართლებამდე. ყოველგვარი სიტუაციის წინასწარ მოფიქრების მიუხედავად ადამიანს ცხოვრება მაინც ჩააყენებს ისეთ პირობებში, რომლებშიც ბევრი იქნება დამოკიდებული მის გაბედაობაზე, წესიერებაზე, გულისმხიერებასა და ემოციურობაზე. გმირობის ჩასადენად მის მზადყოფნაზე. მაგრამ წარმოვიდგინოთ. რომ გონებაში ეს მზადყოფნა არაა დაპროგრამებული. მითუმეტეს, რომ გმირობა ხშირად ეწინააღმდეგება გონების მოსაზრებებს, იულიუს ფუჩიკმა ძალიან ზუსტად თქვა, რომ „გმირი არის ადამიანი. რომელიც გადამწყვეტ მომენტში აკეთებს იმას, რაც ადამიანობის ინტერესებისათვის არის საჭირო"[1]. გმირობის ჩადენის მოთხოვნილება უფრო ხშირად განსაკუთრებულ ვითარებაში ჩნდება.

შეუძლებელია იმასთან შეგუება, რომ ახალგაზრდა (სულერთია „ფიზიკოსია" ის, თუ „ლირიკოსი") სულიერად გამოფიტულია, ობივატელივით ანგარიშიანია, მისთვის უცხო და უცნობია კეთილშობილება, სულის სიდიადე, პატიოსნება, ღირსება და წესიერება. ეს მორალური თვისებები მარადიულია და არასოდეს არ შეიძლება მათი მოძველება. როგორი თეორეტიკული ბაზაც არ უნდა დაუდონ მათ საფუძვლად „XX საუკუნის რაციონალისტებმა".

აუცილებელია, კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი იმას, რომ ადამიანის მიერ მიღებული ცოდნა მხოლოდ მაშინ იქცევა რწმენად, როდესაც ღრმად ხდება მათი შეგრძნობა. ადამიანის გულგრილობა მოწმობს პიროვნების ცოდნის შინაარსისა და მისი ინტერესების

---

[1] იხ. ვ. ბ. ლ ი ს ო ვ ს კ ი, რას ნიშნავს იყო თანამედროვე. მ., 1983, გვ. 88 (რუს.).

გათიშვას, მათ დაუმთხვეველობას. ცნობილია, რომ გრძნობა სინამდვილის მოვლენებზე ადამიანის ყველაზე ძლიერი რეაქციაა. მაგრამ როგორც წესი, მისი ზემოქმედება სტაბილური არაა. ადამიანის გრძნობებს დასაყრდენი ესაჭიროება მის მიერ გაზიარებული იდეების სისწორის შესამეცნებლად, სარწმუნოდ მისაღებად და დასაჯერებლად. მაშინ მისი ემოციური განცდები მყარი და მუდმივი ხდება.

განათლებასა და ერუდიციას ფასი არა აქვს, თუ ცოდნა არაა გარდაქმნილი ადამიანის ზნეობრივი ქცევის საფუძვლად. მოქმედებისათვის გრძნობების აღზრდა ყოველმხრივ განვითარებული მაღალი ზნეობის პიროვნების ფორმირების მნიშვნელოვანი პირობაა.

„ამ თაობისა და ისტორიის მთელი მსვლელობისათვის შესაძლებელია უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს დიდი პიროვნების მორალურ თვისებებს, ვიდრე წმინდა ინტელექტუალურ მონაპოვართ"[1]. ეს ა. აინშტაინმა თქვა, რომელიც „XX საუკუნის რაციონალისტების" თვალსაზრისით უნდა ამტკიცებდეს: მთავარი მხოლოდ მეცნიერება, მხოლოდ აზრია. ალბერტ აინშტაინი მთელი სიცოცხლის მანძილზე კრისტალური და ზედმიწევნით წესიერი ადამიანი იყო. შემთხვევითი არაა, რომ ფაშისტებმა მას „ბოლშევიკი" უწოდეს, ხოლო მის ფარდობითობის თეორიას — „ფიზიკაში ბოლშევიკური სულის გამოვლენა". მათ არ ესმოდათ, რომ ამით აამებდნენ კომუნისტებს.

დიდმა ფიზიკოსმა როგორღაც თქვა: „სპინოზასა და კარლ მარქსის მსგავსი პიროვნებები, როგორადაც არ უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს, ცხოვრობდნენ და თავიანთ სიცოცხლეს მსხვერპლად სწირავდნენ სოციალური სამართლიანობის იდეას"[2].

ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს ახალგაზრდას ზნეობრივ ურთიერთობათა უკვე დაგროვილი გამოცდილების გააზრებაში, გააღრმაოს, კორექტივი შეიტანოს ადამიანური ურთიერთობების და ზნეობრივ ნორმებში, შეფასებებსა და ჩვევებში.

---

[1] ა. აინშტაინი, ფიზიკა და რეალობა, მ., 1975, გვ. 116.

[2] იქვე.

სანამ ადამიანს ადამიანის საკადრის ქცევას მოვთხოვდეთ, მას აუცილებლად უნდა ავუხსნათ, რთულ სიტუაციაში რატომ უნდა მოიქცეს ასე და არა სხვაგვარად, მაგრამ მხოლოდ მორალური ნორმების ათვისება. როგორც ჩანს, არაა საკმარისი. ზოგიერთი აღმზრდელი დარწმუნებულია, რომ პიროვნების ცნობიერებაში „ეთიკური ალგორითმების“ „ჩანერგვა“ (მაგალითად, სწავლება „ეთიკის ამოცანების კრებულის“ დახმარებით), ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლთა შეიარაღება ბრძოლის „წესების“ ცოდნით დახმარებას გაუწევს მაღალი ზნეობის პიროვნების ფორმირებას. ბანალურია. მაგრამ შესაძლებელია „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის“ თორმეტივე პრინციპის გაზუთხვა და მაინც არაზნეობრივ ადამიანად დარჩენა, რადგან ადამიანთა ნაწილში ზნეობრივ ცნებებს არ ახლავს ზნეობრივი გრძნობები, რის გამოც ისინი ვერ გადაიქცევიან მაღალზნეობრივი ქცევის სტიმულებად.

მეათეკლასელმა სვეტლანა ნ. პეტროპავლოვსკ-კამჩატკიდან, რომელმაც თავის თავს „ძლიერი პიროვნება“ უწოდა, 1978 წლის 30 აგვისტოს „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში თავისი ცხოვრების „კრედო“ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „უწინ სუსტი და კეთილი ვიყავი, არც უხეში ლაპარაკი შემეძლო და არც მაგარი სილის გაწნა. ახლა მე სრულიად სხვა ვარ, ჩემი ყველას ეშინია.

დიახ, იმას მივაღწიე, რომ არავისადმი არ ვიგრძნო სიბრალული. ვაღიარებ, წელს ყოფა-ქცევაში ნიშანი იმიტომ დამაკლეს, რომ ერთი სუსტი გოგონა გავლახე. კლასში გვყავდა ისეთი, რომელსაც თქვენ იდეალურად მიიჩნევდით. საერთოდ ცუდად არ სწავლობდა, მუსიკითაც იყო გატაცებული (მუსიკალური სკოლა „ფრიადზე“ დაამთავრა), ლექსების წერაც შეეძლო, მხატვრობაც აინტერესებდა. ისეთი კეთილი და ნაზი იყო, რომ მეზიზღებოდა კიდეც. უხეში სიტყვის თქმა მასთან არ შეიძლებოდა, უხერხულად იგრძნობდი თავს. აი, ამისთვის გავლახე, სუსტებს ვერ ვიტან. შესაძლებელია თქვენ ტალანტი გქონდეთ, უფრო მეტიც, მაგრამ. ამასთან, ცოტა მინც მკაცრი ბუნების თუ არა ხართ—ძლიერი პიროვნება, მაშინ კაპიკია თქვენი ფასი, აი, მე გავლენა ამხა-

ნაგებთანაც მაქვს, კლასშიც და მეათეშიც გადავედი სამების გარეშე. ხოლო ის, რასაც თქვენ სილამაზეს უწოდებთ, დაე. იმან მეშჩანებს აუჩუყოს გული. ჩვენთან ხომ თანასწორუფლებიანობაა, რაც იმას ნიშნავს. რომ ნებისმიერი ფილოსოფია — უნდა იყოს თუ არა ქალიშვილი ქალური — ზედმეტია. ჩვენი დრო ძლიერი პიროვნებების დროა. წინა გვაქვს ბრძოლა ადგილისათვის ცხოვრებაში".

შევამსუბუქოთ ბრალდება ახალგაზრდული ყოყლოჩინობისათვის. მეტიჩრობისათვის. იმისათვის, რომ სურვილი აქვთ თავისებური ნიღბის გაკეთებისა და მაინც ასეთი აღსარების კითხვა სევდას იწვევს, როგორ ოჯახში აღიზარდა ეს გოგონა. როგორ მოხდა, რომ არ განუვითარეს ქალურობისა და სიკეთის გრძნობა? როგორ ჩამოყალიბდა მდედრობითი სქესის ასეთი „მამაკაცის მსგავსი არსება?".

კიდევ ერთი წერილი: „ჩემი აზრით, კეთილი ადამიანი უხერხემლო და სუსტი ნებისყოფის ადამიანია, მისი სიკეთე ვიღაცას ეხმარება განსაზღვრულ. მძიმე პერიოდში, რომლის გავლის შემდეგ იგი აღარ ფასდება.

კეთილი ადამიანი ვერასოდეს ვერ შეებრძოლება ბედს. თავისი სიკეთის გამო მას არ შეუძლია, უნარი არა აქვს. ჩაებას რაიმე ბრძოლაში, დაიცვას თავი.

განსაზღვრული აზრით, კეთილი უბრალოდ სუსტი ნებისყოფის ადამიანია.

კეთილი ადამიანი თითქმის ყოველთვის საცოდავი გეჩვენება.

ლიუდმილა ი., ვლადივოსტოკი".

„დღეს პრესტიჟის დამცემია სიკეთისა და გულისხმიერების გამოვლენა, — ასე ფიქრობენ ე. წ. „XX საუკუნის რაციონალისტები", — მთავარია საქმე, შემდეგ კი — გრძნობა". ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ანატოლი ალექსინის „შეშლილი ევდოკია" აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი ლიტერატურის სასკოლო პროგრამაში. სამწუხაროა, მაგრამ კითხვაზე: „ვინ წაიკითხა მოთხრობა „შეშლილი ევდოკია" — „ორლიონოკშიც" კი დადებითი პასუხი გასცა უფროსკლასელთა ერთმა მესამედმა. ეს კითხვა დაუსვეს ჩვენი ქვეყნის სასკოლო კომკავშირულ აქტივს. შეცდომა

არ იქნება. თუ ვიტყვით, რომ ლექციებისა და უფროსკლასელთა დისპუტების დროს გამოკითხულთა ნახევარზე მეტს არ წაუკითხავს ვ. ტენდრიაკოვის „ღამე გამოსაშვები საღამოს შემდეგ". ეს ნაწარმოები კი დაგვაფიქრებს ბოროტებასა და სიკეთეზე, სიცოცხლის აზრსა და მიზანზე, უხამსობასა და უნამუსობაზე, ღირსეულ და უღირს საქციელზე. სამწუხაროდ, პედაგოგებიც ნაკლებად კითხულობენ თანამედროვე ნაწარმოებებს ახალგაზრდობის შესახებ. ამაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ მათთან შეხვედრების შემდეგ. აუცილებელია, ლიტერატურის გაკვეთილებზე, დისპუტებზე სკოლაში უფრო ხშირად განიხილებოდეს გრძნობათა აღზრდის პრობლემა. უნდა გვახსოვდეს, რომ ნორჩ ადამიანს თუ არ დავანახეთ კეთილ გრძნობათა სამყარო, იგი გულგრილი გაიზრდება. „კომსომოლსკაია პრავდაში" ერთმა მოსწავლე გოგონამ დაწერა, რომ არაფრით არ შეუძლია გაიგოს, თუ რატომ არის საჭირო კლასიკური ლიტერატურის — ტურგენევის, ჩეხოვის, ტოლსტოის ნაწარმოებების — შესწავლა. ეს ხომ ძალიან მოსაწყენია. მკითხველებმა გოგონა გაკიცხეს წარსული მემკვიდრეობისადმი აგდებული დამოკიდებულებისათვის. სინამდვილეში კი იქნება აჯობებდა, რომ მოსწავლე შეგვბრალებოდა იმის გამო, რომ არც მშობლებმა და არც მასწავლებლებმა არ გაუღვიძეს მას სიყვარულის გრძნობა ლიტერატურისადმი, თვით მას კი თავი არ შეუწუხებია, ესწავლა ჰეშმარიტი კითხვის ფასი და გაგება. ამის შემდეგ კი გვიკვირს, რომ ზოგიერთი აბიტურიენტი მისაღებ გამოცდებზე თხზულებებში „აღმოჩენებს" აკეთებს:

„ჩიჩიკოვს პლიუშკინი ქალი ჰგონია. უფრო მეტად დაცემა აღარ შეიძლება". „ნატაშა როსტოვა, ისევე როგორც მისი დროის სხვა კომკავშირელები, გმირობას სჩადიოდა".

კარგა ხანია ცნობილია, რომ ლიტერატურის (განსაკუთრებით კი პოეზიის) სასწაული მის ადამიანურ ბუნებაში მდგომარეობს, ვისაც ეს არა აქვს შეგნებული, ის უსაზღვროდ იძარცვავს თავს.

სულიერი გაკაჟება დღეს რთული პროცესია, რომელიც თითოეული ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბების ორი მხარის — ვინ და როგორი ვიყოთ? — მტკიცე კავშირს მოითხოვს. ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება საქმიანი, რაციონალურად მოაზროვნე ადამიანები და არა მშრალი რაციონალისტი-რობოტები. ოპტიმალუ-

რი ვარიანტია — ადამიანის ხასიათის რაციონალურისა და ემოციურის, საქმიანი და ზნეობრივ-სულიერი თვისებების ჰარმონიული შეხამება, რადგან ყველაზე გონივრული საქციელი მაღალზნეობრივი საქციელია.

რასაკვირველია, სიკეთე ვერ დარჩება პასიურ პოზიციაში, შემტევითი და აქტიური უნდა იყოს. ახალგაზრდობაში განსაკუთრებით ვითარდება ზიზღი სიყალბისადმი, დემაგოგიისადმი, ლაქლაქისადმი. ჩვენ კი ხანდახან ვზრდით ხოლმე აბსტრაქტულ რომანტიკოსებსა და იდეალისტებს, რომლებიც ცხოვრებას არ იცნობენ, ხოლო ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ახლა იწყებენ ცხოვრებას, მეტად საჭიროა, შეისწავლონ სიკეთის დაცვა და ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ე. ი. სიკეთე მოქმედი უნდა იყოს. და მაინც არ შეიძლება პოეტ სტანისლავ კუნიაევს დავეთანხმოთ, კარგ მიზანს ცუდი საშუალებებით ვერ მივაღწევთ, ეს ჩვენს მორალს, ჩვენი ცხოვრების წესს ეწინააღმდეგება, სისასტიკითა და ბოროტებით სიკეთეს ვერ დაამკვიდრებ. 1943 წელს, ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს წუთს, პოეტმა ნიკოლოზ ასეევმა ძალიან მკაფიოდ გამოხატა ეს აზრი: „ძალმომრეობა ბადებს ძალმომრეობას. სიცრუე — სიცრუეს; როდესაც ყელში გწვდებიან, ბუნებრივია, დანას მოჰკიდო ხელი, მაგრამ დანის გამოცხადება წმიდათაწმიდად...“[1].

ამბობენ, სიკეთე და ბოროტება ერთადერთი რამით გვანან ერთმანეთს: ორივეს აქვს უნარი თავიანთი თავის გამრავლებისა. ყველა ზღაპარში აჯილდოებენ ფერიები კეთილი გულის ადამიანებს და მკაცრად სჯიან ბოროტებსა და ძუნწებს. თუ უწინ მხოლოდ ზღაპრებში იმარჯვებდა კეთილი ბოროტზე, სოციალიზმმა ეს პირველად უნდა განახორციელოს სინამდვილეში. სამწუხაროდ, ისტორიის გაკვეთილები გვიჩვენებენ, რომ ეს ყოველთვის ასე როდი ხდებოდა.

ადამიანის ჭეშმარიტი გარდაქმნა, მისი ამაღლება ხდება არა ლამაზი ქადაგებით და მოწოდებით „სხვა თვალებით შეხედონ სინამდვილეს“, არამედ ახალი ადამიანის ფორმირების და სინამდვილის გარდაქმნისათვის რეალური ბრძოლით.

---

[1] ნ. ასეევი, რჩეული, მ., 1979, გვ. 192.

სამოქალაქო გმირობა მაღალზნეობრივი ქცევის აუცილებელი პირობაა. ვ. ა. სუხომლინსკი წერდა: „სიკეთე ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის გარეშე უმწეობად და სახარებისმიერი ბოროტების წინაღუდგომლობად იქცევა“[1].

ამავე დროს, კეთილსასურველი ურთიერთობა ადამიანებთან თანამედროვე საბჭოთა ხელმძღვანელის აუცილებელი თვისებაა. იგი სრულად ახასიათებდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უდროოდ დაღუპულ რექტორს — აკადემიკოს რ. ვ. ხოხლოვს. აი, რას წერდა მის შესახებ ნარკვევ „ცხოვრების“ ავტორი გ. ბოჩაროვი: „ხოხლოვი არასოდეს არ ღალატობდა თავის ზნეობრივ რწმენას, ჭაბუკობაში რომ შეიძინა და რომლითაც ახალგაზრდობაში ხელმძღვანელობდა. მოწიფულობაში მისგან არ დაუხევია, მისი სახე განუყოფელია, მთლიანი. ხოხლოვი — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და ხოხლოვი იმავე უნივერსიტეტის რექტორი ერთნაირები არიან მთავარში, კეთილმოსურნეობა და წესიერება ხოხლოვის არსია.

კეთილმოსურნეობა არაა ასაკობრივი ცნება, იგი განცალკევებული, ავტონომიური თვისებაა. მას სიმკაცრეს და ეპვიანობასთან თანაარსებობა არ შეუძლია. შეუძლებელია ვინმეს გულწრფელად უსურვოთ სიკეთე და, ამავე დროს, შეგნებულად მოუწამლოთ ადამიანს სიცოცხლე, კეთილმოსურნეობა ადამიანს ან ახასიათებს, ან არა. თუ იგი კეთილმოსურნეა, მთლიანად გამსჭვალავს ადამიანურ გულს და ადგილს არ დაუტოვებს ბოროტებას. მეორე ადამიანისათვის სიკეთის გაკეთება ნიშნავს იმას, რომ იგი მიიღო ისეთად, როგორიც არის, და ეცადო დაეხმარო, რათა რაღაცით უკეთესი გახდეს. ამ თვისების შესახებ სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ და წერენ როგორც ძვირფასეულობის შესახებ, რომელიც ქრება მრავალთა ცხოვრებაში“[2].

ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელიც აზრს გამოთქვამდა ხოხლოვის შესახებ, თქვა, რომ ის „კეთილმოსურნეობის ანომალიაა“.

---

[1] ვ. ა. სუხომლინსკი, კოლექტივის ბრძნული ძალაუფლება, მ., 1975, გვ. 163.

[2] გ. ბოჩაროვი, ცხოვრება, „კომსომოლსკაია პრავდა“, 1978 წ., 5 თებერვალი.

შესაძლებელია, ეს ყოვლისშენდობის პოზიცია იყოს? ხოხლოვის მთელი ცხოვრებისეული პრაქტიკა უარყოფდა ამ თეზისს.

მისი სამსახურეობრივი მოვალეობები რთულდებოდა და უდიდეს შინაგან მობილიზებას მოითხოვდა. რექტორი, უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. საკუთარ სამეცნიერო მუშაობას ის ახლა მხოლოდ შაბათობითა და კვირაობით ეწეოდა. სამაგიეროდ ტალღური პროცესების კათედრაზე იმ დღეებში მეცნიერების ნიდიმი იყო — აქ მოდიოდა ყველა, ვინც მეცნიერებით ცხოვრობდა.

თითოეული ხედავდა, ხომ ხოხლოვი არ იცვლებოდა. იგივე იყო, კეთილმოსურნე, ნათელი, ურთიერთობაში თავისუფალი. კეთილმოსურნეობა კვლავ მისი ენერგიის მთავარი წყარო იყო. ის იცვლებოდა და იზრდებოდა როგორც პიროვნება, ხელმძღვანელი, მაგრამ არ იცვლებოდა როგორც ადამიანი, ის შეიმეცნებდა სამყაროს წარმოუდგენელ მრავალფეროვნებას, მაგრამ ცენტრში ადამიანს ხედავდა და თვითონაც ადამიანად რჩებოდა[1].

მოთხრობაში „ანგარიშის გასწორება" — მწერალმა ვ. ტენდრიაკოვმა შემაძრწუნებელი სურათი დაბატა: თათარი საბჭოთა ჯარისკაცი დანგრეულ სტალინგრადში ალმოდებულ სახლში შევარდა დაჭრილი გერმანელის გადასარჩენად. ის მასთან ერთად დაიღუპა ნანგრევებში. აქ, სტალინგრადში, მომავალმა მასწავლებელმა ალექსეი კირილეს ძემ გაიგო უბრალო რამ: „ვერც ისტორიის ბეღუკულმართობა, ვერც გაცოფებულ მანიკათა სასტიკი იდეები, ვერც ეპიზოდური სიგიჟე — ვერაფერი ვერ შეძლებს ადამიანურის მოსპობას. შეუძლებელია ადამიანში მისი ჩაკვლა. შეიძლება მხოლოდ ჩახშობა. თითოეულ ადამიანს კბრაკლიტულში სიკეთის გაუხარჯავი მარაგი აქვს, აღმოვაჩინოთ ის, მივცეთ თავის დაღწევის საშუალება"[2].

ჰუმანიზმი და ადამიანურობა საბჭოთა ადამიანის ჭეშმარიტი კულტურის მაჩვენებელია. აუცილებელია, რათა არ დაირღვეს

[1] გ. ბ ო ჩ ა რ ო ვ ი, ცხოვრება, „კომსომოლსკაია პრავდა", 1978 წ., 5 თებერვალი.

[2] ვ. ტ ე ნ დ რ ი ა კ ო ვ ი, საზღაური, „ნოვი მირ", 1978 წ., № 3 (რუს.).

ინტელექტისა და ადამიანურობის ჰარმონია. სანამ ადამიანს მოვთხოვდეთ განსაზღვრული სტილის ქცევას, საჭიროა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ზნეობრივად რთულ სიტუაციებში, როგორ გააკეთოს მორალური არჩევანი. ლაპარაკია გრძნობათა აღზრდაზე, რადგან ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობის უმნიშვნელოვანესი თვისებაა კარგი და ეფექტური შრომის უნარი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

იბრძვიან რა ე. წ. „XX საუკუნის რაციონალიზმისათვის" და ეს ნიშანი მიაჩნიათ თითქმის ძირითადად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში, მისი მომხრეები ხანდახან ივიწყებენ, რომ სრულიად განსხვავებულ ცნებებს აერთიანებენ: სამეცნიერო მუშაობას, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, პირად ურთიერთობათა სფეროსა და გრძნობათა კულტურას.

სტატიაში „გაკვეთილის გაკვეთილები" მწერალმა ევგენი ბოგატმა მოგვითხრო ინჟინერ ვ. უვაროვზე, რომელმაც ეგმ-ზე დააპროგრამა, მისი აზრით, ისეთი „ნაფტალინმოყრილი სიტყვები, როგორიცაა სიკეთე, გულშემატკივრობა, თანაგანცდა, სული, თანაგრძნობა, გულის ხსოვნა". ეგმ-მ გამოითვალა, რომ ბოგატის წიგნებსა და სტატიებში ყველაზე ხშირად გვხვდება სიტყვა „სიკეთე". „მორწმუნე ყოფილხართ, ამხანაგო მწერალო "— აღშფოთდა დამპროგრამებელი.

მეორე ინჟინერი გ. ლუკიანოვი, რომელიც სარატოვში ცხოვრობს, ამის გამო სამართლიანად აღნიშნავს: „ვაი, რომ ზნეობრივი სიყრუე საკმაოდ გავრცელებული ავადმყოფობაა თანამედროვე მეცნიერ „ინტელექტუალებში", პროგრესის, როგორც ასეთის იდეისათვის მებრძოლებს შორის. იგივე სიყრუე სავსებით აუცილებელი თვისებაა ყოველი ჯურის „მაგარი ბიჭებისათვის"... პირველთ, საქმიანობის ხასიათის მიხედვით, განუყოფელი ურთიერთობა აქვს მანქანებთან და ფორმულებთან და ამიტომ ზნეობრივი გრძნობა არ ესაჭიროება, ხოლო მეორეთ იგი მხოლოდ ხელს უშლის"[1].

„რაციონალისტი" ამორალური საქციელისათვის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის, რადგან ცხოვრების ყველა შემთხვე-

---

[1] „ლიტერატურნაია გაზეტა", 1977 წ., 5 იანვარი.

ვისათვის დამუშავებული „წესებით“ ცხოვრობს. ამიტომ ხშირად არის მზად თავის სინდისთან კომპრომისზე წავიდეს და არ არღვევს ამ „წესებს“.

დასავლეთის ფილოსოფიაში არის ტერმინი ტექნოკრატია. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ ტექნოკრატი არის მეცნიერების ან ტექნიკის ვიწრო დარგის სპეციალისტი, რომელიც სრულად ფლობს ფორმულებისა და მანქანების სამყაროს, სამყაროს შესახებ მათემატიკისა და კიბერნეტიკის ტერმინებით აზროვნებს, ხოლო თავის ქცევაში ზნეობრივ ძალთა ეკონომიის პრინციპებით ხელმძღვანელობს. „დადგება რაციონალიზმის საუკუნე, რომელსაც დაღუპვა მოაქვს ემოციურობისათვის. — გვიწინასწარმეტყველებდა ჰერბერტ უელსი, — გრძნობას გონება შეცვლის“[1].

რასაკვირველია, თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა ადამიანს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს და საზოგადოების ინტერესებისათვის მათ სამართავად არა მარტო ტექნიკური მომზადებაა საჭირო, არამედ ზნეობრივიც.

როდესაც ვ. ა. სუხომლინსკიმ ხმამაღლა თქვა იმის შესახებ, რომ მოქალაქეობრიობის აღზრდის მიღწევაში სიკეთე დაგვეხმარება, პედაგოგთაგან ზოგიერთმა ბრალად დასდო მითიური უკლასო ადამიანურობის საფუძველზე აღზრდის დაყენებისა და „მეშჩანური ინდივიდუალიზმის იდეების გათრევის“ ცდები, აბსტრაქტული ჰუმანიზმის ქადაგება. პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ი. პ. აზაროვმა, როდესაც ასეთი თავდასხმებისაგან იცავდა ცნობილ საბჭოთა პედაგოგს, სამართლიანად შენიშნა: „ვ. ა. სუხომლინსკის შრომებს აბსტრაქტული ჰუმანიზმის სუნიც კი არ დაჰკრავს. აღმზრდელობითი მოღვაწეობის გვირგვინად იგი თვლიდა პატრიოტიზმის, მოქალაქეობრიობისა და ინტერნაციონალიზმის ფორმირებას, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებას“[2].

„რა ქმნის პიროვნულისა და საზოგადოებრივის ჭეშმარიტ ჰარმონიას?“ — კითხულობდა ვ. ა .სუხომლინსკი. „ადამიანის პა-

---

[1] პ. უ ე ლ ს ი, რჩეული, ტ. 1. (რუს).

[2] ი. პ. ა ზ ა რ ო ვ ი, მოქალაქეობა და ადამიანობა, „კომუნისტი“, 1976, № 8, გვ. 36—44 (რუს).

სუხისმგებლობა ადამიანისადმი, კოლექტივის, საზოგადოების წინაშე ადამიანის პასუხისმგებლობა"[1], — უპასუხა მან განვითარებული ურთიერთობისა და პიროვნების ჰარმონიულად განვითარების ერთიანობის განსაზღვრის დროს. იგი ამტკიცებდა, რომ „კოლექტივიზმის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია სულიერი კეთილშობილება, რომელიც ბავშვის სულში ფესვს მაშინ იდგამს, როდესაც ბავშვი უფრო მეტად ფიქრობს და ზრუნავს სხვებზე, ვიდრე თავის თავზე. უბრალო სამუშაოსათვის სამშობლოს სამსაუხრის მაღალი აზრის სულის ჩადგმა — არის კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა იდეურ ურთიერთდამოკიდებულებათა დამკვიდრება".

ვ. ა. სუხომლინსკი ჰარმონიულად განვითარების დახასიათებაში მეორე ნიშნად თვლის თვითაღზრდის სხვადასხვა ფორმასთან განვითარებული ურთიერთობის კავშირს.

ჰარმონიული განვითარების მესამე ნიშანს წარმოადგენს ზნეობრივ აღზრდაში ეთიკური და ესთეტიკური იდეალის ერთიანობა. ვ. ა. სუხომლინსკის მტკიცედ სჯერა, ძირითადი შეცდომები აღზრდაში იმის გამოა დაშვებული, რომ ბავშვს ბავშვობაში არ განუცდია სილამაზის ქმნადობის სიხარული. შემთხვევითი არაა, რომ კომუნისტური აღზრდის ანბანად იგი თვლიდა ემოციური უვიცობის დაძლევას, „ჰარმონიისა და ემოციურ შეფასებათა აღზრდას". ბავშვს ცხოვრება არ შეუძლია განცდის სიხარულის გარეშე, სიხარულის იმედის, სიხარულის რწმენის, სიხარულის შესახებ წარმოდგენის გარეშე. ამასთანავე ვ. ა. სუხომლინსკი გვაფრთხილებდა, რომ ლაპარაკია არა მოხმარების სიხარულზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქმნადობით, შექმნით გამოწვეულ სიხარულზე, შრომის, ქცევის სიხარულზე. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ თემურელთა სამუშაოებში რაზმი მოწინავე იყოს, ხოლო ბავშვები საკუთარ ბებიებს არ ეხმარებოდნენ[2].

ი. პ. აზაროვი სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს არის ვ. ა. სუხომლინსკის თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობის ნათელი დადასტურება, რასაც ზოგიერთი მეცნიერი ყოველთვის სწორედ არ

---

[1] ვ. ა. სუხომლინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[2] ი. პ. აზაროვი, აღზრდის ხელოვნება, მ., 1979. გვ. 26.

განმარტავს. რამეთუ აღზრდის თეორიის ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად შეუძლია მას ჩვენი იდეალების სიწმინდის დაცვა და რამდენად უკომპრომისოა იგი კომუნისტურ ზნეობრივ ფასეულობათა მისეულ დადასტურებაში. ამას მოწმობს ვ. ა. სუხომლინსკის მთელი პედაგოგიური გამოცდილება. იგი თავის შემოქმედებაში მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე ქადაგებას მოსწავლეთა მრავალმხრივი საქმიანობის პრაქტიკულ ორგანიზაციასთან ახამებს, ამკვიდრებს ერთიანობისა და თვითაღზრდის, კოლექტივისა და პიროვნების, კლასობრივსა და ზოგადსაკაცობრიო იდეებს[1]. ეს აუცილებელია, რადგან. სამწუხაროდ. მოიძებნებიან პედაგოგები, რომლებიც შესანიშნავ პაველ შელ მასწავლებელს ბრალად სდებენ „აბსტრაქტული სიკეთის", „უკლასო ჰუმანიზმისა" და სხვათა ქადაგებას.

ი. პ. აზაროვს თავის წიგნში მოაქვს ვ. ა. სუხომლინსკის შემდეგი სიტყვები: „მკითხველმა ისე არ გამიგოს. თითქოს აბსტრაქტულ სიკეთეს და ყოვლის შენდობას. ვქადაგებდე. საუბარია ბავშვის აღზრდაზე კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში... ჩვენი ბავშვები ყველაფრისათვის მზად უნდა იყვნენ; იმისთვისაც, რომ ბრძოლის ველზე მტერს შეხვდნენ, იმისთვისაც. რომ შესძლონ მძიმე ბრძოლის განსაცდელის გადატანა... ეს აღმზრდელობითი მიზნები არათუ არ ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი ძალმომრეობისადმი შეურიგებელი ახალი ადამიანის ფაქიზი, გულისხმიერი სულიერი სამყაროს აუცილებლობას. არამედ ხაზს უსვამენ კიდეც ამ აუცილებლობას, მტრის ჭეშმარიტი სიძულვილი და მისადმი დაუნდობლობა მხოლოდ დიდი სულიერი კეთილშობილების... მქონეს შეუძლია"[2].

აი, როგორ ისმის აბსტრაქტული ჰუმანიზმის „ქადაგების" საკითხი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. პ. აზაროვი, ადამიანურობაში ვ. ა. სუხომლინსკის სასკოლო განაწესის უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანის „ნაწილობრივი" გამოვლენა კი არ ესმის. არამედ ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობა პოლიტიკური შეგნე-

---

[1] ი. პ. ა ზ ა რ ო ვ ი, დასახ, ნაშრომი, გვ. 26.

[2] იქვე. გვ. 29.

ბის მაღალი ღონითურთ[1]. ხოლო „ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური ცნობიერების არსებით მხარეს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა საკუთარი სინდისის წინაშე“ — მისი ჭეშმარიტი აღზრდილობის ერთ-ერთი კრიტერიუმი. „რადგან არ არის აბსტრაქტული ადამიანიურობა, — ხაზგასმით აღნიშნავს ვ. ა. სუხომლინსკი, — ადამიანურობა, იმ მწვავე პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, რომელიც დღეს წარმოებს მსოფლიოში“[2].

წიგნში „აღზრდის ხელოვნება“ ი. პ. აზაროვმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ვ. ა. სუხომლინსკის ეთიკურ შეხედულებებს, ისევე როგორც მათი რეალიზაციის მეთოდიკას, ახასიათებს დიდი ზრუნვა ხალხის მომავალზე, ჩვენი ქვეყნის თითოეულ ადამიანზე, რომ მისი ჰუმანიზმი ქმედითია, მოკლებულია პასიურ მეცნიერებლობას. და რომ სუხომლინსკის ძირითადი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო აღზრდის თეორიის შეყვანა ყველაზე თანამედროვე ეთიკურ პრობლემათა კალაპოტში, ხოლო მათი გადაჭრის დროს გვიჩვენა კომუნიზმის მშენებელი ხალხის საერთო კულტურის ამაღლების კონკრეტული გზები.

ი. პ. აზაროვს შესაძლებელია დავეთანხმოთ, რომ „აღზრდის თეორიის განვითარებით ვ. ა. სუხომლინსკი თითქოს დაეხმარა პედაგოგიკას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლაში, რომ მან თავის დროს რამდენადმე გაასწრო და ხვალინდელ დღეს შეხედა. ამიტომ მისი თეორიიდან ბევრი რამ ბოლომდე ჯერ კიდევ არ გაგვიცნობიერებია და ღრმა გააზრებას მოითხოვს“[3].

სიხარული და სიკეთე კოლექტიურ ურთიერთობათა სულია, რომელთა წყალობით კოლექტივში კეთილმოსურნეობა — კოლექტივის მორალურ ძალთა, მორალური სილამაზისა და ღირსების მდიდარი წყარო — დაისადგურებს. ძალიან სწორად შენიშნავს ი. პ. აზაროვი, რომ ვ. ა. სუხომლინსკის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ადამიანის სილამაზისადმი, შრომისადმი, იმ მშვენიერებისადმი მიძ-

---

[1] ვ. ა. სუხომლინსკი, მოქალაქის დაბადება, „ნოვი მირ“, 1971, № 10, გვ. 267.

[2] იქვე.

[3] ი. პ. აზაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

ღვნილი ჭეშმარიტი ჰიმნია, რაც მშრომელის ხელით არის შექ-ქმნილი[1].

ვ. ა. სუხომლინსკის მგზნებარედ სჯეროდა ზნეობრივი იდეალის ძალისა. „სკოლის მისია იმაში მდგომარეობს, — აღნიშნავდა ის, — რომ ადამიანი ჰარმონიულ მთლიანობაში აღზარდოს: მოქალაქეები და მშრომელები, მოსიყვარულე და ერთგული ოლქმარი, მამები და დედები"[2].

ყოველდღიურად, პრაქტიკაში განახორციელა ვ. ა. სუხომლინსკიმ სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა —პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება. მან ა. ს. მაკარენკოს კვალდაკვალ შეიმუშავა და დანერგა აღზრდის პრაქტიკაში კოლექტივის სისტემა, ბავშვის ინდივიდუალობის გათვალისწინებით და ამ ინდივიდუალობის შენარჩუნებით. პიროვნების მთავარ მორალურ თვისებად ვ. ა. სუხომლინსკი მოქალაქეობრიობას მიიჩნევდა, ავითარებდა რა ფორმულას: „აღზარდეთ მოქალაქე, ამით თქვენ კოლექტივს აღზრდით". ვ. ა. სუხომლინსკი ამტკიცებდა, რომ კოლექტივი იქ შეიკვრება, სადაც ადამიანის გონების, ბედნიერების, თავისუფლებისა და სამართლიანობის კულტია[3].

მან დაამუშავა მოღვაწეობის სისტემა, რომელიც შეიცავს კომუნისტური აღზრდის ცოცხალ სულს — შრომას ადამიანის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

ადამიანის მიერ ათვისებული ცოდნა რწმენად მხოლოდ მაშინ გარდაიქმნება, როდესაც ღრმად შეიგრძნობა. ადამიანის გულგრილობა იმას მოწმობს, რომ გაითიშა და ერთმანეთს არ დაემთხვა მიღებული ცოდნა და ადამიანის კულტურა. რასაკვირველია, რაციონალური, მორალური იდეალის მქონე პიროვნება ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ადამიანი, რომელსაც ამოძრავებს მხოლოდ გაუცნობიერებელი ,ერძნობები, ტრადიციები და ჩვევები. პროფესორმა ი. ა. ზამოშკინმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ცოდნისა და მაღალი ცხოვრებისეული იდეალების შეუფასებლობის შედეგად შესაძლებელია აღვზარდოთ შემგუებელი, ობივატელი და მეშჩანი.

---

[1] ი. პ. აზაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17-21.

[2] ვ. ა. სუხომლინსკი, კოლექტივის ბრძნული ძალა, გვ. 171.

[3] ი. პ. აზაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24-25.

მსგავსი ადამიანები ბიუროკრატიის ტრადიციულ იარაღს წარმოადგენენ. სწორედ ასეთ პიროვნებებს ემყარება რუტინერობა, გულგრილობა და დამყაყებულობა"[1].

სოციალისტური კულტურა თავის თავში აერთიანებს რაციონალურ იდეურობას ემოციურობასა და ესთეტიკურობასთან.

ადამიანს ჩამოყალიბებული თუ აქვს იდეური რწმენა, შეურიგებელი დამოკიდებულება ყველაფერ იმასთან, რაც ხელს გვიშლის კომუნიზმის აშენებაში, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. მოქმედებისა და უსამართლობასთან ბრძოლის უნარი, მას ვეღარ ააცდენ გზას. რთულ სიტუაციაში ის შეძლებს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

ცოდნის გადასვლა რწმენაში არის ემოციურისა და რაციონალურის ერთიანობა.

ადამიანი, რომელიც ინფორმაციას (ცოდნას) იღებს. იდეებს იზიარებს, მათდამი განსაზღვრულ ემოციურ დამოკიდებულებას განიცდის. ეს გრძნობები აფორმებენ და ხელს უწყობენ სუბიექტის ურთიერთობის განმტკიცებას ცოდნასთან, იდეასთან. გარემომცველი სინამდვილის, გარესამყაროს შესახებ ცოდნა თუ აღიქმება და მისი კოპირება ხდება ძირითადად გონების მეშვეობით, გრძნობები განცდების სულიერი მღელვარების, გარესამყაროსა და თავისი თავისადმი შეფასებითი დამოკიდებულების ფორმით ასახავენ სინამდვილეს.

ზნეობრივი კულტურა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია პიროვნების შეგნებისა და თვითშეგნების განვითარებაზე. საზოგადოების მორალური ნორმების, ფასეულობებისა და იდეალების ათვისების სიღრმეზე. ამავე დროს, პიროვნების ზნეობრივ კულტურაში ნათლად მჟღავნდება მისი ქცევისა და შეგნების ინდივიდუალურობა, განუმეორებლობა და ორიგინალურობა.

არსებითად ზნეობრივი კულტურა არის კიდევაც საკუთარი „მეს", თავისი პიროვნული ღირსების შემეცნება. რაც უფრო დი-

---

[1] ი. ზ ა მ ო შ კ ი ნ ი, ახალგაზრდობის სოციალური ორიენტაციის პრობლემები, კრ. „საზოგადოება და ახალგაზრდობა", მ., 1973. გვ. 77.

დი ღირსების ადამიანია, მით უფრო პასუხსაგებია მისი ზნეობრივი გადაწყვეტილებანი და მკაცრი — მისი სინდისის მსჯავრი.

ზნეობრივი კულტურა. ის სულიერი სისავსე. იდეურობა, ის ჭეშმარიტი ინტელიგენტობაა, რომელიც ადამიანს უფლებას არ აძლევს იცხოვროს მხოლოდ თავისი, კერძო ეგოისტური ინტერესებით.

მოგაგონებთ, რომ ასორმოცდაათი წლის წინ რუსეთში ამაყი და იშვიათი ყღერადობა ჰქონდა სიტყვას „წიგნიერი" (წერა-კითხვის მცოდნე). ასი წლის წინ ადამიანს გამოარჩევდნენ სიტყვით— განათლებული, რადგან მაშინ მხოლოდ რჩეულები სწავლობდნენ, დღეს კი საყოველთაო საშუალო განათლებამ მოვალეობად აქცია ის, რაც ოდესღაც ადამიანთა ნაწილის პრივილეგიას წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენთან ელემენტარულ განათლებულ ადამიანად ყველა იქცევა, პიროვნებად კი არა.

ძალიან სწორი იყო ევგენი ევტუშენკოს შენიშვნა: „როდესაც ხელოვნების ცოდნა გურმანობად... იქცევა — იგი საკვებია მხოლოდ სხეულისათვის და არა სულისათვის, ცოდნა თავისთავად გულგრილიც შეიძლება იყოს. ყველაზე დიდი კულტურა არაა გულგრილი. არაგულგრილობა წარსულისადმი, აწმყოსა და მომავლისადმი, არაგულგრილობა იმათდამი, ვისაც იცნობ, არაგულგრილობა იმათ მიმართ, ვისაც არ იცნობ. არაგულგრილობა ადამიანის მიერ ადამიანის დამცირებისადმი, სადაც არ უნდა ხდებოდეს"[1].

ცნობილია, რომ ტერმინი „ინტელიგენტი" გაჩნდა რუსეთში, საიდანაც იგი სხვა ენებში გადავიდა. ინტელიგენტს უწოდებდნენ მაღალი სოციალური და ზნეობრივი გრძნობის ადამიანს, ვინც არც ძალას ,და არც სიცოცხლეს არ დაზოგავდა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ინტელიგენტები, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, იყვნენ: რადიშჩევი და პუშკინი, ჭავჭავაძე და წერეთელი, გერცენი და ჩერნიშევსკი, ლენინი და ლუნაჩარსკი, ს. კიროვი და მ. კალინინი, ფ. მახარაძე და მ. ცხაკაია, მრავალი ათასი პროლეტარული რევო-

---

[1] ე. ევტუშენკო, სხეული და სული, „ლიტერატურნაია გაზეთა", 1979 წ. 7 ნოემბერი.

ლუციონერი. რომლებშიც კარგად იყო შეთანხმებული ღრმა, ურყევი იდეური რწმენა და მოქალაქეობრიობა ჰუმანურობასთან და თითოეული ადამიანისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან.

ინტელიგენტობა არ ნიშნავს ადამიანის მიკუთვნებას სოციალური ჯგუფისათვის, არამედ იგი არის მაჩვენებელი, რომელიც ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს აერთიანებს. იგი გულისხმობს მათ განუხრელ დაახლოებას პროგრესული სამამულო და მსოფლიო კულტურის ფასეულობათა ღრმა შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე შრომაში, ყოფასა და ურთიერთობაში, საზოგადოების საკეთილდღეოდ თითოეული ადამიანის შესაძლებლობათა და უნართა განვითარებასა და გამოყენებას. ჭეშმარიტი ინტელიგენტობა მუდამ ქმედითია: ყველაზე სრულად და ნათლად მჟღავნდება იგი კომუნიზმის მშენებლის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაში, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობაში, დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობასა და მაღალ მოქალაქეობრიობაში.

1981 წლის თებერვალში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიების, განათლების მუშაკთა, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთობლივ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში „სტუდენტური ღირსების სასამართლოების“ შემოღების შესახებ, დამტკიცდა დებულება „სტუდენტური ღირსების სასამართლოების შესახებ“. ამ სასამართლოებში კომკავშირულ კრებებზე ფარული კენჭისყრით ირჩევენ ფაკულტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების საუკეთესო სტუდენტებს. მათ ფუნქციაში შედის ისეთი საქმეების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და იმ უფლებათა დარღვევებთან, რომლებიც სერიოზულ სოციალურ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებას. სასამართლოებს ირჩევენ ერთი სასწავლო წლის ვადით, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ყველაზე უფრო მწვავე ზნეობრივი პრობლემების

განსახილველად მივიზიდოთ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტური საზოგადოებრიობის ფართო წრე, აღვზარდოთ შეურიგებელი დამოკიდებულება კომუნისტური მორალის პრინციპების, სოციალისტური ცხოვრების წესის დარღვევებისადმი.

სიტუაციაში ღრმა და სერიოზული გარკვევის შემთხვევაში „სტუდენტური ღირსების სასამართლომ" შესაძლებელია დამნაშავე გაკიცხოს სახალხოდ, საკითხი დააყენოს რექტორატის წინაშე უმაღლესი სასწავლებლიდან გარიცხვის, კომკავშირულ-ადმინისტრაციული ზომების მიღების შესახებ.

„სტუდენტური ღირსების სასამართლოების" მუშაობის გამოცდილებამ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დაგვარწმუნა მათ ავტორიტეტულობასა და მნიშვნელობაში, არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ პრინციპული გაკიცხვა ამხანაგებისა, რომლებმაც დაივიწყეს ძმაბიჭობა და ცრუ კოლექტივიზმი და მართებულად განიხილეს საკითხი. ამას გულგრილად არ შეიძლება მოვეკიდოთ, რადგან მათი საქმიანობის მთავარი კრიტერიუმი „სამსჯავროში" მონაწილეობა კი არ არის, არამედ პრინციპულობა და შეურიგებლობა, ზრუნვა ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისა და მისი მომავლისათვის.

დისპუტებზე ხშირად ლაპარაკობენ: „განათლება ინტელიგენტის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი თვისებაა". შეკითხვას აძლევენ ოპონენტები: „განა ჭკვიანი, განათლებული უნამუსოები არა გვხვდებიან?" დიახ, გვხვდებიან გენიალური ბოროტმოქმედები და განათლებული უნამუსოები, მაგრამ ინტელიგენტი ხეპრე კი — არასოდეს. შემთხვევითი არაა, რომ ყოველი სიკეთის, სიწმინდის, ამაღლებულის, გულისხმიერის, არაგულგრილის სინონიმს ძველთაგანვე ინტელიგენტი მოქალაქის სახე წარმოადგენდა.

ვ. ი. ლენინი 1903 წელს სტატიაში „რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები" წერდა, რომ სტუდენტობა ინტელიგენციის ყველაზე გულისხმიერი ნაწილია: ხოლო ინტელიგენციას იმიტომაც ჰქვია ინტელიგენცია, რომ ის ყველაზე შეგნებულად, ყველაზე გაბედულად და ყველაზე ზედმიწევნით ასახავს და გამოხატავს კლა-

სობრივ ინტერესთა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა განვითარებას მთელ საზოგადოებაში.

საბჭოთა ინტელიგენცია მემკვიდრეა მოწინავე რევოლუციამდელი ინტელიგენციისა, რომელსაც მუდამ განასხვავებდა საზოგადოებრივი მოვალეობისა და მოქალაქეობრივი ღირსების მაღალი შეგნება. ეს თვისებები ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უსულგულობა, ეგოიზმი და მომხმარებლური მიდგომა ეწინააღმდეგება სოციალისტური ცხოვრების წესის თვით არსს.

დასკვნა

ნაშრომის შესავალში გარკვევით იქნა ნაჩვენები, რომ კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ კომუნისტურ აღზრდაში მონაწილეობს აღზრდის ფუნქციის უშუალოდ მქონე ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია-დაწესებულება, არამედ იმასაც რომ კომუნისტურ აღზრდაში თავისი წვლილი შეაქვს მთელ სოციალურ პრაქტიკას, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ყველა დაწესებულებას, ადამიანთა ურთიერთობისა და მოღვაწეობის ყველა ფორმას, ე. ი. ისეთ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებსაც, რომლებსაც აღზრდის ფუნქცია უშუალოდ არა აქვთ. კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელება ნიშნავს იმას, რომ სოციალური პრაქტიკა ფუნქციონირებს ზუსტად იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც კომუნისტური აღზრდის თეორიის ძირითად შინაარსს შეადგენს. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: კომუნისტური აღზრდის თეორია. როგორც მეცნიერული კომუნიზმის შემადგენელი ნაწილი, გვასწავლის, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის პირობებში ადამიანის დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან, პიროვნების მიმართება კოლექტივთან ემყარება ინტერესების ჰარმონიული შეთანხმების, თანასწორობის, სამართლიანობის, უმაღლესად განვითარებული დემოკრატიის პრინციპებს. ამ სულისკვეთებით აღზრდილი ახალგაზრდა გამოდის სოციალური პრაქტიკის ასპარეზზე. სოციალური პრაქტიკის ფუნქციონირებამ, ადამიანებს შორის მიმართებამ, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულებამ იგი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ სოციალური პრაქტიკა სწორედ იმ პრინციპების მიხედვით არის მოწყობილი, რომლებითაც იგი აღზარდეს. ამ შემთხვევაში სოციალური პრაქ-

ტიკა იქცევა კომუნისტური აღზრდის სისტემის ახალ საფეხურად, ამ ახალი საფეხურის ძირითადი ფუნქცია ისაა, რომ ცოდნა აქციოს რწმენად: სკოლამდელ დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში, საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს სკოლაში მიღებული ცოდნა, შესწავლილი თეორია აქციოს ცხოვრებისეულ მრწამსად, ცხოვრების კრედოდ. სოციალური პრაქტიკა ერთგვარი სასინჯი ქვაა. ცხოვრების ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზრდობამ სწორედ აქ უნდა პოვოს იმ პრინციპებზე აგებული რეალური სინამდვილე, სამყარო, ურთიერთობანი, რომელი პრინციპებითაც მას ზრდიდნენ. „ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარების ამოცანების გადაწყვეტაში განუზომლად იზრდება ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური სპეციალისტის, პიროვნების აღზრდის მნიშვნელობა... აუცილებელია გადავლახოთ აღმზრდელობითი მუშაობის არსებული მოწყვეტა კადრების მომზადების რეალური პრობლემებისაგან“[1] — ხაზგასმითაა მითითებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“. სწორედ ასეთ შემთხვევაში ხდება კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის ნამდვილი და სრული განხორციელება.

თუ საქმეს ამგვარად შევხედავთ, მაშინ უნდა ითქვას შემდეგიც: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გეგმაზომიერი, დაუცხრომელი, შეუნელებელი ბრძოლა სოციალური მართლწესრიგის დასაცავად, სამართალდარღვევების აღმოსაფხვრელად, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, სოციალური დისციპლინის განსამტკიცებლად მიზნად ისახავს არა მხოლოდ სოციალური წარმოების, სოციალისტური ცხოვრების წესის შემდგომ ამაღლებას და განმტკიცებას, არამედ აქვს დიდი აღმზრდელობითი ფუნქციაც. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი ისეთი პარტიული დოკუმენტია, რომელსაც ყველა სხვა ასპექტთან ერთად აქვს უდიდესი მნიშვნელობის აღმზრდელობითი ასპექტი. ეს გადაწყვეტილებანი სახავენ ამოცანას, ახალ სიმაღლეზე იქნეს აყვა-

---

[1] გაზ. „იზვესტია“, 1987 წ. 21 მარტი.

ნილი პარტიული, სახელმწიფოებრივი და საშემსრულებლო დისციპლინა, სოციალისტური დემოკრატია, გაძლიერდეს ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამ მოთხოვნათა რეალური განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას. ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის ზრდას. არამედ არსებით როლს შეასრულებს საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ამავე დროს წარმოადგენს ბრძოლას მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. აღზრდის დაწესებულებათა მთელი სისტემა მიმართულია იქითკენ, რომ ახალგაზრდობას გამოუმუშაოს კომუნისტური მსოფლმხედველობა, შრომ-სადმი კომუნისტური დამოკიდებულება, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. მოამზადოს ცხოვრების სოციალისტური წესისათვის, აღზარდოს მასში მებრძოლი სული, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა. მაგრამ თუ სოციალური პრაქტიკის ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა აწყდება ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ანტიპოდებს, ნაკლოვანებებისადმი გულგრილი დამოკიდებულების. კრიტიკის ჩახშობის, მექრთამეობის, მომხვეჭელობის, კანონიერების დარღვევის, თვითნებობის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, სიტყვისა და საქმის დაცილების, მოტყუების ფაქტებს? ცხადია, ეს ფაქტები. თუ ისინი გარკვეულ შემთხვევებში მაინც დაუსჯელნი რჩებიან, უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდის რწმენაზე. ასეთ ვითარებაში სოციალურ გარემოში ჯერ კიდევ შემორჩენილი უარყოფითი მოვლენები გამოდის კომუნისტური აღზრდის საქმეში გარკვეული შემაფერხებლის როლში. ასეთი შეფერხებისას გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას იმან. თუ რა დონით, რა სიღრმით, რა დასაბუთებით, რა ისტორიული პერსპექტივით აქვს ათვისებული ახალგაზრდას კომუნიზმის ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც ის აზიარეს კომუნისტური აღზრდის პროცესში. ის აღზარდეს ბრძოლისთვის და მან უნდა შეძლოს ბრძოლა, სამართლიანობისათვის ბრძოლა, გამარჯვებისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში

ჩაბმის მზაობისა და მისი შემართების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ კომუნისტური აღზრდის საბოლოო შედეგებზე.

სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ძირითადი ამოცანაა, კომუნისტური აღზრდის პროცესი წარმართოს იმ მიზანდასახულობით, რომ ახალგაზრდობას ჩამოუყალიბოს აქტიური, კლასობრივი, მტკიცე, შემტევი პოზიცია. ახალგაზრდობას, რომელმაც სტუდენტური ცხოვრების შინაარსით აღსავსე ხუთი წელი გაიარა, უნდა შეეძლოს აქტიური ზემოქმედება მოახდინოს სოციალური პრაქტიკის მიმდინარეობაზე, ადამიანთა ურთიერთობებზე, ცხოვრების სოციალისტური წესის ყოველ უბანზე გაბედულად იბრძოლოს კომუნიზმის პრინციპებისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. მარქსის თეზისებში ფოიერბახის შესახებ, რომელზეც ჩვენ შესავალშიც მივუთითებდით, პირდაპირ აღნიშნულია, რომ ადამიანი გარემოსა და აღზრდის პროდუქტია, მაგრამ მას თვითონაც შეუძლია და ვალდებულია უკუზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. ეს ყველაზე უკეთ მოსახერხებელია სწორედ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში. კომუნისტური აშენებლობის დღევანდელ ეტაპზე ადამიანთა ასეთი აქტიური ზემოქმედება სოციალისტურ პრაქტიკაზე, მისი წინსვლის, მორალური სიწმინდის დაცვის მიზნით, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი თავისებურებაა. ასეთი აქტიური მოღვაწეობისათვის კომუნისტური იდეალებით აღჭურვილ ადამიანს მხარს უჭერს ჩვენი საზოგადოების სახელმწიფო კონსტიტუცია, ისტორიული პერსპექტივა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მხარს უჭერს კანონი.

იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის თანამედროვე ამოცანები ამომწურავად და ყოველმხრივ იქნა გაშუქებული სკკპ XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში. ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყველაზე არსებითი, რასაც უნდა მოვახმაროთ დღეს პარტიული ზემოქმედების მთელი ძალა, ეს არის მიღწევა იმისა, რომ ყოველ ადამიანს ესმოდეს ახლანდელი მომენტის სიმწვავე, მისი გარდამტეხი ხასიათი. ყოველი გეგმა ჰაერში დაგვრჩება გამოკიდებული, თუ ადამიანებს გულ-

გრილს დატოვებს, თუ ვერ გავაღვივეთ მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობა, მათი ენერგია და ინიციატივა"[1]. სკკპ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, „რომელშიც შეხამებული იქნება სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულქმნილება"[2].

სკკპ XXVII ყრილობის მასალებში დასაბუთებულია თანამედროვე პ-რობებში იდეოლოგიური მუშაობის გაღრმავებისა და თვისებრივი გარდაქმნის აუცილებლობა და განსაზღვრულია იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანა განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ყველაზე არსებითი ამოცანა ის არის, რომ „აღზარდოს მშრომელები მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, შრომისა და საზოგადოებრივი ქონებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით, სულ უფრო სრულად აზიაროს მასები სულიერი კულტურის საგანძურს, აღმოფხვრას ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც სოციალისტური ცხოვრების წესს ეწინააღმდეგება"[3]. უფრო კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ ეს ამოცანა, იგი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობა მჭიდროდ დავუკავშიროთ პარტიის ამოცანებს, რადგან „ადამიანის აღზრდა განუყოფელია ხალხის საკეთილდღეოდ აღმშენებლობის შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში მისი პრაქტიკული მონაწილეობისაგან"[4].

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში ჩამოყალიბებულ იქნა კო-

---

[1] მ. გორბაჩოვი, სკკპ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 146.

[2] სკკპ პროგრამა, თბ., 1986, გვ. 77.

[3] იქვე, გვ. 78.

[4] იქვე, გვ. 79.

მუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრინციპები და კომუ-
ნისტური აღზრდის განხორციელების გზები და საშუალებანი გან-
ვითარების თანამედროვე ეტაპზე. მოცემულია იდეურ-აღმზრდე-
ლობითი მუშაობის ძირითადი ამოცანები. ესენია: მეცნიერული
მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, შრომითი აღზრდა, კომუნი-
სტური მორალის (კოლექტივისტური, ჰუმანისტური, აქტიური, ქმე-
დითი მორალი) დამკვიდრება, პატრიოტული და ინტერნაციონა-
ლური, სამართლებრივი და ათეისტური აღზრდა. მითითებულია,
რომ პარტია აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში აყენებს იმას,
რომ ჩამოუყალიბოს ყოველ საბჭოთა ადამიანს საზოგადო კეთილ-
დღეობისადმი, კეთილსინდისიერი შრომისადმი ღრმა პატივის-
ცემა და მზადყოფნა, რადგან შრომა არის საზოგადოების მატერი-
ალური და სულიერი სიმდიდრის ძირითადი წყარო, ადამიანის
სოციალური პრესტიჟის მთავარი კრიტერიუმი.

ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, აღნიშნა
სკკპ ცკ-ის იანვრის (1987 წ.) პლენუმზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა, „მე-
ტი ყურადღება უნდა დავუთმოთ შრომითს, იდეურ-პოლიტიკურ და
ზნეობრივ წრთობას, უფრო სწრაფად და გადაჭრით განვთავისუფ-
ლდეთ ყოველივე უსარგებლოსაგან ახალგაზრდობასთან მუშაობაში,
უწინარეს ყოვლისა, დამრიგებლური კილოსა და ადმინისტრირები-
საგან“[1].

პარტიის მიერ დასახული აღმზრდელობითი კურსის განხორ-
ციელებაში გადამწყვეტი როლი მიეკუთვნება იმას, თუ როგორ
დგას აღზრდის საქმე სკოლამდელ დაწესებულებაში, ზოგადსაგან-
მანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სას-
წავლებლებში. სწორედ აქ, აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს კერე-
ბში, განსაკუთრებით კი საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სკო-
ლაში უნდა გამოიწრთოს თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდა
მტკიცე მარქსისტ-ლენინელად, მაღალი მორალისა და იდეალების
მქონე მოქალაქედ.

---

[1] სკკპ ცკ-ის იანვრის პლენუმის მასალები, თბ., 1987, გვ. 49.

ათი „ოქროს მცნება“ სტუდენტებისათვის[1]

1. გექონდეს უტყუარი მოტივები! კარგი სტუდენტისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური შორსმხედველობა და თავისი საზოგადოებრივი ვალდებულებების ღრმა შეგნება. სწავლების პროცესში სტუდენტმა ისე უნდა შეითვისოს მეცნიერება, რომ გახდეს ცნობილი მეცნიერი, გამომგონებელი, ინჟინერი, გენიალური არქიტექტორი, რევოლუციური საზოგადოებათმცოდნე, მოკლედ: გახდეს მკვლევარი — ნოვატორი, შეეძლოს გახდეს ახლის სულისჩამდგმელი მაშინაც კი, თუ ეს ახალი რთულია, აქტიურად იბრძოლოს ახლისათვის, ანუ იყოს პროგრესული პიროვნება. ამასთანავე აუცილებელია იყოს მტკიცე და თავმოყვარე, ჰქონდეს აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია, მაგრამ არა წვრილბურჟუაზიული, რომელიც ყველაფერს უქვემდებარებს საკუთარ კარიერასა და პირად წარმატებებს. სტუდენტებს ესაჭიროებათ ნათელი და დიადი პოლიტიკური იდეალები, რომელთათვისაც ისინი იბრძვიან, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეები!

2. ვეძიოთ სწორი საქმიანი სამუშაო სტილი (ხელწერა)! აუცილებელია შეგწევდეს უნარი ეფექტურად მიდიოდე დასახული მიზნისაკენ. შეცდომაა იმის ვარაუდი, რომ თითქოსდა ეფექტური საქმიანი სამუშაო სტილი და ოპტიმალური გეგმის ფორმულირება ხდებოდეს თავისთავად. აუცილებელია იყო საზრიანი და შემოქმედი, იცოდე დროის დაზოგვა.

სწავლების საწყის ფაზაში უმჯობესია მეტი ყურადღება დაეთ-

---

[1] ათი „ოქროს მცნება“ დამუშავებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციოლოგებისა და პედაგოგების მიერ.

მოს დროის განაწილებას, კვირეულ დაგეგმვას, სწავლების ტექნიკასა და ინფორმაციის შეგროვების კრიტერიუმებს, იპოვო სწორი სამუშაო სტილი — ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, იმ სახის ამოცანათა მიგნებას, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება, დაადგინო მათი არსი. გეგმაზომიერად იმუშაო, რათა მიაღწიო პრობლემების გადაჭრის ეფექტურობას.

3. განვავითაროთ საკუთარი აქტიობა. ის, ვინც თავს ნებას აძლევს პასიურად მოეკიდოს საქმეს, ვერასოდეს ვერ გახდება კარგი სტუდენტი და მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი. ის, რაც საკუთრივ პასუხისმგებლობით არის ფორმირებული, ყველაზე იოლად შეითვისება. რასაც სერიოზულობით ეკიდებიან, სწორედ ის ხდება დიდი ინტერესის გამომწვევი.

ეს ეხება არა მარტო სასწავლო დავალებების შესრულებას, არამედ აგრეთვე მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. არ შეიძლება პასიურად ელოდო, რომ „ჩაგითრიონ", თვითონვე უნდა ეძებდე ურთიერთთანამშრომლობას. რამდენადაც უფრო აქტიურია ადამიანი, მით უფრო ეფექტურია სწავლება, მით უფრო წარმატებით ხორციელდება მზადება მომავალი პროფესიული მოღვაწეობისათვის.

4. ვიმუშაოთ კოლექტიურად! სწავლების პროცესში კოლექტიურობას ახასიათებს განსაკუთრებული მხარეები. რადგანაც ცოდნის შეძენა, ნიჭის განვითარება, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ინდივიდუალურ პროცესს და მიმართულია საკუთარი პიროვნებისადმი, ზოგჯერ აკეთებენ დასკვნას, რომ თითქოსდა სწავლებამ გარდუვალად უნდა წარმოშვას ინდივიდუალისტები და ეგოისტები. ეს არ არის სწორი, რადგანაც მათთვის, ვინც სწავლობს იმ მიზნით, რომ გამოადგეს საზოგადოებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტივისტური საწყისები, იმის უნარი, ურთიერთპასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდეს ყოველგვარ საქმიანობას. კარგი სტუდენტი ზრუნავს თავისი კოლექტივისათვის, თვითონ სწავლებას აქვს მრავალი კოლექტივისტური მხარე: გაერთიანებული მუშაობა, აზრთა და გამოცდილებათა გაზიარება, დისკუსიები ჯგუფებში. საკვლევო გეგმებზე ერთიანი მუშაობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში საერთო ამოცანათა გადაჭრა.

შეგწევდეს ადამიანებთან კონტაქტის უნარი, შეგეძლოს ადამიანებთან ურთიერთობა, ჩაება კოლექტივში, შესძლო ამ უნარის განვითარება — ყოველივე ამას მოაქვს დიდი სარგებლობა შემდგომი პროფესიული საქმიანობისას წარმოებაში, საკვლევ-სამეცნიერო კოლექტივში, როგორც ხელმძღვანელისა და მეცნიერისათვის, აგრეთვე უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების პრაქტიკისათვის. სოციალური აქტიურობისაკენ სწრაფვა კურსდამთავრებულთა აუცილებელი თვისებაა.

5. ვიყოთ პოლიტიკურად და პროფესიულად აქტიურნი! ცოდნის მტკიცე საფუძვლის ფარეშე როგორც სტუდენტს, ასევე კურსდამთავრებულს, გაუჩნდება წარმატებით მოახდინოს სხვებზე პოლიტიკური გავლენა. კურსდამთავრებული, რომელიც სერიოზულად ფლობს თავის პროფესიას, გაცილებით მეტი ფასი აქვს. ვიდრე ათ არაკვალიფიცირებულ მოლაყბეს. საქმე ეხება აგრეთვე იმას, რომ ვიწროსპეციალური განათლების მქონე ადამიანი ვერა და ვერ შეძლებს დღევანდელ დღეს შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობანი. ჩვენი დროის ამოცანათა სიმაღლეზე მდგომმა სტუდენტმა ჰარმონიულად უნდა შეახამოს პოლიტიკური და პროფესიული სამუშაო და შეძლოს მათი ერთიანობაში დანახვა.

ათასგზისი გამოცდილება და მეცნიერული კვლევა ადასტურებს: პრაქტიკულ მუშაობაში ყველაზე უკეთ თავს ის კურსდამთავრებულები ავლენენ, რომელთაც ღრმად ესმით საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, ბოლომდე აქვთ გააზრებული სინამდვილე და სწავლობენ წინაალმდეგობების კონსტრუქციულ გადალახვას, ვინც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

6. გვიყვარდეს ჩვენი პროფესია! არ არსებობს „ცუდი“ და „კარგი“ პროფესია, არიან მხოლოდ ცუდი და კარგი მუშაკები. საკუთარი პროფესიისაგან ხანგრძლივი დროით მოწყვეტას სერიოზული ზიანი მოაქვს.

სტუდენტის ამოცანაა იპოვოს თავისი სასწავლო საგანი და პროფესია, შეისწავლოს მისი შესაძლებლობები და მიმზიდველობა. ამ შემთხვევაში იდეალს წარმოადგენს არა აბსოტრაქტული პროფესიული ოცნება, არამედ იდეალის გაიგივება სპეციალური

ცოდნის, უნარებისა და მიმზიდველობის საფუძველზე. კონკრეტულ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საქმიანობასთან სპეციალურ სფეროში სპეციალობის სიყვარული მეღავნდება სიამაყეში და არა ყოყლოჩინობაში. იგი თავის თავში შეიცავს პატივისცემას ნებისმიერი სახის შესრულებული სამუშაოსადმი.

7. დავუკავშირდეთ მეცნიერებას! სწავლა მხოლოდ პრესტიჟული მოსაზრებებით, ფიზიკური შრომისადმი ანტიპატიით, სიზარმაცით, შიშით ცხოვრების მიმართ, ან დიდი შემოსავლის მოლოდინში დღეს მიუღებელია სტუდენტისათვის. დომინირებული მოტივი იმაში მდგომარეობს, რომ შევისწავლოთ პროფესია და ავითვისოთ სპეციალური ცოდნა და ჩვევები წარმატებული პროფესიული მოღვაწეობისათვის. სტუდენტთა უმრავლესობა მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე იმას, რომ სწავლის საშუალებით აამაღლოს საკუთარი საერთო განათლება.

ისწავლო — ნიშნავს ხელი მოჰკიდო მეცნიერებას. ის, ვისაც ეს არ ესმის, ეს არ ,ვაეგება, ვერც შესძლებს წარმატებით სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ნუ გახდება მეცნიერი ყოველი კურსდამთავრებული, მაგრამ ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა მეცნიერებაზე, იცოდეს, თუ როგორ ფუნქციონირებს მეცნიერება, უნდა შეისწავლოს მეცნიერული ცოდნის ათვისების მეთოდები და ტექნიკა. კრიტიკულად უნდა მიუდგეს თავის საქმიანობას!

ყოველი სტუდენტისათვის მნიშვნელოვანია შეიგნოს ეს დასაწყისიდანვე და მოახდინოს მისი შეგნებული 'რეალიზაცია ლექციებზე, სემინარებზე, თვითმომზადებაში და სამეცნიერო წრეებში, ახალგაზრდულ მშენებლობებზე, გამოცდებსა და სადიპლომო შრომაში.

8. შევისწავლოთ პრაქტიკა! აკადემიური იზოლირება უკვე დიდი ხანია აღარ ახასიათებს სოციალისტური ქვეყნების სტუდენტებს. დღევანდელ დღეს სტუდენტთა უმეტესობას თავისი სწავლა წარმოუდგება მხოლოდ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. უმაღლესში სწავლის პერიოდში ისინი დასაქმებულნი არიან პოლიტიკურ და პრაქტიკულ მიმართებაში, მათ ახარებს მომავალი პროფესიული საქმიანობა.

პრაქტიკისადმი ლტოლვა, რასაკვირველია, არ უნდა ავურიოთ

„პრაქტიციზმში“ და თეორიასთან მტრულ დამოკიდებულებაში, ეს მისწრაფება არ შეიცავს მეცნიერული ცოდნის დევალვაციას. პირიქით, პროფესიაში წარმატების გარანტიას იძლევა მხოლოდ თეორიისა და პრაქტიკის მტკიცე კავშირი.

9. ვიყოთ მრავალმხრივნი! ყოველი კურსდამთავრებული უნდა იყოს პროფესიულად მომზადებული, სწორედ ამისთვის სწავლობს ის.

იყო მრავალმხრივი, ნიშნავს იაზროვნო საკუთარი პროფესიული სფეროს გარეთაც, შეგეძლოს ისაუბრო კოლეგებთან მომიჯნავე დისციპლინებზე, განივითარო მზადყოფნა და უნარი დისციპლინათაშორისო სამუშაოებში ჩასაბმელად. მრავალმხრივობა შეიცავს საერთო განათლების მაღალ დონეს. საერთო განათლება ნიშნავს იყო პოლიტიკურად ინფორმირებული, კულტურულად და სპორტულად აქტიური. ნამდვილი სტუდენტი თავის სპეციალობაში მეცადინეობას უთავსებს დასვენებას. სტუდენტი, რომელიც არასოდეს არ ესწრება ლექციებს სხვა დისციპლინებში, არასოდეს არ ფურცლავს ძველ ფოლიანტებს, არასოდეს არ დადის თეატრში, არასოდეს არ კითხულობს სამეჯნურო ლექსებს, არასოდეს არ ყოფილა არცერთ საწარმოში, არასოდეს არ წასულა დისკოტეკებზე, თავისი არსით არ არის ჭეშმარიტი სტუდენტი.

მაგრამ მრავალმხრივობა ძალისა და ენერგიის გაფანტვას, მოუსვენრობას როდი ნიშნავს. მრავალმხრივობა ნაყოფიერი ხდება მხოლოდ ცხოვრების მთავარი საქმის ბაზაზე ყველა სხვა მოქმედების კონცენტრაციის საფუძველზე.

10. ნუ დავუთმობთ საკუთარ თავს! არ არსებობს სტუდენტი, რომელსაც შეეძლოს შეასრულოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ წამოყენებული ყველა მოთხოვნა. თავის თავისადმი მომთხოვნელობის შესუსტება, სწავლა საკუთარ შესაძლებლობებზე დაბლა — ამორალურია. სწავლების მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ გახსნა და გააფართოო საკუთარი შესაძლებლობების საზღვრები.

ამას ვერ მიაღწევ, თუ მიდრეკილი იქნები იმისაკენ, რომ იყო საშუალო. პატარა ადამიანს ხიბლავს საიმედო შუაგული: ფრენა არც ძალზე მაღლა, არც ძალზე დაბლა, მაგრამ მეცნიერებასა და პრაქტიკას, საკუთარ თავს, ამავე პოზიციით ვერ მოატყუებ.

შინაარსი

შესავალი . 3

თანამედროვე ახალგაზრდობის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი . 10

სტუდენტობა, როგორც განსაკუთრებული ჯგუფი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, როგორც უმაღლეს სკოლაში კომუნისტური აღზრდის ობიექტი და სუბიექტი 51

პოლიტიკური კულტურა. მომავალ სპეციალისტთა მსოფლმხედველობრივი აღზრდა . . 83

ზნეობრივი აღზრდის როლი მომავალი სპეციალისტის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებაში 107

მოთხოვნილებები და მომხმარებლობა 136

ურთიერთობის ზნეობრივი კულტურა 165

დასკვნა 199

დანართი. ათი „ოქროს მცნება“ სტუდენტებისათვის 205

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი

ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი

კორექტორი ე. გონჯილაშვილი

სბ № 1401

გადაეცა წარმოებას 27.11.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.10.87.
უე 09730. საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 13,25. სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,22.

ტირაჟი 2000 შეკვეთის № 8.

ფასი 1 მან., 20 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.